*არა არს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე!*

# ო მ ი
# ს ა მ ა რ თ ა ლ ი
# მ შ ვ ი დ ო ბ ა

**თბილისი**

2010

ადამიანის
უფლებათა
პრიორიტეტი

# ომი სამართალი მშვიდობა

# WAR JUSTICE PEACE

## ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი

რედაქტორი ნინო ციხისთავი

ავტორთა ჯგუფი: ლია მუხაშავრია
ნინო ციხისთავი
ნინო ბოლქვაძე
მარიამ მაისურაძე
ხათუნა ავლოხაშვილი
ფიქრია მეფარიშვილი

მადლობას ვუცხადებთ ყველა დონორს, რომელთა მხარდაჭერით გამოიცა წინამდებარე წიგნი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ბუდაპეშტი), აშშ საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა, ნორვეგიის სამეფოს საელჩოს გრანტების პროგრამა (ევრაზიის პარტნიორობის ფონდი).

ROYAL NORWEGIAN EMBASSY SMALL GRANTS

ISBN 123123123213123 ,, ©HRP 2010

## ძვირფასო მკითხველო,

წინამდებარე წიგნი ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ომს კი არა, ომით დაზარალებულ მოსახლეობას.

წიგნი მივუძღვენით სამარადისო ხსოვნას, ხსოვნას იმ ადამიანებისა, რომლებმაც ომი საკუთარ სახლებში, ოჯახებში მიიღეს და შემდეგ გააცილეს. ბევრმა მათგანმა ომს თან გააყოლა საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ოჯახი, სახლი, კარი, ბევრმა კი სამუდამოდ დაკარგა სიმშვიდე და დღესაც მოლოდინშია, რომ ოდესმე ის უკან, საკუთარ სახლს, საკუთარ მიწას დაუბრუნდება.

ბევრი იმასაც ამბობს, რომ ომი არც დამთავრებულა, რადგან უკიდურესი გაჭირვება, ტკივილი და უიმედობა, რომელმაც დაისადგურა ომით დაზარალებულ ადამიანებში – ჯერ არ დასრულებულა და, მაშასადამე, ომი გრძელდება.

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ბედკრულ სამშობლოს რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტისა თუ ომის გადატანა მოუხდა. სამწუხაროდ, ომის დანაშაულისათვის არავინ დასჯილა კანონის ძალით და არც პასუხისმგებლობა დაკისრებია ვინმეს. ჩვენ გვწამს, რომ ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, რათა ხვალ აღარ განმეორდეს დანაშაული და მისი თანმდევი ტრაგედია. დარწმუნებული ვართ, აუცდენელი პასუხისმგებლობა[1] დააფიქრებს ომის მოსურნეს და ხელაღებით აღარავინ შეეცდება იარაღის გამოყენებას.

წიგნი ყველა იმ ადამიანზეა, ვინც ადრეც იცოდა, კიდევ ერთხელ მწარედ დარწმუნდა და დღეს ისევ იცის, რომ ომი ის საშინელებაა, რომელიც აღარასოდეს უნდა განმეორდეს, არავინ უნდა გაბედოს მასზე ფიქრიც კი, და რომ მშვიდობა სამარადჟამოდ უნდა დავამკვიდროთ. მშვიდობა კი არ დაისადგურებს ჩვენს სახლებში, ოჯახებსა და მთლად ქვეყანაში მანამ, სანამ დარღვეული სამართლიანობა არ აღდგება.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ძალისხმევა - დამნაშავე პირებს კანონის ძალით პასუხი მოეთხოვოთ აგვისტოს ომით მიყენებული ზიანისა და აუნაზღაურებელი ტკივილისათვის, არ არის უნაყოფო და ფუჭი. ყველა, ვისი სახელითაც ჩვენ, უფლებადამცველები ვმოქმედებთ, ჩვენთვის მხოლოდ კლიენტები არ არიან.

მათი სახელით მოგებული საქმეები უნდა გახდეს საწინდარი იმისა, რითაც მიიღწევა არა სრული, არა საყოველთაო, მაგრამ ასე მნიშვნელოვანი - სამართლიანობა. სამართლიანობის გარეშე კი წარმოუდგენელია მშვიდობა. ამაში სწორედ ჩვენი საქმიანობის პროცესში დავრწმუნდით. სამართლიანობის სახელითა და მართლმსაჯულების განხორციელებით შეიძლება ვიფიქროთ მშვიდობის შენებასა და მშვიდობის შენარჩუნებაზე. რა თქმა უნდა, მხოლოდ კანონიერებისა და მართლმსაჯულების იმედად ადვილი არ იქნება მშვიდობის მიღწევა, მაგრამ, უამისოდ კი, სრულიად შეუძლებელია.

მოხარულნი ვიქნებით, თუ გაიზიარებთ ჩვენს მსოფლმხედველობას და ირწმუნებთ, რომ კანონის სახელით შესაძლებელია სიკეთის კეთება ყველაზე უფრო გატანჯული, ომით დაზარალებული და უსასოო ადამიანებისთვის. სწორედ მათთვის მიიღო საქართველოს პარლამენტმა კანონები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ და ვეყრდნობით ჩვენს სასამართლო საქმეებში.

წიგნში მოყვანილია დოკუმენტური მასალა, რომელიც ეკუთვნის ორგანიზაციებს - კავკასიის ქალთა ქსელსა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს. ეს ორგანიზაციები ომის პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაერთვნენ ომით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარებისა და მდგომარეობის შემსუბუქების, სამაშველო საქმიანობაში. ცოტა მოგვიანებით კი, ორგანიზაციებმა განახორციელეს ომით დევნილი მოსახლეობის უფასო სამართლებრივი დახმარება, ადამიანის უფლებათა მონიტორინგი და მცირე, მაგრამ კონკრეტულ შედეგებს მიაღწიეს.

[1] მიგვაჩნია, რომ ომის უმძიმეს დანაშაულთან დაკავშირებით გამორიცხული უნდა იყოს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების ნებისმიერი შესაძლებლობა. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში უმჯობესი იქნება დავამკვიდროთ ტერმინი ‘აუცდენელი პასუხისმგებლობა’.

გვინდა წინასწარ მადლიერება გამოვხატოთ თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ჩვენ მივიღებთ თქვენს შენიშვნებს, წინადადებებსა და სურვილებს წიგნთან და ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით. დაგვიკავშირდით ვებ გვერდზე: www. hrp.ge.

# წიგნის შინაარსი:


თავი I – მშვიდობიანი მოსახლეობის ისტორიები;
თავი II – ხელისუფლების წარმომადგენელთა ისტორიები;
თავი III – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა;
თავი IV – საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები;
თავი V – ადმინისტრაციული სამართალწარმოება ომით დაზარალებულთათვის;
თავი VI – I ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის;
თავი VII – II ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის;
თავი VIII - III ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის;
თავი IX – სასამართლოს ხელმისაწვდომობა ომით დაზარალებულთათვის;
თავი X – სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება ომით დაზარალებულთათვის;
თავი XI – დანართები.

# თავი I

# მშვიდობიანი მოსახლეობის ისტორიები

## 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებულ ადამიანთა ისტორიები[2]

1. დავითი (დაბადებული 1977 წ., სოფელი თამარაშენი)

6 აგვისტოს დილით გამთენიისას იყო ძლიერი დაბომბვა მსხვილკალიბრიანი ჭურვებით (ნაღმმტყორცნები). მე ვიმყოფებოდი ჩემს სოფელში: თამარაშენში. 7 აგვისტოს დაიწყო მსხვილკალიბრიანი ჭურვებით, 8 აგვისტოს დაიწყო საჰაერო დაბომბვა. 10 აგვისტომდე ასე გრძელდებოდა. გაუჩერებლად ისროდნენ. გარეთ ვერ გამოვდიოდით. სახლის პირველ სართულზე ვიმალებოდით. ცვიოდა ასკოლკები. სერიოზული დაზიანება სახლს არ ჰქონია.
10 აგვისტოს დილით უბანში ვიყავით ხუთი ადამიანი. თბილისში დავრეკეთ – ჩემს ძმასთან ლევანთან და მან გვითხრა, რომ ხეობაში რუსები არიან შემოსულებიო და წამოდით, დატოვეთ ყველაფერი და თავი დააღწიეთ მაქაურობასო. რუსთავიდან დაურეკეს ჩემს მეზობელს 80 წლის ტასიკოს: მას უთხრეს (შვილმა, ლეილამ, რომელიც ცხოვრობს ქ. რუსთავში), რომ კორიდორს აკეთებენ ჩვენებიო და მიდით იმ კორიდორამდეო. და ჩვენ გადავწყვიტეთ წამოსვლა. 10 აგვისტოს, 10:30 სთ. წამოვედით სოფელ აჩაბეთისკენ. სანამ აჩაბეთის საზღვარს მივუახლოვდებოდით (ჩვენ წამოვედით ცენტრალური (ტრასით) გზით) იყო სიჩუმე. თამარაშენის კინოთეატრის შენობასთან გზად შემოგვხვდნენ რუსები (რუსის ჯარი) - წინ 30 ბეტეერი. შეჩერდნენ. ქვეითი დაახლოებით 60 სამხედრო პირი იყო. (რუსული უნიფორმა, ბეტეერებზე რუსული დროშები შიგადაშიგ იყო. ბეტეერებზე ხალხი იჯდა რუსულ ფორმაში. მოგვესალმნენ. ფეხით მოსიარულეთაგან რამოდენიმემ (რუსულ ფორმაში) ჩამოხსნა ქართული დროშა სპორტის დარბაზის ეზოდან სოფელ თამარაშენში. გამოიტანეს, დაახვიეს და ჩადეს ბეტეერში. შეამტვრიეს კინოთეატრის კარები (რომელიც იყო თანამედროვე სტილზე) გამოიტანეს მუსიკალური ცენტრი და №304-ში ჩადეს. როდესაც ჩვენ მოგვიახლოვდნენ, მოგვესალმნენ და გვითხრეს: ნუ გეშინიათ, წადით სახლებში, ყველაფერი კარგად იქნებაო.
ჩვენ შევჩერდით. მოხუცებული ქალი – ტასიკო გაგვიხდა ცუდად. მოვდიოდით სამი ადამიანი: მე, დედა და მეზობელი ტასიკო. მამა იყო ვლადიკავკაზში, სამსახურში. ჩამოვიდა 31 აგვისტოს, ყაზბეგზე ცოტა ხნით გზა რომ გაიხსნა.
ერთი რუსი, ულვაშებით რომელიც იყო და იჯდა ტანკზე, ყვიროდა (დაინახეს, ტასიკო რომ გახდა ცუდად) ომი გინდოდათ და ხომ მიიღეთ ომიო. და იგინებოდა და ახსენებდა სააკაშვილს.

---

[2] 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის ისტორიები შეგროვდა იმავე წლის აგვისტოსა და შემდეგ თვეებში ინტერვიუებისა და, აგრეთვე ,ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის' სტრატეგიული სამართალწარმოების პროგრამის ფარგლებში ჩამორთმეული ჩვენებების ფორმით. ინტერვიუერების მონათხრობის სტილი დაცულია იმ შემთხვევაში, თუ მთხრობელი პირველ პირში ჰყვება თავის ამბავს. ისტორიების გმირების გვარები და სახელები მითითებული არ არის. სახელები შეცვლილია შესაძლო იდენტიფიკაციის თავიდან ასაცილებლად და კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

ამ პერიოდში 11-12 საათის შუალედში გაისმა სროლის ხმა ცხინვალის მხრიდან. ჩუმი ავტომატური. ეს ჯარი ნელ-ნელა იწევდა წინ. 10 მეტრის შუალედში გადაინაცვლებდნენ ბრძანების საფუძველზე და ჩერდებოდნენ. ქვეითი ჯარი ამოწმებდა ეზოებს. სროლა რომ გაისმა, გვითხრეს ჩვენ რომ წადით, სროლები დაიწყებაო. თავადაც დაიწყეს მასიური სროლა ტანკებიდან ყველანაირი იარაღით. . . მთელ ორ საათს გაგრძელდა ეს სროლები. ამ პერიოდში მათი თქმის საფუძველზე გავედით ძველი პურის საცხობის უკან და ჩავედით ბაღებში. იქ არის დაღმართი. ჩავედით არსენის საცხოვრებელ სახლში – სარდაფში. სახლში არავინ იყო. ეზოში ჩამოვარდნილი იყო ჭურვი. ყველაფერი იყო დალეწილი. ფუტკრის სკაზე იყო დაცემული ჭურვი. იქ იყო ხეები ძირიანად ამოთხრილი. მე, დედაჩემი და ტასიკო შევედით სახლის სარდაფში. სროლების ხმა შენელდა. ჩვენ გამოვედით დაახლოებით ორი საათისათვის და წავედით ბაღებით სოფელ აჩაბეთის მიმართულებით. გზაში შეგვხვდა 3-4 ოჯახი. წავედით ერთად აჩაბეთისკენ. აჩაბეთში, სანამ გზაზე მივდიოდით, ელოდებოდნენ რუსების კოლონის გავლას (ვიმალებოდით ბაღებში). დედაჩემი გადავიდა ოჯახში (ნათესავი ილოსი). იქ შევიკრიბეთ. ჩვენ დავყავით დაახლოებით ერთი საათი იმ სახლში. ანუ, სანამ რუსების კოლონა გაივლიდა. რუსებმა როგორც კი გაიარეს, 3:30 საათისათვის, მათ უკან მოჰყვნენ ოსები. შემოვიდნენ ოჯახში და გვითხრეს, გამოვსულიყავით გარეთ. გამოგვიყვანეს გარეთ. ჩვენ ჩვენი სახლიდან წამოვიღეთ ჩანთები, სადაც იყო ძვირფასეულობა, ფული 20,000 დოლარი 400,000 რუსული რუბლი (რომელიც არის 32,000 დოლარი), სამკაულები, ფოტოაპარატი, რომელიც განვადებით შევიძინე (850 ლარი – საქართველოს ბანკი), მობილური სამი ცალი. ძალით წაგვიყვანეს ცხინვალში 20-25 ადამიანი. შეგვიყვანეს ცხინვალის დროებითი დაკავების იზოლატორში. შესვლის დროს გადმოგვიყვანეს, დააფინეს საქართველოს დროშა, გვითხრეს დააფურთხეთო და გადაიარეთო. გადავიარეთ ყველამ. ხელმარჯვნივ იყო სამ საფეხურზე აივანი, სადაც იჯდა ოსების შსს მინისტრი. ამ პროცესს თვალს ადევნებდა და ბრძანებებს იძლეოდა. შეგვიყვანეს კორიდორში, დაგვაყენეს მწკრივში და დაიწყეს ჩხრეკა. ჩამოართვეს ყველას ყველაფერი (ოსი პოლიციელები იყვნენ). მე, როგორც ახალგაზრდა, ალბათ, გამიყვანეს ცალკე ოთახში, გამომკითხეს ვინაობა. დავმალე ჩემი გვარი, რადგანაც ვმუშაობდი სანაკოევის მთავრობაში. სანაკოევის მიმართ იყვნენ აგრესიულად განწყობილნი. გამხადეს მაისური. აინტერესებდათ, ვიყავი სამხედრო პირი თუ არა. მე ვუთხარი, რომ არ ვარ სამხედრო პირი. ოსმა მილიციელმა ჩამარტყა ავტომატის კონდახი. იარაღი ჩამიდეს პირში და მემუქრებოდნენ მოკვლით. მეორემ შემოატანინა საქართველოს დროშა და მიბრძანეს, ზედ მომეშარდა. შემდეგ სხვა ოსმა მილიციელმა თქვა, გაიყვანეთ გარეთ და იქ გააკეთებინეთო. მე ვუთხარი არ შემიძლია. ამაზე დამიწყეს ცემა. მე ჩავიკეცე და მაშინ მითხრეს – შედი შენობაშიო და ჩამიყვანეს იზოლატორში. კორიდორში დამხვდნენ დაკავებული ქართველები (10 აგვისტო). ჩემი ცემა გრძელდებოდა. მალაგებინებდნენ. 3-4 დღის წინ მოიყვანეს ელბაქიძე. იგი იყო ძალიან სუსტად. იყო ნაცემი. ჭრილობა აღენიშნებოდა თავზე და მხარზე. სისხლები ჰქონდა სხეულზე. მე როდესაც ვნახე, იწვა ცემენტზე კორიდორში. სულ კვნესოდა და იძახდა, რომ მეორე მსოფლიო ომი მოვიარე და იქ არ მინახავსო ასეთი რამე, ასეთი რამე გერმანელებს არ გაუკეთებიათო. ამბობდა, რომ ჭრილობა მეწვისო (მუცლის არეში, რადგანაც დრენაჟი ჰქონდა). იქ ამბობდნენ, რომ შლანგი ჰქონდა ამოვარდნილი. 17 აგვისტოს მოვიდა პირველად ექიმი. მე მქონდა ცხვირიდან სისხლის დენა. მე ცხვირში ამომარტყა ჰამლეტმა, რომელიც იზოლატორის უფროსია. მან მითხრა ტუფლები გამიწმინდეო. არ გავუწმინდე და ამომარტყა ფეხსაცმლიანი ფეხი. ეს დაინახა ელბაქიძემ და გიორგი მონასელიძემ (თბილისელი). 17-ში ექიმმა ნახა ელბაქიძეც. ელბაქიძე ვერ გადიოდა. ესენი იყვნენ ოსი ექიმები. არ ვიცი რა გაუკეთეს ექიმებმა, ყოველ შემთხვევაში შვება არ ეტყობოდა. კვლავ კვნესოდა და ითხოვდა დახმარებას. ელბაქიძე პირველ გამოსვლაზე გამოიყვანეს. მაშინ გამოიყვანეს დედაჩემიც და კიდევ ერთი ტყვე ქალი მანანა . . .

2. ანზორი (დაბადებული 1935 წ., სოფელი ზემო აჩაბეთი)

ჩვენ მეორედ დევნილები ვართ. 1989 წ., დაიწყო ცხინვალში. ჩვენ გამოგვდევნეს 1991 წ. 7 იანვარს, შობას. წავედით სოფელ ქერეში. ჩემმა ქალიშვილმა დაიწყო ექიმად მუშაობა სოფელ ქურთაში და ჩვენც იქ გადაგვიყვანა.

2008 წ. ჩემი ოჯახი 8 აგვისტოს წავიდა სოფლიდან. მე დავრჩი. 3-4 დღის შემდეგ (ზუსტად არ მახსოვს) ოსები, კაზაკები იტაცებდნენ სახლებიდან ხალხს. მე მივდიოდი სახლში (ვიყავი ბირჟაზე). მოვიდა მანქანა. გამაჩერეს გზაზე. მითხრეს რუსულად - ჩაჯექი მანქანაში. მე არ ვჯდებოდი. გადმოვიდა ორი (ოსები) და ძალით შემაგდეს მაშინაში. წამიყვანეს ცხინვალში ციხეში. იქ რომ მიმიყვანეს, მირტყეს სახეში, მკერდზე კონდახით და ჯოხით. მუშტი დამცხეს სახეში ოსებმა. მეუბნებოდნენ ქართველები უვარგისები ხართო. 12 დღე ვიყავი იქ ციხეში. მოყავდათ ქალი, კაცი, ბავშვი. ქალებს ეძინათ კამერაში. კაცებს ეძინათ თავახდილ დაკლეტკილ დაუხურავ ოთხკედელში, დაახლოებით 40კვ.მ. ბეტონზე გვეძინა. არ იყო არც სკამი და არც საწოლი. არ იყო არანაირი ქვეშაგი და დასაფარებელი. გრძელი პურები რომ არის, თითისტოლა ნაჭერს გვაძლევდნენ და ორი კოვზი გრეჩიხა დღეში ერთხელ. გვირტყავდნენ. ჩემს გვერდით იმყოფებოდა დაახლოებით 30 კაცი. სივრცე არ გვყოფნიდა და კედელზე მიყუდებულებს გვიწევდა ძილი. მხოლოდ, დაახლოებით 7 თუ 8 კაცი ახერხებდა ბეტონზე გაშლილ მდგომარეობაში წოლას. გაყავდათ ახალგაზრდა ბიჭები და მკვდრებს ამარხვინებდნენ. თან ურტყავდნენ, თან ამუშავებდნენ. 1 დღე ქუჩა დამალაგებინეს. პურ-კომბინატის ქარხანაში შევზიდე კონსერვის იაშჩიკები.
ჩვენი სამყოფელიდან დაბლა კამერისაკენ ჩადიოდა კიბე, რომელიც გადიოდა კორიდორში. ამ დერეფანში იყო საპირფარეშო, საიდანაც ვიღებდით სასმელ წყალს.
მე ჭკუაზე არ ვიყავი. არ მახსოვს, როგორ წამომიყვანეს გორამდე. მგონი თავიანთი ავტობუსებით წამოგვიყვანეს. ალბათ 40 კაცამდე. იქ დარჩა 80-90 კაცამდე. დასიებული ვიყავი მეტად. მახსოვრობა დამიქვეითდა. გორიდან უკვე სხვა ავტობუსში გადმოგვსვეს და ღუდუშაურში მიგვიყვანეს.

3. შაქრო (დაბადებული 1930 წ., სოფელი თამარაშენი)

9 აგვისტოს (ასე მახსოვს) სახლები რო იწვოდა, კვამლი იყო. აღარაფერი არ ჩანდა. მარტოდმარტო მე დავრჩი. შუქები არ იყო. სახლში მეშინოდა შესვლის რომ მოსულიყვნენ და მოვეკალი. მოვიდნენ ოსები. აურ-დაურიეს სახლი. გაძარცვეს. მანქანა მქონდა ჟიგული 07. ბუქსირით წაიყვანეს პერმის ტრაქტორით. ავტომატი მესროლეს ორჯერ. ერთი ფეხებში, მეორედ კი მაღლა, პლაშატკის ქვეშ ჭერზე გაისროლეს. გარეთ რომ გავედი მოსახლეობა გამორბოდა. ვეკითხებოდი, რათ გარბიხართ, გამაგებინეთ. მე ორი ჯოხით ვიყავი. მე ვერ წავედი. დავრჩი მარტოდ-მარტო. ჩემი სახლი დაწვეს. ჩემი თვალით ვუყურებდი, როგორ დაწვეს. ალბათ 10 აგვისტოს სამმა ოსმა ჩამსვა მანქანაში, ჩამიყვანეს ციხეში ცხინვალში. 130 კაცი მაინც იყო იქ. ვიყავით მძიმე პირობებში. ყარაულები გვყვავდა. ახალგაზრდები მიჰყავდათ და ამუშავებდნენ: ქუჩებს ალაგებინებდნენ, მკვდრებს ამარხვინებდნენ. ჩვენ გვეგონა აქვე დაგვხვრიტავენთქო. მე როგორც ინვალიდს ორი ჯოხით, არავის ვუცემივარ. ისე მარტო ჩაის მასმევდნენ უშაქროდ. ორი კოვზი გრეჩიხა. წინასწარ იყო გაკეთებული სია, ვინ უნდა წამოეყვანათ. ორი ავტობუსით წამოგვიყვანეს. ჩემთან ერთად იყო ხმიადაშვილი და ელბაქიძე. დიღომში მილიციის სამმართველოში ჩამომიყვანეს. დამხვდა ახლობლები, რომლებიც ყოველდღე მელოდებოდნენ საპატრულოს წინ.

4. ნიკოლოზი (დაბადებული 1918 წ., სოფელი თამარაშენი)

7 აგვისტოს ღამით მოიმატა სროლებმა. 8 აგვისტოს დაიწყო საჰაერო დაბომბვა. მოსახლეობა გააფრთხილეს, ვისაც შეგიძლიათ წუთები გაქვთ დარჩენილი და წადითო. მე ვიყავი სახლში მარტო. მე არაფერი გამიგია. სროლები მესმოდა. 9 აგვისტოს საღამოს მოვიდა რუსები და ოსები 6 კაცი. შემოვიდნენ და მკითხეს, სად არის შენი შვილიო. ვუთხარი არ ვიცი. ჩამარტყეს იარაღის კონდახი სამჯერ (ოსმა). გავმაგრდი, არ წავიქეცი. მიმატოვეს და დაიწყეს სახლის ძარცვა. წამოვდექი ნელ-ნელა და დავინახე, სახლს როგორ ძარცვავდნენ. რო გაზიდეს ყველაფერი, თეთრეული და ყველაფერი, რაც ვერ მიჰქონდათ, იარაღით ანადგურებდნენ (ღვინის ბოცები, კომპოტები...). წაუკიდეს სახლს ცეცხლი (ბენზინი მიასხეს). მე გამოვედი, ვეღარ გავუძელი სახლის დაწვის პროცესს. წამოვედი ნელ-ნელა. თან სისხლი მომდიოდა, თავი მქონდა გატეხილი კონდახისაგან. დავჯექი გზაზე. მათ სახლს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდნენ. სახლის დაწვა საკუთარი თვალით მაყურებინეს. ისეთი საშინელი ხმები იყო, მეგონა დედამიწის ზურგზე არავინ აღარ იყო ცოცხალი. თავბრუ

მეხვეოდა. მილიციელები დადიოდნენ. გამოიარა ვილისმა (სამხედრო პატრულის მანქანა უაზი). მითხრეს, ჩავმჯდარიყავი მანქანაში (რუსმა). ჩამიყვანეს ცხინვალში ციხეში სხვა ტყვეებთან ერთად. იქ ვიყავით ძალიან ცუდ პირობებში. არც ჰაერი იყო, არც ტუალეტი. პატარა ნაჭერ პურს გვიგდებდნენ. ქართველი ახალგაზრდა ტყვეები ვინც იყო, მიჰყავდათ ოსებს, და ამარხინებდნენ ქალაქში დახოცილ მკვდრებს. 17 აგვისტოს გამოგვიყვანა წითელმა ჯვარმა. შემოვიდნენ და გვითხრეს, რომ მოხუცები ვინც იყო, გამოვსულიყავით – 40 კაცი. ჩემი ოჯახის წევრები, დევნილები, რომლებმაც თავი შეაფარეს თბილისს, დამხვდნენ დიღომში პოლიციაში, სადაც ჩამომიყვანა წითელმა ჯვარმა. გადამიყვანეს ღუდუშაურის საავადმყოფოში 2 დღე.

5. შორენა (დაბადებული 1970 წ., სოფელი თამარაშენი)

8 აგვისტოს საღამოს წამოვედით ჩვენ. საქართველოს ბანკის სარდაფში ვიყავით მთელი მოსახლეობა. მთელი უბნის, სოფელ თამარაშენში. სპეცრაზმს ჩამოევლო და უთხრა მეზობელს, რუსები შემოდიან და დაბომბვა უნდათო. ყველა გამოვიდა. გადარეკეს გადმორეკეს და ზუსტად გაიგეს. იქ უცებ მოვიდა მანქანა 10 წუთი გაქვთ დროო. დიდ მანქანაზე ავედი. სახლამდე მისვლა ვეღარ მოვასწარით. იქ ისეთი სიტუაცია იყო, ყველა გამოსწრებაზე ვიყავით. ბაბუა არ წამოვიდა ბანკის სარდაფში. სახლს არ დავტოვებო. 6 კაცი იქნებოდა რომ შემოვიდნენ. დაბალი მანქანა იყო. მაღლა ძარცვავდნენ სახლს. ვეშს ზიდავდნენ. მე გული შემტკიოდა და ვუთხარი: ნელა წაიღეთ, ფრთხილად, არ გაფუჭდესო. მოიქნია იარაღის კონდახი და სამჯერ ჩამარტყეს თავში. სისხლი წამომივიდა, წავბარბაცდი, კიდევ ჩამარტყა მხარში რომ წავქცეულიყავი. წავიქეცი. ახლაც მტკივა მკლავი. რომ დამანება თავი ვცდილობდი წასვლას. ნელ-ნელა წავედი. მივეფარე სამჭედლოში შევედი იქვე. ცოტა რომ მოვედი აზრზე, ჩავედი მეზობელ იოსებთან. მე სულ სისხლიანი ვიყავი. შევედი სახლში მეზობელთან, ვიფიქრე, იქნება სისხლი შემიჩერონ. ჯერ ჩემი სახლი არ იყო დამწვარი. მეზობლები მოხუცებულები არიან. უკან გამოვბრუნდი. ჩემი სახლი გაძარცვეს, ჯერ არ იყო დამწვარი. შევბრუნდი სახლში. დავწექი, სისხლი თავისით შეჩერდა. შემახმა ზედ. მუწუკები მქონდა. ახლაც მახსენებს ხოლმე თავის ტკივილი. ცოტა ხანს ჩამეძინა. გაბრუებული ვიყავი. უცბად გავიღვიძე, მეშინოდა მეორედ არ შემოსულიყვნენ. გათენების ხანს გავიღვიძე. დილით 7-8 საათზე შემოვიდნენ. შემოიტანეს დანადგარი ცეცხლის მოსაკიდებელი. ტრუბასავით იყო მაღალი. ფეხით დაქოქავდნენ, ესხმებოდა რაღაცა და თვითონვე ეს აპარატი უშვებდა ცეცხლს და ასე უკიდებდნენ. სახლის დაწვა რომ დაიწყეს მე ცუდად გავხდი. არ შემეძლო ყურება და გამოვეცალე. წამოვედი. დავჯექი ჩემს სახელოსნოსთან (რკინის სამჭედელო) სადაც არის საქართველოს ბანკიც. იქ დავჯექი, ჩამოიარა მანქანამ, სადაც ისხდნენ რუსები. იქ დადიოდა ასევე პატრულის მანქანა. ალბათ ისინიც რუსები იყვნენ, რადგანაც მანქანა იყო რუსული მარკის. მე წამიყვანეს პატრულების ვილისის მანქანით. მანქანაში 5-6 კაცი იყო. მჭიდროდ ვისხედით. არავინ არ იყო ჩემი ნაცნობი. მეზობლების სახლები დაიწვა. გურამი ელბაქიძე, ჯიმშერი ელბაქიძე, ოთინაშვილი ლილი. ალბათ 12-13 აგვისტოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ცხინვალში მიმიყვანეს. ბევრი დამხვდნენ იქ შიგნით. გოგიძე მანანა დამეხმარა. თავის ხელით მაჭმევდა გრეჩიხას. პური პატარა ნაჭერი. ცუდად ვიყავი ძალიან. ხელით მივყავდი გასასვლელად ცხოვრებოვი მიშას ბიჭს გიას. ანზორი ხმიადაშვილი თვითონ იყო გაჭირვებული. დიდი უბედურება გადავიტანე იქ. მერე საავადმყოფოში იყო ღუდუშაურში 2 დღე. კიდევ იყო დათაშვილი ანო, კატუშა თეგაშვილი, ქალები ბევრნი იყვნენ.

6. ლამარა (სოფელი თამარაშენი)

8 აგვისტოს ჩამოვედი შვილთან გორში. გორიდან, რადგანაც იქაც იბომბებოდა, წამოვედით ტაქსით თბილისში. დავდექით მერიის წინ. ვითხოვდით თავშესაფარს. არ მოგვცეს. ბოლოს შევედით 22 ბაგა-ბაღის შენობაში.

7. ლუიზა (დაბადებული 1945 წ., სოფელი თამარაშენი)

2 აგვისტოს დაიწყო ფრონეს ხეობის დაბომბვა. 6 აგვისტოს დაიწყო თამარაშენის დაბომბვა. იყო სერიული დაბომბვები და ხშირი სროლები. ვიმალებოდით მეზობლის სარდაფში მარუსასთან. 8 აგვისტოს ჭორის დონეზე მივიღეთ ინფორმაცია, რომ რუსეთის ჯარი უნდა შემოსულიყო. დაიცალა სოფელი მთლიანად. დავრჩით ძალიან ცოტანი. 10 აგვისტოს შემოვიდა რუსეთის ჯარი. დილით 9 საათზე შემოვიდა ტანკები. სამხედრო პირები მოსდევდნენ მათ ავტომატების სროლით. დაველაპარაკეთ რუს ჯარისკაცს. მაინტერესებდა თუ რა ხდებოდა. მან მიპასუხა, თქვენ გიცავთ და ამ დროს ჩემს სახლს რაღაცა ესროლა და დაანგრიეს ქვედა სართულის უკანა კედელი. შემდეგ წავიდნენ. ამ დროს შევიხედე სარდაფში და დავინახე, რაც კი შიგ იყო, ყველაფერი დალეწილიყო. შემდეგ ბაღისკენ წავედი. ცოტა ზევით რომ ავედი, დავინახე, რომ მეზობლის სახლს ცეცხლი ეკიდა. მოვბრუნდი უკან მეუღლისათვის, მაგრამ სახლში აღარ დამხვდა. გამოვიცვალე და შვილის საბუთები ავიღე. ალბათ, მეზობლის ეზოს გავლით, გავედი გზაზე და დავინახე, რომ ოსები მოდიოდნენ. აგრეთვე დავინახე ქართველთა ჯგუფები და მათთან ერთად ჩემი მეუღლეც იდგა. ოსები ავტომატს მირტყავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ვილისის ტიპის მანქანაში ჩავმჯდარიყავი. მათ აგრეთვე სხვა ქართველებიც ჩასხეს იმ მანქანაში. აგრეთვე ჩემი მეუღლეც. გვეუბნებოდნენ, რომ იმ ოსებს უნდა დაგაკლათო. გზაში რაციით დაუკავშირდნენ. პირველად მათ უთხრეს, რომ უკან დავებრუნებინეთ, მაგრამ შემდგომ გადასაცვლელად წაგვიყვანეს მათ ტყვეებში. წაგვიყვანეს საკნებში. იქნებოდა დაახლოებით 10 საათი. საღამოსთვის 100 ადამიანი ვიყავით. ორ დღეში დაახლოებით 150 ადამიანი ვიყავით. ქალებს სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. კაცებს სცემდნენ და გარდაცვლილებს ამარხვინებდნენ ან პარკებში აწყობდნენ და ცალკე ალაგებდნენ. იყო ვიწრო ოთახები. ქალები ვიყავით 25. იყო ფიცრები, რაც გამოყოფილი იყო საწოლებად. რაზეც ჩვენ მორიგეობით ვიძინებდით. ლეიბები იყო, მაგრამ ისიც გადააყრევინეს კაცებს. საპირფარეშო ერთი იყო. იყო ანტისანიტარია. წყალი იყო დაბინძურებული და დალევა გვეშინოდა. თავიდან იყო მარტო ჩაი და პური, რომელიც ძველი იყო. შემდეგ უკვე წიწიბურა შემოჰქონდათ. ოთახს ჰქონდა კარები და ჰქონდა ძალიან პატარა ფანჯარა. როდესაც უკვე ძალიან შევწუხდით, გააღეს კარებიც. გავყავდით ძალიან პატარა ტერიტორიაზე, სადაც გარშემო ყველაფერი გისოსებში იყო. 23 აგვისტოს ოსებმა გვითხრეს, რომ საკნები დაგველაგებინა, რადგან უნდა წავსულიყავით. ეზოში ამოიკითხეს სია და შემდეგ ოსების ავტობუსით წამოგვიყვანეს გორში. წამლებით გვეხმარებოდნენ, თუ ვთხოვდით. იყვნენ რუსი ექიმები და პირველად დახმარებას გვიწევდნენ. გორში რომ გამოვედით, მიგვიყვანეს ჰოსპიტალში. ექიმებმა იკითხეს, თუ რაიმე გვჭირდებოდა. ქალები დაბანეს. მე თავი დავიბანე მხოლოდ, რათა საბუთები გადამერჩინა. ერთმა ქართველმა მითხრა, რომ შემეძლო დავკავშირებოდი, ვისთანაც მომინდებოდა. მე შვილთან დავარეკინე. 28 აგვისტოს ჩემი მეუღლეც გამოვიდა ცხინვალიდან.

8. ვასილი (დაბადებული 1960 წ., სოფელი ხეითი, ცხინვალის რ-ნი)

დაახლოებით 17 აგვისტოს ჩემს სოფელში საღამოს (ზუსტად არ მახსოვს) სახლიდან 100 მეტრის მოშორებით, წყალზე გავედი. სკოლასთან ბე-ემ-პე იდგა. იქ იყვნენ კაზაკი, ქართველი იყო, რუსებიც და ოსებიც. კარტოფილს ხარშავდნენ. მკითხა, აქაური ხარო? ვუპასუხე კიო. წავიდეთ მაღაზიაში საჭმელზეო. წავედით ჩემი ბიძაშვილის მაღაზიაში. მაღაზია დაკეტილი იყო. ფეხებით ჩაამტვრიეს კარი და ისე შევიდნენ. აიღეს თოჯინები – უფროსის ცოლს უნდა ვაჩუქოო, კიდევ კანფეტები და კონსერვები. წავიდნენ ისინი. მეორე დღეს სმენა შეიცვალა. მე ისევ გავედი წყალზე. მითხრეს, წადი მარილი მოიტანეო. დავთანხმდი. ისევ იმ მაღაზიაში წავედი და მივუტანე 4 ცალი. შემდეგ იქვე თვითონ შეამჩნიეს მეორე მაღაზია და შიგნით შევარდნენ. მგონი ოსმა ხელი დამარტყა ყურში და მივეჯახ ბე-ემ-პე-ს. რატომ დამარტყიო, ვკითხე და მითხრა, ჯერ სადა ხარო. ერთს ეცვა ხელთათმანივით და რკინის ბურთულებივით ჰქონდა. და დამარტყა ყურთან, ყბასთან და დავვარდი. თავში ტკივილი ვიგრძენი და გონი დავკარგე. ვგრძნობდი, როგორ მარტყავდნენ ფეხსაცმელს. ცოტა ხელში სიცივე ვიგრძენი და ნელა გონს მოვედი. ისინი იქ აღარ იყვნენ. ავდექი და წავედი სახლში. ამ დროს სახლში იყო დედაჩემი. ვუთხარი დედას, რომ მცემეს. მხარს ვიტკიებდი. დავწექი. დილით ავდექი. წავედი მეზობელთან. ქურჩიშვილის სახლში. სახლი ცარიელი იყო. ერთი ჭიქა არაყი დავლიე და წამოვედი სახლში. ერთ საათში მოვიდა

სამი ადამიანი სამხედრო. ოსები. უკან მოყვა გაზელი, რომელზეც ახალი მაცივარი იდო. ყველას ავტომატი ჰქონდა. მუქარით ამაგდეს მანქანაზე. გადაგაზა შედიოდნენ ბინებში. აღარ მახსოვს, ვერ ვიხსენებ, შევდიოდით ოჯახებში და მაიძულებდნენ, დამეტვირთა ნაძარცვი, ხელის ტრაქტორი. მეორედან წამოვიღეთ სარეცხის მანქანა. არსად ხალხი არ იყო. მერე ორსართულიანი სახლიდან გამოიტანა თოფი. წითელი კონდახი ჰქონდა. მკითხა, ეს რა არისო. მე გუპასუხე თოფიო და ეს კონდახი დამარტყა თავში. დავეცი. ცოტა მესმოდა რას ლაპარაკობდნენ. მე თვითონ ავდექი და ისევ მანქანაში ავედი. მივედით იმ წყალთან. ორი ხზო დაიჭირეს და იქვე დაკლეს. კიდევ ორი ღორი და დავუდეთ მანქანას. წავედით ცხინვალში. ჩვენი სოფლის უკან იყო ოსების საცხოვრებელი და ხელი არ ახლეს. გავედით თამარაშენის ბოლოში და შევედით ხილის ბაღში. გააჩერეს და დაიწყეს საქონლის გაკეთება. წავედით ცხინვალში. არ ვიცი, რომელიღაცა სარდაფში. ერთმა ოსმა უთხრა მეორეს – ამან მოკლა შენი ძმაო.

გარეთ ვეგდე და რომ გამოვფხიზლდი, იქვე იყო სარდაფი, სადაც იყვნენ ქართველი ტყვეები: ქალები, კაცები, სადღაც 70-80 კაცი. იყო ჩემი სოფლელი სონია ხუბაშვილი 75 წლის, ვაჟა ლაგაზაშვილი 55 წლის. ბიჭები გიჟებივით იყვნენ. იქ კიდევ ორჯერ მცემეს. ზოგჯერ, როცა ქალები ეკითხებოდნენ, რატომ დაგვაკავეთო, სცემდნენ. მარტო პურს გვიყრიდნენ და წყალს გვისხავდნენ. ვისაც ჯანი ჰქონდა, მკვდრების დასამარხად მიჰყავდათ. ტომრებში ჰყრიდნენ მკვდრებს და სადღაც გაჰქონდათ. მეც უნდოდათ, რომ წავსულიყავი და ძალით წავიქეცი. მაშინ კიდევ მცემეს და ისევ გონი დავკარგე. არ მახსოვს, ვინ შემათრია. ის ოსი გადამეკიდა, ჩემი ძმა შენ მოკალიო. საღამოს მოდიოდა და მცემდა. მთელი ის პერიოდი მთვრალივით ვიყავი. გარეთ ბევრნი იყვნენ კარებში. ერთი ოსი იყო, დაგვცინოდნენ, გაიქეცითო. მგონი მე-4 დღეს მოვიდა წითელი ჯვრის ავტობუსი. შემოვიდა ჩვენთან ოსი და ჩაგვსხეს ყვითელ ავტობუსში. ბევრნი ვისხედით ავტობუსში. ჩამოგვიყვანეს პირდაპირ თბილისში. არ მახსოვს, საავადმყოფოში როგორ მოვხვდი. გონს მოვედი რეანიმაციაში. 20 დღეა რაც აქ ვარ.

9. გულო (დაბადებული 1948 წ., სოფელი თამარაშენი)

6 აგვისტოს ოსებისგან გაიჟღერა ინფორმაციამ, ვითომ ცხინვალში დაიწყო საომარი მოქმედებები. 7 აგვისტოს დაიწყო ომი. 8-ში ინტენსიურად იბომბებოდა საჰაერო ძალებით ჩვენი სოფელი. ვიმალებოდით პადვალში. მანქანა 8-ში მოვიდა, შემოცვივდნენ სოფლელები და გვითხრეს რომ ხეობა იბომბებოდა და დროზე გავსულიყავით. გამოვედი ვიღაცის მანქანით. ამ დროს ოთარი იქ არ იყო. მეზობლის სახლში ჩამოვარდა ძალიან დიდი ზომის (დიამეტრი იქნებოდა 100-150) ბომბი. ხალხი იძახდა, რუსებმა ხეობა უნდა აიღონო. 8-ში წამოვედით შემოვლითი გზით. გზაში გახდა ლამარა ცუდად. ჩამოვედით ტირძნისში. ტირძნისიდან რაღაც ყვითელმა ავტობუსმა წამოგვიყვანა თბილისში. რძალი წავიდა სოფელ მეღვრეკისში. მეუღლე ტირძნისში დარჩა. ოჯახის წევრებმა ერთმანეთი დავკარგეთ. 9-ში წავედი ტირძნისში უკან და მეუღლე ვიპოვე. 20-ში ფეხით წავედი თამარაშენში მეზობელ მარინასთან ერთად. გზად შეგვხვდნენ ჩეჩნები. ეცვათ ჭრელი ფორმები, იყვნენ შეიარაღებული. ამ დროს იბომბებოდა მთლიანად ერედვის ხეობა. ხან კლდეს ვეფარებოდით და ხან ღრმა ადგილას ვწვებოდით. მივედი ჩემი უფროსი შვილის გელას სახლში. სოფელში რომ შევედით, სულ რუსები და კაზაკები იდგნენ. ტანკები იყო მთელ ხეობაში. გავიარე ზემო და ქვემო აჩაბეთი. ამ ადგილებში ტანკებს ჰქონდათ რუსული დროშები. დიდ მანქანებზე ეწერა რუსულად 'ЛЮДИ'. მხარზე ჰქონდათ დროშა და 58-ე არმიის ემბლემა. თითქმის ყველა სახლის წინ იდგა ტანკი. შვილის სახლში რომ მივედი, გაჩერდა რაღაცა მანქანა. შემოვიდა ორი რუსი ჯარისკაცი, იგივე ნიშნებით. სამი საათი იქნებოდა. სახლი სულ გაჩხრიკეს. გადმოატრიალეს. მეორედ, ნახევარი საათის შემდეგ მოვიდნენ ოსები. სამოქალაქო ფორმით. ერთ-ერთი ოსურად დამელაპარაკა (ოსური მესმის) და ქართულადაც მომმართა. ისინი წავიდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ოცამდე ოსი შემოვიდა. მათ მირტყეს პირდაპირ სახეში. ერთ-ერთმა სცადა მოკვლა. გავიქეცი და ამ დროს წავიქეცი. ავდექი და ხელები ავწიე. მათ ხელებაწეული გამომიყვანეს ქუჩაში. ქუჩაში იყო ერთი ოსი. მან მკითხა, ეს სახლი ვისიაო. ვუთხარი, რომ ჩემი შვილისააო – გელასიო. სად არისო, მკითხეს. ერთ-ერთმა მითხრა, ვიცნობო თქვენს შვილსო, ხელები ჩამოუშვიო, ნუ გეშინიაო. იწვოდა ირგვლივ

სახლები. რომ გამოვედი, ჩემი შვილის სახლსაც ესროლეს ცეცხლის გასაჩენი ავტომატი და მაშინვე გაჩნდა ცეცხლი. იმ კაცმა მითხრა, ჩემს უკან იარეო. საქართველოს ბანკთან რომ მივედით, დამხვდნენ ორი სოფლელი დათაშვილი ალექსანდრე და მისი მეუღლე ქეთო. იქ რომ მივედით, ერთ-ერთმა ოსმა დააპირა ჩემი მოკვლა და მომიშვირა ავტომატი. მეორემ, ხელზე ეცვა ხელთათმანი, არ ესროლოო, უთხრა. მერე ვიღაცამ ბრძანა, რომ ეს ორი მოხუცი წაიყვანეთ ციხეში ცხინვალშიო. საზღვარზე (ჯატიევის ქუჩაზე) რომ ჩამოვედი, დავინახე ოთარი. ოთარს ეკეთა თეთრი ლენტა მკლავზე. ყველა ოსს ჰქონდა თეთრი ლენტა მხარზე. ჩეჩნებს არ ეკეთათ. რუსებს ეკეთათ თუ არა არ მახსოვს. მე გავჩერდი ოთარისთან. შემდეგ მივედი იმ პირველთან, ვინც თავდაპირველად დამიცვა. ამ დროს ვიღაც მეზობელმა, რომლის დედა იყო გორის ტრიკოტაჟის საამქროს ბრიგადირი, მიცნო. ამ დროს ოთარი უკან მექაჩებოდა და მთხოვა, მარტო არ დამტოვოო. ამ დროს სხვა პირებმა ოთარს მიხედეს და იარაღი მიუშვირეს. მე ვთხოვე, არ მოკლათო. მერე უახლოეს პადვალში შეგვყარეს.
5 დღე და ღამე იქ ვიყავით. 'მჩს' წევრებმა თანდათან გამოგვიყვანეს. 18-19 გამოვედით. ჩამოგვიყვანეს გორამდე. ყვითელ ავტობუსს გამოვყევით საბავშვო ბაღის შენობაში.

10. ოთარი (დაბადებული 1954 წ., სოფელი თამარაშენი)

8 აგვისტოს დაიწყო საჰაერო დაბომბვა. შეიქმნა სიცოცხლისათვის გაუსაძლისი მდგომარეობა. შეუძლებელი იყო საკუთარ სახლში გაჩერება (თამარაშენში). იყო ყველანაირი თანამედროვე ტიპის იარაღის გამოყენება. კერძოდ, ,გრადი', ,ურგანი'.
10 აგვისტოს რუსების ბრძანებით გამოცხადდა კორიდორი. მე და ჩემი ძმა ომარი წამოვედით საკუთარი სახლებიდან. გამოცხადებული იყო, რომ ცხინვალზე გავლით იყო კორიდორი გაკეთებული. ძმამ მითხრა, მე ნელა დავდივარ და შენ წადი წინო. თამარაშენში საცურაო აუზთან დავშორდით ერთმანეთს. ძმასთან ერთად მოდიოდა ქრისტო. დავინახე ვიღაცეები რუსული ფორმით. ვიზუალურად მივხვდი, რომ იყვნენ ოსი ძალოვნები. გამაჩერეს და მითხრეს, რომ ურიკა, რომელიც მომქონდა, დამეტოვებინა და ახლოს მისვლა მთხოვეს. იყვნენ დაახლოებით 6-7 ადამიანი. გამჩხრიკეს. არაფერი არ წაურთმევიათ. იქვე იდგა 30 მეტრში ტანკების კოლონა საქართველოს მიმართულებით. ერთი საბრძოლო ჯავშან-ტრანსპორტიორი იყო თამარაშენის მიმართულებით და ისროდა. როდესაც დამაკავეს, რუსმა ჯარისკაცებმა შემაბეს თეთრი ლენტი პატრულირების ნიშანი. ,05'-ში მითხრეს ჩაჯექიო და წამიყვანეს შტაბში. შტაბი მდებარეობდა ცხინვალში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმრო ალანიაში. დროებით შტაბში, ოსის მშვიდობიან მოქალაქეებს ანაწილებდნენ და აგზავნიდნენ სოფლებში. ჩემთან ერთად იჯდა 4 შეიარაღებული ადამიანი. გადმომიყვანეს მანქანიდან და შემიყვანეს ეზოში. მიწოდებდნენ ,ქართველ ფაშისტს' და ,ქართველ ღორს'. ეზოში იდგა 200-მდე შეიარაღებული ადამიანი, როგორც ოსი ეროვნების მოქალაქეები, ისე სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ბოევიკები. ორი ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც ეწერა 'ჩეჩნია', ზედ ბევრნი იჯდნენ და ულოცავდნენ ოსებს გამარჯვებას (ამას ვხვდებოდი მე თვითონ).
შტაბში მიყვანის შემდეგ ჩემზე განხორციელდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მუქარა სიცოცხლის ხელყოფაზე. კონკრეტულად, მკრავდნენ ხელს, დანას მიტრიალებდნენ, იარაღებს მადებდნენ, მემუქრებოდნენ მოკვლით და ცოცხალი არ გაუშვათო, ერთმანეთს ეუბნებოდნენ. ჩემს მიმართ კონკრეტული ფაქტი გრძელდებოდა დაახლოებით ორი საათის განმავლობაში. შემდეგ მოვიდა რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი, ასევე ოსეთის მხარის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი და სამხრეთ ოსეთის შს მინისტრის მოადგილე. ჩამსვეს მანქანაში და იმავე გზით დამაბრუნეს თამარაშენში, სადაც დამაკავეს. მომცეს ასეთი დავალება: შემომევლო სოფელი მთლიანად და ვინ იყო სოფელში დარჩენილი, დიდი თუ პატარა, ჩამეყვანა თამარაშენისა და ცხინვალის საზღვარზე, ჯატიევის ქუჩაზე. იმ მიზნით, რომ დამახვედრებდნენ სასწრაფოს მანქანებს, და ეს ხალხი გაგვეყვანა სამშვიდობოს. მე ეს დავალება სიხარულით მივიღე. ხელზე შემაბეს თეთრი ლენტები ორივე მხარეს (ეს იყო ნიშანი მათი პატრულირების), ჩემთვის რომ არ ესროლათ. დამითქვეს აგრეთვე დრო საღამოს 17:15 საათამდე უნდა ვყოფილიყავი დანიშნულების ადგილზე. რომ შემოვიარე სოფელი და ბოლო ოჯახს რომ ამოვცდი, იქ დამაკავეს ოსმა მარადიორებმა, რომლებიც წვავდნენ და ძარცვავდნენ ბინებს. მათ დამიწყეს ფეხებით და კონდახით ცემა. ამაწევინეს ხელები და ხელისა და კონდახის კვრით წამიყვანეს ცხინვალის

მიმართულებით. ამასობაში გამოჩნდნენ ის პირები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ჩემი უსაფრთხოება პირველად ჩავარდნილი ტყვეობისას. გადამაბარეს ამ პირებს. ოფიციალურად მომიჩინეს შეიარაღებული ერთი მეთვალყურე, რომელმაც ასე მითხრა: თუ სოფლის დაცლის დროს ერთი ოსი მაინც მოკვდებოდა, იმ წუთში მეც მომკლავდა. ჩემს მიერ გაფრთხილებულმა თამარაშენის მოსახლეობამ დაიწყო დათქმულ ადგილზე ჩამოსვლა. ესენი იყვნენ: ალექსი თათაშვილი, თავისი მეუღლით, თეგაშვილი უშანგი მეუღლით, ბასიშვილი ეთერი, ცხოვრებოვი რომანი. დათაშვილი ჟორა გავაფრთხილე, გოგიძე თენგიზი გავაფრთხილე, იჯდნენ გარეთ. ბასიშვილი ეთერი, დავრდომილი ქალი ხელში აყვანილი წამოვიყვანე. სოფლის შემოვლის დამთავრების შემდეგ ჩამომიყვანეს საქართველოს ბანკის შენობასთან. იქ იყო ორი ჯგუფი. იქ კიდევ წრეში შემომაქციეს.
ჩამოთვლილი ადამიანების ბინები ამ დროისათვის უკვე იწვოდა. მე იმ პიროვნებას, რომელიც მომამაგრეს ვუთხარი, რომ გამოეყოთ სასწრაფოს მანქანა, რათა გამომეყვანა ისინი, რომ თამარაშენის ავადმყოფი ზემოთჩამოთვლილი მოქალაქეები სამშვიდობოს გამეყვანა. მან რაციის გადაცემის დროს პასუხად უარი მიიღო (მე მესმის ოსური). შემდეგ გადარეკა შს მინისტრთან, რომელმაც რუსულად უპასუხა უარი ხალხის დახმარებაზე. მიმატოვეს ამ მოხუც და ავადმყოფ ხალხთან მარტო. ამასობაში, ჩემი მეზობელი გულო ხელებაწეული ჩამოიყვანეს ჩვენთან ოსის შეიარაღებულმა ძალოვნებმა. მას დაუწვეს თავისი შვილის ბინა. გულო თავისი მეზობლის შვილებმა, რომლებიც ოსები არიან, იცნეს და მასთან ერთად მეც დამმალეს უცნობი ადამიანის სარდაფში. ისინი საჭმელს გვაწვდიდნენ ჩუმად. დღისით არ ვჩნდებოდით და მხოლოდ ღამით ვახერხებდით ჰაერზე ამოსვლას. ასე გავატარე ტყვეობა. 2008 წ. 18 აგვისტოს ჩვენ დაბურული მანქანით, მათ, ვინც დაგვმალეს სარდაფში, მოგვიყვანეს დილის 9:30 საათზე და ჩაგვაბარეს რუსის ოფიცრებს. ,მჩს'-ის მაშველი ჯგუფი იყო, რომელსაც გამოყავდა მშვიდობიანი მოსახლეობა გორის მიმართულებით. გორიდან ჰუმანიტარული დახმარების ავტობუსებს გამოვყევით თბილისამდე.

11. მიხეილი (დაბადებული 1946 წ., სოფელი მერეთი)

2008 წლის 7 გვისტოს დაიწყო საომარი მოქმედებები და დაიწყო სოფელ მერეთის განაპირა ტერიტორიების დაბომბვა. დაიბომბა ჩვენი ხეხილის ბაღი. ჩვენ 11 აგვისტომდე ვრჩებოდით სოფელში საკუთარ სახლში. დაბომბვის დროს ჩვენს სახლში თავს აფარებდნენ ქართველი ჯარისკაცები. 11 აგვისტოს ჩემი მეუღლე გიული და ჩემი ვაჟი გაემგზავრნენ საგარეჯოში, მე კი დავრჩი სოფელ მერეთში ინვალიდი ძმის მოსავლელად. თარიღი ზუსტად არ მახსოვს, როდის, ჩამოვიდნენ ოსები. ოთხნი და დაგვაყაჩაღეს პირველად. მეორედ რუსები მოგვადგნენ ოსებთან ერთად, შემოამტვრიეს კარებები და მეორედ დაგვაყაჩაღეს. ამ ორი დაყაჩაღების დროს მარტო ვიყავი სახლში. სექტემბრის დასაწყისში ჩამოვიდა სახლში (სოფელ მერეთში) ჩემი მეუღლე და 29 სექტემბერს დაახლოებით საღამოს 10 საათზე მესამედ დაგვაყაჩაღეს. სამი ოსი შემოგვეჭრა სახლში ორი პისტოლეტითა და ერთი ავტომატით შეიარაღებულები. იყვნენ მანქანითა და ზედ მიბმული ,პრიცეპით'. მე დაყაჩაღების მომენტში სახლში არ ვიმყოფებოდი და როდესაც დავბრუნდი სახლში დავინახე, რომ ყაჩაღებს ჩემი მეუღლე თმებით ეჭირათ და ძვირფასეულობისა და ქონების მოთხოვნით აწამებდნენ. რამდენჯერმე გაისროლეს სახლში შიგნით და რაც კი ფასეული იყო და შემოგვრჩა წინა დაყაჩაღებებისაგან სულ ყველაფერი წაიღეს. დღემდე განვიცდი იარაღის მუქარითა და ფიზიკური შეურაცხყოფით მიყენებულ სულიერ ტრამვას.

12. გიორგი (დაბადებული 1925 წ., სოფელი ქურთა)

8-ში შემხვდა რუსი მფრინავი, ჩვენებს ჩამოეგდოთ და ფეხით მიდიოდა ჯავისკენ. შემოვიდა სახლში და საიდან ხართო, ვკითხე და ოდესიდანო.
ვიპოვე ბიძაშვილი და გამოვუშვი თბილისში შვილი და ორი შვილიშვილი გოგოები 16, 9-10. 8-შივე წამოვიდნენ. მეუღლე და მეორე შვილი შევაფარე მეზობლების ოთახში და ვეღარ გამოვდიოდით გზაზე, რომ გამოვიდნენ, რუსის ტანკები იყო შემოსული და აღარ გამოუშვეს. 10-ში დილის 5-ზე გამოატარეს (რუსები ჩვეულებრივი ჯარისკაცები იყვნენ). მე არ წამოვედი, საქონელი და პირუტყვი (სამი სული) არ დავტოვე, მეგონა მეტს აღარ ისროდნენ. 9-ში ორი ოსი შემოვიდა. ერთი მთვრალი იყო და გამოიწია ჩემსკენ. მეორემ არ

გაუშვა. მე ვაჩვენე ვეტერანის წიგნაკი, წლოვანება ვუთხარი. ბოლოს მთხოვეს ღვინო. როცა მარანში შევიდნენ, მე ბაღის ბოლოს დავიმალე. ძებნა არც დაუწყიათ. მეორე დღეს სოფლის გადმოსახედზე ავედი და დაიწყო სოფლის დაწვა. უყურებდი როგორ იწვოდა უბნები, ჯერ ძარცვავდნენ და მერე წვავდნენ, უცებ ეკიდებოდა. რაღაცას ესროდნენ ის ცეცხლად იქცეოდა. ჩემი სახლიდან წაიღეს პიანინო, აკარდიონი, ტელევიზორი, ვიდეო. ესენი იყვნენ ოსები. სამოქალაქო ფორმაში 5 კაცი იყო ჩემს სახლში, ვინც დაწვა. ბალახებში გავათიე ღამე. ორი დღე მშიერმა ვიარე. სოფელი ცარიელი იყო. ჩვენი სოფლიდან 3 კილომეტრში არის სოფელი მონასტერი. იქ ცხოვრობენ კოტაევები და ჩოჩიაშვილები. მივედი კოტაევებთან ჩემი ნათელ-მირონები იყვნენ. 14-ში ღამე იქ გავათიე. 15-ში მითხრეს, სჯობია წახვიდეო, რომ არავინ დაგიჭიროსო. იქიდან წამოვედი. გავყევი ლიახვს და ვიფიქრე, ჩავყვები მას და ჩავალ ცხინვალში. გზაში შემხვდა ჩემი უბნელები, სჯობია გახვიდე მაღაზიასთან და მანქანა წაგიყვანსო. დამხვდა 25 ოსი ბაევიკი. სად მიდიხართ, გორშითქო, ამ დროს მოვიდა მილიცია ოსური პოლიცია და ჩამოვივლით წაგიყვანთო. მიმიყვანეს ცხინვალის ხიდთან, სადაც რუსები იყვნენ, უკან მიმიყვანეს საოლქო მილიციაში, დაიწერეს ჩემი სახელი და გვარი და შემაგდეს პადვალში. სულ 114 კაცი ვიყავით. იქ იყვნენ ნებიერიძე შერმადინი, კახნიაშვილი ნანა, გოგიძე შაქრო, 1 სართულზე.
შიგნით არავის სცემდნენ, ახალგაზრდები გაყავდათ, მკვდრებს ამარხინებდნენ. საჭმელი იყო გრეჩიხა ერთი ჩამჩა, ერთი ჭიქა ჩაი დღეში ორჯერ. მილიციის განყოფილების პადვალში ვიყავით. ერთი გოგო იყო ტყიბულელი, დაეჭირათ და გაყავდათ ხოლმე. ბოლოს გაიყვანეს და სად წაიყვანეს არ ვიცი. 6 დღე ვიყავი მე.
მე-6 დღეს 21-ში დაიგვიანა საუზმემ. (10-ზე იყო ხოლმე). შემოვიდნენ ოსები მილიციელები და მოხუცები და ქალები გამოდითო. გამოვედით გარეთ. დავინახეთ ორი ავტობუსი იყო. ჩემთან დაახლოებით 20-25 ჩვენ ვისხედით. წაგვიყვანეს გორის საავადმყოფოში. ერთ საათში მოვიდა ორი ავტობუსი და წამოგვიყვანეს პროკურატურაში თბილისში.

13. ვლადიმერი (დაბადებული 1962 წ., სოფელი მერეთი)

7 აგვისტოს დაიწყო დაბომბვები. 8 აგვისტოს დაიბომბა სოფელი მერეთი. ჩვენი სახლის წინ იყო განთავსებული ქართული ჯარები. დაჭრილები იყვნენ. დაახლოებით 15 კაცი, რომლებიც თავს აფარებდნენ ჩემს სახლს. ზოგი მხარში იყო დაჭრილი, ზოგი ფეხში, ზოგი თავის არეში. ამ ყველაფრის შემსწრე ვართ. 10 აგვისტოს დავტოვეთ სოფელი მერეთი. დავემგზავრეთ შემხვედრ ადამიანს მიკრო ავტობუსით. მე ჩემი მეუღლე და 3 შვილი. ჩავედი თბილისში ჯერ ვიყავი ნათესავთან 1 კვირით. შემდეგ 22-ე საჯარო სკოლაში ვიყავით. დაახლოებით სექტემბრის 20 რიცხვში გადაგვიყვანეს. მე-19 საჯარო სკოლაში, სადაც ვიყავით ოქტომბრის დასაწყისამდე. დაახლოებით 6 ოქტომბერს წამოვედი სოფელში ავტობუსით.

14. ლამარა (დაბადებული 1936 წ., ქ. გორი)

7 აგვისტოს დაიწყო გორის დაბომბვა. ძალიან შევშინდით. მთელი ოჯახი სრული შემადგენლობით მეზობლებთან ერთად ჩავედით სარდაფში. 11 აგვისტოს ღამის 12:30 –ზე დაურეკა ჩემს სიძეს ჩემმა დისშვილის ქმარმა, თამაზმა, რომელიც ექიმია და გორის ჰოსპიტალში მუშაობს. მან უთხრა ჩემს სიძეს, დაგვეტოვებინა ქალაქი. ასევე დარეკეს წითელი ჯვრიდან დაგვირეკა ახლობელმა და გაგვაფრთხილა, დაგვეტოვებინა გორი. მივიღეთ გადაწყვეტილება, იძულებით დაგვეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი სახლი. 11 აგვისტოს 1 საათზე დავტოვეთ სახლი, წავედით ჩვენივე მანქანით და მხოლოდ და მხოლოდ იმ ტანსაცმლით, რაც გვემოსა. სიონის ტაძრის ეზოში გავათენეთ ღამე (ატენის სიონში) – მთელი ღამე იქ ვიყავით. იქ იყვნენ ასევე გორის რაიონიდან და ასევე გორის სოფლებიდან დევნილი მოქალაქეები. იყო შიშის სინდრომი. შუქს ვერ ვანთებდით, გვეშინოდა დაბომბვის. სიგარეტსაც არ აწევინებდნენ, არ დაგვინახონო. 12 აგვისტოს გამოვედით სიონიდან სადღაც 5:30, რომ ინათლა. დაახლოებით 15 წუთში გადმოგვიფრინა ბომბდამშენმა. ამის შემდეგ შეგვხვდნენ მეზობლები გია და მანანა. მათ გვითხრეს, რომ ქალაქში არ ჩავსულიყავით. 12 აგვისტოს 12:00 დაიბომბა ქალაქის ცენტრი. წავედით მათთან სოფელ ატენში. ჩვენ იქ დავრჩით 4 დღე. იქ იყო სიწყნარე. შიგადაშიგ ისმოდა

ქალაქიდან და სოფლებიდან სროლის ხმა. მათთან იყვნენ ასევე ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ამ ოჯახის ახლობლები. რამდენ ხანს გავჩერდებოდით? მოგვერიდა და 17 აგვისტოს წავედით თბილისში ჩვენივე მანქანით. ამ დროისათვის ცენტრალური გზა იყო გადაკეტილი. წამოვედით შემოვლითი გზით. (17 აგვისტოს დილით გრაკალის ხიდი ააფეთქეს რუსებმა, ჩვენ ამ ინციდენტის შემდეგ წამოვედით). თბილისში ჩემს დეიდაშვილთან ეთერთან მივედით სახლში. მარტოხელაა. 23 აგვისტომდე ვიყავით მასთან. ჩვენივე სახსრებით ვიკვებებოდით.

15. ირაკლი, ლამარას შვილიშვილი, აგრძელებს თხრობას (რედ)

13 აგვისტოს რუსები ქალაქ გორში შემოვიდნენ ბორისოვის მეთაურობით. 14 აგვისტოს ჩამოვიდა ჩემი მამა სახლის სანახავად, რადგანაც ჩვენი სახლი 12 აგვისტოს დღის 12:00 საათზე იქნა დაბომბილი.
12 აგვისტოს, 12:00 საათზე, ჩემი სახლის დაბომბვის დროს მამაჩემი კეტავდა სახლის კარს უკანა მხრიდან. ჩემი სახლის სახურავზე ჩამოვარდა ისკანდერი (კასეტური ბომბი). ბომბი ჩამოვარდა სახლის წინა მხრიდან (ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან). საძინებელში ჭერი ჩამოანგრია. ბომბი დარჩა მეორე სართულზე მაგრამ დეფორმაცია მისცა იატაკს. საბედნიეროდ, ეს ბომბა არ აფეთქდა, როგორც სჩანს, მიზეზი იყო სიძველე. 23 აგვისტოს სამხედრო კრიმინალისტიკური სამსახურის ხალხი შემოვიდნენ ქალაქში და მათივე დახმარებით გავიტანეთ სახლიდან ბომბი. მანამდე იყვნენ უცხოელი გამნაღმველები და მათ გვითხრეს, რომ არანაირი საშიშროება არ გველოდა ამ ბომბის გამო. დაახლოებით 440 კგ. იწონიდა.

16. ბექა (სოფელი ვარიანი, არასრულწლოვანი, ჩაწერილია დედის – ქ-ნი ხათუნას ინტერვიუ)

2008 წლის 7 აგვისტოს საღამოს სროლების ხმა ისმოდა სოფელში. მეორე დილით ადრე, დაახლოებით 9 საათისთვის ბექა სახლიდან გავიდა და დედამისი წავიდა მის შემოსაყვანად, რადგან შეშინებული იყო წინა საღამოს სროლების გამო. გზად მან მეზობელთან (ნათია) შეიარა, რადგან სურდა, რომ დაერეკა თავისი მეუღლისთვის, რომელიც 8 აგვისტოს დილის 5 საათზე წავიდა თბილისში საქონლის ხორცის გასაყიდად. ხათუნას თქმით, მისმა მეუღლემ დავითმა არ წაიყვანა თბილისში ცოლ-შვილი, რადგან ისინი არავის გაუფრთხილებია, რომ სოფელს რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. უფრო მეტიც, როდესაც მან თავის ნაცნობს დაურეკა, რომელიც ჯარისკაცი იყო, უთხრა, რომ სოფელ ვარიანს საერთოდ არ ემუქრებოდა რაიმე საფრთხე და ურჩია, ტყუილად არ აირიოთო. ქ-ნი ხათუნა მეზობელთან იმყოფებოდა, როდესაც გაისმა აფეთქების ხმა. მას შეეშინდა და მაშინვე წამოვიდა გზაზე ბექას საძებრად. ბირჟასთან რომ მივიდა, ნახა, რომ მისი მეზობლები ძირს ეყარნენ, დაახლოებით 14 ადამიანი იქნებოდა. ისინი დაჭრილები იყვნენ და შველას ითხოვდნენ. ხათუნამ იქ ბექა ვერ ნახა და ძებნა დაიწყო. შემდეგ ხალხმა უთხრა, რომ ბექა უკვე სასწრაფოს მანქანას წაეყვანა. რადგანაც ხათუნა ძალიან შეშინებული იყო, მეზობლებმა დაამშვიდეს და უთხრეს, რომ ბექას მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი ჰქონდა. ბომბის ჩამოვარდნიდან დაახლოებით ერთ საათში დაურეკეს ხათუნას გორიდან და უთხრეს, რომ მის შვილს გორის სამხედრო ჰოსპიტალში ოპერაციას უკეთებდნენ. ხათუნა მაშინვე გორში წავიდა მეზობლის მანქანით. ოპერაცია 6 საათი გრძელდებოდა. იმავე დღეს საღამოს, ბექა იაშვილის საავადმყოფოში გაუშვეს და ხათუნაც მას გაყვა სასწრაფოს მანქანით. ბექა ხელოვნურ სუნთქვაზე იყო შეერთებული. ბექა საოპერაციოში ჰყავდათ შეყვანილი, როცა დავითი მივიდა საავადმყოფოში შვილის სანახავად. იაშვილის სახელობის საავადმყოფოში ბექა ერთი თვის განმავლობაში იწვა. ერთი თვის შემდეგ, დაბრუნდნენ სოფელ ვარიანში. 11 სექტემბერს, ბექას დაბადების დღეს უკვე სოფელში შეხვდნენ. სოფელში ჯერ კიდევ რუსები და ოსები იყვნენ. ხათუნას და ბექას ჩასვლიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ოკუპანტებმა სოფელი დატოვეს. ხათუნას თქმით, ეს დღე (8 აგვისტო) მისთვის იყო ძალიან საშინელი დღე სულიერი თუ ფიზიკური თვალსაზრისით. ბავშვის დაჭრის შედეგად მიიღო საშინელი სტრესი და შიში, იგი იყო დათრგუნული, აღმოჩნდა დაუცველ და უიმედო მდგომარეობაში, სასოწარკვეთილების განცდა ჰქონდა დაუფლებული. აგვისტოს ბოლოს დავითი ჩამოვიდა ვარიანში, გორიდან ფეხით წამოვიდა და ჩუმად შეიპარა სოფელში,

მაგრამ რუსმა ჯარისკაცებმა მაინც გააჩერეს. დავითი მეგობართან, პეტრესთან ერთად იყო, რომელსაც საბუთები არ ჰქონდა. ამის გამო რუსებს მისი ცხინვალში წაყვანა უნდოდათ, ხოლო დათო გაუშვეს და უთხრეს, რომ წასულიყო. დავითმა მეგობარი არ მიატოვა, რამაც რუსები ძალიან გააოცა და პეტრეც გამოუშვეს. სახლში რომ ავიდა, ნახა, რომ მანქანა დამტვრეული იყო, ფანჯრები ჰქონდა ჩამტვრეული. ამ მანქანით წავიდა თბილისში და სექტემბერში თავის ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა. სახლში ყველაფერი დალეწილი დახვდათ, ეზოში ჯარისკაცების საკვების ქილები იყო მიყრილ-მოყრილი. თბილისში 10 დღის განმავლობაში ბიძასთან, ალიოშასთან იყვნენ, შემდეგ მეორე ბიძასთან, ირაკლისთან ერთი კვირა და ბოლოს სოფელში დაბრუნდნენ.

17. დავითი (დაბადებული 1977 წ., სოფელი ვარიანი)

დავითი არავის გაუფრთხილებია, რომ მის სოფელს ემუქრებოდა დაბომბვის ან სხვა სახის საშიშროება. მან მხოლოდ დაბობმვის შემდეგ გააანალიზა საფრთხე, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას ემუქრებოდა სოფელ ვარიანში. დავითს არ დაუნახავს ვინ განახორციელა დაბომბვა. დაბობმვის დროს დავითი იმყოფებოდა სოფლის ბირჟაზე. 8 აგვისტოს დილით 9:00-დან 9:30-მდე დავითი მეზობელბთან, დაახლოებით 10-12 ადამიანთან ერთად იდგა სოფლის ბირჟაზე, ამ დროს მოულოდნელად გაიგონა აფეთქების ხმა, აიხედა მაღლა და დაინახა, რომ ჰაერში სკდებოდა რაღაც საგნები, რომლებიც ცვიოდა დაბლა, როდესაც მიწაზე დაცვივდა, ისინი კვლავ გასკდა. ამის გამო დავითმა მიიღო დაზიანება, მას აღნიშნული საგნები მოხვდა ქვედა კიდურებზე, რის გამოც დაბლა დავარდა. როდესაც გვერდზე გაიხედა, დაინახა, რომ ყველა დაბლა იწვა და მათაც დაზიანებები ჰქონდათ მიღებული. ამის შემდეგ მეზობელმა კოლამ დავითი სხვებთან ერთად წამოიყვანა გორის ჰოსპიტალში, სადაც გაუკეთეს პირველი ოპერაცია. გორში დავითმა გონება დაკარგა და თბილისში იყო ბარნოვის სახელობის საავადმყოფოში, როდესაც გონს მოვიდა. 9 აგვისტოს დილით თბილისში გაუკეთეს მეორე ოპერაცია. აფეთქების შედეგად დავითს დაემსხვრა კოჭის ძვლები, მარჯვენა ქუსლი, ფეხში ჩადგმული აქვს რკინები, მოტეხილი ჰქონდა მარცხენა ფეხი, ჭრილობები ჰქონდა მუხლთან, ბარძაყში და საჯდომზე. ნამსხვრევები მოხვდა ასევე ხელებში და სხეულის სხვა ნაწილებში.

აფეთქების დროს დავითის თქმით, სოფელ ვარიანში იმყოფებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, სამხედრო შენაერთები სოფელში არ იყვნენ. მას არც წინა დღით უნახავს სოფელში სამხედრო პირები.

დავითის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო სოფლის მეურნეობა. მისი ძმა მერაბი რიგითია და მსახურობს ვაზიანში. ომის შედეგად გაუნადგურდა მოსავალი 18,000 ძირი კომბოსტო, 5,000 ძირი პომიდორი, სიმინდი, ლობიო, ეს ყველაფერი პროცენტიანი ვალით (500$) იყო აღებული. მოსავალი დაახლოებით 10,000 ლარის იქნებოდა. ნაკვეთებიც იყო დაქირავებული. ომის შემდეგ დავითი გახდა ძალიან ნერვიული და აგრესიული ოჯახის წევრების და სხვათა მიმართ. მას აღარ გააჩნია რაიმე შემოსავალი, არ იღებს რაიმე დახმარებას.

18. ნათია (სოფელი ვარიანი)

ნათია მუშაობდა მედდად გორის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. დიმიტრი, მისი მეუღლე მუშაობდა და მუშობს გორში წისქვილკომბინატ შპს "ფორდში." იგი იყო მაღაზიის გამგე, გამყიდველი. დიმიტრის შემოსავალი იყო თვეში 139 ლარი, ხოლო ნათიასი 70 ლარი.

ნათია 8 აგვისტოს იმყოფებოდა არამიანცის საავამდყოფოში, გაიკეთა ნაღვლის ბუშტის ოპერაცია. ხოლო მისი ოჯახი კი სოფელ ვარიანში იყო. მისი თქმით, სოფლის დაბომბვა დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს დილით და მას შემდეგ რამდენჯერმე განმეორდა.

ომის შემდეგ ბავშვები ძალიან განერვიულებულები იყვნენ, ნევროპათოლოგთანაც დაყავდათ და მკურნალობდნენ. მათ ასევე მიიღეს სხეულის დაზიანებები დაბომბვის გამო. ვლადიმერმა მიიღო ჭრილობები ბეჭებში, დღესაც აქვს "ასკოლკები" სხეულში. ის ჟვანიას სახელობის საავადმყოფოში მკურნალობდა, არ ამოუღეს "ასკოლკები" იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო ნერვები დაზიანებულიყო. ასკოლკები მოძრაობენ და ერთი ასკოლკა იღლიაში

გამოუვიდა ბავშვს. ცირას "ასკოლკები" ბარძაყში აქვს. ჟვანიას საავადმყოფოში და-ძმა ერთი კვირა მკურნალობდნენ. დიმიტრიმ და მისმა მეუღლემ ასევე მიიღეს სტრესი ომის გამო, იყვნენ ძალიან შეშინებულები, ჰქონდათ ნერვული აშლილობა.

2008 წლის 8 აგვისტოს დილის 9-ის ნახევარზე ამ ოჯახის სახლში ჩამოვარდა 3 ჭურვი. 1 დაეცა სახლის წინ მდგომ მანქანას ფორდ ტრანზიტს (TV-423 ), რომელიც წინა დღეს ჩამოიყვანეს გერმანიიდან (10 000 ლ). მეორე ჭურვი ჩამოვარდა სახლის გვერდზე, რის შედეგადაც დაიჭრნენ 12 წლის ვლადიმერი და 8 წლის ცირა, ასევე დაიჭრნენ მათ ეზოში მყოფი მეზობლები: 13 წლის ბექა და 27 წლის თემო.

ბექა იწვა იაშვილის სახელობის კლინიკაში. პირველადი დახმარება ჩაუტარდა გორის ჰოსპიტალში. დაბომბვის დროს დაიღუპნენ ომარ და მალხაზ ბედოშვილები. დაიჭრა 12 ადამიანი: კახა ადუაშვილი, ნიკო კერესელიძე, ნუკრი, ვანო, მიხო ხიზანიშვილები, დავით აკოფოვი, ილია ადუაშვილი და სხვა.

12 საათის შემდეგ დაიწყო გორის ინტენსიური დაბომბვა, ამიტომ უსაფრთხოების მიზნით დიმიტრიმ თავისი ბავშვები გადაიყვანა თბილისში ჟვანიას სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დიღომი.

8 აგვისტოს დაბომბვის შემდეგ ვარიანში, სახლში დარჩა 86 წლის ბაბულია, რომელიც შიშის, შიმშილის და უწყლობის გამო დაიღუპა 19 აგვისტოს. ამის შესახებ დიმიტრის შეატყობინა ნოდარ ადუაშვილმა, რომელმაც დაასაფლავა კიდეც მიცვალებული 22 აგვისტოს, სახლის ეზოში.

ოსმა მოროდიორებმა, რომლებიც ქართულად საუბრობდნენ, დიმიტრის ბებია ბაბულია მოატყუეს, მანქანა წაიყვანეს და იყენებდნენ სანგრების გასათხრელად. 19 აგვისტოს დაახლოებით დღის 4 საათზე დიმიტრის დაუკავშირდა თანასოფლელი მიხეილი და შეატყობინა, რომ ოთხი დღის წინ მის საცხოვრებელ სახლში, ვარიანში მივიდა უცნობი პიროვნება და სახლში მყოფ ბაბულიას სთხოვა, ცოტა ხნით ეთხოვებინა ავტომანქანა. აღნიშნული მანქანა ეზოში იდგა ჭურვით დაზიანებულ სამარშუტო ტაქს - ფორდ ტრანზიტთან ერთად. ავტომანქანის გამტაცებელი იარაღს არ იყენებდა, დიმიტრიმ მეტი არაფერი იცის ამის შესახებ.

19. ილია (დაბადებული 1978 წ., სოფელი ვარიანი)

ბირჟაზე იმყოფებოდა დაახლოებით 15 ადამიანი. სროლა იყო სოფლის ქვემო მხრიდან, სადაც ქართული ჯარი იყო დაბანაკებული. ილია და მასთან მყოფი სხვა ადამიანები დაიბნენ და ვერ მოახერხეს, რომ დაწოლილიყვნენ. ბომბი რომ დავარდა, მაშინ ყველა ძირს დავარდა. ილიამ, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, წამოდგომა მოახერხა და მივიდა მამა-შვილ ბედოშვილებთან, გადმოაბრუნა ისინი და ნახა, რომ გარდაცვილები იყვნენ. ამ დროს ტირილი აუვარდა. დაჭრილმა მოახერხა, რომ მოეძებნა თანასოფლელი და მისი ბიძაშვილი კოლია და მას სთხოვა, ხალხი საავადმყოფოში წაეყვანა. კოლიამ მანქანით წაიყვანა ის, დავითი და ნუკრი. გორში წასვლისას გონი დაკარგა და არაფერი ახსოვს. ასკოლკები ისევ სხეულში აქვს და აწუხებს, მუცელზე აქვს 16 ნაკერი, ფეხზე 12. ღვიძლი, ფილტვი დაზიანებული აქვს, ფილტვში ისევ აქვს ასკოლკები. პირველადი დახმარება გორის საავადმყოფოში გაუწიეს, შემდეგ თბილისში წაიყვანეს. რესპუბლიკურში 20 დღე მკურნალობდა. იქიდან რომ გამოწერეს, კახეთში წავიდა დეიდაშვილთან, სადაც იმყოფებოდა მისი ძმა – თემური. სოფელში ჩავიდა მას შემდეგ, რაც რუსებმა დატოვეს სოფელი. ილიას დაჭრის შემდეგ ეპილეფსია დაეწყო, ფსიქიკურადაც ისე ვეღარ არის, როგორც იყო. მგრძნობიარე გახდა, ძალიან უჭირს იმ ამბების გახსენება. 9 აგვისტოს მისთვის ბევრი ახლობელი ადამიანი დაიღუპა, რისი მოწმეც თავად გახდა. ამის გახენება მას ძალიან უჭირს და ტირილი უვარდება.

20. ივანე (დაბადებული 1944 წ., სოფელი ვარიანი)

ივანე და მისი მეუღლე ნანი ცხოვრობდნენ სოფელ ვარიანში. აგვისტოში მათთან ჩასული იყო შვილი ნინო და 8 წლის შვილიშვილი ნიკა.

7 აგვისტოს საღამოს, როგორც თანასოფლელებმა უთხრეს ივანეს, სოფელში შემოვიდა ქართული არმია, რომლებიც დაბანაკდნენ სოფლის სტადიონზე და ახალდაბის მთაზე. ისინი ხალხში არ ერეოდნენ და თავის ბაზებზე იყვნენ.
ივანე სოფლის დაბომბვამდე არავის გაუფრთხილებია საშიშროების შესახებ. მან იცოდა, რომ 7 აგვისტოს საღამოს 5-6 საათისთვის დაიწყო სროლა, თუმცა მაინცდამაინც არ შეშინებია, რადგან ამ რეგიონში სროლები ხშირად იყო ხოლმე. მიუხედავად ამისა, 7 აგვისტოსვე მისმა შვილმა ნინომ დაურეკა მეუღლეს, რომელიც თბილისში მუშაობდა, მან ჩამოაკითხა და ცოლ-შვილი თბილისში წაიყვანა.
2008 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 8:30-ზე ივანე მეზობლებთან (მიხეილი, კახა, ილია, ნიკოლოზი, დათო, მამა-შვილი ომარი და მალხაზი) და თავის ძმისშვილთან – ნუკრი და ძმა – თემოსთან ერთად იმყოფებოდა სოფლის ბირჟაზე და განიხილავდნენ წინა ღამის სროლების ამბავს. ამ დროს მოულოდნელად დაიწყო ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი. ივანემ არ იცის რა იარაღიდან ისროდნენ. 5 წუთით ადრე მან და ნიკომ დაინახეს სპირალივით წითელი ცეცხლი, რომელიც დაიკარგა ჰაერში. თვითმფრინავის ხმა არ გაუგიათ. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო ინტენსიური სროლა და ის მოიხარა და დაწვა ღობესთან. დაწოლისას ზურგში ტკივილი იგრძნო, 2 წუთში წამოდგა და დაინახა, რომ ყველა მეზობელი ძირს იწვა. გვერდზე კახამ სცადა წამოდგომა, მაგრამ ისიც წაიქცა. ყველა დასისხლიანებული იყო, ტანსაცმელი ყველას სისხლიანი ჰქონდა. აფეთქების შემდეგ დანარჩენი მეზობლებიც გამოვარდნენ გარეთ. ერთმა მეზობელმა, ნიკომ ივანეს ძმისშვილი და კიდევ რამდენიმე მეზობელი წაიყვანა მანქანით გორში, დანარჩენები კი გამვლელმა მანქანებმა წაიყვანეს. მეორე მეზობელმა მურაზმა ივანე წაიყვანა გორისკენ, სოფლის ბოლოს სასწრაფოს მანქანას შეხვდნენ და უკვე იმ მანქანით ივანე და ომარი გორში გადაიყვანეს. 64 წლის ომარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გორში ჩასვლისასაც და მუცელს იტკიებდა. სასწრაფოში მათთან ერთად იჯდა ერთი ექთანი.
გორის ჰოსპიტალში ივანეს გაუწიეს პირველადი დახმარება, შემოაჭრეს ტანსაცმელი, ჭრილობები დაუმუშავეს, შეუხვიეს. გორის ჰოსპიტალში უამრავი დაჭრილი იყო მიყვანილი. ცოტა ხნის შემდეგ იგი გაუშვეს თბილისში ღუდუშაურის საავადმყოფოში, საიდანაც 3-4 საათში წამოვიდა, რადგან ამდენი დაჭრილის ყურება ვეღარ შეძლო.
ამის შემდეგ ივანე ვარიანში ჩავიდა და თვითონ მკურნალობდა სახლში საკუთარ თავს. მას ნამსხვრევი კვლავ დარჩენილი აქვს ფეხში, ხელი ეწვის ხოლმე და უბუჟდება. სოფელში მას დახვდნენ რუსები და ოსები, რომლებიც სექტემბრის ბოლოს გავიდნენ სოფლიდან. დაკარგა 400 ლარი, გაუნადგურდა 2000 ძირი გლადიოლური პომიდორი. მისი ეზოდან გამნაღმველებმა რამდენიმე ნაღმი ამოიღეს, როგორც მას თანასოფლელებმა უთხრეს.

21. კახაბერი (დაბადებული 1965 წ., სოფელი ვარიანი)

მეუღლე და ორი შვილი ყავს, პაატა და ბექა, პაატა 16 წლისაა, ბექა უმცროსია.
ქართული ჯარები სოფელში 7 აგვისტოს საღამოს შემოვიდნენ და 8 აგვისტოსაც სოფელში იყვნენ.
კახა 8 აგვისტოს დილის 8:30-სთვის იმყოფებოსა სოფლის ბირჟაზე სხვა თანასოფლელებთან ერთად. ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა, ციდან ცვიოდა რკინის ნაჭრები, რომლებიც სკდებოდა და ფეთქდებოდა, კახა დაიჭრა.
ჭრილობები ჰქონდა ორივე ბარძაყში, მუცელში, ხელში. “ასკოლკები” დღესაც სხეულში აქვს და მოძრაობენ, აწუხებენ.
ის გორის ჰოსპიტალში გამვლელმა ტაქსმა წაიყვანა, რომელიც ცხინვალის მხარეს მიდიოდა, მაგრამ უკან მობრუნდა. გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან, სადაც პირველადი დახმარება გაუწიეს, იმავე საღამოს გადაიყვანეს თბილისში სასწრაფოს მანქანით, მიიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იმყოფებოდა ორი დღის განმავლობაში, ამის შემდეგ გადაიყვანეს მერვე საავადმყოფოში, სადაც კიდევ 12 დღე დაჰყო. ამის შემდეგ ერთი კვირა თავის დასთან იმყოფებოდა ოჯახთან ერთად, შემდეგ კი იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო სოფელში, დასთან ძალიან სივიწროვე იყო და მოერიდა დიდხანს დარჩენა.
კახას მეუღლე და ბავშვები თბილისში იყვნენ წასულები 7 აგვისტოს. მას შემდეგ, რაც სროლები ძალიან გახშირდა, ცოლ-შვილი კახას დასთან, დალისთან წავიდნენ თბილისში. თვითონ კახა არ წავიდა და ის იმ შემთხვევაში აპირებდა თბილისში წასვლას, თუ

სიტუაცია დაიძაბებოდა, თუმცა სოფელში არ ყოფილა რაიმე გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სოფელში ოჯახი 30 აგვისტოს ჩავიდა და იქ უკვე რუსები და ოსები იყვნენ, რომლებმაც სექტემბრის ბოლოს დატოვეს სოფელი. კახას ჭრილობები დღემდე აწუხებს.

22. მიხეილი (დაბადებული 1962 წ., სოფელი ვარიანი)

სოფლის მოსახლეობა არავის გაუფრთხილებია მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. 7 აგვისტოს საღამოს მოულოდნელად დაიწყო სროლები და ხმები მთელი ღამე ისმოდა. სროლები ცხინვალის მხარიდან ისმოდა. მთელი ოჯახი იმ დროს სოფელში იყო. სროლები არ გაკვირვებიათ, რადგან ამ რეგიონში დაძაბულობები ხშირად იყო ხოლმე. მეუღლე სოფიო ზემო ნიქოზიდან არის, სიმამრი იქ ცხოვრობს და აკითხავენ ხოლმე. ნიქოზი ერთ-ერთი მოსაზღვრე სოფელია.
8 აგვისტოს დილით 9 საათისთვის საქონელს უშვებდნენ საძოვარზე სოფლელები და შემდეგ ბირჟაზე შეიკრიბნენ. 7-ში და 8-ში მიხეილი სოფელში ქართველ ჯარისკაცებს ხედავდა. მათ ბაზა სოფელ ვარიანში სტადიონზე ჰქონდათ.
თვითმფრინავის ხმა მას არ გაუგია. გაიგო მხოლოდ წივილის ხმა და უცებ ჩამოვარდა რამდენიმე ჭურვი, აზრზე რომ მოვიდა მიხეილი, ყველა სისხლში იყო მოსვრილი.
მიხეილი წამოდგა, გაიარა რამდენიმე მეტრი და წაიქცა, გონი დაკარგა, ტკივილი არ უგრძვნია, ერთი აფეთქების ხმა გაიგონა. ის მიიყვანეს გორის ჰოსპიტალში, იქ გონს მოვიდა, სახელი და გვარის თქმა მოახერხა, ამის შემდეგ არაფერი ახსოვს. იმავე საღამოს თბილისში წაიყვანეს. ღუდუშაურის საავადმყოფოში იყო თავიდან, ცოტა აზრზე იქ მოვიდა, ერთი დღე და ღამე იწვა ღუდუშაურში და შემდეგ მერვე საავადმყოფოში იყო 10 დღე. ამის მერე სკოლაში იყო ნუცუბიძის მეორე პლატოზე განაწილებული დროებით თავშესაფარი, რადგან სოფელში რუსები და ოსები იყვნენ, იქ ჩასვლა საშიში იყო, რადგან ხელზე არტაშანი ედო და შეიძლება ეფიქრათ, რომ ომში იღებდა მონაწილეობას და იქ დაიჭრა. ხელზე თაბაშირი რომ მოიხსნა, მერე ჩავიდა სოფელში, ოღონდ რომელ თვეს - არ ახსოვს.

23. ნიკოლოზი (დაბადებული 1965 წ., სოფელი ვარიანი)

ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და ცხოვრობს სოფელ ვარიანში. 2008 წლის 7 აგვისტოს, საღამოს საათებში მას ესმოდა სროლის ხმები, რომელიც გაგრძელდა მთელი ღამე. ნიკოლოზი წინასწარ არავის გაუფრთხილებია საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ.
2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო სოფლის ინტენსიური საარტილერიო დაბომბვა. ამ დროს სოფელ ვარიანში, ნიკოლოზის განცხადებით, არ იმყოფებოდა სამხედრო შენაერთები, არც ქართული და არც სხვა. დაბომბვის დაწყების დროს დილით, დაახლოებით 9 საათისთვის მამასთან – თეიმურაზთან და მეზობლებთან მალხაზსა და ომართან, მიხეილ, დავით, ნიკოლოზ, კახაბერ, ბექა, ვაკო და ცირასთან ერთად იმყოფებოდა უბანში სოფლის ბირჟაზე, მეზობელი არჩილის სახლთან. ხალხს აინტერესებდა, წინა ღამის სროლების გამო ვინმე ხომ არ იყო დაშავებული. საუბრობდნენ, როდესაც ნიკოლოზმა გაიგონა ძლიერი აფეთქების ხმა, მან ზევით აიხედა და დაინახა, რომ რაღაც საგნები ცვიოდა ციდან და თან ფეთქდებოდა, ასევე ისინი მიწაზე დავარდნის დროსაც სკდებოდნენ. მან ვერ გაარჩია, ვისი თვითმფრინავები იყო, ანუ ვინ განახორციელა დაბომბვა. უცებ ნიკოლოზმა იგრძნო, რომ ორივე ფეხში დაიჭრა, რომ მიმოიხედა, დაინახა, რომ მისი მეზობლები ასევე დაჭრილები ეყარნენ მიწაზე. იგი ტალღამ მოშორებით მოისროლა, რის შემდეგაც ნიკოლოზმა დაკარგა გონება და არაფერი ახსოვს, თუ რა ხდებოდა. გონს მოსული უკვე იმყოფებოდა თბილისში, ორთაჭალაში მდებარე ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში. დაბომბვის შედეგად დაიჭრა ფეხების არეში, მიიღო მძიმე ტრამვა, რის გამოც დასჭირდა რამდენიმე ოპერაცია სისხლძარღვების აღდგენის მიზნით, ოპერაცია ექიმმა გაუკეთა.
თავდაპირველად ნიკოლოზი, როგორც მას უთხრეს, გადაიყვანეს გორის ჰოსპიტალში, სადაც გაუწიეს პირველადი დახმარება და გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია, რის შემდეგ სასწრაფოდ გადაიყვანეს თბილისში, ზემოაღნიშნულ კლინიკაში. მკურნალობის კურსი მას არ გაუვლია და დიდხანს აწუხებდა აგვისტოს ომის დროს მიღებული ტრამვა, ესაჭიროება დამატებითი ოპერაცია.

დაბომბვის დროს, ნიკოლოზის განცხადებით, დაიჭრნენ მცირეწლოვანი მეზობლებიც: ცირა და ვლადიმერი, ასევე დაიჭრნენ მიხეილი, დავითი, ნიკოლოზი, კახაბერი და თეიმურაზი (ნიკოლოზის მამა). ადგილზევე გარდაიცვალნენ მამა-შვილი მალხაზ და ომარ ბედოშვილები. დაბომბვის შედეგად დაზიანდა ნიკოლოზის საცხოვრებელი სახლი და ეზოში მდებარე დამხმარე სათავსოები.
ნიკოლოზი ორი თვის განმავლობაში იწვა საავადმყოფოში და ამიტომ არ იცის, რა ხდებოდა სოფელ ვარიანში ამ დროის განმავლობაში, თუმცა გადმოცემით იცის, რომ იქ 11 აგვისტოს შევიდნენ რუსები და ოსები. ნიკოლოზი ამ ორი თვის განმავლობაში ძალიან ნერვიულობდა თავის სახლზე, არ იცოდა სოფელში რა ხდებოდა, ჯანმრთელეობის გამო მუშაობაც არ შეეძლო. მან ასევე გადმოცემით იცის, რომ აგრესიის შედეგად გარდაიცვალნენ მისი მეზობლები - გაიოზ ქებაძე და ცაცა თენაძე. ოსმა ბოევიკებმა ტყვედ აიყვანეს გიორგი ერემოვი და ქებაძე ვაჟა, რომლებიც, როგორც თავად ამ ადამიანებისგან შეიტყო ნიკოლოზმა, გადაიყვნეს ცხინვალში, სადაც იმყოფებოდნენ გაუსაძლის პირობებში, აიძულებდნენ დაემარხათ მიცვალებულები.
11 აგვისტოს სოფლის საავიაციო დაბომბვის დროს დაიჭრა ნიკოლოზის დედა – თამარი. ის მკურნალობდა თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ასევე ჩაუტარდა ოპერაცია. მას ჭრილობა მიღებული ჰქონდა თავისა და მხარ-ბეჭის არეში.
სოფელში ნიკოლოზი დაბრუნდა 11 ოქტომბერს, სახლი დახვდა დაზიანებული, მოსავალი განადგურებული. როგორც ნიკოლოზი ამბობს, მას აგვისტოს ომის დროს მიადგა მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანი.

24. თემური (დაბადებული 1981 წ., სოფელი ვარიანი)

8 აგვისტოს დაიწყო სროლები და მთელი ღამე ისმოდა სროლების ხმა. მოსახლეობა არავის გაუფრთხილებია, რომ შეიძლებოდა მათ საფრთხე დამუქრებოდა, სოფელში ხალხი ბლომად იყო. მეზობელი დიმიტრის სახლის ეზოში იდგა ცირა, ვლადიმერსა და ბექასთან ერთად.
უცებ ჩამოვარდა ჭურვი ისე, რომ მანამდე მას არ გაუგია რაიმე ხმა. თემურმა იგრძნო, რომ დაიჭრა. ის მეზობელმა ლევანმა წაიყვანა გორისკენ, გზაში თემურმა გონი დაკარგა. როგორც გადმოცემით იცის თანასოფლელებისგან, ის ჯერ მიიყვანეს გორის ჰოსპიტალში, სადაც გაუკეთდა ერთი ოპერაცია. ამის შემდეგ გადაიყვანეს თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იქ მას კიდევ ორი ოპერაცია გაუკეთეს. თემურს ამოაჭრეს ელენთა, თირკმელი, დაზიანებული აქვს კუჭი. ჭურვი მოხვდა ასევე ფეხში. იგი ერთი თვე და 10 დღე მკურნალობდა რესპუბლიკურში. იქიდან რომ გამოწერეს კახეთში წავიდა დეიდაშვილთან, სოსოსთან. მისი ინფორმაციით იმ დროს სოფელში რუსები და ოსები იყვნენ. ერთი თვე კახეთში დარჩა. სოფელში ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდა, როდესაც სიტუაცია უკვე მიწყნარებული იყო. საქონელი დაკარგული დახვდა. რუსები და ოსები სოფელში აღარ იყვნენ. როგორც მოგვიანებით გაიგო, მისი ძმა-ილიაც დაჭრილა იმ დღეს, როცა თვითონ დაიჭრა, ოღონდ ილია სოფლის ბირჟაზე იდგა. მას საავადმყოფოში მკურნალობის დროს არ უმხლედნენ ძმის დაჭრის ამბავს. საავადმყოფოდან გამოწერისას უთხრეს, რომ მისი ძმაც დაჭრილი იყო თავში, მკლავში და ფეხში. ილია მოგვიანებით კახეთში ჩავიდა დეიდაშვილთან და ძმასთან.
ილიას ომის შემდეგ ეპილეფსია დაემართა და მას ინვალიდობის სტატუსიც მიანიჭეს, დაენიშნა პენსია, როგორც ეპილეფსიით დაავადებულს.
ომამდე თემურის დედის თქმით, ის დინჯი და წყნარი ადამიანი იყო. ომის შემდეგ კი ნერვები წესრიგში აღარ აქვს, ადვილად ღიზიანდება, ოდნავ ხმაურზე შიში ეუფლება, თუმცა, ცდილობს არ შეიმჩნიოს, საკუთარ თავში ძლიერ ჩაიკეტა.

25. მედიკო (დაბადებული 1945 წ., სოფელი კარბი)

ომამდე არანაირი გაფრთხილება არ ყოფილა იმის შესახებ, რომ საფრთხე იქნებოდა ან ომი დაიწყებოდა. სროლები 7-8 აგვისტოს გახშირდა, მანამდეც იყო, მაგრამ ასე მასიურად არა. ამ დროს სოფელში ყველა ვიყავით. 8 აგვისტოს შვილიშვილები გორში გავაგზავნეთ, ზაზა რეზერვისტად ყავდათ წაყვანილი; სახლში მე და ჩემი რძალი ვიყავით. თვითმფრინავები დაფრინავდნენ, მაგრამ ბომბებს არ ყრიდნენ. 9-ში დილით დაიწყო დაბომბვა; 9-ის ნახევარი

იქნებოდა, სოფელში ერთი ბომბი რო ჩამოვარდა, რკინის რაღაც ნაჭერი სახლში სახურავს დაეცა, ჩამოაგდო, ფანჯრებიც ჩაიმსხვრა. მეზობელმა ეთერმა და თენგიზმა დამიძახა ბიჭები სად არიანო, (ზაზა და სხვა რეზერვისტები აღარ რეკავდნენ და ვნერვიულობდით). გავედი ეზოში, ანზორი და მეორე მეზობელი იქვე იდგნენ, ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა, ასკოლკა მომხვდა მუცელში, გაიარა და ხორციც გაიტანა, კარზე იყო მიჭყლეტილი; კუხნის კარები ჩამოვარდა და ფეხებზე დამეცა, ღობე, მანქანა, აბანო ყველაფერი განადგურდა. მერე უკან, ისევ ეზოში გადავხტი ასეთი ამბავი რომ იყო. ანზორი და შევარდნაძე დაიღუპნენ. მალევე სასწრაფოებმა ორ-ორი წაიყვანეს. მე და ოთარი ერთად წაგვიყვანეს.
ჯერ ტყვიავში ჩაგვიყვანეს, საავადმყოფოში პირველადი დახმარება გამიწიეს, წვეთოვანი დამიდგეს და მაშინვე გორში გადამიყვანეს. გორის საავადმყოფოში 1 ღამე ვიყავი, შემიხვიეს ჭრილობა, წამლებს მასმევდნენ, მერე სიძემ ატენში გადამიყვანა, რადგან გორის დაბომბვა დაიწყო. ატენში ჩემი გოგოა გათხოვილი. ატენში 1 დღე-ღამე ვიყავი. მერე სიძემ თბილისში წამომიყვანა და იქ ჩემ დასთან ვიყავი 4-5 დღე; მერე გამირთულდა ჭრილობა და რკინიგზის საავადმყოში წავედი, დაახლოებით 1 თვე ვიწექი. იქიდან რომ გამოვედი ექიმი არ მიშვებდა, მაგრამ მაინც წამოვედი; სკოლის შენობაში გაგვანაწილეს დევნილები ასკურავას ქუჩაზე, იქაც 2 თვე ნახევარი ვიყავით (მე, რძალი, შვილიშვილები, ზაზა).
სახლი ძალიან დაზიანებულია, სახურავი და ფანჯრები გაგვიკეთეს. კედლები და აივნები გასაკეთებელია, წვიმა სახლში შემოდის ხოლმე, ფანერები ჩამოიყარა.
მე ცოტა ადრე წამოვედი თბილისიდან - ოქტომბერში, ზაზაც აქ იყო. რძალი და ბავშვები ნოემბერში ჩამოვიდნენ.
საშინელი შიში განვიცადეთ; 3-4 დღე ზაზასი არაფერი ვიცოდით, არ ვიცოდით ცოცხალი იყო თუ არა.
სოფელში ხალხი არ იყო, კანტიკუნტად დადიოდა. ხალხი საკუთარ ეზოებში იყო დამარხული. უპატრონო ძაღლები დარბოდნენ სოფელში. საჭმელი არ იყო სოფელში, მოგვიანებით შემოვიდა დახმარებები.
ქართველი ჯარისკაცები არ მინახავს სოფელში, არც ოსები, არც რუსები.
ჭრილობა დღესაც მაწუხებს; ტკივილი და წვა მაქვს, ყურს დამაკლდა (კი დამიბრუნდა, მაგრამ ისე არა, როგორც ადრე მესმოდა), თვალთ დამაკლდა და სახსრები მტკივა.

26. ოთარი (დაბადებული 1940 წ., სოფელი კარბი)

გაფრთხილება არ ყოფილა არანაირი; ცხინვალის სოფლებიდან სროლები ისმოდა, მაგრამ.
სროლები 8 აგვისტომდეც ისმოდა, ახლაც ისმის ხოლმე სროლები. ამიტომ არ გაგვკვირვებია. ჩვენ ოჯახი სოფელში ვიყავით, არ წავსულვართ. არ ვიცოდით, რომ ასე გართულდებოდა სიტუაცია.
8-9 აგვისტოს დილით ბირჟაზე გავედი, პურს ვაცხობდი, ამ დროს ბომბის ჩამოვარდნის ხმა გავიგე და გარეთ გავედი, ხალხს დახმარება ხომ არ ჭირდება-მეთქი. მეზობელს ველაპარაკებოდი, ჟორას. ამ დროს ჩამოვარდა ბომბი, ჟორას თავში მოხვდა და დაიღუპა. მე ხელში და ფეხში დავიჭერი. მარცხენე ფეხზე თითი მაქვს მოწყვეტილი, დღესაც მტკივა. წამოვედი სახლში. ავთოს მეუღლემ დამინახა და ვუთხარი, სასწრაფოს დაურეკე, ხალხი დაიჭრა მეთქი. ხალხმა სასწრაფო გამოიძახა. რამდენიმე სასწრაფო ამოვიდა და ერთ-ერთმა წაიყვანა ოთარი, ნარგიზიც გაყვა. ქმარი ეჩხუბებოდა, გოგო მარტო სახლში რატომ დატოვეო. ამიტომ სასწრაფოს უკან გამოვყევი ტყვიავამდე, ტყვიავიდან გზაზე სხვა მეზობელს გამოვყევი სოფელში, მანქანით იყო.
ბიჭები მანქანით ჩამოვიდნენ 9-ში, ჩვენი წაყვანა უნდოდათ. მე წამიყვანეს, ცოლ-შვილი სოფელში იყო, იმათაც აკითხეს, მაგრამ ისინი არ წამოვიდნენ. 10-ში ისევ ჩავიდნენ სოფელში და ძალით წამოიყვანეს.
გორის ჰოსპიტალში რამდენიმე საათი ვიყავი, პირველადი დახმარება გამიწიეს, ამ დროს ბიჭები მოვიდნენ ჩემი. ხელი გამიკერეს. ბიჭები სოფელში ავიდნენ ცოლთან და შვილთან. მერე მე თბილისში რესპუბლიკურში მიმიყვანეს, იქ 21 დღე ვიყავი.
მერე სოფელში წამოვედი, საქონელი მყავდა მისახედი და თბილისში აღარ გავჩერდი.
სოფელში ერთი-ორი ადამიანი თუ იყო, უპატრონი ძაღლები დარბოდნენ, შუქი არ იყო.
არც რუსები იყვნენ სოფელში და არც ოსები. ნელ-ნელა ადგილობრივები ჩამოვიდნენ და სოფელი თანდათან შეივსო.

27. ფირუზი (სოფელი კარბი)

ფირუზის ოჯახი ომამდე 5 წევრისგან შედგებოდა: ომის შემდეგ ოჯახში ოთხი წევრი დარჩა, რადგან მეუღლე ციალა გარდაიცვალა სოფლის დაბომბვის დროს, 8 აგვისტოს დილით.
ომამდე ოჯახი ცხოვრობდა სოფელ კარბში, ეწეოდა სოფლის მეურნეობას.
ფირუზის თქმით, ომის დაწყებასთან დაკავშირებით სოფელში რაიმე გაფრთხილება არ ყოფილა, სროლები რეგიონში ყოველთვის ისმოდა, რაც უკვე აღარავის უკვირდა. სროლები განსაკუთრებით ინტენსიური 7 აგვისტოს საღამოდან გახდა, ამიტომ შვილიშვილი და რძალი თბილისში წავიდნენ.
8 აგვისტოს დაახლოებით დილის 10:00 სთ-ზე საქონელი წაიყვანა საძოვარზე. იქიდან რომ ბრუნდებოდა ბაღში თივა უნდა მოეგროვებინა, ამ დროს დაინახა გზის პირას კაკლის ქვეშ ბიჭებს რადიო ქონდათ ჩართული; ინფორმაციის გაგება უნდოდა, იფიქრა ჯერ რადიოს მოუსმენდა, მერე თივას მოაგროვებდა და გაჩერდა იქ. რადიოს რომ უსმენდნენ ზევით თვითმფრინავი დატრიალებდა. იფიქრეს ქართული იყო, რადგან ქართული სოფლების ზევით დაფრინავდა-ზვერავდნენ. რაიმე ნიშანი ან დროშა არ შეუმჩნევიათ. არც ისე დაბლა დაფრინავდა, გამანადგურებელი იყო. 2 თვითმფრინავი იყო ბომბდამშენი. ცხინვალის მხრიდან მოფრინავდნენ და მერე თავს დატრიალებდნენ.
თვითმმფრინავმა ბომბი ჩამოყარა; კაესტური იყო, ჰაერში ფეთქებოდა და ისე მოდიოდა.
დაინახა ბიჭები როგორ დაყარა ძირს. ფირუზი დაიჭრა. დაახლოებით 8 ბომბი ჩამოყარეს აქედან ორმა სიკვდილიანობა გამოიწვია. დანარჩენი არ აფეთქებულა. მის უბანში 8 ადამიანი დაიჭრა და 7 დაიღუპა.
ფირუზი ფეხში, ტერფზე და ბარძაყში, და მკლავში დაიჭრა. ფეხის თითები არ აქვს მარჯვენა ფეხზე, მარტო ცერა თითი აქვს დარჩენილი. რაღაცნაირად მოახერხა თავის ეზოში შესვლა; ცოლს ეძახდა და დაინახა, რომ მკვდარი ეგდო ძირს დასახიჩრებული. დაახლოებით 10 წუთში სასწრაფოები მივიდნენ. ჩაიყვანეს ქ.გორის საავადმყოფოში. გორიდან იმავე დღეს ფირუზი გადაიყვანეს თბილისში მისმა ძმიშვილმა - ზვიადმა. თბილისში მე-8 საავადმყოფოში 12 დღე იწვა. სავადმყოფოები სავსე იყო დაჭრილებით.
შემდეგ გლდანულაში გადაიყვანეს, როგორც დევნილი - საბავშვო ბაღში - თვითონ, მისი რძალი და შვილიშვილი. სახლები რომ იყო დანგრეული და საშიშროება რომ არსებობდა, იმიტომ გადაიყვანეს სბავშვო-ბაღში. თვენახევარი იყვნენ იქ.
სოფელში ოქტომბრის დასაწყისში ჩავიდა. 20-ში შვილი, რძალი და შვილიშვილიც ჩავიდნენ. ამ სოფელში რუსები არ შესულან. ომამდე და ომის დროს ქართველი ჯარისკაცები არ ყოფილან.
სოფელში მერეთსა და კარბის საზღვართან იდგა ქართული არტილერია, შიგნით სოფელში არ შესულან.

28. დავითი (დაბადებული 1956 წ., სოფელი კარბი)

ომამდე არანაირი გაფრთხილება. დედა და მე - ორივე სახლში ვიყავით, სოფელში. ქართველი ჯარისკაცები სოფელში არ დამინახავს. 6 აგვისტოს საღამოს სროლები დაიწყო.
9 აგვისტოს დილით უბანში გავიარე ბირჟაზე, ბიჭებს გკითხე წუხელ რამე ხომ არ მოხდა-მეთქი, მითხრეს იქით ბირჟაზე ბომბი ჩამოვარდა და დოდო უნოფქაშვილი გარდაცვალაო. (ხმა მეც გავიგე ბომბის ჩამოვარდნის, მაგრამ არ ვიცოდი რა მოხდა); მე სახლისკენ წამოვედი და თანაკლასელმა გიორგიმ თავისთან შემიპატიჟა; ღვინოს სვამდა, მაინც ომია და დავლიოთო. 1 ჭიქა ღვინო დავლიე და წამოვედი. დედაჩემი შემხვდა გზაში და მითხრა, პური მოიტანეო. მე ვუთხარი, ფეხებს დავიბან და წამოვალ მეთქი. გადავივლე წყალი და რომ ვდგებოდი ვიგრძენი აფეთქების ხმა და წავიქეცი, ხელზე ხორცი ჩამოკიდებული მქონდა და ასევე სხვადასხვა დაზიანებები. დედაჩემი ყვიროდა, მიშველეთ შვილი მიკვდებაო. ვინ მიშველიდა ხალხი კაკალთან მკვდარი ეყარა. სკოლის დირექტორი დაჭრილი იყო, ტვინი გადმოდიოდა, მაინც იცოცხლა ერთი დღე. მე და ის სასწრაფოთი ერთად წაგვიყვანეს. სასწრაფო 10 წუთში მოვიდა. დედაჩემიც დაჭრილი ყოფილა, მოგვიანებით გავიგე. გორში რო მივყავდი გზაში დავკარგე გონება. 9 დღის მერე გამოვფხიზლდი და ღუდუშაურში

ვიყავი; იქიდან მე-8 საავადმყოფოში გამწერეს, მერე კუკიაზე კანის გადანერგვის საავადმყოფოში. სულ 45 დღე ვიყავი საავადმყოფოებში.
მე-4 ში მე და დედაჩემი ერთად ვიწექით, მხარში იყო დაჭრილი.
სოფელში ჩამოვედი და ომის მერე ოქტომბრის დასაწყისში. სოფელში ხალხი უკვე ჩამოსული იყო. დედაც ჩემთან ერთად წამოვიდა.
"ემპათიიდან" თვითონ მოდიოდნენ ჩემთან მე-8-ში და დღემდე აღრიცხვაზე ვყავარ. 3 თვეა ინტენსიურად აღარ ვმკურნალობ მათთან.

29. ეთერი (დაბადებული 1936 წ., სოფელი კარბი)

7 აგვისტოს საღამოს 11 საათზე დაიწყო სროლები. ყველა სახლში ვიყავით. მთელი ღამე გაათენეს ბავშვებმა; ჩვენ გვეგონა ოსები ისროდნენ; მთელი კედლები ზანზარებდა. 8-ში დილით 7 საათზე ქვევით ჩამოვარდა და ჩვენი სახლის ფანჯრები დაიმტვრა; მე ვფიქრე მშვიდობა იყოს და ფანჯარას არაუშავს-მეთქი.
ამ დროს კიდევ ჩამოვარდა და დავიჭერი. სახლის სახურავი მოხადა ბომბმა, გარეთ გავედი და დავინახე დჭრილი და დახოცილი ხალხი. მე გავრბოდი სადღაც, ვერ ვფიქრობდი. მერე მეზობელმა გამაჩერა შენი ქმარი დაჭრილია, დაბრუნდი და მიხედეო. მე მაინც გავრბოდი და ვიღაცის პადვალში ჩავედი. ბოლოს სასწრაფოც მოვიდა. გაწმინდეს ჩემი მეუღლე დაუმუშავეს ფეხი, საღამოს ატკივდა და ტყვიაში წაიყვანეს; იქაც ოსები შემოდიანო და მერე სხვაგან გადაიყვანეს. ცნობა არ აქვს. გორიდან გამოუშვეს, იბომბებაო და არც ცნობა მოგვცეს სოფლებში; ყურთან იყო დაჭრილი, მკლავში, ფეხებში.
მე თვითონ ვერაფერს ვგრძნობდი; მეზობლის ქალმა მითხრა დაჭრილი ხარო.
გორიდან ახალშენში წავედი შვილთან ფეხით. ორი-სამი დღე ვიყავი. მერე ისევ სოფელში წამოვედი ფეხით. სოფელში ქართველი ჯარისკაცები არ დაგვინახავს, არც რუსები შემოსულან.
შორენამ - რძალმა 7 აგტვისტოს ბავშვი აცრისთვის წაიყვანა თბილისში. ომის გამო არ წასულა, არ იცოდნენ, რომ ომი იწყებოდა. ბავშვი რო მიყავდა ტყვიაში უკვე ტვიების ზუზუნი იყო. ჩემი ქმარი არ ვიცი სად იყო, რეზერვისტი იყო და ომში წაუყვანიათ.
ბოლოს გარდაცვლილი გვეგონა, რომ გამოჩნდა. სოფელი მასიურად დაიბომბა.

30. გურამი (დაბადებული 1961 წ., სოფელი კარბი)

ბავშვები 8-ში ჩემმა ძმისშვილმა დათომ გააცილა ატენში. მეუღლე 9-ში წავიდა. არავინ არ გაგვაფრთხილა. 9 აგვისტო - პირველი აფეთქება. ავედი, ვნახე რა ხდებოდა. ჭურჭელი სულ დაიმტვრა. 10:30 საათზე მეორე აფეთქება, დაახლოებით 80 მეტრში ჩემი სახლიდან. მე ვიყავი 10-15 მეტრში მეორე დაბომბვის დროს. კაკლის ქვეშ ვლაპარაკობდით: გაიოზი, ოთარი, გიორგი, დავითი, თენგიზი. ვიჯექი და ბომბი ჩამოვარდა. გავითიშე. აღარაფერი მახსოვს. გრძნობაზე რომ მოვედი უკვე გორის საავადმყოფოში ვიყავი. ორივე კიდურში დაჭრილი ვიყავი. წვეთოვანი მედგა. ორივე ბარძაყი გაგლეჯილი. არაფერი არ მჭირდა მანამდე.
იმავე დღეს მოვედი აზრზე, დაგვითხოვეს. გორი იბომბებოდა. მეუღლემ წამომიყვანა საავადმყოფოდან. სოფელ ატენში მეუღლის სახლში 2 თვე ვიყავი. ტყვია გორში ვერ ამომიღეს. საშინელი ტკივილი მქონდა. ჩემი მეუღლე ექთანია და თვითონ ამომიღო.
ჩემი ხარჯებით ვყიდულობდი ყველაფერს. 3 თვე დამჭირდა ფეხზე რომ დავმდგარიყავი.
სექტემბრის ბოლოს ჩამოვედი სოფელში. ოქტომბრის დასაწყისში დედა დამეღუპა და ისიც უნდა გადამესვენებინა. ცოლ-შვილიც ატენში იყვნენ. ჭრილობები ეხლაც მაწუხებს, ვერ ვმუშაობ. ჭრილობა მთელ ფეხს გასდევს. სოფელში მე და მეუღლე ამოვედით. ბავშვები გვიან ამოვიყვანე, სოფელი უკვე სულ შევსებულია .
დედაჩემი ჩემმა ძმამ დამარხა. უნდა გადაგვესვენებინა მერე სასაფლაოზე.
რუსები იყვნენ სოფელში, რომ ჩამოვედი.
წნევები მაწუხებს. ორივე ფეხი მტკივა. 100 მეტრის გავლა არ შემიძლია. სუნთქვის უკმარისობა მაქვს. შიშები მაქვს. თვალს დამაკლდა. უძილობა მჭირს.

31. ლელა (დაბადებული 1977 წ., სოფელი ტირძნისი)

მე და ჩემმა შვილებმა სახლი ომის დაწყებისთანავე დავტოვეთ. დედაჩემი სოფელში დარჩა. ორი დღის წინ მირეკავს და თვალცრემლიანი მიყვება, რომ ღამე რუსის ჯარი შევარდა უბანში. თურმე ერთი ჯარისკაცი დაეკარგათ და ვერ პოულობდნენ. გამოიყვანეს სახლებიდან მთელი სოფლელები და დააყენეს ერთ რიგში, თან ემუქრებოდნენ თუ ეხლავე არ მოძებნით ჩვენს ჯარისკაცს ე.ი. თქვენი მოკლულია და ყველას ერთნაირად დაგხვრეტთო. შეშინებულმა სოფლელებმა დაიწყეს ჯარისკაცის ძებნა. ეძებდნენ ბაღებში, ვენახებში, მიტოვებულ სახლებში (სიკვდილის შიში საკმაოდ დიდი იყო). ბოლოს იპოვეს ერთ-ერთი ბაღის ძირში მთვრალი იყო და ეძინა. იმ საღამოს გადარჩა მთელი სოფელი.
დედაჩემის მდგომარეობა ძალიან მაშინებს. საწყალს ძალინ უნდა სოფლიდან წამოსვლა, მაგრამ ეხლა აღარავის აღარ უშვებენ. ხალხი დაუცველია. რუსების და ოსების თარეშს საზღვარი არა აქვს. ისეთი საშინელი ამბები მოდის სოფლიდან, აღარც მოხუცებს ინდობენ და აღარც ქალებს.

32. მარიამი (დაბადებული 1926 წ., სოფელი ვანათი)

მე სოფელ ვანათიდან ვარ. ჩემს მეზობელს - შეიარაღებული ოსი შეუვარდა სახლში. ეს ოსი ნაცნობი არ იყო. ჩვენს მეზობელ ინალასთან იყო სტუმრად, მგონი მისი ნათესავი იყო. საღამოს დათვრა, ეტყობა დალიეს და მთვრალი შეუვარდა სახლში. მე არაფერი გამიგია, შემდეგ თანასოფლელები მომიყვნენ. გაიხადა თურმე იმ ოსმა კაცმა ტანსაცმელი და უყვირა შენც გაიხადეო. შეშინებულმა ქალმა წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ხელი ჰკრა ოსს. ის კი იმდენად მთვრალი იყო, რომ ეგრევე წაიქცა და ქალმა სახლიდან გამოქცევა მოასწრო. ძალიან შეშინებული იყო და გული ცუდად გაუხდა. კიდევ კარგი იქვე ცხოვრობდა მისი ნათესავი პავლე და იმან შეიფარა, წამოაწვინა საწოლზე და გულის წამლები დაალევინა. საწყალი ქალი ძლივს მოეგო გონს.

33. იზოლდა (დაბადებული 1958 წ., ქარელი)

7 აგვისტოდან სულ გვესმოდა დაბომბვების ხმა. მერე დაბომბვა ჩვენს რაიონზეც გადმოვიდა. უმეტესად ღამის განმავლობაში ვიბომბებოდით. ვიყავით სრულ საინფორმაციო ვაკუუმში. გაგვეთიშა კომუნიკაციის ყველა საშუალება – ტელევიზია, ტელეფონები. გამოირთო გაზი, პარალიზებული იყო ტრანსპორტი. თითქმის ყოველ დღე ვხედავდით დაჭრილებსა და დაღუპულებს. საშინელი შიშის ქვეშ ვიმყოფებოდით. ბავშვების ფსიქიკაზე საშინლად მოქმედებდა თვითმფრინავების და დაბომბვების ხმა. ღამეს სახლში ვერ ვათევდით. პირველი დღე ტყეში გავათიეთ, მეორე დღე სასაფლაოზე გავატარეთ.

34. ელვირა (დაბადებული 1968 წ., ცხინვალი)

ომის დაწყების დღიდან საშინელი შიშის ქვეშ ვიმყოფებოდი. ფაქტიურად სულ სარდაფებში ვიყავით. 9 აგვისტოს საშინელი დაბომბვა დაიწყო. სასწრაფოდ სარდაფისკენ გავიქეცით. თითქოს ვიცოდით რაც მოგველოდა, მაგრამ ბომბები რომ ჩამოყარეს, მოულოდნელობისგან ხალხი ერთმანეთს მიაწყდა. ამ დროს აფეთქების ტალღამ ჩაამსხვრია სახლების შუშები. ნამსხვრევები თავზე გვეცემოდა. ტალღის ძალამ სარდაფში ჩამაგდო. შუშის ნამსხვრევებისაგან დავიჭერი. სისხლი გვდიოდა მეც და ჩემს შვილსაც. როცა სროლა ცოტა ჩაწყნარდა, გამოვედით გზაზე და სამხედრო ავტობუსს გავყევით გორისკენ.

35. ნინო (დაბადებული 1961 წ., ცხინვალი)

ომის დაწყებიდან 11 აგვისტომდე ვიმყოფებოდი გორში, კერძოდ დევნილებით დასახლებულ "ტურბაზაში." მასიური დაბომბვა რომ დაიწყო ქალაქის შუაგულში, ძალიან შემეშინდა. ვხედავდი, როგორ გამოყავდათ ქართველი დაჭრილი და დაღუპული მეომრები. უამრავი სასწრაფო დახმარების მანქანა დადიოდა. ეს ყველაფერი საშინელი დასანახი იყო. მე და ჩემი ხუთი მეზობელი მანქანით წამოვედით თბილისისაკენ. უკან შეიარაღებული რუსები მოდიოდნენ ტანკებით. ძლივს ჩამოვაღწიეთ თბილისამდე.

36. ნინო (დაბადებული 1978 წ., გორი)

ომის დაწყების შემდეგ ბავშვები და მე თბილისში ვიყავით. როცა ლომაიამ თქვა ვბრუნდებით გორშიო მეც უკან დავბრუნდი. 13-ში საღამოს შევედით გორში. ის ღამე წყნარი იყო. მეორე დღეს კი დაიწყეს სამხედრო ბაზების ყაზარმების დაწვა და აფეთქებები. ყაზარმებთან ახლოს მცხოვრები ხალხი სახლებიდან გამორბოდა. მანქანა გავაჩერე და გამოვიქეცი ისევ თბილისისაკენ. არც ქართული ჯარი, არც პატრული ახლოს არ იყო, იგოეთს რომ მივუახლოვდით პატრული მაშინ დავინახეთ.

37. მაია (დაბადებული 1976 წ., სოფელი კეხვი)

ომი უეცრად დაიწყო. 8-ში უკვე სოფელს მოადგნენ რუსები. შუადღის შემდეგ მთელი ხეობა დაიცალა. მე ქურთის საავადმყოფოში ვმუშაობ. თანამშრომლები ჩავსხედით სასწრაფო დახმარების მანქანით და გამოვედით ტყის გზაზე. ხეითის გზაზე რომ გავედით ჩვენს მანქანას დაუწყეს სროლა. მანქანა მიდიოდა და უკან მოჰყვებოდა ტყვიების წვიმა. ჩვენს უკან მომავალი ორი მანქანა (ერთი კეხველების და მეორე აჩაბეთელების) აფეთქდა, კეხველებიდან ორი ქალი დაიღუპა.

38. ჟენია (დაბადებული 1928 წ., სოფელი ხეითი, პატარა ლიახვის ხეობა)
(ყვება ტირილით (რედ.))

18 წლის განმავლობაში ვცხოვრობდით ომში - სროლების ხმაში. მიუხედავად ამ სროლებისა, მაინც ვინარჩუნებდით ხეობას. 3-4 აგვისტოს (2008) შედარებით მოიმატა სროლებმა. ჩვენ დავიმალეთ ბაღებში, ბუჩქებში. სოფელი თითქმის დაიცალა. ამ დროს ჩემთან სტუმრად იყო ჩემი და, რომელიც არის 88 წლის, მარტოხელა, უსინათლო. ჩვენ, მოხუცებმა წასვლა ვერ მოვახერხეთ. რუსების და ოსების ჯარი მარადიორობდა, ძარცვავდნენ სახლებს და გაძარცვულ სახლებს წვავდნენ. ჩემი მოხუცი და, რადგან თვალით ვერ ხედავდა, წელზე გამოვაბი თოკით და ერთი ადიალა გვქონდა თან რომ დროდადრო ჩამოვმსხდარიყავით დასასვენებლად გზადაგზა, რადგანაც ხშირად ბუჩქებში გვიწევდა ღამის თენება. მეზობელს ჰქონდა ერთი ქოხი მოშორებით, მდინარის პირას, ჩვენ, მე და ჩემმა დამ და ორმა მეზობელმა, გადავწყვიტეთ, თავი შევგვეფარებინა იქ. ჩემი სახლი დავტოვეთ. მერე ჩუმათ ავდიოდი ჩემს სახლში გარიჟრაჟზე, როდესაც ჯარისკაცებს ეძინათ და ჩემივე სახლიდან ვიპარავდი საჭმელს. სანამ ამას მოვახერხებდით, მანამდე 3 დღე სრულიად მშივრები ვიყავით. ჯერ ჩემი სახლიდან მოვიპარე 16 კილო ფქვილი, ზურგით გაჭირვებით ჩავიტანე ქოხში. მერე გამოვაპარეთ ფეჩი, ისიც ზურგით ჩამოვიტანე ქოხში. და როდესაც პურს ვაცხობდი ქოხში, კვამლი ავიდა ქოხიდან და ამიტომ მოვიდნენ ოსის კაცები, საუბრობდნენ ქართულად, ჯარისკაცის ფორმა ეცვათ და იარაღები ჰქონდათ თან. 2 პური მქონდა გამომცხვარი. ისიც გადამიგდო. მოზელილი ცომი თავის ტაშტიანად მოისროლეს წყალში. თან გვეუბნებოდნენ წადით აქედან, ეს მიწა ახლა ჩვენიაო. მე ვუთხარი, ჩვენ ერთნი ვართ, ერთად ვიყოთ, თქვენც იყავით და ჩვენც ვიქნებითო – ეს ვუთხარი, რომ არ დავეხოცეთ. ამაზე მათ ხელით გვანიშნეს – აი აქ ჩააფურთხეო, და დაცინვით თქვეს, ახლა გვიანღაა, თქვენ ხართ სააკაშვილის ხალხი და მასთან წადითო. ჩემს დას ჩაარტყეს და წამექცა. მე ვუთხარი, ნუ სცემთ, ჩემი ბრმა და არისთქო. ამის თქმაზე მეც მომისროლეს და ხევში ჩამაგდეს. იქ მდინარეა. როცა წამოვდექით ჩვენ, მერე წყალს გამოვყევით და გამოვედით მე და ჩემი ავადმყოფი და, ტყე-ტყე გამოვედით სოფლიდან. ჩემი და ხან წამექცეოდა, ხან ჩაიძინებდა. ძალიან ვწვალობდით.
სოფელი ერედვიდან რომ გამოვედით, დავინახე, რომ სოფელს ცეცხლი ეკიდა. რუსები და ოსები ტყეში დადიოდნენ დიდი ძაღლებით. მე, ჩემი და და ერთი ჩემი მეზობლის მოხუცი, 75 წლის მელო, დავბანაკდით ტყეში, ერედვთან ახლოს, ღამით. ეს იყო 9 აგვისტო. მშივრები ვიყავით. ცეცხლი ეკიდა სოფელს. ამიტომ ცეცხლის ალყაში აღმოვჩნდით. გადავწყვიტეთ უკან გაბრუნება, ისევ ჩვენი სოფლისაკენ, საიდანაც თავის დასაღწევად წამოვედით. მე ჩემს დას ხმამაღლა ვუთხარი, რომ მორჩა, გაჩერების დრო არ არის, უნდა ვიაროთ, უნდა შევძლოთ სიარული. ან აქ უნდა დავრჩეთ და დავიხოცოთ, ან უნდა ვიაროთ.

ძალიან გვშიოდა. აღარ ვიცოდი რა მექნა. დავიწყე ჩემი სახელის და გვარის დაწერა ფურცლის პატარა ნაგლეჯებზე, ვყრიდი გზადაგზა, რათა ვინმეს ეპოვნა და ეშველა ჩვენთვის. ჩვენ ალყაში ვიყავით. ოსები და რუსები იყვნენ შემოსეულნი. გადამწვარ სოფელში თუკი რაიმე იყო გადარჩენილი, ყველაფერს იპარავდნენ (რკინები, კიბეები, ალუმინი). ჩვენ მივედით მეზობლის პატარა ქოხში (ავთო ფეხშველაშვილისა). სახლში იყვნენ ოსები. მათ ქართულად გვითხრეს, აქ რად მოსულხართო, ალბათ თქვენმა ბანდამ ჯაშუშად დაგტოვათო, რომ ამბები მიუტანოთო. და ჩვენ რომ აქედან გავალთ, ალბათ, ისინი შემოვლენო. წადით, გაგვშორდით, ეს ჩვენი ტერიტორია არისო. იძულებულნი გავხდით გამოვბრუნებულიყავით და შორიახლოს ბუჩქებში დავიძინეთ.
24 აგვისტომდე ხან ტყეში, ხან ჭაობში ვათენებდით და ვაღამებდით. გარიჟრაჟზე ავდიოდი ხოლმე ჩემი სახლის მიდამოებში. ერთხელ ჩემი სახლის ნანგრევებში რომ შევიპარე, ვიპოვე კალენდარი და გამიხარდა, რომ გავიგებდი რა დღე და რიცხვი იყო. ჩვენ იქ, სოფელში მხოლოდ 4 ადამიანი ვიყავით ჩარჩენილი: მე, ჩემი და, მეზობლები მელო (75 წ.) და ალიკა (47 წ.). ჩვენ ერთი თვე ვიყავით მშივრები. დილით ადრე, სანამ ოსები გაიღვიძებდნენ, ბაღებში ვპოულობდით საკვებს და ვჭამდით: ატამი, პომიდორი, კარტოფილსაც ვახერხებდით მოგვეხარშა ჩუმად იმ ქოხში, რომელშიც ჩვენ ოთხნი დროდადრო შევიპარებოდით ხოლმე, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი იყო. ჩვენს შორის ის ერთი კაცი, ალიკა, უფრო მეტად იმალებოდა ხოლმე, რადგან განსაკუთრებით კაცებს ემტერებოდნენ მოსაკლავად. 2 სექტემბერს, როცა დილაუთენია ვჭამეთ საკვები, ალიკას ვუთხარით ისევ, წადი დაიმალეო. ალიკა გავიდა და მას შემდეგ ვეღარ ვიპოვეთ, აღარ გამოჩენილა.
2 სექტემბერს სოფელში შემოვიდა წითელი ჯვარი და მათ გამოგვიყვანეს. გამოვიარეთ მეტრეველების უბანი, იქ კაციშვილი ვერ ვნახეთ, გადამწვარი იყო ყველაფერი. გადავედით ძარწემის უბანში, ძალიან ცუდი სუნი იყო იქ, არ ვიცი დამწვარი ხალხის, არ ვიცი, დამწვარი საქონლის. თქვეს, რომ იქ ერთი მოხუცი კაცი სერიოჟა (ცაცა) გუნდიშვილი გამოწვეს სახლში. ასევე იმ სოფელში ვნახეთ ჩამომხრჩვალი კაცი, ვიცანი გოგიძე სოგრატი. ის იყო უსინათლო. გამოვიარეთ ასევე სოფლები ქემერტი და მაღალდეთი. სოფლები მთლად გადამწვარი იყო.

39. ნათია (დაბადებული 1989 წ., სოფელი ნული)

2007 წლის 13 ნოემბერს გავთხოვდი ქარელის რაიონის სოფ: ნულში, იქ მუდამ ისმოდა სროლების ხმა, განსაკუთრებით ღამით იმატებდა სროლები. ძალიან მიჭირდა იქ ცხოვრება. სროლები ხორციელდებოდა ცხინვლიდან ოსების მიერ. იკვეთებოდა ფაქტები, რომ ოსები კლავდნენ თავიანთ მოხუცებს და აბრალებდნენ ქართველებს. 30 ივლისს ოსებმა ჩვენი სოფლის ერთ-ერთი გზა დანაღმეს. მათი მიზანი იყო იქ განლაგებული ქართველი სამართალდამცავების აფეთქება, მაგრმ მოხდა ისე, რომ შემთხვევით ამ ადგილზე გამოიარა სხვა ოსი სეპარატისტების მანქანამ, რომელიც აფეთქდა, გარდაიცვალნენ შიგ მყოფნი. ეს შემთხვევა გადააბრალეს ქართველ სამართალდამცავ გოგიტა ჟამერაშვილს, ამის შემდეგ ამოიჩემეს აბ ბიჭის სახლი და მის სახლზე ჩამოაგდეს ჭურვი. მთლიანად ჩამოინგრა მეორე სართული. დაიჭრნენ ამ ბიჭის მამა სიმონ ჟამერაშვილი, გოგიტას შვილი და ერთი სტუმარი ბავშვი. ასევე დაიჭრა სიმონის ძმა ნოდარ ჟამერაშილი.
1, 2, 3 აგვისტოს მოიმატა სროლების ხმამ. ჩვენ სარდაფებში ვიმალებდით, რადგანაც გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო. სოფელი ნელ-ნელა იცლებოდა, ძირითადად ქალები და ბავშვები მიდიოდნენ სოფლიდან. რადგანაც მე ვიყვი 9 თვის ფეხმძიმე და დღე-დღეზე ბავშვს ველოდებოდი, ოჯახმა გადაწყვიტა დედაჩემთან გორში გავეგზანე, რადგან იქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებოდი. წავედი დედასთან (გორის რ-ნ სოფ: ქვემო სობისი).
6 აგვისტოს რუსებმა იერიში მიიტანეს ქარელის რაიონის სოფლებზე: ქვემო და ზემო ნიქოზი, სოფელი ნული, ავნევი. ქართველები შემოვიდნენ სოფლების დასაცავად. რუსები ცეცხლს ცეცხლზე ხსნიდნენ. ქართველებს ცეცხლი არ გაუხსნიათ, ისინი მხოლოდ სოფელს იცავდნენ. რადგანაც რუსები არ ჩერდებოდნენ, ქართველებიც გადავიდნენ შეტევაზე. გაჩაღდა ორმხრივი სახმელეთო ბრძოლა, 9 აგვისტოს უკვე დაიწყო საჰაერო დაბომბვებიც. სოფლები ავნევი, ნული მთლიანად განადგურდა. მე ამ ბრძოლების შედეგად დავკარგე მეუღლე: დიაგო ტყემელაძე, დედამთილი - დალი ტაბატაძე, მამამთილი - იური ტყემელაძე, მული - სოფო ტყემალაძე მათ შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. არ

ვიცი ცოცხლები არიან თუ მკვდრები. 10 აგვისტოს დაიწყო საჰაერო დაბომბვები ქ. გორშიც. დაბომბვა გაჩაღდა სოფლებშიც - ქვემო სობისი, შავშვები. იძულებული გავხდი მე ჩემს მშობლებთან ერთად წავსულიყავით თავის შესაფარებად ნათესავთან ქ. კასპში.
მშობლები უკან დაბრუნდნენ სოფელ ქვემო სობისში. 11 აგვისტოს ღამის 12 სთ-ზე მუცელი ამტკივდა. ალბათ, ნერვიულობის ნიადაგზე, რადგან ჯერ ადრე იყო მშობიარობა. წამიყვანეს საავადმყოფოში კასპში, მაგრამ ექიმებმა უკან გამომიშვეს, რადგან ადრე იყო მშობიარობა. ღამის 1 საათი იქნებოდა, 12 აგვისტოა, ხალხი გარეთ იდგა, პანიკაში იყვნენ, ამ დროს გადაიფრინა ერთმა თვითმფრინავმა. იქ მდგომმა ერთმა გაიხუმრა, შეხედეთ, ხომ არ შეგეშინდათო, ეს წინადადება არ ჰქონდა დასრულებული, რომ მას მოჰყვა მეორე თვითმფრინავი უხმოდ. ჩვენ დავინახეთ მხოლოდ, რომ განათდა ყველაფერი და შემდეგ იყო აფეთქება. აფეთქდა ხიდი, რომელიც გადიოდა ცემენტის ქარხანაზე კასპში. ხალხმა თქვა, რომ მათ, თურმე, უნდოდათ ამ ქარხნის აფეთქება, რადგან რუსებს ეგონათ, რომ ქართველები 24 საათში ამ ქარხნის გადაკეთებას აპირებენო ტყვია-წამლის შესანახად. ის ქარხანა რომ აფეთქებულიყო, იმდენი ქვანახშირი იყო იქ, რომ მთელი კასპი გადაიწვებოდა და განადგურდებოდა. ჩემთვის კი ის გზა აფეთქდა, რომლითაც საავადმყოფოში უნდა მივსულიყავი სამშობიაროდ. დავურეკე დედაჩემს, ვთხოვე თბილისში წამოყვანა. თბილისში ჩამოვედით დედაჩემის დეიდაშვილთან დიღომში.
ჩემმა დამ, თეამ, რომელიც სოფელში ნულში არის გათხოვილი, ასვე ჩემს მსგავსად, თავი შეაფარა დედაჩემის სახლს სოფელ სობისში. მან დამირეკა, რომ ისინი გამოიქცნენ გორიდან თავის დასაღწევად თბილისში, რადგან გორიც იბომბებოდა. 8 აგვისტოს სოფელ ნულში ქართველები შესულან დიდი მანქანით ხალხის გამოსაყვანად, სოფელს აცარიელებდნენ, რადგანაც ქართულმა ჯარმა უკან დაიხია შუადღის შემდეგ. ჩემი სიძე ამ მანქანას გამოჰყვა. ჩემი და და სიძე სხვა დევნილებთან ერთად თბილისში ერთ-ერთ საბავშვო ბაღში შევიდნენ თავის შესაფარებლად. მეც წამიყვანეს თან. ეს იყო 13 აგვისტოს. 14 აგვისტოს ღამით მუცელი ამტკივდა. სასწრაფომ წამიყვანა სამშობიაროში. სასწრაფომ, ჩემი თხოვნის მიუხედავად, წავეყვანე მე-3 სამშობიაროში, სადაც ჩემი ახლობელი მეგულებოდა, წინააღმდეგობა გამიწია, მივყავდი მე-2 სამშობიაროში. დიდი კამათის შემდეგ, ძალიან იჩხუბა ჩემმა დამ და წაგვიყვანეს იქ, სადაც ჩვენ გვინდოდა. სასწრაფომ ჩამოგვსვა საავადმყოფოდან მოშორებით და დაახლოებით 150 მეტრი ფეხით მოგვიწია გავლა. მშობიარობის შემდეგ მიმიყვანეს მე-6 საბავშვო ბაღში. აქ ვცხოვრობ ჩემს პატარა მარიამთან და დედასთან ერთად. არის გაუსაძლისი პირობები, არ არის საკვები, ბავშვისთვის პამპერსი. მხოლოდ წითელმა ჯვარმა და თბილისელებმა მოგვიტანეს მცირე რაოდენობით ტანსაცმელი და ლეიბები. ესეც ყველას არ ყოფნის.

40. ანა (დაბადებული 1935 წ., სოფელი ტყვიავი)

ომის შესახებ ვიცოდი იმიტომ, რომ ჩემი შვილი გორის ჰოსპიტალში მუშაობს. შვილმა რამდენჯერმე მთხოვა, დამეტოვებინა სახლი და გადავსულიყავი მასთან გორში საცხოვრებლად. მე კი ვფიქრობდი, რომ ჩემს სახლში ყოფნით ჩემს სახლს მარადიორების მიერ გადაწვისგან გადავარჩენდი. 9 აგვისტოდან ტყვიავი საშინლად დაბომბეს. 13 აგვისტომდე გარეთ ვერ გავდიოდი. 13-ში, დაახლოებით, დილის 10 სათზე გავედი ქუჩაში (ზედ გზის პირას ვცხოვრობ) და წავედი ჩემი შვილის სახლის სანახავად იქვე, ტყვიავში, რომელიც სავარაუდოდ დაბომბილი უნდა ყოფილიყო. სახლი საშინელ მდგომარეობაში იყო, თვალცრემლიანი გამოვბრუნდი უკან. გზაში ღვთისმშობლის ეკლესიასთან ახლოს შემხვდა ჩემი მეზობლის, ლენას მეუღლე, ეროვნებით ოსი, რომელიც გამომელაპარაკა და მკითხა, ამ საშინელების დროს როგორ გამოხვედი, როგორ არ გეშინია მარტო ყოფნაო. საუბრისას ვერ შევნიშნე, ისე მომიახლოვდა ოსი ეროვნების ახალგაზრდა შეიარაღებული ბიჭი და თოფი მომიღერა. ჩემმა მეზობელმა ხელი მომხვია, გადამეფარა და სთხოვა იმ ბიჭს ოსურად, რომ არ ესროლა. ამ ბიჭმა გზა გააგრძელა. ჩვენ საუბარი გავაგრძელეთ. ორ-სამ წუთში გამოჩნდა წითელი მოსკვიჩი, სადაც მძღოლთან ერთად ისევ ის ოსი ახალგაზრდა იჯდა. ჩემი მეზობელი კიდევ ერთხელ გადამეფარა და დაუყვირა ოსურად, ხომ გითხარი ამ ქალს არ ესროლოო. უკმაყოფილო ოსის ბიჭი ისევ წავიდა. ამ ჩემმა მეზობელმა მიმასწავლა ბაღებზე გადასასვლელი გზა, რომ მივსულიყავი სახლში უსაფრთხოდ და რომ ოსებს არ

გადავყროდი. შიშით გადავიარე ბაღები და დავბრუნდი სახლში. ავედი მეორე სართულზე და კარი შიგნიდან ჩავკეტე. დაახლოებით დღის 12 საათზე ეზოს კარებთან გაჩერდა თეთრი მანქანა, საიდანაც გადმოვიდნენ შეიარაღებული კაცები სამხედრო ფორმაში. ფეხით შემოამტვრიეს ღობე. მათგან ორმა გადმოიღო მანქანიდან ბენზინით სავსე კანისტრა და დადგა სახლის კუთხეში. შეშინებული ჩაკუზული ვიდექი ფანჯარასთან და ისე ვადევნებდი თვალს. ერთ-ერთმა ესროლა კარებს. რადგან კარი რკინისა იყო, საკეტი ჩაიშალა და შეუძლებელი აღმოჩნდა კარის გახსნა. ამიტომ ჩაამტვრიეს ფანჯარა და შემოვიდნენ ფანჯრიდან. ერთ-ერთს გაურკვეველი ფორმა ეცვა, ვიფიქრე, რომ კაზაკი იყო. თვალცრემლიანი შევეხვეწე, არ მომკლათო, ოსი რძალი და მაზლიშვილები მყავსთქო. შემოსულმა ფორმიანმა მეორეს უთხრა ოსურად, ჯერ არ ესროლოო, მან კი გადაიგდო უკან ავტომატი და გაშლილი ხელი ჩამარტყა თავში. დავეცი და ადგომა ვეღარ გავბედე, ვერც შევძელი, რადგან ფეხი მომტეხოდა დაცემისას. შეიარაღებული კაცები შევიდნენ საძინებელში და ორჯერ გაისროლეს. მერე, ალბათ იმიტომ, რომ ვერც ფული და ვერც ოქროულობა ვერ იპოვეს, დაბრუნდნენ უკან, გაიარეს ეს ოთახი, სადაც ვეგდე და ისევ ფანჯრიდან გადავიდნენ ეზოში. ხოხვით მივაღწიე საწოლამდე და ვაი-ვაგლახით დავწექი. ფეხი საშინლად მტკიოდა. სადღაც 1 საათში ფეხი გამიწითლდა, გამივარვარდა და გასივდა. კიდევ 1 საათის მერე, დაახლოებით, ახლა კიდევ 2 რუსი ჯარისკაცი გადმოვიდა ფანჯრიდან. მე ვუთხარი რომ უკვე ფეხი მქონდა მოტეხილი და შევეხვეწე არ მოვეკალი, თან ჩემი დასიებული ფეხიც ვაჩვენე. მათ მითხრეს, რომ არ მომკლავდნენ, ისინი მხოლოდ იარაღს ეძებდნენ. რუსებს თავზე ცისფერზოლიანი ჩაფხუტები ეხურათ. მათ მალევე დატოვეს ჩემი სახლი. დაღამდა. ვყვიროდი მეზობლების სახელებს. მოგვიანებით ერთმა მეზობელმა ლია ლოლოევმა მითხრა, რომ თურმე ჩემს ძახილზე მორბოდა საშველად, მაგრამ შეიარაღებულ ოსებს მოკვლის მუქარით არ გამოუშვიათ ჩემამდე. მთელი ღამე ფეხი საშინლად მტკიოდა. მესმოდა სამხედრო კოლონის ხმა. გათენდა ხუთშაბათი. ფანჯრიდან შემომესმა ჩემი მაზლიშვილის ლამარას ხმა. თურმე აინტერესებდა ცოცხალი დავრჩი თუ არა. კარებიდან ვერ შემოვიდა და ფანჯრიდანაც ვერ გადმოძვრა. თან მითხრა, რომ მისი ძმის სახლი იწვოდა და დედა ჰყავდა გამოსაყვანი ბაღის სამალავიდან, და ამიტომ, მოგვიანებით მომაკითხავდა. თუმცა მთელი დღე აღარ გამოჩენილა. მხოლოდ პარასკევს შეძლო კიბე მოედგა და გადმოსულიყო ფანჯრიდან. მახსოვს, წყალი რომ მომიტანა, სამი ჭიქა ზედიზედ დავლიე. საჭმელი არაფერი არ გვქონდა. ახლა შაბათი: ოთხი დღის მშიერი ვარ. დღის მეორე ნახევარში გავიგე, როგორ გაჩერდა რაღაც მანქანა კარებთან. მეგონა ისევ ოსები მოვიდნენთქო და გაჭირვებით მივხოხდი ფანჯარასთან, რომ გამეხედა. დავინახე ყვითელი ავტობუსი, საიდანაც გადმოვიდა მამაკაცი და ქართულად იძახდა: გამოდით ხალხო, ნუ გეშინიათ, ჰუმანიტარული დახმარება მოგიტანეთო. ხმაც აღარ მემორჩილებოდა. ძლივას გავაგებინე, რომ ფეხი მაქვს მოტეხილი და სახლში მარტო ვარ. ეს კაცი გადმოვიდა ფანჯრიდან, ხელში ამიყვანა და გულზე მიკრული ჩამიყვანა ავტობუსამდე. ავტობუსი სავსე იყო უცხოელებით, ჟურნალისტებით. იქვე იყო ტყვიავის ეკლესიის მოძღვარი (მგონი, ანდრია ერქვა). მან თავზე ხელი გადამისვა და მანუგეშა. ავტობუში წინ იჯდა რუსი სამხედრო, მან ყველას დასანახად წამალი და წყალი მომცა. წავედით გორისკენ. გზად გავიარეთ სოფელ მარანაში, იქ დაარიგეს ჰუმანიტარული დახმარება. გორში გამისინჯეს ფეხი, პირველადი დახმარება იქ აღმომიჩინეს, მერე თბილისში ჩამომიყვანეს, და აქ ოპერაცია გამიკეთეს. ახლა პლატინის ფირფიტა მაქვს ჩადგმული. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ყველა თავს მევლებოდა. ჩემი ექიმები შადიმანი და კობა კი განსაკუთრებით შემიყვარდა.

41. ვარდიკო (დაბადებული 1929 წ., სოფელი ქვემო აჩაბეთი)

2008 წლის 7-11 აგვისტოს იყო სროლები, დაბომბვები, აფეთქების ხმები სოფელ აჩაბეთში. უშუალოდ 9 აგვისტოს ჩემი სახლის გვერდით ჩამოვარდა ბომბი და დაანგრია ირგვლივ ყველაფერი. 2008 წლის 10 აგვისტოს მე და ჩემი მეუღლე ვიმყოფებოდით სახლში, როდესაც შემოიჭრნენ ათამდე შეიარაღებული პირი, რომელთაც უკვე გაძარცვული ჰქონდათ ირგვლივ სახლები. მე და ჩემმა მეუღლემ, რადგანაც მოხუცები ვიყავით, ვერ მოვახერხეთ სახლის დატოვება, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა. 2008 წლის 11 სექტემბერს მე და ჩემი მეუღლე ვიყავით სახლში, როდესაც შემოვარდა სპორტულ

ფორმაში გამოწყობილი პირი და მოითხოვა, რომ იარაღი გადაგვეცა. ჩვენ ვუთხარით, რომ არანაირი იარაღი არ გვქონდა, შემდეგ მან ორჯერ ესროლა ჩემს მეუღლეს გიორგის, რის შედეგადაც გარდაიცვალა. იმვე პირმა მეც დამადო იარაღი და დამემუქრა, რომ მომკლავდა. მას შემდეგ, რაც მე ვთხოვე, რომ არ მოვეკალი, მან ხელი აიღო განზრახვაზე.

ოთხი დღის განმავლობაში ვიყავი ჩემს სოფელში. დღისით ვიმალებოდი სახლის უკან და ჩუმათ ვტიროდი, რომ არ გაეგო ვინმეს ჩემი ტირილი, ღამე კი მეძინა ჩემი მეუღლის გვერდით და ვყარაულობდი, რომ ცხოველი არ მიპარვოდა მიცვალებულს. მოდიოდნენ რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ სოფელში მცხოვრებ ადამიანებზე, თუმცა მიცვალებულს რომ ხედავდნენ სახლში, უკანვე ბრუნდებოდნენ. სოფლში ვიმყოფბოდით სულ ხუთი ადამიანი მე, ჩიხლაძე ალექსანდრე, თავის ავადმყოფ შვილიშვილთან ერთად, კუკური ოთინაშვილი (ეს ადამიანი იყო მუნჯი) და მისი მეუღლე ნადია მიდოდაშვილი და მე. ხუთი დღს განმავლობაში ვერ მოვახერხე ჩემი მეუღლის დაკრძალვა ინტენსიური სროლებისა და მძიმე მდგომარეობის გამო, შემდეგ კი ზემოთმითითებული ადამიანების დახმარებით დავკრძალეთ სახლის უკანა ეზოში. ჩემს თვალწინ დაიწვა ჩემი შვილი გოჩას სახლი. აგრეთვე ჩემს თვალწინ დაიწვა სოფლის ყველა სახლი. ჩვენი სახლი დაწვას გადაურჩა მხოლოდ იმიტომ, რომ მე და ჩემი გარდაცვლილი მეუღლე შინ ვიმყოფებოდით. 16-17 აგვისტოს დავტოვე სოფელი. ჯერ ცხინვალის წითელმა ჯვარმა, შემდეგ საქართველოს წითელმა ჯვარმა გადმომიყვანეს გიორში. გზად რომ მოვდიოდი ვხედავდი, რომ სოფელი ქვემო აჩაბეთი იყო მთლიანად გადამწვარი რუსი ოკუპანტების მიერ.

42. ლალი (დაბადებული 1975 წ., სოფელი ერედვი)

2008 წლის 8 აგვისტოს მივდიოდი არგვეთში (სოფელი ერედვი) დედასთან მისი მდგომარეობის გასაგებად, როდესაც შემომესმა თვითმფრინავების ხმა. შევეცადე გადამეღო აღნიშნული ფაქტი, მაგრამ ამ დროს თვითმფრინავმა სოფლის შემოგარენში ჩამოყარა ბომბები. მე შემეშინდა და ძირს დავწექი. 9 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში ისმოდა სროლები, 6:30 მთლიანად დაიბომბა სოფელ ერედვის ცენტრალური გზა, სადაც განლაგებული იყო ლიახვის ხეობიდან გადმოსული ქართული ჯარი. ცენტრალური გზის დაბომბვამდე მე ვიდექი ხეობიდან შემოსასვლელ გზასთან და ველოდებოდი ჩემს ძმას და დას თავის 3 წლის ბავშვთან ერთად. ჩემი და შვილთან ერთად გახიზნული იყო ტყეში და საკვებად იღებდა მხოლოდ ბალახს. მალე შევნიშნე ბიძაჩემი, რომელმაც მითხრა, რომ არაფერი არ იცოდა ჩემს და-ძმაზე. საუბრისას გამოჩნდა რუსული ბომბდამშენები. მათ დაბომბეს ჯერ ქრისტესიანთ უბანი (სოფელი ერედვი), სადაც დაბომბვებისას დაიღუპა ჩემი ბიძაშვილი ნინო. ამის შემდეგ თვითმფრინავებმა დაბომბეს ერედვის ცენტრალური გზა, სადაც ვიდექი მე. აფეთქების ტალღამ 3 მეტრის იქით გადამაგდო და გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი ტანზე მიწა მეყარა. გაირკვა, რომ აფეთქებისას გარდაიცვალა ორი ქალი და რამოდენიმე დაიჭრა, მათ შორის ორი ჯარისკაცი.
გარკვეული დროის შემდეგ ვნახე ჩემი ძმა, რომელიც აფეთქების ადგილისკენ მიდიოდა. მე მას უკან დავედევნე ისე, რომ თვალთახედვის არედან არ დამკარგვოდა. ამ დროს ჩემთან მოვიდა ჯარისკაცი, რომელმაც მთხოვა, რომ დაჭრილი ჯარისკაცებისათვის დახმარება გამეწია, მე მას გავყევი ჯარისკაცებთან, თუმცა ამ დრის თვითმფრინავმა დაიწყო ხელმეორედ იგივე ადგილის დაბომბვა, მე ძირს დავწექი და როდესაც ავდექი წავედი ჩემი საცხოვრებელი სახლისაკენ, გზაში შემხვდა ჩემი მული მეზობლის მანქანით, რომელმაც მითხრა, რომ თვითონ ტოვებდა სოფელს და მეც წავსულიყავი მათთან ერთად. მე არ ვიცოდი ჩემი მეუღლის ამბები, ამიტომაც უარი ვუთხარი წასვლაზე. ჩემმა მულმა მითხრა, რომ ჩემი მეუღლე მიშიკო ცოცხალი იყო და არ აპირებდა სოფლის დატოვებას. მე დედასთან ერთად ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი სოფლიდან. სოფელში დარჩნენ მამაჩემი - სპირიდონი, ჩემი ძმა მიშიკო და მეუღლე. მანქანით გვიან ღამით ჩავედით სოფელ ტყვიავში, შემდეგ კი კარალეთში. ის ღამე სოფელ კარალეთში გავათენეთ. დილით 7:30 სთ-ზე დედასთან ერთად გამვლელ მანქანას გავყევი ერედვამდე. სახლში რომ მივედი, ვნახე ჩემი მეუღლე სახლში იყო, მეუღლესთან ერთად წავედი ჩემი ძმისა და მამის სანახავად. ისინი, რომ ვნახეთ ცოცხლები იყვნენ. შემდეგ კი დაიწყო დაბომბვა არტილერიით, ჩემს ძმას და მამას შევხვდით დედაჩემის სახლში. დაბომბვების გამო დაახლოვებით 2-3 საათის

განმავლობაში ვიჯექით მეზობლის პადვალში. ამის შემდეგ 2008 წლის 10 აგვისტოს მე და დედაჩემი რუსიკო სხვა მეზობლებთან ერთად დიდი მანქანით წამოვედით სოფელ კარალეთში, შემდეგ კი ქალაქ თბილისში.

ვინაიდან რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩემი მეუღლე არ გამოჩნდა და არც ტელეფონით არ შემეხმიანა, მე შევეცადე ჩემი მეუღლის ოს ნათესავებს დავკავშირებოდი და გამერკვია მისი ამბები. მეუღლის ბიძა სულიკო, რომელიც იმ დროისათვის იმყოფებოდა ვლადიკავკასში ჩემი დარეკვისთანავე, რომ მიშიკო აღარ ჩანდა, წამოვიდა მაშინვე ცხინვალში და შემდეგ შემოვლითი გზებით (ბაღებზე) ჩვენს სოფელ ერედვში. ჩასვლისას მან ვერ ნახა ჩემი მეუღლე მიშიკო ვერც ცოცხალი და ვერც გარდაცვლილი, შემდეგ უკვე მეორედ კვლავ ჩავიდა სოფელში და ჩვენი სახლის ბაღში ნახა ჩემი მეუღლის დასახიჩრებული გვამი, რომელსაც არ ქონდა არც თავი და არც ზედა კიდურები. გვამი სულიკომ ამოიცნო სხეულზე არსებული ტატუირებული ნიშნებით. სულიკოს გადმოცემით, დასაფლავების დროს, ბაღში მას ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის გამოც თავდაპირველად ვერ მოახერხა ჩემი მეუღლის დაკრძალვა, შემდეგ კი რაღაცნაირად მოახერხა და დამარხა ჩემი მეუღლის გვამი.

43. ნატო (დაბადებული 1980 წ., სოფელი ზემო ნიქოზი)

6 აგვისტოს ჩემი მეუღლე კახასაგან, რომელიც არის სამხედრო მოსამსახურე, გავიგე, რომ ცხინვალში მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები. 8 აგვისტოს მდგომარეობის გამწვავების შემდეგ, ჩემს შვილებთან - ლეილა და მარინასთან ერთად წამოვედი ქალაქ თბილისში. 29 აგვისტომდე შვილებთან ერთად ვცხოვრობდი ცოტნე დადიანის №26. იქ არანაირი პირობები არ იყო. ანტისანიტარია იყო. 29 აგვისტოს შვილებთან ერთად დავტოვე თბილისი და საცხოვრებლად წავედით ქ. გორში თოიძის №2-ში. ვიყავი 3 თვის ფეხმძიმედ და უპირობობის და ნერვიულობის ნიადაგზე 6 სექტემბერს დავკარგე ბავშვი.

44. ლამზირა (სოფელი ტყვიავი)

დაახლოებით 9-10 აგვისტო იყო, ჩემი მეზობლები ტყვიავიდან წამოვიდნენ (ცოლ-ქმარი და ერთი შვილი - 18 წლის გიორგი), კარალეთთან დაუხვდნენ ოსები. ისინიც მანქანით იყვნენ. ჩემი მეზობლების მანქანა გააჩერეს და დაუწყეს მძღოლს ჭიდაობა, უნდოდათ ცოლი წაერთმიათ და გადაეყვანათ თავისთან მანქანაში. ოსები შეიარაღებულები იყვნენ და სამხედრო ფორმა ეცვათ. ჩემმა მეზობელმა წინააღმდეგობა გაუწია და ოსებმა ხელში დაჭრეს იარაღით. ამასობაში, როცა ჩემი მეზობლის ცოლს თითქმის უკვე მიათრევდნენ მანქანისკენ, ამათი შვილი გადმოხტა მანქანიდან და გაიქცა სიმინდებში და სანამ ამ ბიჭს მიხედეს, ცოლი დაუსხლტა ხელიდან ოსებს და ისიც გაიქცა სიმინდებში. ოსებმა რომ ნახეს, რომ მხოლოდ დაჭრილი კაციღა შერჩათ ხელში, დასხდნენ მანქანაში და წავიდნენ. ცოტა ხანში ცოლი კი გამოვიდა სიმინდებიდან დამალული, მაგრამ შვილი ვეღარ იპოვეს. ცოლ-ქმარი წამოვიდა გორისკენ და ორი დღის მერე იპოვეს გამოქცეული შვილი.

45. ნაზი (დაბადებული 1951 წ., სოფელი ნიქოზი)

სოფელ მეღვრეკისში ოსები აიძულებდნენ იქ დარჩენილ ქართველ ხანდაზმულ მამაკაცებს, გაეუპატიურებინათ მათი მეზობელი ქართველი ხანდაზმული ქალები. იყო შემთხვევა დაახლოებით 15 აგვისტოს, როცა ერთ 54 წლის კაცთან მივიდნენ, ემუქრებოდნენ, რომ გადასულიყო მეზოებელ 70 წლის ქალთან და გაეუპატიურებინა მათ თვალწინ. მამაკაცი იძულებული იყო, ეჩვენებინა ახალი ნაოპერაციები ჭრილობა (კუჭის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული) და უთხრა, რომ ვერ შეძლებდა მათი ბრძანების შესრულებას.

46. მაყვალა (დაბადებული 1968 წ., სოფელი ძევერა)

15 აგვისტოს სოფელ ბროწლეთიდან (ტირძნისის ახლოს, პატარა ლიახვის ხეობა) მოხუცმა მამამ შვილს დაურეკა, აღარ წამოხვიდე, რუსები ახალგაზრდა გოგოებს და ბიჭებს

გვთხოვენ გინდა თუ არა აქეთ გამოგვიყვანეთ, ნუ მალავთო. მოხუცი კაცი, რომელსაც თავზე დაადგნენ რუსები სამხედრო ფორმაში და ავტომატებით შეიარაღებულები, გამოუყვანიათ გარეთ, აიძულეს გაეხადა ტანზე და ასე არბენინეს ქალების გამოყვანის მოთხოვნით, თუ არა და მოგკლავთო. შემდეგ ამ კაცს გამოუტანია არაყი და ცოტა რამ საჭმელი, არავინ მყავს სახლში, ეს მიირთვით და ოღონდ ნუ მომკლავთო.

47. ზოია (დაბადებული 1948 წ., სოფელი მერეთი, პატარა ლიახვის ხეობა)

15 სექტემბერს გადავიპარე ჩემს სოფელში, რომ თუ რამე დარჩენილი იყო საჭმელი წამომეღო. ჩემი სოფლის გვერდით სოფელი დისევია, გაღმა კი ერედვი. მთელი გზა ოსები და რუსები დათარეშობენ, ახალგაზრდა გოგოებს ერჩიან. სწორედ ამიტომ ვარ აქ გორში, ჩემი გოგოების გულისთვის, რომ ისინი გადავარჩინო.

48. ეკა (დაბადებული 1972 წ., ბერულა)

ჩვენი ოჯახი გამოვიქეცით სოფლიდან 8 აგვისტოს. სოფელ დიცში შევეხიზნეთ ნათესავს. მერე გადავედით სოფელ შინდისში. მდგომარეობა იქაც გართულდა. შემდეგ გადმოვედით სოფელ ხიდისთავში და მეორე დილით ჩავედით თბილისში. ჩემს ნათესავებთან ერთად დავბინავდით ლილოს დასახლების ბაგა-ბაღში. ჩემი დედამთილი (80 წლის) დარჩა ჩვენს სოფელში. ვერ წამოვიდა, სახლს არ ტოვებდა. სოფლიდან გამოვიდა 3 სექტემბერს. ძალიან შეშინებული და განადგურებული იყო. ჩემს დედამთილზე გაუპატიურების მცდელობა იყო ჯარისკაცების მხრიდან. სახლში შეუვარდნენ, ერთმა გაიწია მასზე გასაუპატიურებლად. ჩემი დემდამთილი გაქცეულა და მერე გამოეკიდნენ. ახლაც შოკშია და მდგომარეობიდან ჯერ ვერ გამოდის. ვართ სულიერად, ფიზიკურად და მორალურად განადგურებულები.

49. ეთერი (დაბადებული 1928 წ., სოფელი ერედვი)

სულ თავიდან დამიწვეს ბინა ერედვში. სულ გამინადგურდა ყველაფერი. ერთი პატარა ნაჭრის გამოტანაც კი ვერ მოვახერხე, რაც ჩემს ახალგაზრდობაში თოხით და ბარით შევიძინე, ყველაფერი ცეცხლში ჩამიწვეს. სახლი ბეტეერებით დამიწვეს და დამინგრიეს. ოსები იყვნენ თუ რუსები, არ ვიცი ზუსტად. რუსულადაც საუბრობდნენ და ოსურადაც. მე ვიმალებოდი მეზობლის სახლში, ჩემი სახლი რომ იწვოდა. შემდეგ წავედი ჩემი ბიჭის სახლში და რა ნახა ჩემმა თვალებმა: მოდიოდნენ რუსები და ოსები და ძარცვავდნენ ჩემი ბიჭის სახლს. პარტია-პარტია მოდიოდნენ. ერთ საღამოს მოვიდნენ, ექვსნი იყვნენ, მე მათ საუბარს ვერ ვიგებდი, მაგრამ მიმახვედრეს, წადი აქედანო. ავტომატები დამიმიზნეს. მაჩვენეს, როგორ დაუმიზნეს ჩემს ძაღლს, რომელიც კარებში იდგა და მოკლეს. მიმითითეს, შენც ასე მოგკლავთო. ორი ავტომატი დაახალეს მას. მერე მე დამიმიზნეს. მე ავეფარე კედელს უცებ. მე ამცდა და კედელს მოხვდა ტყვიები. კედლის ნამტვრევები ზედ გადამეყარა. შემდეგ გამოვიქეცი. ხუთი დღე და ღამე საღორეში ვიწექი. ერთი კვირა მშიერი ვიყავი. მერე გავიპარე მეზობელთან, მაგრამ იმათ სახლშიც შემოვიდნენ. კონდახების რტყმევით გამოგვყარეს სახლიდან. ეს იყო სონიას სახლი. ახლა არ ვიცი სად არის. სონიასთან ერთად მუცელზე ხოხვით წავედით ბაღებისკენ. მთელი ღამე გვაწვიმდა. გარიჟრაჟზე სონია დავტოვე და გამოვიქეცი. ის ბაღში შევიდა და მერე არ ვიცი საით წავიდა. ერედვის შუა მინდორი, ტრიალი მინდორი გადავირბინე ფეხშველა. ჩავედი სოფელ დიცში. იქ გზა ამერია და ვიკითხე, როგორ გავალო გზაზე. გავედი გზაზე და მანქანა (მარშრუტკა) გამოჩნდა, გავაჩერე, შევეხვეწე ფული არ მაქვს და წამიყვანეო. სოფელ ტირძნისში ჩავედი. მივედი ნათესავის სახლში, მაგრამ არავინ დამიხვდა. ყველანი გახიზნულები დამხვდნენ. იქ ერთ მეზობელს შევეცოდე, გამომიტანა ფეხსაცმელი და თბილი რეიტუზი. ახლაც ის რეიტუზი მაცვია. წამოვედი გორამდე (გამომყვევი რაღაც ავტობუსს, იმასაც შევეხვეწე ფული არა მაქვსო და წამომიყვანა). გორის ბაზარს წრე შემოვუარე რამდენჯერმე. ნათესავს ვეძებდი, რომელიც ადრე იქ მუშაობდა. როგორც იქნა ვიპოვე. მან სახლში თავისთან წამიყვანა. ამ ხნის მანძილზე, მე დაკარგული ვიყავი ჩემი ოჯახისთვის, რომელიც უკვე თბილისში იყო და თურმე მეძებდნენ. ძებნა იყო ჩემზე და ბოლოს მიპოვეს. ჩემი სოფელი მთლიანად გადაბუგულა.

50. ელზა (დაბადებული 1969 წ., სოფელი თამარაშენი)

ომის დაწყების შესახებ ინფორმირებულები არ ვიყავით. სროლები ცხინვალის მხრიდან ჩვენთვის ბოლო წლები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 9 აგვისტოს სოფელში შემოვიდა რუსეთის ჯარი. მაშინ მივხვდით, რომ საქმე სერიოზულად ცუდად იყო. მე, ჩემმა ქმარმა და მამამთილმა რამდენჯერმე ვცადეთ სოფლიდან გაპარვა, მაგრამ უშედეგოდ. სოფლიდან გასასვლელები ოსებს და რუსებს ჰქონდათ დაკავებული. კიდევ კარგი, რომ ჩემი ბავშვები (ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს) ორი დღით ადრე გაგზავნილი მყავდა სტუმრად მამიდასთან ბოლნისში. იმ დღეს მეზობლები ლიახვის გავლით აპირებდნენ გამოქცევას, მე მეზობლებთან ერთად გავედი ლიახვზე. ქმარი და მამამთილი სახლში დარჩნენ. მაგრამ, ლიახვი ძალიან ადიდებული იყო. მე შემეშინდა და უკან დავბრუნდი. მერე გავიგე, რომ ამ დროს ერთი ქალი გაუტაცია მდინარეს და დამხრჩვალა. უკან რომ დავბრუნდი სახლში, საგულდაგულოდ დავმალე გასაქცევად გამზადებული ჩანთები, რომ ვინმე არ მოსულიყო და არ მიმხვდარიყო, რომ გაქცევას ვაპირებდით. რუსებმა და ოსებმა დღისით დაიწყეს სახლების დაწვა. ჯერ ჩვენს სახლამდე არ იყვნენ მოსულები. გავედი ეზოში და დავინახე, როგორ გარბოდნენ ჩემი მეზობლები: თამრო და გრიშა. ვკითხე, რატომ გარბიხართ-მეთქი. მათ მიპასუხეს, რომ საღამოს 6 საათისათვის რუსები დაბომბვას აპირებენ და სადმე კარგად აშენებულ სახლში გვინდა დავიმალოთო. მე ავუხსენი, რომ ჩვენი სახლის სარდაფი გამძლე იყო და შიგნით შემოვიპატიჟე. მშივრები იყვნენ. ვისადილეთ და მოვემზადეთ სარდაფში ჩასასვლელად, მაგრამ აღარ დაგვცალდა. სადღაც 5 საათისათვის ეზოდან ხმაური მოგვესმა, გავიხედე ბაღში და დავინახე იარაღმომარჯვებული ოსები. ისინი ყვიროდნენ – გარეთ გამოდით, ნუ გეშინიათ, არაფერს დაგიშავებთო. ამ სიტყვებმა გამათამამა და გარეთ გავედი. მკითხეს სახლში ვინ ვიყავით. მე დაუფიქრებლად ჩამოვუთვალე ყველას სახელი და გვარი, ვინც კი ვიყავით სახლში. აღმოჩნდა, რომ შეიარაღებულ პირებს ეძებდნენ და მათი გამოყვენა მომთხოვეს. მე ვუთხარი, რომ აქ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა ვიყავით და შეიარაღებული არავინ გვყავდა. ამასობაში სახლში დარჩენილები ყველანი დაბლა ჩამოვიდნენ. ჩემს ქმარს მაშინვე დაუწყეს ცემა კონდახებით. შიშისაგან კივილი ავტეხე და არ ვიცი ამან იმოქმედა, თუ რა იყო, ცოტა ხნით შეჩერდნენ. სახლში ამ დროს სამი ოსი ავიდა და დაიწყო ჩხრეკა. იარაღს ეძებდნენ. მეც დამიძახეს. რომ ავედი საშინელი სანახაობა დამხვდა. მთელი ავეჯი და ნივთები გადმოყრილი იყო. ოთახში, კარადის უკან მქონდა სანადირო თოფი დამალული, რომ ბავშვებს არ მიეგნოთ. ჩემი ხელით გამოვუტანე და მივეცი. ისევ დაიწყეს ავეჯის გადმოყრა, სულ დალეწეს ყველაფერი. მე ვეღარ გავუძელი და დაბლა ჩავედი. ჩემს მაგივრად მამამთილი ავიდა ზევით. ცოტა ხანში უკან ჩამოვიდა და მითხრა: ლოგინებს ცეცხლი წაუკიდეს, მე არ მიშვებენ, იქნებ შენ როგორმე ჩააქროო. ელვის სისწრაფით გავიქეცი ზემოთ, მინდოდა ჩამექრო ცეცხლი. მაგრამ, მომიტრიალდა ის კაცი, ვინც ცეცხლი მოუკიდა და თოფის ლულა გულზე მომაჭირა. რა გაეწყობოდა, ჩამოვბრუნდი უკან. ახლა ჩემს ქმარს დაუწყეს ლაპარაკი. ისე ქართულად გველაპარაკებოდნენ, მაგრამ ოსური აქცენტით. მათ ჯერ თოფი ჩვენს ავტომანქანა 'ნივას' მიუშვირეს, ალბათ უნდოდათ აეფეთქებინათ. მერე ჰკითხა ქმარს, კარგად დადისო? და მისგან თანხმობა რომ მიიღო გადაიფიქრა. ამის შემდეგ ჩემს ქმარს მიუშვირა თოფი. მე შიშის შეგრძნება საერთოდ დამეკარგა და გადავეფარე ქმარს. ოსმა ცოტა ხანი გვიყურა და დაუშვა შემდეგ იარაღი. რამდენიმე წუთში ყველა გაგვიყვანეს და გაგვამწკრივეს სიგრძეზე. ვხედავდი, როგორ წვავდნენ მეზობლის სახლებს. ერთმა უცებ მოიმარჯვა თოფი, მოიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კონდახი ჩაარტყა თამროს. შიშისა და ტკივილისაგან თამარი მანქანას მიეყუდა. ახლა ჩემს მამამთილს მიუბრუნდნენ და ნეკნებთან ჩაარტყეს. ის იქვე დაეცა, თავი ქვას დაარტყა და თვალები დარჩა ღია. მეგონა მოკლეს. ყველანი ერთად მივცვივდით. იმ წუთას ყველა სიკვდილს შეგუებული ვიყავით. მხრებში ამოვუდექით ჩემს მამამთილს მე და ჩემი ქმარი და ძლივას წამოვაყენეთ. ხუთ წუთში თვითონაც გონს მოვიდა. ოსებმა გაგვრეკეს მინდორზე. თან თხრილის პირად გვატარებდნენ. ხანდახან მოგვატრიალებდნენ ხოლმე და ცეცხლში გახვეულ სოფელს გვანახებდნენ. ყოველი გაჩერებისას გვეგონა, რომ დაგვხოცავდნენ და იმ თხრილში ჩაგვყრიდნენ. უკვე იმდენად აღარ გვეშინოდა, რომ ჩვენ თვითონ ვეუბნებოდით, აიღეთ და დაგვხოცეთო. ასეთი უბედურებით ჩაგვიყვანეს თამარაშენში ხუთსართულიან შენობებთან. იქ დაიწყეს ჩვენი

ჩხრეკვა. კაცებმა გაგვჩხრიკეს, მაგრამ შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ. თვითონვე გვითხრეს, რომ ყველაფერი მოგვეცით, თორემ თქვენს თავს მერე ქალებსაც გავაჩხრეკინებთ და მერე ნახეთ, რაც მოგივათო. ერთი ოქროს საყურეები მქონდა და მივეცი. ასევე ყველას ჩამოგვართვეს მობილურები. ჩემს მამამთილს მიყენებული ტრავმის გამო ცუდათ ესმოდა და ვერ გაიგო, როცა მოსთხოვეს მობილურის ჩაბარება. შემდეგ ჩხრეკისას უპოვეს და კიდევ ერთხელ სცემეს. ამის მერე წაგვიყვანეს ცხინვალში და მიგვიყვანეს ცხინვალის 'შვდ'-ს შენობაში, ცენტრალური აფთიაქის წინ. შენობას ზედ ეწერა 'МВД'. იქვე იყო მათი პოლიციის უფროსი. შეგვიყვანეს შენობაში და ხელახლა გაგვჩხრიკეს. წამლებიც კი წაგვართვეს. მეორე დილას წაგვიყვანეს შენობის დასალაგებლად. დალაგების დროს მესამე სართულის ერთ-ერთ ოთახში დავინახე ჩვენგან ჩამორთმეული ვალოკორდინი – იქვე ეყარა მაგიდაზე. მოვიპარე და რომ მოვრჩი დალაგებას, უკან ჩავიტანე ქალებთან, რადგან თითქმის ყველას, გადატანილის გამო, გული გვაწუხებდა. სამი დღის განმავლობაში არაფერს არ გვაჭმევდნენ. მერე იყო წყალში მოხარშული წიწიბურა. ფერისცვალებაზე (19 აგვისტო) მოვიდა მღვდელი და წყალი მოგვიტანა. ახალგაზრდები განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ტყვეობაში. მათ მკვდრებსაც ამარხინებდნენ ღამ-ღამობით და ცემდნენ კიდევაც. ჩემს ქმარს და მამამთილს უფრო მეტად ცემდნენ, რადგან ოსური გვარი აქვთ და ოსური არ იციან, და რატომ არ იცით ოსურიო. თან ეუბნებოდნენ-თქვით, რომ გადაცმული სამხედრო პირები ხართო. პირობები საშინელი იყო. დაბლა გვეფინა ერთი ადიალა და ასე ვიწექით ბეტონზე.
ტყვეობიდან გავთავისუფლდი 21-22 აგვისტოს. 23-ში მამამთილი გაათავისუფლეს, ხოლო 28-ში ჩემი მეუღლე. ჩემს მეუღლეს მკვდრებს არ ამარხინებდნენ, მას მხოლოდ ტვირთს აზიდინებდნენ და ალაგებინებდნენ. ცხინვალიდან გამოყვანისას წინ მოგვიძღვებოდა ოსების და რუსების მანქანები, ჩაგვიყვანეს გორში და გადაგვცეს ქართველებს. იქ პირველადი დახმარება აღმოგვიჩინეს და წამოვედით თბილისში.

51. სონია (დაბადებული 1948 წ., სოფელი ხეითი)

2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო დაბომბვები. 8 აგვისტოს საღამოს 06:30 საათზე მთელი ოჯახი, ჩემს გარდა, წავიდა თბილისში. 8 აგვისტოს ღამე შემოვიდა რუსეთის ჯარი. სოფელში დავრჩით სამი მოხუცი მე, თამარი და მარიამი. რუსები და ოსები ძარცვავდნენ ამიტომ ჩვენ ხიდის ქვეშ ვიმალებოდით, შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ტყით გადავსულიყავით დიცში. როდესაც ვიყავით ერედვში, გზაზე შემოგვხვდა ოსი ბიჭი ავტომტით ხელში. მან გვითხრა, რომ ცხინვალში უნდა წავეყვანეთ, აგრეთვე თქვა, რომ გერეთის ხეობიდან იყო. ის ქართულ ენაზე გველაპარაკებოდა. ჩვენ მის შემოთავაზებაზე უარი ვთქვით. როდესაც დიცში ჩავედით, ერთი ღამე ქუჩაში გავატარეთ. 9 აგვისტოს დილით ბაღებზე ერთი კაცი შეგვხვდა, რომელსაც შალვა ერქვა (გვარი არ მახსოვს). შალვამ 10 დღე თავის სახლში წაგვიყვანა და ამ დროის განმავლობაში ის გვარჩენდა.
19 აგვისტოს სოფელში შემოვიდა წითელი ჯვარი და მათ გამოგვიყვანეს დიციდან. ამის შემდეგ წამოვედი თბილისში.

52. რუსუდანი, (დაბადებული 1931 წ., სოფელი თამარაშენი)

2008 წლის 6 აგვისტოს დაიწყო დამომბვები. 7 აგვისტოს ჩემმა შვილმა ემზარმა სოფლიდან გაიყვანა ოჯახის წევრები, ხოლო შემდეგ კი სოფლის ბავშვები. ჩემთვის შემობრუნება ვეღარ შეძლო, რადგან გზები უკვე გადაკეტილი იყო. სოფელში პანიკა ატყდა, ამიტომ ცენტრალურ გზაზე გასვლა გადავწყვიტე. გზაში რუსი სამხედროები და ოსები შემხვდნენ, რომელთაც ცენტარალურ გზაზე მყოფი ხალხი ჩვენს სოფელში მდებარე საქართველოს ბანკის საცავში წაგვიყვანეს. საცავში ოსი მოკვლით გვემუქრებოდა, ამიტომ ქალებმა კივილი დავიწყეთ, ხმაურზე რუსი ჯარისკაცი შემოვიდა და ოსი გააჩერა, შემდეგ კი გვითხრა რომ ჩვენი თავებისთვის გვეშველა.
ჩვენ ლიახვის პირს დავყევით, რომ უსაფრთხო ადგილას მივსულიყავით. თამარ გაგნიძე ლიახვის გადაცურვის დროს დაიხრჩო, ხალხი შეშინდა, ამიტომ ტყით გასვლა გადაწყვიტეს. მოხუცები სხვებს ჩამოვრჩით, ამიტომ სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ. სახლი

გადამწვარი დამხვდა და თავი მეზობლის სარდაფს შევაფარეთ. სარდაფში ოთხნი ვიყავით: მე, ვენერა, ნადია და ირაკლი. სარდაფში 5 დღე დავყავით. ჩვენს თვალწინ გაიძარცვა სოფლში ყველა სახლი და შემდეგ დაიწვა ოსების მიერ.
დაახლოებით, 12 აგვისტოს, ავტომანქანა ვილისით სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ოსები მოვიდნენ სოფელში და მოტყუებით ცხინვალის "კაპეზეში" წაგვიყვანეს.
5 დღე ცხინვალში დავყავით. იყო ორჯერადი კვება: უშაქრო ჩაი და წიწიბურა. კაცები გაჰყავდათ და ნაცემები შემოყავდათ, მათი თქმით, რუსები გარდაცვლილებს ამარხინებდნენ. ოსები ქართველ მამაკაცებს ხეებზე აბამდნენ და ისე ცემდნენ. ტყვედ ასამდე ადამიანი ვიყავით. რუსები გვეუბნებოდნენ, რომ არ მოგვკლავდნენ, რადგან ოს და რუს ტყვეებთან გასაცვლელად ვჭირდებოდით.
დაახლოებით 18 აგვისტოს მოხდა ტყვეთა გაცვლა. წამოგვიყვანეს მხოლოდ ქალები. არ მახსოვს რამდენი ავტობუსი გამოვიცვალეთ, მაგრამ ავტობუსმა, რომელმაც თბილისში ჩამოგვიყვანა, წითელი ჯვრის იყო.

53. ნინო (დაბადებული 1949 წ., სოფელი ერედვი)

ომის დაწყების შესახებ ინფორმირებული არ ვიყავი. 7-ში ჩემს ეზოში ბომბი ჩამოვარდა. ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. მე მარტო ვცხოვრობდი ერედვში. შემდეგ სროლამ და აფეთქებებმა მოიმატა. დავტოვე სოფელი და ჩამოვედი ფეხით ტირძნისში. იქ უცხო ოჯახს მივეკედლე. 5 დღე იმათთან ვიყავი. შემდეგ მათ პურის ფქვილი გაუთავდათ. ვიფიქრე, გინდა შიმშილით მოვმკვდარვარ და გინდა ტყვიით-მეთქი და წავედი ჩემს სოფელში. სოფლის შესასვლელში რუსული პოსტი იყო, მაგრამ გამატარეს. სახლში მივედი. სახლიდან ავიღე იმდენი პურის ფქვილი, რის წამოღებასაც შევძლებდი და გაჭირვებით წამოვედი უკან. მშვიდობით დავბრუნდი ტირძნისში. ის პურის ფქვილი ცოტა ხანს გვეყო. როდესაც გათავდა, ისევ გადავწყვიტე ჩემს სოფელში წასვლა, მაგრამ გზაში შემხვდა ჩემი მეზობელი და მითხრა შენი სახლი დაწვესო, გამოვბრუნდი და დავბრუნდი უკან. იმის მერე აღარც მიმიხედია იქითკენ. ჩემი დამწვრი სხლის ნახვა აღარ მინდა.

54. ეთერი (დაბადებული 1959 წ., სოფელი ერედვი (ბერულა))

ომის დაწყების შემდეგ 8-ში ჩვენს სოფელში უკვე ოსები შემოვიდნენ. მე და ჩემი მეუღლე მიხეილი წამოვედით სოფლიდან და ცოტა ხნით სოფელ დიცში ჩვენს ნათესავებს შევაფარეთ თავი. ერთი კვირის შემდეგ ისევ დავბრუნდით სოფელში. ვიფიქრეთ, რომ ასე ჩვენს სახლს უფრო დავიცავდით. რუსების ორი პოსტი გამოვიარეთ: ერთი დიცთან და მეორე ჩვენი სოფლის (ერედვის) შესასვლელთან. ორივეგან გაგვატარეს. დავბრუნდით ჩვენს სახლში. სახლი ჯერ ხელუხლებელი იყო. სოფელში ვიყავით სულ 4 დღე. ამ დღეების განმავლობაში სულ იყო სროლები. თითქმის ყოველ დღე მოდიოდნენ სახლის გასაჩხრეკად. როგორც წესი, იყვნენ ოთხნი. აქედან 3 ოსი და ერთი რუსი ჯარისკაცი. იარაღს ეძებდნენ და კითხულობდნენ ვინ ვიყავით და სამხედრო ხომ არავინ გვყავდა ოჯახში. ამ დროისათვის სოფელში ცოტა მაცხოვრებელი კიდევ იყო შემორჩენილი, იმ იმედით რომ სახლები გადაერჩინათ. ღამე ჩვენს სახლში გათენების გვეშინოდა და ღამე მეზობლის (შოთას) დამწვარ სახლს ვაფარებდით ხოლმე თავს. დღისით ისევ სახლში ვბრუნდებოდით, მაგრამ გარეთ გამოსვლა უკვე ძალიან საშიში იყო, დაძაბულები ვიყავით. პურის გამოსაცხობად გარეთ გასვლაც კი საშიში იყო, მაგრამ რა მექნა, არსებობა ხომ გვინდოდა. მოსავალი და ხილი არა გვქონდა. რაც მოსავალი მოვიდა, თვითონ დაკრიფეს და წაიღეს ბაღებიდან.
დადგა 18 აგვისტო. ჩვენი სახლის ძალიან გვეშინოდა არ დაებომბათ, ამიტომ ისევ მეზობლის დამწვარ სახლში გადავედით. ჩემს ქმარს უნდოდა უფრო საიმედო სახლი მოგვეძებნა და ეზოდან გავიდა, მეც უკან მივყვებოდი შორიახლოს. ეზოდან არ ვიყავი ჯერ გასული, რომ დავინახე როგორ გამოეკიდნენ ოსის ბიჭები ჩემს მეუღლეს. მე შემეშინდა და უკან შევბრუნდი. ის ღამე შიშისაგან გარეთ აღარ გამოვსულვარ და იმ სახლში გავატარე. მეორე დღიდან დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე. იმ დღეს შოთა რომ მოვიდა, მითხრა, შენს სახლს წვავენ და არ გახვიდე, არ მოგკლანო. მეც დავრჩი. ამ სახლის ეზოდან ჩემი სახლის დანახვა შეიძლებოდა ასე, რომ საკუთარი თვალით დავინახე სახლთან გაჩერებული "ზილი" და მსუბუქი მანქანა "ვაზ 24." პატარა მანქანით ქალები იყვნენ

სამოქალაქო ფორმაში, ხოლო დიდი მანქანით სამხედროები იყვნენ. სახლი დაახლოებით დილის 10 საათიდან 4 საათამდე იძარცვებოდა. გამოიტანეს და მანქანას დაუდეს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც დაეტია. მსუბუქი მანქანით ხალიჩები და, მგონი, ჭურჭელი წაიღეს. პიანინო ვეღარ დაუდეს და იქვე ეზოში დაწვეს. ეზოშივე დაწვეს ჩვენი კუთვნილი ავტომანქანაც. შემდეგ სახლსაც წაუკიდეს ცეცხლი. საშინელება იყო საკუთარი სახლიდან ამომავალი ბოლის ყურება. მაგრამ შიშისაგან ვერც მივედი და ჩაქრობაც არ მიცდია. 3 დღე იწვოდა ეს სახლი. ეს დღეები სულ შოთას სახლში ვიყავი. მას სიძე ოსი ჰყავს და ის გვიზიდავდა საჭმელს. სამი დღის შემდეგ გავბედე სახლში მისვლა. პირველი სართულის სამზარეულოს ნაწილი გადარჩენილი დამხვდა. რაც ჭურჭელი დარჩათ წასაღები, ერთ დიდ ქვაბში ჩავალაგე და შევინახე სათონეში, ვიფიქრე დავმალავდი. ცოტა ხანი გავჩერდი სახლში, მაგრამ საღამოსკენ ისევ მეზობლის სახლში დავბრუნდი. იმავე საღამოს ჩემს სახლში ისევ შევიდნენ ოსები, ის ქვაბიც გაიტანეს და სახლიც ხელახლა დაათვალიერეს, ალბათ, ისიც წაიღეს, რაც სხვებს წასაღები დარჩათ. სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა სოფელში გაჩერება. წამოსვლისაც მეშინოდა. თან იმედი მქონდა ჩემს ქმარს სადმე ვიპოვიდი, ან ამბავს გავიგებდი. ბოლოს, 24 აგვისტოს გავბედე და ერთ მეზობელ კაცთან ერთად წამოვედი. სოფლიდან ფეხით ვიარეთ სოფელ დიცამდე. 3 დღე იქ გავჩერდი ნათესავებთან და სამი დღის შემდეგ ჩემმა შვილმა შეძლო და ჩამომაკითხა და წამომიყვანა. ჩემი ქმრის შესახებ ინფორმაცია მივაწოდე წითელ ჯვარს, კიდევ რამდენიმე არასამთავრობოს, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არანაირი ინფორმაცია მასზე არ არის.

55. თინა (დაბადებული 1956 წ., სოფელი ტყვიავი)

თინას ომის პერიოდში ოჯახი არ მიუტოვებია, რადგან, როგორც სოფელში ამბობდნენ, გოგონებს აუპატიურებდნენ. თინა იყო სახლში თავის მძახალთან ერთად, მისი მეუღლე და მაზლი უკან ბაღში იმალებოდნენ.
4 თავმდამსხმელი შემოვიდა სახლში, ისინი მათ აგინებდნენ და მანქანის გასაღები სთხოვეს, მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, თუმცა, ვინაიდან მანქანას აკუმულატორი არ ჰქონდა, ისინი გაბრაზდნენ, მანქანას წიხლების რტყმევა დაუწყეს, საქარე მინა ჩაამტვრიეს.
ერთმა ოსმა დამტვრეული ქართულით უთხრა, რომ მას ქართველებმა დედა მოუკლეს და შემდეგ დაზარალებულს დედა შეაგინეს. თავდამსხმელებმა დაზარალებულის შვილების ძებნა დაიწყეს. დაზარალებულმა მათ უთხრა, რომ მისმა შვილებმა გაქცევით უშველეს თავს, რის გამოც, თავდამსხმელები გაბრაზდნენ და ირგვლივ ყველაფერი დალეწეს, ხოლო თინა შეათრიეს სარდაფში და გააუპატიურეს, რის შემდეგაც დატოვეს სახლი.
ამის შემდეგ მოვიდა მეორე პარტია, მხარზე ჰქონდათ თეთრი ლენტი. სახლი გაძარცვული რომ ნახეს წავიდნენ, 10 მეტრი რომ გაიარეს, ერთ-ერთი მობრუნდა, მას "ლიმონკა" ეჭირა ხელში და მისი აფეთქება სურდა. ის-ის იყო უნდა გაეაქტიურებინა, რომ დაზარალებული მას ხელში სწვდა ემუდარებოდა არ აეფეთქებინა ლიმონკა. თავდამსხმელმა დაზარალებული სარდაფში შეაგდო, დამალვა უბრძანა და წავიდა.
ამის შემდეგ მოვიდა მე-3 პარტია, ეს იყო რუსი, დაზარალებულმა გარეგნული იერით იცნო, გარდა ამისა, ის რუსულად იგინებოდა და მას ეცვა რუსული ფორმა. თინა იდგა კარებში და ტიროდა. თავდამსხმელმა სახლი დაათვალიერა, საგნები დაამსხვრია და სახლი დატოვა, თუმცა მან მთელი უბანი ააწიოკა.
მარადიორები 14 აგვისტოს შემდეგ საშინლად თვრებოდნენ და ქალებს აუპატიურებდნენ, სოფელში დარჩენა გაუსაძლისი იყო, რის გამოც დაზარალებულმა დატოვა სოფელი და ჩავიდა თბილისში.

56. გულნარა (დაბადებული 1934 წ., სოფელი ტყვიავი)

ხალხი სოფლიდან მიდიოდა. მე არ გამიგია, რომ მდგომარეობა ასე გამწვავდა. ჩემი მეუღლე მიშა თბილიში არ წამყვა, მან მითხრა, რომ სახლში მირჩევნია სიკვდილი, ვიდრე სხვაგან წავიდეო.
ერთ დღეს ჭიშკარი ჩაკეტილი გვქონდა, ჩემი მეუღლე და მისი ძმა აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ, ჭიშკრის ბრახუნის ხმა გაისმა. ავტომატებით ჩაცხრილეს ჭიშკარი და შემდეგ მუხაც ესროლეს. ითხოვდნენ ოქროს და ფულს. მე დავუძახე, რომ არ დაგვხოცოთ ჩვენც

ცხინვალელები ვართთქო. იყო ორი ოსი და ქართულად ესაუბრებოდნენ ჩემს მეუღლესა და მაზლს. მე მკითხეს ავტოფარეხი სად გაქვსო. მე წავიყვანე და რკინის ნაჭერით კარები გავაღებინე, წაიყვანეს ჟიგულის მარკის მანქანა გაზ_21_07 და სახნავი ტრაქტორი და თავიანთ მანქანაზე დადეს. როდესაც ავტოფარეხში ვიყავით გაისმა აფეთქების ხმა, როდესაც ამოვედი დავინახე, რომ ჩემი მეუღლე და მაზლი სისხლში იყვნენ ამოთხვრილები. სანამ ის ორი ოსი გავიდოდა, შემოვარდა ხუთი-ექვსი პირი და მთელ სახლში დარბოდნენ, ალბათ, რაღაცას ეძებდნენ. შემდეგ კი მათ გაყვნენ.
5 დღის განმავლობაში ვერ დავასაფლავე, შემდეგ კი ქართველებმა, რომლებსაც არ ვიცნობდი, დამასაფლავებინეს. შემდეგ კი ჩემი ვაჟი საპატრიარქოს ხალხთან ერთად მოვიდა და წამიყვანეს.

57. მადონა (დაბადებული 1978 წ., სოფელი ტყვიავი)

2008 წლის 6 აგვისტოს დაიწყო დაბომბვები, რიგორც საჰაერო, აგრეთვე საარტილერიო. 7 აგვისტოს ჩემი მეუღლე კობა გამოიძახა სოფლის გამგებელმა და გადასცა უწყება ჯარში წასაყვანად. 9 აგვისტოს მე და ჩემი დედამთილი წაგვიყვანა ჩემმა მულის შვილმა თავისი სიდედრის სახლში სამთავისში, შემდეგ კი წავედით ტაბახმელაში.
ტაბახმელაში ჩასვლისთანავე დავურეკე ჩემს მეუღლეს და მან მითხრა, რომ სახლში დაბრუნებას აპირებდა. 11 აგვისტოს ის სახლში დაბრუნდა იმ მიზეზით, რომ ჯარში უთხრეს, ჯერჯერობით არ გჭირდებითო. 12 აგვისტოს დილით დავურეკე ჩემს მეუღლეს და მან თქვა, რომ რუსეთის ჯარი უკვე სოფელში იყო, მაგრამ ხალხს და სოფელს არაფერს ერჩოდნენ. იმავე დღეს დღის 5 სთ-ზე ისევ დავურეკე ჩემს მეუღლეს, მაგრამ ყურმილი დედაჩემმა აიღო, ის შველას ითხოვდა, სიძე მომიკლესო, იძახდა.
გადმოცემით, ჩემი მეუღლე სახლში მარტო იყო, რომ მოკლეს. მეზობლებმა ნუკრი და ვალომ, როდესაც ავტომატის სროლის ხმა გაიგეს, ქუჩაში გამოვიდნენ და ჩემი მეუღლე უკვე გარდაცვლილი დახვდათ. ჩემმა მეზობელმა ლეილამ დაურეკა მამაჩემს და შეატყობინა ჩემი მეუღლის გარდაცვალების ამბავი. როდესაც მამაჩემი სახლში მივიდა, ჩემი მეუღლის ცხედარი სახლში შეიტანა, ტანსაცმელი გამოუცვალა, რადგან მთლიანად სისხლში იყო ამოსვრილი, შემდეგ გარეთ გავიდა, რადგან კარების გაღება სურდა. ქუჩაში ორი ოსი მოდიოდა. მამაჩემმა მოუყვა მომხდარის შესახებ. მათ უთხრეს, რომ შენ თვითონაც გარეთ გამოდიო, ისინი მის მოკვლას აპირებდნენ, ერთ-ერთმა კიდევაც დაუმიზნა ავტომატი, მაგრამ მეორემ ოსურად უთხრა, არ მოკლაო და თავი დაანებეს. ოსები უკან გამობრუნდნენ და შამილი მოკლეს, რომელიც გზაზე შეხვდათ. მათ ეცვათ სამხედრო ფორმა და ხელზე თეთრი ლენტები ჰქონდათ შემოკრული.
13 აგვისტოს დილით, მამაჩემი თავის სახლში წავიდა, მაგრამ საღამომდე დაბრუნება ვერ მოასწრო, რადგან სოფელში რუსეთის ჯარი და მძიმე არტილერია იყო შემოსული. მამაჩემი ჩემს სახლში დაახლოებით ათი საათისთვის მივიდა და მეზობლებს საფლავი უკვე გათხრილი ქონდათ. 12 სთ-ზე ჩემი მეუღლე დაასაფლავეს. მამაჩემი ჩემს სახლში 15 აგვისტოს დაბრუნდა, სახლი მთლიანად არეული იყო. მძარცველებს წაეღოთ გაზის ბალონი და ოქროს ბეჭედი.
ჩემს სახლში, ტყვიავში დავბრუნდი 20 სექტემბერს, რადგან ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან 40 დღე გადიოდა. ჩემმა დედამთილმა არ იცოდა თავისი შვილის გარდაცვალების შესახებ და მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც სოფელში ჩავედით. 22 სექტემბერს დავბრუნდით ტაბახმელაში. 25 სექტემბერს ჩემს დედამთილს ინფაქტმა დაარტყა. მას შემდეგ კიდევ მეორედ დაარტყა ინფაქტმა ჩემს დედამთილს. დაწვენილი გვყავდა ქალაქ თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოს რეანიმაციაში, ხოლო შემდეგ მელიას კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაში. 14 სექტემბერს წამოვიყვანეთ სოფელში, ხოლო 15 სექტემბერს ჩემი დედამთილი გარდაიცვალა.

# თავი II

# ხელისუფლების წარმომადგენელთა ისტორიები

## ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებები[3] ევაკუაციაზე

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ[4] მოამზადა ანგარიში, რომელიც მოიცავს 2008 წ. საომარი მოქმედებების დაწყებამდე მიმდინარე პროცესების, წინასაომარი მზადების, ომის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ ვრცელ ანალიზს. ანგარიშში აღწერილია მოქმედებების ქრონოლოგია, ოპერაციათა მასშტაბი და მსხვერპლი ქართული მხრიდან. გამოვლენილია ხარვეზები საქართველოს ხელისუფლებაში, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის წარმოებასა და მართვაში, ასევე სამხედრო მენეჯმენტში არსებული მნიშვნელოვანი ჩავარდნები.

კომისიამ მოუსმინა შემდეგ თანამდებობის პირებს[5] (მოსმენების ქრონოლოგიის მიხედვით):

1. გელა ბეჟუაშვილს (საგარეო დაზვერვის სამსახურის თავმჯდომარე);
2. ეკატერინე ტყეშელაშვილს (საგარეო საქმეთა მინისტრი);
3. თეიმურაზ იაკობაშვილს (სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში);
4. ალექსანდრე ლომაიას (უშიშროების საბჭოს მდივანი);
5. მამუკა ყურაშვილს (სამშვიდობო ძალების სარდალი);
6. ზაზა გოგავას (საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი);
7. დავით ტყეშელაშვილს (სახელმწიფო მინისტრი რეგიონალური მართვის საკითხებში);
8. ზაზა გოროზიას (სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი);
9. ლადო ვარძელაშვილს (სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში);
10. ალექსანდრე კვიტაშვილს (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი);
11. ლადო გურგენიძეს (ყოფილი პრემიერ-მინისტრი);

---

[3] რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ანგარიში და სხდომათა სტენოგრამები (2008 წ. ნოემბერი-დეკემბერი) http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1322&info_id=22162.

[4] რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა: დავითაია პაატა - თავმჯდომარე; წევრები: გაბაშვილი გიორგი; გოგორიშვილი ხათუნა; გოგუაძე გია; ვეფხვაძე ლევანი; თარგამაძე გიორგი (გივი); თედორაძე რამაზი; ლალიაშვილი ნიკოლოზი; ლორთქიფანიძე დიმიტრი; მინაშვილი აკაკი.

[5] დროებითი კომისიის სტენოგრამების ამონარიდები. სულ 12 სხდომა ჩატარდა და ინფორმაცია აღებულია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდიდან: www.parliament..ge

12. გიორგი უგულავას (ქალაქ თბილისის მერი);
13. დიმიტრი სანაკოევს (სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი);
14. მალხაზ აქიშბაიას (აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე);
15. ეკატერინე შარაშიძეს (ეკონომიკური განვითარების მინისტრი);
16. დავით ბაქრაძეს (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე);
17. ეროსი კიწმარიშვილს (საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში);
18. გიგა ბოკერიას (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე);
19. ივანე მერაბიშვილს (შინაგან საქმეთა მინისტრი);
20. გრიგოლ ვაშაძეს (საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე);
21. დავით კეზერაშვილს (თავდაცვის მინისტრი);
22. მიხეილ სააკაშვილს (საქართველოს პრეზიდენტი).

დროებითმა კომისიამ დაადგინა, რომ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება და არასათანადო დონეზეა მომზადებული სამოქალაქო თავდაცვის სისტემა.

ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირთაგან კომისიის მხრიდან სულ გამოკითხულ იქნა 22 მაღალი თანამდებობის პირი. ევაკუაციის საკითხს შეეხო მხოლოდ 7 თანამდებობის პირი (მოსმენების ქრონოლოგიის მიხედვით): ა. ლომაია, მ. ყურაშვილი, გ. უგულავა, დ. სანაკოევი, მ. აქიშბაია, ი. მერაბიშვილი, მ. სააკაშვილი.

| ციტატა №1 – დროებითი კომისიის დასკვნა ევაკუაციის საკითხზე |
| --- |

“აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებობს ნორმატიული აქტი, საქართველოს მთავრობის დადგენილება, საგანგებო მდგომარეობის დროს სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც საზღვრავს საომარ და საგანგებო სიტუაციებში მთავრობის წევრთა ფუნქციებსა და მოქმედებას. ასეთი ტიპის კომისია აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით არ შექმნილა, რამაც გამოიწვია მთავრობის წევრთა შორის კოორდინირებული მოქმედების ხელშეშლა.
ამავე დადგენილი წესით მოქმედების უგულვებელყოფის უარყოფითი შედეგის ნათელი მაგალითია აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელობის არაადეკვატური მოქმედება აგრესიის პერიოდში. მაგალითისთვის, კოდორის ხეობიდან მოსახლეობის და პოლიციური შენაერთების ევაკუაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად უწევდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მარაბიშვილს, ხოლო აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელმა მალხაზ აქიშბაიამ საერთოდ ვერ მოახერხა ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში მოხვედრა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თემურ მჟავიამ, კი 9 აგვისტოს დატოვა კოდორის ხეობა. ლეგიტიმური მთავრობის მოქმედების შესწავლა სცილდება დროებითი კომისიის კომპეტენციას, ამიტომ ბ-ნი აქიშბაიას მოსმენის სტენოგრამა გადაეგზავნება საქართველოს გენერალურ პროკურატურას აღნიშნულ ფაქტზე სამართლებრივი რეაგირებისათვის[6].”
“კომისიის მუშაობის პერიოდში მოწვეული თანამდებობის პირების მიერ სამოქალაქო თავდაცვის კუთხით დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები მიგვითითებს იმაზე, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ადეკვატურად არ ფუნქციონირებს და მას არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს, ისინი ხშირ შემთხვევაში არ არსებობს, ან ფორმალურ ხასიათს ატარებს - გამონაკლისია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. საომარი მოქმედებების პირობებში მნიშვნელოვანი ხარვეზებით შესრულდა სამოქალაქო თავდაცვის ჟენევის კონვენციის დამატებით პირველ ოქმში მითითებული სამოქალაქო თავდაცვის პირველი და მეორე ამოცანა – შეტყობინება და ევაკუაცია[7].”

[6] დანართი 2: 8. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება ომის დროს და გამოვლენილი ხარვეზები, დროებითი კომისიის დასკვნა.
[7] დანართი 2: 8. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება ომის დროს და გამოვლენილი ხარვეზები,
‘რუსეთ-საქართველოს ომი, მისი წინაპირობები, ქრონოლოგია, სამართლებრივი შეფასება და საქართველოს ხელისუფლების მოქმედების დროს გამოვლენილი ხარვეზები’, დროებითი კომისიის დასკვნა.

ციტატა №2 – ივანე მერაბიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ევაკუაციის საკითხზე

ი.მერაბიშვილი: “2 აგვისტოდან, დაიწყო, ასე ვთქვათ, ცხინვალიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან მასობრივი ევაკუაცია მოსახლეობის, რომელიც ჩვენთვის სრულიად აუხსნელი მოვლენა იყო. ჩვენ ამოვიღეთ იმ დროს სტატისტიკა და ჩვენ გვქონდა პრაქტიკა, რომ ხშირად რამოდენიმე წლის განმავლობაში იმის მიბაძვით, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ოსეთიდან, ცხინვალიდან გამოგყვავდა ადამიანები და ბათუმში და გახსოვთ ქობულეთში ვასვენებდით, ასე ვთქვათ, ოს ახალგაზრდებს და ბავშვებს, ამის საპასუხოდ რუსეთის მთავრობამაც დაიწყო მასიური, ხანდახან გაყვანა ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების შვილების დასასვენებლად რუსეთში, თუმცა მათი რაოდენობაც მთელი ზაფხულის განმავლობაში, ვთქვათ, 2007–ში, 2006–ში, 150–200 კაცს არ აღემატებოდა და როგორც წესი, ეს ხდებოდა რაღაც თანამდებობის პირების, შვილების გაყვანა. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, 2 აგვისტოდან დაიწყო მასობრივი გაყვანა არა მარტო ცხინვალიდან და მაღალი თანამდებობის პირების შვილების, არამედ ეს გახლდათ მასობრივად, ასე ვთქვათ, და დაიწყო, მათ შორის, არა მარტო ცხინვალიდან, არამედ მიმდებარე სოფლებიდან, რაც აქამდე, ესეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ჩვენ შეგვაშფოთა ციფრმა. ჩვენ 6–ში, უკვე დავთვალეთ და აღმოჩნდა 2000–ზე მეტი ბავშვი და ქალი იყო გაყვანილი. საგულისხმოა ის ფაქტი თუ აქამდე, იქამდე მიჰყავდათ, მხოლოდ ბავშვები და მშობლების გარეშე, ამ შემთხვევაში ქალები და ბავშვები გადაჰყავდათ ორგანიზებულად. ჩვენი ინფორმაციით, მინიმუმ 1000 ადამიანი, თავისი, ასე ვთქვათ, სადაცვო საშუალებით გადავიდა ჩრდილო–ოსეთში[8].”

ი.მერაბიშვილი: “ჩვენ ორგანიზებულად დავიწყეთ კოდორის ყველა მცხოვრების ევაკუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყვანეთ ჩვენი დანაყოფები და გადავიყვანეთ ისინი მესტიიდან, შემდეგ ჩამოვიყვანეთ ქვემო სვანეთის ჩავლით, ნაწილი დავტოვეთ მესტიაში, ნაწილი ჩამოვიყვანეთ და ამ დროს აქტუალური, გაცილებით აქტუალური იყო სწორედ ცხენისწყლის მიდამოების გამაგრება და სამხედრო ნაწილების ქუთაისის ბრიგადის დარჩენილ მებრძოლებთან ერთად სწორედ კოდორის პოლიციური დაჯგუფება ამაგრებდა ცხენისწყალს[9].”

პ. დავითაია, თავმჯდომარე: “ბატონო ვანო, მე დავაზუსტებ ამ კოდორთან დაკავშირებით. ესე იგი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქ, რომელმაც მოახდინა ევაკუაცია, გადაწყვეტილება ევაკუაციასთან დაკავშირებით მიიღო, მიიღეთ თქვენ თუ მიიღო უშიშროების საბჭომ თუ მთავარსარდალმა? როგორ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება ამ ფაქტთან დაკავშირებით.”

ი.მერაბიშვილი: “ეს გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, იქნა მიღებული ჩემს მიერ იმიტომ, რომ იქ გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებისა, სხვა დანაყოფი არ არსებობდა. და ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ოპერატიულად. ამ დროს მძიმე სიტუაცია იყო თვითონ თბილისის მისადგომებთან, მძიმე სიტუაცია იყო გორში, ეს ის პერიოდია, როდესაც გორშია შემოსული ჯარი, ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც შემოსულია ზუგდიდში, სენაკში. რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე და ამ დროისათვის მოწყვეტილია კოდორი პრაქტიკულად, ასე ვთქვათ, ზურგს, მას ,პრაქტიკულად, მომარაგება არ გააჩნია და მომარაგება უმთავრესად აქ ამ შემთხვევაში უფრო სააავადმყოფო ანუ დაჭრილების და ...... თორემ სამხედრო თვალსაზრისით ეხლა იქ 300–400 პოლიციელს ძალიან დიდი შეიარაღება არ სჭირდებოდა. ამიტომ და ამავე დროს ჩვენ არ ვიცოდით შემდგომი....”

8 იქვე, იხ. ზემოთ.

9 დროებითი კომისიის დასკვნა, იხ. ზემოთ.

ი.მერაბიშვილი: “და მე მოვისმინე აქ წინა შეხვედრებზე იყო დასმული შეკითხვები, რომ რუსები რატომ გადმოუშვით ჩვენ აქეთ ტერიტორიაზე. მე მინდა გითხრათ, რომ იქ ასე საკითხი გამოშვება-არგამოშვებაზე არ იდგა, ამის შესახებ მე მერე ცოტაც მოგყვები. იმ მომენტში სიტუაცია იდგა, რომ არყოფნა, ჩვენი მცდელობა, მიმდინარეობა, მაქსიმალურად მიმართულიყო იმისათვის, რომ მაქსიმალურად არ მომხდარიყო მასობრივი ევაკუაცია მოქალაქეების, პანიკური ევაკუაცია ხაზს ვუსვამ, რათა ამას არ გამოეწვია გარკვეული მსხვერპლი. და მე ეს არის ის დრო, როდესაც ერთდროულად რუსების გადაადგილება ხდება ....ვთქვათ, ბორჯომის ხეობის მიმართულებით, საჩხერის მიმართულებით, იგოეთის მიმართულებით, ვთქვათ, იქ სენაკის მიმართულებით, აბაშის მიმართულებით, აბაშიდან გადახვევა ხდება უფრო ჩრდილოეთით, წალენჯიხა, ჩხოროწყუ. ანუ, ეს იყო საათები და დღეები, როდესაც ყოველ საათში ჩვენ ველოდებოდით ახალ ინფორმაციას, და იმ ეტაპზე მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი გადაწყვეტილებები ხშირად ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელები ღებულობდნენ, მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპისათვის, პრაქტიკულად, მთელი დატვირთვა გადმოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროზე, იმიტომ, რომ აქ უფრო მოქალაქეებთან და მოქალაქეების მომარაგებასთან, მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ხელოვნურად, როდესაც გარკვეული კოლონა გადაადგილდებოდა გარკვეულ დასახლებულ პუნქტში, სადაც გარკვეული პანიკა იყო, ასე ვთქვათ, სპეციალურად საპატრულო მანქანა წინ უდგებოდა, რათა შეექმნა იმიტაცია იმის, რომ, ასე ვთქვათ, მასობრივ პანიკას არ ჰქონოდა ადგილი. ასეთი ბევრჯერ განხორციელდა.”

ლ. ვეფხვაძე: “ბატონო ვანო, თქვენ ახსენეთ კოდორის ხეობა. თქვით, რომ იქ იყო კონკრეტული ადამიანი, ბატონო ქარჩაიძე, რომლის, ალბათ, ერთ—ერთი დამსახურებაა ისიც, რომ იქ არც ერთი, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი მოქალაქე არ შერჩა და არ გახდა ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით გორის რაიონის სოფლებზე, სადაც ათეულობით ჩვენი მოქალაქე შერჩა იმ პროცესების მერე იმ ე.წ. ბუფერულ ზონებში და გახდა ძალადობის მსხვერპლი. თუ იყო მსგავსი რაიმე გეგმა გორის რაიონის სოფლებთან მიმართებაში ან თუ იყო ვინმე პასუხისმგებელი იმაზე, რომ კონფლიქტის ასეთი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში სწორედ ის მოახდენდა, ის იქნებოდა პასუხისმგებელი სამოქალაქო პირების ევაკუაციაზე?”

ი.მერაბიშვილი: “რაც შეეხება ევაკუაციის გეგმას, მე მინდა გითხრათ, რომ მთავარი ამოცანა ოპერაციის დაწყების წინ იყო ევაკუირება იმ ადამიანების, რომლებიც იყვნენ ალყაში და მათი რაოდენობა იყო საკმაოდ სერიოზული. ეს იყო, მინიმუმ, 15 000 დიდი ლიახვის ხეობაში და დახლოებით 10 000 პატარა ლიახვის ხეობაში და, ასე ვთქვათ, მთავარი აქცენტები, როგორც ჩვენი, ისე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების იყო, პირველ რიგში, მათი ევაკუაცია და, მოდი, ვაღიაროთ, რომ მათი ევაკუაცია მეტ-ნაკლები, ასე ვთქვათ, წარმატებით განხორციელდა. ანუ ის ფანჯარა, რომელიც ჩვენმა შეტევამ გახსნა, ვთქვათ, ორდღიანი ფანჯარა, საკმარისი გახდა, რომ დიდი ნაწილი, ასე ვთქვათ, იმ ადამიანების, ვინც ცხოვრობდნენ დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, გამოვიდა. იქ დარჩა, როგორც წესი, ხანშიშესული ადამიანები, რომელთა დიდი უმრავლესობა შემდეგ შიმშილისაგან და უსახლკარობისაგან დაიხოცა, რადგანაც მათი, ამ სახლების დიდი უმრავლესობა განადგურებული იქნა ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ. რაც შეეხება შემდგომ ევაკუაციას, შემდგომი ევაკუაცია, მე მახსოვს, რომ ხორციელდებოდა, მაგრამ მასა, რაოდენობა საევაკუაციო ზონის იყო იმდენად ფართო, რომ ამას, ასე ვთქვათ, ორაგანიზებულად ამის განხორციელება იქნებოდა შეუძლებელი. არ არსებობდა ამდენი ტრანსპორტი, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ გორისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები 3 დღის განმავლობაში მოხდა სერიოზული ევაკუაცია, სერიოზულად შემცირდა აქ რაოდენობა მოსახლეობის. მე კიდევ ერთხელ გეუბნებით, აქ ცხოვრობდა, მინიმუმ, 300-400 ათასი ადამიანი ამ ე.წ. ბუფერულ ზონაში და მათი ორგანიზებული ევაკუაცია, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ისევე, როგორც ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ არ მომხდარიყო ევაკუაცია ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს მოსახლეობის. პირიქით, ჩვენ, ასე ვთქვათ, მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ პოლიციელების დაყენებას რუსი, ასე ვთქვათ, ოკუპანტების გვერდით, რომ არ ყოფილიყო პანიკა იმიტომ, რომ პანიკა

შეიძლება გამოეწვია მასობრივ ევაკუაციას, მასობრივ ევაკუაციას გამოეწვია გარკვეული მსხვერპლი, გამოეწვია პანიკა, რომელიც შემდეგ გადაედებოდა სხვადასხვა რეგიონებს. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ეს განგვეხორციელებინა რბილად და მოდით, ვთქვათ, რომ მთავარი მსხვერპლი, დიდი მსხვერპლი გამოწვეული დანაკარგების, ასე ვთქვათ, ამ ბუფერულ ზონებში იყო გამოწვეული, ასე ვთქვათ, ოსი ბანდიტების მიერ რუსი სამხედროების ხელშეწყობით, ანუ . . ..... ყურადღება არ მიაქციეს მათ ქმედებებს და მთავარი მსხვერპლი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ რეგიონებში, იყო გამოწვეული სწორედ, ბანდიტური დაჯგუფებების ქმედებასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ, გარკვეულწილად, შევზღუდეთ აფხაზეთში. აფხაზეთში, პრაქტიკულად, თუ არ ჩავთვლით ერთ–ორ დასახლებულ პუნქტს დროებით, იქ აფხაზი ბანდიტები შემოვიდნენ განმუხურში, რამოდენიმე სოფელში რამოდენიმე დღით. სხვა რეგიონში ჩვენმა პოლიციამ მოახერხა ის, რომ არც ერთი ბანდიტური დაჯგუფება აფხაზური არ გადმოსულა სამეგრელოს ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, ბევრ ტერიტორიაზე გორის რაიონში ამის გაკეთება ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ჩვენ რამოდენიმე პოლიციელი დავკარგეთ გორში და ამიტომ იქ, პოლიციის დარჩენა ვერ მოხერხდა და ამის საშუალება არ მოგვცეს არც რუსმა, ასე ვთქვათ, სამხედროებმა. განსაკუთრებით აგრესიულობით გამოირჩეოდნენ რუსი აგრესორები გორის რეგიონში იმიტომ, რომ ეს იყვნენ ის ოფიცრები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი მებრძოლები ამ ომში და ამიტომ მათი აგრესიულობა გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე იმ ჯარისკაცების, რომლებიც დასავლეთ საქართველოში იყვნენ. დასავლეთ საქართველოში, მათი აგრესიულობა, როგორც წესი, ქურდობით და ყაჩაღობით იყო გამოწვეული და ის . . . აქვე შეკითხვა იყო აგიტაციასთან დაკავშირებით, ბოდიში, მე პასუხი ვერ გავეცი. ვთქვათ, იქ რაღაც, საუბარი სეპარატიზმის გაღვივება და ა. შ. ასეთი მცდელობები იყო, მაგრამ ეს იყო ძაან უსუსური. წარმოიდგინეთ, პროკლამაციები რუსულ ენაზე იბეჭდებოდა და არ იყო არავითარი შენიღბული და, ასე ვთქვათ, უშუალოდ რუსები არიგებდნენ ამ პროკლამაციებს, რამაც არავითარი გავლენა არ იქონია საზოგადოებრივ აზრზე არც სამეგრელოში და არც გორის რაიონში.”

ციტატა №3 - მალხაზ აქიშბაია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ევაკუაციის საკითხზე

თავმჯდომარე: “ბატონო მალხაზ, თქვენი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დისლოკაციის ადგილი არის კოდორის ხეობა და თქვენ როდესაც ხედავდით, რომ აი, მით უმეტეს, რასაც თქვენ ხაზი გაუსვით, რომ იყო თავდასხმა და ეს ცნობილი ფაქტი არის, იყო დაბომბვა კოდორის ხეობის, საუბარი არის იმაზე, რომ შემუშავებული თუ იყო და არსებობდა თუ არა გეგმა, ვთქვათ, იგივე სამოქალაქო თავდაცვის კოდორის ხეობაში თუ იყო ეს შემუშავებული ვის მიერ იყო შემუშავებული? ვინ იყო ამისი კოორდინატორი და რას ისახავდა ... მიზნად? პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი ფუნქციონირების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხეობაში მიმდინარე სოციალურ – ეკონომიკური პროცესების მდგომარეობის გაუმჯობესება, აღმშენებლობით პროცესი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვსაუბრობდით, ამავდროულად, იმიტომ, რომ ყოველდღიურად, პრაქტიკულად, ვიყავით საფრთხის წინაშე ანუ საფრთხე რეალურად შეიძლებოდა წამოსულიყო დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლობიდან. ამიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობდით ასეთ საკითხებზეც. ჩვენ, ზემო აფხაზეთი არის ის ადგილი, სადაც საქართველოს კანონმდებლობით მორჩა, ე.ი. თვითმმართველობის ორგანოების, ჩვენ გვყავდა იქ თვითმმართველობის ორგანოები, რომელთანაც ერთად ვთანამშრომლობდით და გვქონდა საუბარი ასეთ საკითხებზე, მაგრამ კოდორის ხეობა უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ არის რელიეფურად ძალიან რთული და მიუდგომელი ადგილი. პირველი წლის განმავლობაში ჩვენ, პრაქტიკულად, გვიწევდა ზემო აფხაზეთში ასვლა ძველი გზით, რომელსაც ყველაფერი შეიძლება დაარქვა გარდა გზისა და იყო ძალიან ე.ი. არაკომფორტული. და იცით შემდგომ, რომ მოხდა ახალი გზის მშენებლობა, რამაც, პრაქტიკულად, გააადვილა, აი ესეთ პირობებში თუ მოხდებოდა თავდასხმა ან რაღაც აგრესია ე.წ. სეპარატისტული ან რუსების მხრიდან და ბუნებრივია, ამ ფაქტმა ბევრად გაგვიადვილა ჩვენ მიმოსვლა, ვინაიდან დროშიც და კომფორტის

თვალსაზრისითაც ბევრად უფრო ადვილი იყო. ამიტომ ნაკლებად ვზრუნავდით, უკვე ნაკლებად ვზრუნავდით აი ამ საფრთხეებზე და თვითონ იმ პრობლემებზე, რაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო დევნილების ანუ თვითონ მოსახლეობის ევაკუაციასთან დაკავშირებით.”

თავმჯდომარე: “ნუ, ფაქტია თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ გეგმა, ევაკუაციის გეგმა, ვთქვათ, შემუშავდა” . . .

მ.აქიშბაია: “არა, ევაკუაციაზე არაა საუბარი.”

თავმჯდომარე: “სამოქალაქო? სამოქალაქო თავდაცვის გეგმაზე და, დავუშვათ, იგივე ევაკუირების გეგმა, შეიძლება ამას მიზმული იყოს ეს საკითხი, იმიტომ ვუსვამ ამას ხაზს, ფაქტიურად, მთავრობის დონეზე არ იყოს, იმიტომ, რომ ეკონომიური აღმავლობის საკითხისკენ მიდიოდეს ზრდა, ხომ?”

მ.აქიშბაია: “არა.”

თავმჯდომარე: “ვერ გავიგე.”

მ.აქიშბაია: “არა, საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ამისათვის მზად ვიყავით, უბრალოდ, ახლა ოფიციალური დოკუმენტი ამისა.”

თავმჯდომარე: “აი, ვთქვათ იგივე სამინისტროს კომპეტენციაში შედის ...... დავალებათა სამინისტროს კომპეტენციაში შედის ის მიმართულებები, რომელიც მოხდა კოდორის ხეობაში, კერძოდ, ის ვთქვათ ...... რასაც ქვია, ვთქვათ ევაკუაციიდან დაწყებული დამთავრებული პირობითად ვლაპარაკობ, ვთქვათ, გეგმის შემუშავებას, სამოქალაქო თავდაცვის ინფორმაციის მოპოვების, თქვენ როდის ..... აღნიშნეთ, რომ ჰქონდათ საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ საუბრის, ადრე სამართლებრივ დოკუმენტი არ ჰქონდა ამას მიღებული, თქვენი აზრი მაინტერესებს, როგორც ....... რატომ არ მოხდა? რა არის ამის მიზეზი, რომ ვთქვათ, ეს მთავრობის ბრალია თუ, კერძოდ, სამინისტროს ბრალია, რომელმაც არ წარმოგიდგინათ ეს გეგმა.”

მ.აქიშბაია: “არა, სამინისტროზე მე ხომ გადაბრალებას არ დავიწყებ, ბუნებრივია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ გვქონდა საუბარი ამ საკითხებზე, ჩვენ არაერთი ფაქტი გვქონია საშიშროების, თავდასხმის არაერთი საგანგაშო ცრუ რაღაც ღონისძიებები იყო ხეობაში. ჩვენ გვქონდა შესაბამისი ადგილები, სადაც მოხდებოდა ამ ადამიანების ევაკუაცია იგივე ჩხალთაში, აჟარაში. ჩვენ გვქონდა თავშესაფრები სპეციალურად დანიშნულების გამიზნული. ჩვენ გვქონდა ბევრი, ხეობაში ბევრი კაპიტალური შენობა, სადაც შეიძლებოდა მომხდარიყო მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გადაყვანა და ამ სამსახურისგანაც და სხვა სამსახურებიდანაც ჩვენ ვღებულობდით ძალიან სერიოზულ და ინტენსიურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო პერიოდში თვითონ კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობა იყო ძალიან დაძაბული”....

ა.მინაშვილი: “ჩვენი ფორმატის მიხედვით, აკაკი მინაშვილი, ბატონო მალხაზ, ერთი მოკლე კითხვა მაქვს ევაკუაციასთან დაკავშირებით. როდის დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია ზემო აფხაზეთიდან და ჩართული იყავით თუ არა თქვენ აი, ამ დევნილების, უფრო სწორად, გადაადგილებული პირების აი, ამ ევაკუაციის პროცესში და შემდგომი დახმარების პროცესში და რა პერიოდში ხდება ყველაფერი ეს.”

მ.აქიშბაია: “მე მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, ჭუბერიდან ჩამოყვანილი იქნა ორგანიზებულად 1250–მდე ადამიანი ზუგდიდამდე, რომლებსაც ხვდებოდა ჩვენი მთავრობის წარმომადგენლობა ზუგდიდის რეგიონში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად. პირველი ნაკადი ჩვენ ორგანიზებულად ჩამოვიყვანეთ .... ანუ დაიწყო რეალური ჩამოყვანა ჭუბერიდან მოსახლეობის ზუგდიდისკენ

13 აგვისტოს. ეს პროცესი გაგრძელდა 17 აგვისტომდე და საერთო ჯამში ჩამოყვანილი იქნა 1250–მდე, ადამიანი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დარჩა ჭუბერში, რადგან ....... სხვადსხვა ინფორმაციული, .... გზაში, იგივე ურბესთან იყვნენ უკვე საოკუპაციო ჯარები და აფხაზებიც, მათ შორის, შესაბამისად მათ ჩათვალეს საჭიროდ, რომ მათი გადაადგილება ჭუბერიდან დავუშვათ, ზუგდიდის მიმართულებით იყო უსაფრთხო. შესაბამისად, ჩვენ ის ადამიანები დავტოვეთ იქ, მაგრამ შემდგომში სანამდეც, ჩვენ შევძელით ამ ადამიანების ბოლომდე ჩამოყვანა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში.”

თავმჯდომარე: “სამთავრობო დაცვა ჩვენ გვატყობინებს, რომ მათ დატოვეს 12 აგვისტოს 2 საათზე ინტენსიური დაბომბვის პირობებში და მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციას, საუბარი არის კოდორის ხეობაზე, სადაც იმყოფებოდა 20 – კაციანი ჯგუფი.”

რ.თედორაძე: “მე მაქვს ერთი შეკითხვა. ბატონო მალხაზ, აი თვითონ აი ეს ევაკუაციის დაწყებაზე ვინ მიიღო გადაწყვეტილება, თქვენ თუ თქვენმა წარმომადგენელმა ადგილზე და როგორც თქვენ ბრძანეთ, ეხლა, კოდორის ხეობამდე, იქ რუსეთის არმია შევიდა ჯერ ზუგდიდში, იგივე განმუხურში, მაგრამ იქიდან არ მომხდარა მთლიანად მოსახლეობის ევაკუაცია და რატომ იყო 8–ში უკვე, დადგა აუცილებლობა ევაკუაციის უკვე კოდორის ხეობიდან? თუ შეგიძლიათ ეხლა გვიპასუხეთ, თუ არა დახურულ პროცესში ამ შეკითხვაზე.”

მ. აქიშბაია: “ეს დახურულია თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, ღიაა? ე.ი. 8–ში, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ 8–ში დევნილების ევაკუაციაზე საკითხი არ იყო. ძირითადი დაბომბვები მასიური, ხეობის დაიწყო 9–ში. 10–ში დაიწყო, 9–ში დაიწყო დღის 2 საათზე, როგორც აღმოჩნდა და 10–ში დილიდან დაიწყო მასიური დაბომბვა. თქვენ უნდა იცოდეთ, როდესაც ვსაუბრობთ ხეობაზე, ხეობაში მიმოფანტულია სოფლები ანუ დაბომბვის პირველივე ფაქტის დროსაც იქნებოდნენ და ვთქვი, რომ ადამიანები, ბუნებრივია, დატოვებდნენ. თვითნებურად დაიწყეს რაღაც ნაწილმა გამოსვლა, მაგრამ მასიური და ორგანიზებული ჩამოყვანა მათი, მოხდა ჩვენი მთავრობის . . . თვითმმართველობის წევრებთან ერთად თვითონ კოდორის ხეობაში, როდესაც ჩვენ ყველა მანქანას ვაძლევდით, ჩვენი წარმომადგენლები საწვავს და ხდებოდა საწვავით მათი უზრუნველყოფა. ასევე, მათი ევაკუაცია მიმდინარეობდა ჩვენს მიერ ხელთ არსებული სატრანსპორტო საშუალებებით.”

| |
|---|
| ციტატა №4 - დიმიტრი სანაკოევი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ევაკუაციის საკითხზე |

დ. ლორთქიფანიძე: “დიახ, ესე იგი, ამ კითხვასთან დაკავშირებით ეს ერთი. და აქვე მინდა გკითხოთ, რომ გაგაჩნდათ თუ არა დროებით ადმინისტრაციას, გააჩნდა თუ არა მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა და იყავით, იხელმძღვანელეთ თუ არა ამ გეგმით? ..... ე.ი. გაგაჩნდათ.”

დ.სანაკოევი: “ე.ი. ჩვენი ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქურთაში, ეს დიდი ლიახვის ხეობაშია. ქურთაში იყო ჩვენი ადგილი, იქ ჩვენ გვქონდა ჩვენი ადმინისტრაცია, იქ იმყოფებოდა მთელი აპარატი, რომელსაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით. რაც შეეხება იმ საკითხებს, უნდა გამოვსულიყავით თუ არა, ჩვენ არ გვქონდა არავითარი გეგმა, ჩვენ არ ვემზადებოდით ომისთვის, ჩვენ არ გვქონდა ისეთი გრძნობა, რომ ევაკუაცია მოგვიწევდა. ფაქტობრივად 4 რიცხვში, როცა ცეცხლის ალყაში მოექცა ეს ხეობა, ჩვენ შევუდექით ეტაპობრივ .... მაგრამ ეს არ იყო არანაირად დაგეგმილი. ჩვენ ვერც წარმოვიდგენთით, რომ ჩვენი სოფლებიდან გამოსვლა მოგვიწევდა. ხალხს არ სურდა სახლების დატოვება. ასეთი ფაქტებიც იყო 8 რიცხვში. ჩვენს ადმინისტრაციას ჰქონდა თავისი ტექნიკა, ავტომანქანები, ავტობუსები, რომლებითაც გამოვიყვანეთ ლტოლვილების პირველი კოლონა. ეს ლტოლვილები ჩამოვსვით ტირძნისში და დავბრუნდით ერედვში და ხალხი, რომელიც ფეხით მოდიოდა, ჩაგვყავდა გორში. ამიტომ, რომ ვთქვათ რომ დაგეგმილი, ჩვენ გვქონდა რაიმე გეგმა, ასე

არ იყო. უბრალოდ, ეს ყველაფერი ხდებოდა იმის ფონზე, თუ როგორ ვითარდებოდა სიტუაცია ზონაში. რაც შეეხება 8 და 9 რიცხვს, ჩვენი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უკვე დატოვეს ხეობა.”

ციტატა №5 – გიგი უგულავა, თბილისის მერი ევაკუაციის საკითხზე

გ.უგულავა. “არა, მე ეს გეგმა, თბილისის დაცვის, ასე ვთქვათ, გეგმა, როგორ უნდა გაამაგრო თბილისი, ასე ვთქვათ, ეს გეგმა, ბუნებრივია, არსებობს ეს მზა გეგმები.”

გ.უგულავა. “თავდაცვის სამინისტროს აქვს და ეს გეგმა, ბუნებრივია, ეს ჩემთვის, როგორც თბილისის მერისთვის, ცნობილი იყო და... ”

გ.უგულავა. “არა, ეს კონკრეტულს – არა. ეს ზოგადად უნდა არსებობდეს და არსებობს. ეხლა, სამხედრო თვალსაზრისით ის რამდენად გამართულია, ამაზე მე ვერაფერს ვერ მოგახსენებთ. თუმცა, ალბათ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ ის, ვთქვათ, არ არის ქმედითი, ამაში, რა თქმა უნდა, არ შემიძლია.
რაც შეეხება თბილისს, იმ დროს და, სხვათა შორის, აქ ევაკუაციაზეც არის ხოლმე ხშირად საუბარი. ამ თვალსაზრისით, თბილისის მოსახლეობამ ბეწვის ხიდზე გაიარა იმიტომ, რომ ჩვენ, ერთის მხრივ, გვქონდა, ვუყურებდით რეალურ საფრთხეს, რომ თბილისის გარშემო ერთ დროს, ერთ მომენტში იყო 50 თვითმფრინავი. ანუ როდის რა, რომელი ჩამოვარდებოდა, თან მაღალი, ვთქვათ, ტექნოლოგიური იმით არც გამოირჩევა რუსული თვითმფრინავები, როდის რას ჩამოაგდებდა ან ჩამოვარდებოდა, კაცმა არ იცოდა. რამდენიმე ბომბი თბილისში ჩავარდა. ეხლა ჩანს, რომ მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ეს რაღაც არ ყოფილიყო სამოქალაქო ობიექტი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დაიბომბა ძალიან ბევრი სამოქალაქო ობიექტი. იმის გამო, რომ უზუსტოები არიან, იმის გამო, რომ სამოქალაქო ობიექტი უნდოდათ თუ რის გამო, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ სამოქალაქო მოსახლეობაში ჩვენ მსხვერპლი გვქონდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გამოაცხადო ანუ იგივე წარმატებით მაშინ ევაკუაციას ეხლა მთელი მოსახლეობისას ვერასდროს ვერავინ ვერ მოახდენს იმიტომ, რომ ეგერ, ბათუმშიც დაიბომბა, ქობულეთშიც, ფოთში, ნუ, შიდა ქართლში იბომბებოდა და ასე შემდეგ, კახეთშიც რამდენიმე ჩამოვარდა, თბილისშიც. ასე რომ, ეხლა მაინცდამაინც მიგრაცია ჩვენ დაგვეწყო, რომ ეხლა აი, ხალხო აი, იქიდან აქეთ გადადის, არასწორი იქნებოდა და ამით შეიძლება ჩვენ, პირიქით, ფატალური შედეგი მიგვეღო, წასულიყო დიდი პანიკა. ამიტომ ჩვენი ზოგადი პრობლემა არის ის, რომ ეს არ არის მარტო, ვთქვათ, ცალკე ხელისუფლების პრობლემა, ეს არის, სამოქალაქო განათლება, ამ თვალსაზრისით, ჩვენში ძალიან დაბალია. ანუ პირველი, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ეს ძაან, ძირითადად, ეხლა მერე, როცა ჰყვებოდნენ, რაღაც აი, ძველი რუსული კინოფილმებიდან ახსოვთ, როგორც იმეებს რომ აკრავდნენ და..... “

ციტატა №6 - მამუკა ყურაშვილი, სამშვიდობო ძალების სარდალი ევაკუაციის საკითხზე

თავმჯდომარე. “ბატონო მამუკა, თქვენ, როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, როგორც აღნიშნეთ, როცა ხედავდით, რომ სიტუაცია იძაბებოდა, როდესაც უკვე ფაქტიურად სროლები იყო პირველში, ორში, ოთხში, ხუთში, გქონდათ თუ არა თქვენ შემუშავებული გეგმა, იგივე, მოსახლეობის ევაკუაციასთან დაკავშირებით, განიხილავდით თუ არა ამ ვარიანტს, იგივე, შემოვლითი გზით გამოყვანასთან დაკავშირებით და თუ გქონდათ, ვის მიაწოდეთ და თუ არა, რატომ არ იყო ეს?”

მ.ყურაშვილი. “ალბათ, დახურულ სხდომაზე, უშუალოდ, ესეთი ოპერაცია, საბრძოლო ოპერაციასაც განიხილავს, თვითონ ევაკუაციას რაც შეეხება.”

თავმჯდომარე. „გეგმა იყო თუ არა?“

მ.ყურაშვილი. „ა, როგორ არა, არსებობდა, კი. უბრალოდ, თვითონ, უშუალოდ, როგორც ასეთი, რომ რაღაცა კატასტროფული დაცლა მოხდებოდა, ეგ ეხლა ძნელი ისე იყო, წარმოსადგენი, რომ ჩვენ ამხელა ძალა დაგვიპირისპირდებოდა და ასე, ხახადაღებულ რუსეთს შევხედავდით ჩვენ პირდაპირ, იგივე, ავნევის და სარბუკის საგუშაგოდან არავის არ ეგონა. ის, რომ უშუალოდ მოსახლეობას არ მოშორებია და ბატონი გოკას კითხვას, ამ კითხვაზე გავცემ პასუხს, რომ 10 რიცხვამდე საერთოდ საგუშაგოები არ დაგვიტოვებია. საგუშაგოს თავი დავანებოთ ბატონო" ...

ლ.ვეფხვაძე. „ბატონო, რა ჰქვია იმას, რა კითხვა იყო, თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი მთავარი ფუნქცია 7–დან 10–მდე იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა იმ რაიონებში, სადაც თქვენი წარმომადგენლობები იყო, ანუ ეს ბლოკპოსტები იყო განთავსებული. თუ იდგა საკითხი ან რატომ არ იდგა თუ არ იდგა, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის დაწყებისა ან ქალების და ბავშვების მაინც, როცა 7–ში უკვე ასე გამწვავდა სიტუაცია სწორედ იმ პოსტებზე, სადაც ეს მოსახლეობა იყო?"

მ.ყურაშვილი. „უბრალოდ, შესწორებას შევიტან, 7 და 10–ში არ იყო აი, რაც მაგ მისიას გასრულებ, იმ დღიდან იყო ეგ ჩემი ფუნქცია".

ლ.ვეფხვაძე. „არა, განსაკუთრებულად კონფლიქტის დაწყების შემდეგ".

მ.ყურაშვილი. „პერიოდულად ტოვებდა ხალხი უკვე. 7 რიცხვიდან ისეთი ინტენსივობა იყო და ის ხალხი გამოირჩევა თავისი გმირობით, იქ წარმოუდგენელი არის, სახლი ნახევრად დანგრეული იყო"...

ლ.ვეფხვაძე. „ანუ, აქ საუბარი, გასაგებია, აქ ორგანიზებულ გამოყვანაზე ქალების და ბავშვების".

მ.ყურაშვილი. „იმ ფორმატში კულახმეტოვთან ერთად ხომ ვერ შევიმუშავებდი. ეს უკვე ისეთი პრეროგატივა იყო, რომ რაღაც განსაკუთრებული გეგმა, რომ გაგვეყვანა, არ იყო. ახლა, მოსახლეობას წინასწარ აცნობო, უნდა იცოდნენ ეს სათადარიგო რაიონები, ეგეთი რაღაცა არ გვქონდა ჩვენ".

ლ.ვეფხვაძე. „ანუ თქვენ არც რეკომენდაციით არ მიგიმართავთ გენერალური შტაბისთვის, რომ ან ხელმძღვანელობისთვის, რომ დასაწყებია სოფლებიდან ქალების და ბავშვების გაყვანა?"

მ. ყურაშვილი. „საომარი მოქმედება, როგორც ასეთი, არ იგეგმებოდა არასდროს, ახლა".....

ლ.ვეფხვაძე. „არა, საომარი მოქმედებების შემდეგაა ლაპარაკი, 7-ის მერე თუ მიმართეთ ვინმეს, რომ აუცილებელია, იგივე 8-ში, დავუშვათ, ქალების და ბავშვების ორგანიზებული გაყვანა ამ სოფლებიდან".

მ.ყურაშვილი. „ჩვენ ვართმევდით ჩვენი ძალებით თავს და აქედან გამომდინარე"...

თავმჯდომარე. „ფაქტიურად ჩანს, რომ გეგმა ევაკუაციის სამშვიდობოებს, მოსახლეობის არ იყო. ეს გენერალურ შტაბთან იქნება, ალბათ, ეს შეკითხვები. ალბათ, გაგვცემენ ამაზე პასუხს. და თუ ვინმეს აქვს კიდევ შეკითხვები ბატონ მამუკასთან, დავუსვათ".

| ციტატა №7 - ალექსანდრე ლომაია, უშიშროების საბჭოს მდივანი ევაკუაციის საკითხზე |
|---|

ა.მინაშვილი. „ბატონო კახა, საყოველთაოდ ცნობილია, გენერლის, სამშვიდობოების ხელმძღვანელი სარდლის, გენერალ ყურაშვილის განცხადება კონსტიტუციური წყობილების აღდგენის შესახებ. იყო თუ არა ასეთი ბრძანება გაცემული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და ასეთი გზავნილი გაგზავნილი ბატონი ყურაშვილისადმი, ეს ერთი. მეორე, რატომ არ მოხდა, საზოგადოებაში არსებობს კითხვა, თუ რატომ არ მოხდა ქართული მოსახლეობის ევაკუაცია მანამ, სანამ დაიწყებოდა აქტიური საომარი ფაზა. ჯერ ეს და მერე“.

თავმჯდომარე. „ბატონო კახა, როდესაც ხედავდით, რომ სიტუაცია ასე იძაბებოდა აგვისტოს მოვლენებამდე, რატომ არ იყო შემუშავებული უშიშროების საბჭოს მიერ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა იმიტომ, რომ ვიცით, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საქართველოში არ არსებობს. ამაზე რატომ არ იყო მსჯელობა და ეგებ იყო მსჯელობა და რაღაც იყო დაგეგმილი, რაღაც ღონისძიებები იმიტომ, რომ ფაქტიურად, ჩვენ აგვისტოს მოვლენებმა გვაჩვენა, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საქართველოში არ არის“.

კ. ლომაია. „მე ნაწილობრივ დაგეთანხმებით. სამოქალაქო თავდაცვის სისტემას მეტი ყურადღება სჭირდება და მე ვფიქრობ, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმებში მან ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. როგორც გითხარით, სრულმასშტაბიანი აგრესია და სრულმასშტაბიანი ოკუპაცია, ნამდვილად არ განიხილებოდა არც ჩვენ და არც ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ, როგორც რეალისტური სცენარი. თუმცა კი, როდესაც ჩვენ დავუბრუნდებით უსაფრთხოების კონცეფციას, იქ ვისაუბრებთ ამაზე. თუმცა კი, რაც შეეხება ძალიან საბაზისო, ძირითად რჩევებს, ასეთი რჩევები გამოცხადდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ დავრწმუნდებოდით, რომ უშუალოდ დიდ ქალაქებზე მასირებული შეტევა, მათ შორის, საცეცხლე ან ავიაშეტევები გარდაუვალი იყო. ასეთი განცხადება, თქვენ იცით, რამდენჯერმე გაკეთდა, მაგრამ გეთანხმებით, სამოქალაქო თავდაცვა გაცილებით მეტ ყურადღებას საჭიროებს და ახლა უკვე, როდესაც ჩვენ სრულმასშტაბიანი აგრესიის მსხვერპლნი გავხდით და პრაქტიკულად, ვიმყოფებით ჩვენი ტერიტორიების ნაწილის ოკუპირებულ რეჟიმში, რა თქმა უნდა, მეტი, მეტი ყურადღება არის საჭირო, სწორედ სამოქალაქო თავდაცვისათვის“.

| ციტატა №8 - მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი ვაკუაციის საკითხზე |
| --- |

თავმჯდომარე. „ქალბატონ ხათუნას და მერე ბატონ მინაშვილს“.

ხ.გოგორიშვილი. „ამ თემასთან დაკავშირებით, ბატონო პრეზიდენტო, ერთი შეკითხვა მაქვს. სანამ ისეთი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილება, რატომ არ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ცხინვალის რეგიონის სოფლებიდან. გმადლობთ“.

მ.სააკაშვილი. „გმადლობთ. ქალაქი ცხინვალი უკვე დიდი ხანია აღარ არის ჩვეულებრივი ქალაქი და ნამდვილად, 7 აგვისტოს არ ყოფილა ჩვეულებრივი ქალაქი. ამიტომ, მოდი, ვთქვათ ღიად, იმ პერიოდისთვის, როცა ჩვენ ცხინვალში შევედით, ცხინვალი იყო კარგად გამაგრებული, მოსახლეობისგან ძირითადად დაცლილი, სამხედრო შეტევის რეჟიმში მცხოვრები, პრაქტიკულად, მილიტარიზირებული დასახლებული პუნქტი, ან პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ სამხედრო ბაზა. საინტერესო იყო, დაიწყო რამდენიმე დღით ევაკუაცია, რამდენიმე დღით ადრე დაიწყო ევაკუაცია“ ....

მ.სააკაშვილი. „2 აგვისტოს ცხინვალის მოსახლეობას. პირველად, მე მინდა გითხრათ, არ ვიცი, ეხლა აღიარა თუ არა ეს მერაბიშვილმა გუშინ, მაგრამ როცა მე ვკითხე რომ ჩამოვედი იტალიიდან და ვუთხარი, რომ არ მომწონს ეს ამბები. სხვათა შორის, რამდენჯერმე დავრეკე იტალიიდან და ვთქვი, რომ, ყველას ვურეკავდი, რომ რაღაც არ

მომწონს ეს რუსების რიტორიკა, მეუბნებოდნენ, რომ ,პრინციპში, ადგილზე ბევრი არაფერი არ ხდება. მაგრამ მე ვუთხარი, რომ რაღაც არ მომწონს ეს პროპაგანდისტული მზადება მაინცდამაინც. მეც მქონდა ეს აგვისტოს კომპლექსი, რომ აგვისტოში რაღაც მაინც უსიამოვნებებს უნდა ველოდოთ. მაგრამ რომ ჩამოვედი, უკვე სიტუაცია იყო გართულებული, მოხდა პირველი აფეთქებები პირველში სწორედ ჩემი ჩამოსვლის წინ. მაგრამ როცა ვკითხე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რას ნიშნავს ევაკუაციის გამოცხადება, მათ თქვეს, რომ ჩვენი დასკვნით ეს შეიძლება იყოს ცოტა პროპაგანდისტული ტრიუკი, ისედაც გაჰყავდათ ზაფხულში ბავშვები ბანაკებში და უნდათ მათ მცდელობა იმისა, რომ შექმნან თითქოს ომი იწყება და ამას ასაღებენ როგორც მოსახლეობის ევაკუაციას. მაგრამ როცა მათაც გადაამოწმეს ინფორმაცია რამდენიმე საათში და მეც ჩემი არხებით დავიწყე გადამოწმება კიდევ სხვა, მე ყოველთვის სხვადასხვა წყაროებს ვეყრდნობი. აღმოჩნდა, რომ მართლაც მიდის უპრეცედენტოდ მასშტაბური ევაკუაცია ცხინვალის მოსახლეობის, თან როგორი სახის. გაჰყავდათ, ეუბნებოდნენ კაცებს გაიყვანეთ თქვენი ოჯახები. შემოიარეს ოჯახები და შემდეგ საზღვრამდე აცილებდნენ ეს კაცები და მერე ეუბნებოდნენ თქვენ არ გაგიშვებთ, თქვენ დაბრუნდით უკან, ქალები, ბავშვები, მოხუცები გავიდნენ. გავიდა თუ არა მთელი მოსახლეობა, მათ გამოაცხადეს, რომ ძირითადში ევაკუირებულია, რა თქმა უნდა, რაღაც ნაწილი შედარებით .... და აი, მათ შორის, ისინი ვისაც არ ჰყავდა მებრძოლები ოჯახის წევრებად, ისინი არ გაიყვანეს. რატომ? ამას ჰქონდა არა ის საფუძველი, რომ რუსეთს ძალიან შეუყვარდა ცხინვალის მოსახლეობა. ისინი, მათ რაც გააკეთეს ,ის ნამდვილად არ არის მათ მიმართ სიყვარულის გამოხატულება. უბრალოდ, სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო აბსოლუტურად გარდაუვალი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თუ შენ აპირებდი შეიარაღებული მოქმედებების დაწყებას, რატომ? იმიტომ, რომ ცხინვალი და შემოგარენი ჩვენ კონტროლარქვეშ მყოფი სოფლები დაკავშირებულია აი,რუსეთთან ვიწრო გზით და ვიწრო გვირაბით. დაიწყო სამხედრო ტექნიკის შემოსვლა. როგორც კი წავიდა მოსახლეობა, იმ წუთშივე დაიწყო, სადღაც 5-ში, 6-ში დაიწყო სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამატება. ამას ვგულისხმობ, მე როცა ვიძახი, რომ ჩვენ შეიძლება დაგვაგვიანდა. იმიტომ, რომ ერთი-ორი დღით ადრე რომ ჩაგვეკეტა, მიგვესწრო იქ, შეიძლება, ამ რაოდენობით ტექნიკა ვერ შემოსულიყო, თუმცა, რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, მაინც შემოვიდოდნენ ბევრი სხვა ადგილიდან, მაგრამ იმ მომენტში შეიძლება კიდევ მეტი ტაქტიკური უპირატესობა მოგვეპოვებინა. თუმცა, მინდა აქ ხაზი გავუსვა, რომ ეგრევე ყველა დაიწყებდა, მაშინ ნამდვილად უკვე ყველა დაიწყებდა ლაპარაკს, რომ საქართველომ დაიწყო პირველმა ომი. თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება, ეს უფრო სწორი ყოფილიყო. მაგრამ როცა მათ გაიყვანეს მოსახლეობა, ამითი გაუთავისუფლეს გზა ჯავშანტექნიკას იმიტომ, რომ საბრძოლო ვითარების პირობებში ერთმანეთის მოპირისპირე მოძრავი დიდი რაოდენობით სამოქალაქო პირი და ჯავშანტექნიკა ნამდვილად შეაფერხებდა ჯავშანტექნიკის და ჯარის შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე.

და მეორე, მებრძოლები, რომლებიც დარჩნენ ცხინვალში, ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მსახურობდნენ რუსეთის ჯარში და შეიარაღებულ სტრუქტურებში ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯარში, რაც რეალურად ასევე რუსეთის სტრუქტურების ფილიალს წარმოადგენდა. თუ ისინი იფიქრებდნენ იმაზე, რომ მათი ოჯახისთვის მოევლოთ, მაშინ მათ ბრძოლისთვის საშუალება აღარ დარჩებოდათ. მნიშვნელოვანი იყო, რომ ისინი გათავისუფლებულიყვნენ ოჯახებზე ზრუნვისგან. აი ეს იყო სამხედრო რაციონალური მოსაზრება ამ ევაკუაციის უკან. ამიტომ ...ეს ნიშანი“.

თავმჯდომარე. ,,ბატონო პრეზიდენტო, ბოდიში, შეგაწყვეტინებთ, დავამატებ მერე რომ ამ საკითხს არ დავუბრუნდეთ, იმ ბრძანებებში რომელიც თქვენ გაეცით, იყო თუ არა ბრძანება ქალაქ ცხინვალში შესვლასთან დაკავშირებით და თუ ასეთი ბრძანება იყო ,რითი იყო ეს განპიროვნებული“.

მ.სააკაშვილი. ,,მე მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი საერთოდ გამოყოფა ქალაქ ცხინვალის და ყველა სხვა დასახლებულ პუნქტების ეს არის აბსოლუტურად ხელოვნური და ეს სპეციალურად არის გაკეთებული ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ მსოფლიო აზრის შოკის, რათა შოკი მოჰგვარონ მსოფლიო თანამეგობრობას, რომ აი ცხინვალი დაუცველი

ქალაქი, შევარდნენ, გადაუარეს. იმ მომენტში კონცენტრაცია მოსახლეობის ხეობის სოფლებში, სამწუხაროდ, იყო ბევრად მაღალი, ვიდრე ქალაქ ცხინვალში, დაცვის საშუალებები, მაგალითად, სამხედრო შეტევისგან ბევრად მეტია ქალაქში, ვიდრე ჰქონდა ამ სოფლებს. ასე, რომ იქ უკვე ეს იყო ერთი თეატრი სამხედრო მოქმედების, ეს იყო სამხედროების შეხედულების მიხედვით გადაწყვეტა. მაგრამ ერთი რამ მკაცრად იყო მითითებული, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი, ჩვენი ჯარი არის გაწვრთნილი ისე და ამით ძალიან ვამაყობ მე, მშვიდობიან მოსახლეობას მაქსიმალურად მოუხსნას პრობლემები და მაქსიმალურად დაიცვან ისინი. რაღაც მომენტში როგორც მე მივხვდი სამხედროებს შეექმნათ განცდა და ამას მე, ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიზიარებ, რომ ცხინვალის გავლის გარეშე იმ პირობებში, როცა მძიმე ტექნიკა უკვე მომდგარი იყო იქით მეორე მხრიდან დიდი ლიახვის ხეობას, პრაქტიკულად იმ ხეობის მოსახლეობის გამოყვანა საცეცხლე წერტილების ჩახშობის გარეშე ცხინვალის გარშემო სიმაღლეებზე და, მათ შორის, ცხინვალის შიგნით რამდენიმე ადგილზე, ამ მოსახლეობის გამოყვანა იყო პრაქტიკულად შეუძლებელი“.

თავმჯდომარე. “ერთადერთი გზა ,პრინციპში, გამოდის, რომ იყო ცხინვალიდან მოსახლეობის გამოყვანა.”

მ.სააკაშვილი. “არა, მე ვფიქრობ, რომ მთავარი მოსახლეობის გამოყვანა განხორციელდა რამდენადაც მე ამას ვადევნებდი ძალიან ყურადღებით თვალ–ყურს შემოვლითი გზიდან, მაგრამ შემოვლითი გზა იყო ძალიან ადვილად დასარტყმელი სოფელ დმენისიდან რამდენიმე სხვა წერტილიდან, მათ შორის, ქალაქ ცხინვალიდან თამარაშენის მიმართლებით ადვილი იყო ცეცხლის წარმოება და ამ საცეცხლე წერტილების ჩახშობის გარეშე მოსახლეობის გამოყვანა იქნებოდა შეუძლებელი, თუ არა ჩვენი არმიის მოქმედება, რეალურად მსხვერპლი ჩვენ გვეყოლებოდა დღეს ათი ათასობით ან ათასობით, ჩვენ მივიღებდით ახალ სრებრენიცას, იმიტომ რომ ხალხი რომელიც შემოვიდა, მოექცა დარჩენილ მოსახლეობას, როგორც კარაჩიჩი და ვლადიჩი ექცეოდნენ სრებრენიცაში დარჩენილ მოსახლეობას. რეალურად, ჩვენ ეს ხალხი მათ გამოვაცალეთ პირიდან.
რა თქმა უნდა, თქვენ დამისვით კითხვა, რომ რატომ უფრო ადრე არ გავაკეთეთ. ალბათ, ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან. რატომ? იმიტომ, რომ ეს ესკალაცია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმდენად ქრონიკულ ხასიათს ატარებდა მთელი ამ წლების და თვეების განმავლობაში, რომ ის მომენტი, ის დაჭერა, რომ აი, ეხლა უნდა გამოვიყვანოთ მოსახლეობა ეს ჩვენი, ჩვენი ხეობის მოსახლეობა, იქ იყო გმირული მოსახლეობა. იყო ხალხი, რომელიც უძლებდა იმას, რასაც, ალბათ, ბევრი სხვა ადამიანი ძალიან ბევრ ქვეყანაში ვერ გაუძლებდა. თამარაშენის სკოლას ხვდებოდა ჭურვი. მეორე დილას სკოლაში მიდიოდნენ ბავშვები და აგრძელებდნენ სწავლას თავის მასწავლებლებთან ერთად ... ხვდებოდა, კი, ნაღმი სახლს და ის ქალი მეორე დღეს გამოდიოდა, კაცი და იცით, მე, ერთი ქალბატონი ლოგინიდან ადგა, გამოვიდა გარეთ და სწორედ მაგ დროს, ღამე მოხვდა ჭურვი, მისი საწოლი გაქრა, უცბად, დაბრუნდა უკან, ეს ხალხი მეორე დილას გადიოდა, ჩვეულებრივად ამუშავებდა მიწას, კრეფდა ვაშლს, წველიდა ძროხებს და ა.შ. იცი, ეს იყო ხალხი, რომელიც, დღეგამოშვებით ეს ხალხი უნდა გამოგვეყვანა ყოველი გართულების გამო, ეს უკვე, პრაქტიკულად, ასე არ იყო იქ ჩამოყალიბებული და, სამწუხაროდ, მართლა ამ გმირობამ შეაგუა ჩვენი საზოგადოება ამ ძალადობის რაღაც დონეს, რომელიც იქ მუდმივად ხდებოდა.”

# თავი III

# საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა

## მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია საომარი მდგომარეობის დროს

| |
|---|
| ევაკუაცია[10] არის ქვეყნის ხელისუფლების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის[11] მიხედვით მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა ომისა და სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის საშიში ადგილებიდან შედარებით უსაფრთხო ადგილებზე ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით. |

წინამდებარე ანალიზი მიმოიხილავს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობას, სამართლებრივ დოკუმენტაციას ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 200 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.[12] გარდა ამისა, უამრავმა ადამიანმა მიიღო ფიზიკური, ქონებრივი და მორალური ზიანი. სამოქალაქო მოსახლეობა ძირითადად საჰაერო იერიშების დროს დაზარალდა, მოგვიანებით კი ოსური პარამილიტარული დაჯგუფებების დანაშაულთა მსხვერპლი გახდნენ.

დაზარალებული მშვიდობიანი მოქალაქეები გორისა და ცხინვალის რაიონის მოსახლეობას წარმოადგენდა და ომის დროს თავის სახლებში იმყოფებოდნენ. გამოკითხული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათ არ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ამიტომაც არ დატოვეს სახლები და არ წავიდნენ სოფლებიდან. მას შემდეგ, რაც 7 აგვისტოს დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებები, მოსახლეობის ნაწილმა სიფრთხილეს მიმართა და ბაშვები და ქალები სოფლებს მოარიდა, მოხუცები და მამაკაცები, ასევე მცირე რაოდენობით ქალები და ბავშვები კი სოფლებში დარჩნენ. ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში კი საომარი ზონის დატოვება და სამშვიდობოს გასვლა უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან ქართული ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებმა დაიკავეს და მოახდინეს მისი ოკუპაცია.[13] დაზარალებული ადამიანების ფიქრობდნენ, რომ სროლები მალე შეწყდებოდა და ცხოვრება ჩვეულ რიტმში გაგრძელდებოდა. მათი განმარტებით, რომ სცოდნოდათ ომის საშიშროების შესახებ და იმის

---

10 ევაკუაცია პირველად განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოს ანდერსონის კომიტეტის ინიციატივით, რომლის სისრულეში მოყვანა დაევალა ჯანდაცვის სამინისტროს.

11 საქართველოს ხელისუფლების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის ვალდებულება იხ. ქვემოთ, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზში.

12 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია, იხ: [http://www.mod.gov.ge/index.php?page=772&lang=3&type=0&Id=1057&p=79]. ბოლოს ნანახია 2010 წლის 3 ნოემბერს.

13 Human Rights Watch ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს. გვ 3-5. იხ. ელ.ვერსია [http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf], ბოლოს ნანახია 2010 წლის 3 ნოემბერს.

შესახებ, რომ მათ სოფლებს შესაძლოა საფრთხე დამუქრებოდა, ისინი აუცილებლად წავიდოდნენ და არა მხოლოდ სიცოცხლის და ჯანმრთელობის, არამედ მნიშვნელოვანი ქონების გადარჩენასაც შეძლებდნენ.

## საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს საქართველოს ხელისუფლების ვალდებულება საომარი მოქმედებების დროს მოსახლეობის გაფრთხილებასა და ევაკუაციაზე, ხოლო ომის შემდგომ საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურებაზე.

### სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შემუშავების ვალდებულება

კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის გაფრთხილებისა და ევაკუაციის ვალდებულება საქართველოს სახელმწიფომ იკისრა საერთაშორისო ხელშეკრულებების და ეროვნული კანონების შესაბამისად.

- **1949 წლის ჟენევის კონვენციების 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმი,** რომელიც რატიფიცირებულია[14] საქართველოს ხელისუფლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის 61-ე მუხლი საუბრობს სამოქალაქო თავდაცვის გეგმაზე, რომლის კომპონენტებად, სხვებთან ერთად, ასახელებს შეტყობინებას და ევაკუაციას;

- **„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის**[15] მე-5 და მე-7 მუხლი მთავრობას აკისრებს ვალდებულებას, რომ მიიღოს აუცილებელი ზომები თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, პრეზიდენტმა კი უნდა დაამტკიცოს საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმა.

- **„საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი** საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომ საომარი მდგომარეობის მოქმედებებისას დროებით გაასახლონ მშვიდობიანი მოსახლეობა საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან და მისცენ მუდმივი ან დროებითი სადგომები.[16]

როგორც ვხედავთ, ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმითა და საქართველოს ეროვნული კანონებით საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ შეიმუშავოს თავდაცვის გეგმა, განსაკუთრებულად გააძლიეროს ზრუნვა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად ომიანობის პერიოდში. თავდაცვის გეგმის შემუშავება რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, აუცილებელია საომარი მდგომარეობის დროს ან მის დაწყებამდე, რადგან ასეთ პირობებში მშვიდობიან მოსახლეობას დაცვის უფრო მაღალი ხარისხი ესაჭიროება, ვიდრე მშვიდობიანი პერიოდის დროს. თუმცა, აღნიშნული ვალდებულება სამწუხაროდ არ შესრულდა.

## რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგ

---

[14] საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კანონის რატიფიცირება 1993 წლის 20 ივლისს.
[15] კანონი მიღებულია 2004 წლის 11 თებერვალს.
[16] "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი, მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი. კანონი მიღებულია 1997 წლის 31 ოქტომბერს.

რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, 2008 წლის აგვისტოში, კონფლიქტის ზონის მოსახლეობა იყო აბსოლუტურად არაინფორმირებული იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მათ ემუქრებოდათ. კერძოდ, როგორც ირკვევა **რუსეთის აგრესიის შედეგად სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი კომისიის** დასკვნიდან,[17] საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართულებით დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება მოემართებოდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ არ გააკეთა საჭირო დასკვნები იმისთვის, რომ შეეფასებინა აღნიშნული საფრთხე და მოეხდინა საშიშ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაცია. უფრო მეტიც, მოსახლეობა წინასწარ არავის გაუფრთხილებია იმის თაობაზე, რომ მათ სიცოცხლესა და ქონებას შესაძლოა რეალური საფრთხე დამუქრებოდა, თუ ისინი დროულად არ გაეცლებოდნენ კონფლიქტურ ზონას. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა კომისიის მიერ დასმულ კითხვაზე, საქართველოს ხელისუფლებამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხი გაუშვა ხელიდან. საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 ნოემბრის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხეს, თუ რატომ არ მოხერხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია აღნიშნული ტერიტორიიდან. მან უპასუხა:

*„ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ესკალაციამ მიიღო ქრონიკული ხასიათი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ევაკუაციის განხორციელების ზუსტი დროის განსაზღვრა სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა. იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად გმირი ხალხია და ალბათ სხვა ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ის ხალხი უძლებდა წლების განმავლობაში და მე არც ომის პერიოდში მეპარებოდა ეჭვი მათ გამძლეობაში”.*[18]

ყოველივე აღნიშნულის გამო, გორის რაიონის მაცხოვრებლები შემოსული მტრისგან თავის დასაღწევად სრულიად არაორგანიზებულად და სპონტანურად გამოიქცნენ სახლებიდან, რის გამოც მათი უძრავი თუ მოძრავი ქონება აბსოლუტურად დაუცველი დარჩა. აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია სეპარატისტების მიერ ქონების მასიური გატაცება-განადგურება ქართულ სოფლებში.

# 2008 წ. აგვისტოს ომით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა დიდი ზარალი მიაყენა მთელი ქვეყნის და განსაკუთრებით კონფლიქტის ზონის მოსახლეობას. გორის რაიონის სოფლების მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლები და გადაადგილებულიყო ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე. მოგვიანებით, იმ ქართულ სოფლებში, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ ვერ დაიკავა, მოხერხდა მოსახლეობის დაბრუნება, თუმცა ბევრი მათგანის სახლი დამწვარი ან დაზიანებული და საცხოვრებლად უვარგისი იყო. მოსახლეობას გაუნადგურდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა და სხვა. ამასთან ერთად, პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ სახლებში დაბრუნებას იმის გამო, რომ ისინი

[17] რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა პრესისთვის, 2008 წლის 18 დეკემბერი, გვ: 11-14.
იხ ელ. ვერსია: [http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1322&info_id=21595]. ბოლოს ნანახია 2010 წლის 28 ივნისს.

[18] *Ibid*, პრეზიდენტის სტენოგრამა. 28.11.2010; გვ: 37.

მდებარეობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იძულებული არიან, იცხოვრონ ხელისუფლების მიერ შენებულ კოტეჯებში ან სხვა დროებით საცხოვრებლებში.

ომის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს **საქართველოს კანონს საომარი მდგომარეობის შესახებ**[19] და **ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ კანონს**[20].

- **საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის** მე-13 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ მან აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

„საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას"[21].

როგორც მოცემული მუხლიდან ჩანს, საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის ადგენს შემდეგ ოთხ ვალდებულებას ხელისუფლებისთვის:

ა) ომით დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით,
ბ) ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება,
გ) ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის სამუშაოზე მოწყობაში დახმარება,
დ) სხვაგვარი დახმარების გაწევა.

იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ: „ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურების და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი."

- ვალდებულებას ხელისუფლებისთვის წარმოადგენს საქართველოს კანონი **ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ**, რომლის მიხედვით, "საქართველოს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა[22]".

ამ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ პირთათვის უნდა მოხდეს:

ა) ქონების დაბრუნება;
ბ) ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
გ) ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.

---

[19] მიღებულია 1997 წლის 31 ოქტომბერს.
[20] ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ საქართველოს კანონი, 2006 წლის 29 დეკემბერი. ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვრიდან.
[21] საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილი
[22] კანონის პრეამბულა

*დასკვნა:* საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული კანონმდებლობა აკისრებს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქონებრივი ზიანის კომპენსირების ვალდებულებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არც ომის დროს და არც მის შემდეგ გაითვალისწინა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რის გამოც დღის წესრიგში დგება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რასაც ასევე ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად საქართველოში ომით დაზარალებულთა ორი კატეგორია გამოიკვეთა, ესენი არიან: ა) დევნილები, ანუ პირები, რომლებიც ვეღარ ბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებლებში, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ თავისი ქონებით და ბ) პირები, რომლებიც დაუბრუნდნენ საცხოვრებელს, თუმცა მათ განიცადეს სხვადასხვა სიმძიმის ქონებრივი ზიანი.

ორივე ზემოაღნიშნულ კატეგორიას ერთი და იგივე პრობლემა აერთიანებს: ომის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურების უფლების დარღვევა.

## ხელისუფლების პოლიტიკა

საქართველოს ხელისუფლებამ ომის შემდეგ დაზარალებული მოსახლეობის ნაწილს შეუკეთა დაზიანებული სახლები, გადასცა ერთჯერადი სახის დახმარებები, ფულადი კომპენსაციები. იმ პირებისთვის, რომელთა სახლებიც აღდგენას არ ექვემდებარებოდა, ხელისუფლებამ ააშენა კოტეჯები. ყოველივე აღნიშნული ქმედება განხორციელდა მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების საფუძველზე.

მთავრობამ მიიღო შემდეგი განკარგულებები:

- **2008 წლის 8 სექტემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულება №563 საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის დაფინანსების ღონისძიებათა შესახებ**, რომლის საფუძველზეც საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზიანებული შენობების აღდგენისთვის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოეყო 176 646 450 ლარი.

- **რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულების** საფუძველზე შეიქმნა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია.

- **საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მქონე პირთათვის გარკვეული დახმარების გაწევის შესახებ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 სექტემბრის №603 განკარგულების** თანახმად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გამოეყო 9 500 000 ლარი განკარგულებაში ნახსენები მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, საოჯახო ნივთების შეძენის და სხვა საჭიროების დაკმაყოფილებისთვის.

- **რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისთვის განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 1 ოქტომბრის №640 განკარგულების** თანახმად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისთვის გადაუდებელ ღონისძიებათა გნხორციელების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა უზრუნველყოს 38 850 მ3 წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფის, მოჭრისა და დამზადების სამუშაოების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- **მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №731 განკარგულება** ითვალისწინებს საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას თითოეული პირისთვის 200 ლარის ოდენობით.

- **საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ 2009 წლის 19 მარტის №206 საქართველოს მთავრობის განკარგულების** თანახმად, იმ 15 ოჯახისთვის, რომელთა სახლები არ ექვემდებარება აღდგენას, გამოყოფილ იქნა 376 000 ლარი.

- **რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 განკარგულების** თანახმად, ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისთვის, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ მათთვის შესყიდულ რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, განისაზღვრა საკომპენსაციო თანხის ოდენობა ოჯახზე 10 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განკარგულებები არ ითვალისწინებს ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურებას, გარდა ამისა, მათი აღსრულება მოხდა დაზარალებული მოსახლეობის მხოლოდ ნაწილთან მიმართებით.

## დასკვნა

სამართლებრივი ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმითა და მთავრობის უფლებამოსილების შესახებ კანონით, საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, შეიმუშაოს თავდაცვის გეგმა საომარი მოქმედებების შემთხვევაში მშვიდობიან მოქალაქეთა დასაცავად. ამას გარდა, საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული კანონმდებლობა აკისრებს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქონებრივი ზიანის კომპენსირების ვალდებულებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არც ომის დროს და არც მის შემდეგ გაითვალისწინა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რის გამოც დღის წესრიგში დგება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კანონმდებლობის გამოყენება და აღსრულება სამწუხაროდ არ მოხდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რამაც 200-მდე მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე იმსხვერპლა, ათასობით ადამიანმა კი ფიზიკური, მორალური და მატერიალური ზიანი მიიღო.

აშკარა ხდება, რომ სახელმწიფო არ ასრულებს კანონმდებლობით ნაკისრ მოვალეობას და არ ანაზღაურებს სამოქალაქო თავდაცვის გეგმის არარსებობით და მოსახლეობისთვის ომის შედეგად მიყენებული ზარალის აუნაზღაურებლობით გამოწვეულ ქონებრივ ზიანს. ეროვნული სასამართლოები სრულიად უკანონოდ არ აკმაყოფილებენ დაზარალებულთა კანონიერ მოთხოვნებს, რისთვისაც ხელოვნურად ქმნიან ბარიერებს, როგორიც არის (ცალკეულ შემთხვევებში) ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებაზე უარი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით თითქმის სრულად არის მოწესრიგებული ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხები, აღნიშნული კანონმდებლობის რეალურად გამოყენება და აღსრულება სამწუხაროდ არ ხდება.

# თავი IV

# საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები ომით დაზარალებულთათვის

## არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრები

### 2008 წ. აგვისტოს ომში მოკლული მშვიდობიან მოქალაქეთა საქმეები

**საჩივარი**
**საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ**

**ფაქტობრივი გარემოებები**

გარდაცვლილი, დაიბადა 1969 წლის 5 ნოემბერს ქ. გორში. გარდაცვალებამდე ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ერედვში მეუღლესთან (შემდგომში „განმცხადებელი") და ორ შვილთან ერთად.

განმცხადებლის თქმით, ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა მათ საკუთრებაში არსებული სახნავ-სათესი მიწიდან მიღებული შემოსავლის რეალიზაცია. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, მიწის ნაკვეთის დამუშავება, მოსავლის მოყვანა და შემდგომ მისი რეალიზება, რაც მთლიანად გარდაცვლილის საქმიანობას წარმოადგენდა და შესაბამისად იგი იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

საომარი მოქმედებების შედეგად, გარდაცვლილი, სავარაუდოდ, მოკლული იქნა 2008 წლის 17 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ერედვში. გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ აღიარებულია განმცხადებელი.

შეიარაღებული კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით. საჰაერო და სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები ხორციელდებოდა 5 დღის განმავლობაში.

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია ხსენებული ტერიტორიიდან, რასაც ადასტურებს IIFFMCG-ის ანგარიში.[23] მოსახლეობის ევაკუაციის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმა, რაც 2008 წლის 7

[23] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, p.208, available online at: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf

აგვისტოს განხორციელდა და საქართველოს სამხედრო ძალები და საბრძოლო ტექნიკა შევიდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.[24]

**IIFFMC** –ის 2008 წლის, 2 დეკემბრის დასკვნის მიხედვით, მუდმივად დაძაბული სიტუაციისა და უბედური შემთხვევების შემდეგ, 2008 წლის, 7 აგვისტოს ღამეს, ქართული მძიმე საარტილერიო ტექნიკა თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს, რასაც თან მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საჰაერო და მძიმე ტქენიკის შემოსვლა ჯერ ქალაქ ცხინვალში, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე, რასაც მიმდებარე სოფლებზე საარტილერიო შეტევა მოჰყვა თან. ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავის დაღწევა ფაქტიურად შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ჯავშანტექნიკის და საჰაერო საბრძოლო ხომალდების მიერ ჩაიკეტა საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის მთავარი სამოძრაო გზები. საომარი მოქმედებები ხორციელდებოდა ხუთი დღის განმავლობაში, რამაც გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დაზიანება და ქონების დაკარგვა.25

2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს, ღამის საათებში, საქართველოს საარტილერიო ქვედანაყოფის მიერ გაიხსნა ცეცხლი, რასაც თან მოჰყვა მასობრივი საბრძოლო მოქმედებები.26 ხუთდღიანი საბრძოლო მოქმედებებს კი შედეგად მოჰყვა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ ფართომაშტაბიანი მაროდიორობის დაწყება, ასევე ქართველთა საცხოვრებელი სახლების გადაწვა, მკვლელობა, ცემა, გაუპატიურება და სხვა მძიმე დანაშაულები ჩადენილი ეთნიკურ ქართველთა წინააღმდეგ.27

2008 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

Human Rights Watch -ის დასკვნაზე დაყრდნობით, 2008 წლის 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე, ქ. გორი და მისი მიმდებარე სოფლები მათ შორის სოფელი ერედვი, ოკუპირებული იქნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა როგორც საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის განადგურება, ასევე დიდი ოდენობის მსხვერპლი ადგილობრივ მოსახლეობაში.28

საქართველოს სოფლებზე თავდასხმა, IIFFMC–ის ანგარიშით დაკვალიფიცირებულია, როგორც პირდაპირი და გამიზნული შეიარაღებული თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრით ოსი მოქალაქეების მიერ, რადგან 2008 წლის 8 აგვისტომდე, სოფელ ერედვში ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია.29

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მხრიდან გამოყენებული იქნა M85 ტიპის ორმაგი დანიშნულების, პირობითად გაუმჯობესებული ასაფეთქებელი საშუალება, რომელიც განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობისთვის მისი დანიშნულებიდან გამომდინარე კერძოდ, ახასიათებს ფართო გაფანტვითი ხასიათი და

---

[24] Ibid

[25] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, p.208, available online at: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf

[26] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, p.209, available online at: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf

[27] Human Rights Watch report January 2009. page N66. available at http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf

[28] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში გაწვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.92, 120, 132, 133, 136, 137available online at: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames

[29] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, p.244, available online at: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf

ანადგურებს არა მხოლოდ სამიზნე წერტილს, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიას განუსაზღვრელი მაშტაბით.30

რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს კასეტური იარაღი, რამაც მსხვერპლი გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში და გადარჩენილებსაც საფრთხე შეუქმნა იმ უამრავ ე.წ. დანაღმულ ველზე, სადაც ჯერ კიდევ აუფეთქებელი ჭურვების ნაწილები დარჩა. საქართველოს მხრიდან კასეტური ბომბების გამოყენებისა და მშვიდობიან მოსახლეობაზე მათი ზემოქმედების აკრძალვის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2008 წლის დეკემბერში. ამ ხელშეკრულების ხელმომწერია 94 ქვეყანა, მათ შორის საქართველო და რუსეთი. ამ ხელშეკრულების ტექსტის შეთანხმება კონფლიქტამდე სულ რამდენიმე თვით ადრე მოხდა.31

რუსეთის მიერ საქართველოს იმ ტერიტორიის ოკუპაციის დროს, რომელიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით მდებარეობს, ოსი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებმა გაძარცვეს, დაანგრიეს და დაწვეს მრავალი სახლი. მათ შეგნებულად მოკლეს სულ მცირე ცხრა სამოქალაქო პირი და გააუპატიურეს სულ მცირე ორი. რუსული შეიარაღებული ძალები ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ძარცვასა და ნგრევაში, როგორც პასიური თვითმხილველები, ან როგორც აქტიური მონაწილეები, ან ისინი ოსი უკანონო შეიარაღებული ძალების ტრანსპორტირებას ახდენდნენ სოფლებში.32

Human Rights Watch-ის ანგარიშში აღნიშნულია რამდენიმე შემთხვევა, რაც უშუალოდ უკავშირდება სოფელ ერედვზე თავდასხმას. სოფელი ერედვი წარმოადგენს სასაზღვრო სოფელს სამხრეთ ოსეთში. წარმომადგენლობის მიერ გამოკითხული და შესწავლილი იქნა თავდასხმის მსხვერპლთა შემთხვევები უშუალოდ პირველი წყაროდან, ანუ დაზარალებულთაგან.

აღსანიშნავია Human Rights Watch- ის ანგარიშის ის ნაწილი, სადაც თვითმხილველნი აღწერენ 2008 წლის 8 აგვისტოს მიმდინარე მოვლენებს სოფელ ერედვში. გამოიკითხა 2 თვითმხილველი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ხსენებულ დღეს, რუსული სამხედრო თვითმრინავების ინტენსიური მოძრაობა შეინიშნებოდა მთელი დღე, რაც დაახლოებით დღის 4 საათზე დასრულდა თვითმფრინავებიდან ასაფეთქებელი ნივთიერებების მასიური გადმოყრით. გამოკითხული მოწმეები ცალსახად ადასტურებენ იმას, რომ უშუალოდ დაბომბვის დროს სოფელი ერედვის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა არანაირი სამხედრო ბაზა, სამხედრო ტექნიკა და მითუმეტეს სამხედრო პირნი.33

განმცხადებელი მოგვითხრობს, რომ, 2008 წლის 7 აგვისტოს, გაისმა რა სროლის ხმა და თვითმფრინავთა ინტენსიური ფრენა, მისმა მეუღლემ, ურჩია განმცხადებელს გასცლოდა იქაურობას და თან წაეყვანა ბავშვები. განმცხადებელს გარდა იმისა, რომ არ უნდოდა მეუღლის დატოვება, ასევე ნერვიულობდა მის ძმაზე, რომელიც არ

---

[30] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.66, available online at: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames

[31] Human Rights Watch report January 2009. cluster monitions page N3. available at http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf.

[32] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.8, available online at: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames

[33] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.115, available online at: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames

იცოდა სად იმყოფებოდა ამ დროს და ტელეფონითაც ვერ უკავშირდებოდა. გარდაცვლილის დამ გაარიდა განმცხადებლის ბავშვები იქაურობას და წაიყვანა ქ.გორში, სადაც განმცხადებლის ვარაუდით, შედარებით უსაფრთხო ვითარება იყო.

2008 წლის 8 აგვისტოს, ძმის მოსაძებნად გასული განმცხადებელი იმყოფებოდა სოფელი ერედვის კულტურის სახლის წინ, სადაც მოხდა პირველი აფეთქება. განმცხადებელი ინერციით გადავარდა რამოდენიმე მეტრის მოშორებით და გონება დაკარგა. თვალი რომ გაახილა, ახსოვს ის, რომ მთელ სხეულზე ეყარა მიწა და ფოთლები, ხოლო ირგვლივ მიმოხედვის შემდეგ მან დაინახა ძირს დაწოლილი ხალხი. ზოგიერთი მათგანი უგონო მდგომარეობაში იყო, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაირკვა ზოგიერთი მათგანის გარდაცვალების ფაქტიც.

შეძლო რა ფეხზე გავლა, განმცხადებელი გაემართა დაბომბვის ადგილიდან 100 მეტრში მდებარე ე.წ. სოფლის ბირჟაზე, რათა ენახა მისი თანასოფლელები, თუმცა როგორ მივიდა ხსენებულ ადგილას არ ახსოვს, რადგან ტიროდა და იყო სრულიად შოკირებული. განმცხადებლის თქმით, მთელი ერედვი პანიკას ჰქონდა მოცული და გარბოდა ყველა, ვისაც სირბილი შეეძლო.

სოფლის ბირჟაზე მისვლისას, განმცხადებელმა ნახა მისი მეუღლე, მამა და ძმა, რომლებსაც მოუწოდა არ დარჩენილიყვნენ სოფელში და მასთან ერთად წასულიყვნენ, რადგან დაბომბვა გრძელდებოდა განუწყვეტლივ და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. გარდაცვლილი და განმცხადებლის მამა, დაჟინებული თხოვნისდა მიუხედავად მაინც დარჩნენ სოფელში, რადგან სახლი და საქონელი ვერ დატოვეს უპატრონოდ, ხოლო განმცხადებელი მისმა ძმამ წაიყვანა სოფელ კარალეთში.

სოფელ კარალეთში ჩასული განმცხადებელი, ნერვიულობდა ერთის მხრივ შვილებზე, რომლებიც ქ.გორში იყვნენ და მეორეს მხრივ მეუღლეზე და მამაზე. გათენდა რა 2008 წლის 9 აგვისტო, საომარი მოქმედებებისდა მიუხედავად, განმცხადებელი კვლავ გაემართა სოფელ ერედვში, რადგან არ იცოდა ცოცხლები იყვნენ თუ არა მისი ოჯახის წევრნი.

2008 წლის 9 აგვისტო განმცხადებელმა გაატარა მეუღლესთან ერთად მათი სახლის სარდაფში, რადგან ეს იყო ერთადერთი შედარებით უსაფრთხო ადგილი, თუმცა მორიგი ბომბის აფეთქების დროს, ჩაიმტვრა ფანჯრები და ყველა იქ არსებული მსხვრევადი ნივთი.

2008 წლის 10 აგვისტოს, განმცხადებელს გარდაცვლილმა მოუწოდა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სოფელი და აღარ მიბრუნებულიყო უკან, ხოლო თვითონ მოგვიანებით ჩავიდოდა განმცხადებელთან. ერთობლივი გადაწყვეტილებით, განმცხადებელი გაემართა სოფელ ერედვში გამავალ ცენტრალური გზისკენ მხოლოდ მობილური ტელეფონის ამარა. მისი თქმით, ეს იყო ბოლო სიტყვები, რაც მეუღლისგან მოისმინა და ბოლოჯერ ნახა იგი.

განმცხადებელი მისმა თანასოფლელმა წაიყვანა ქ.გორში, ხოლო გორიდან გამვლელმა მოქალაქემ წაიყვანა თბილისში. სოფლიდან გამოქცეული მოსახლეობა იკრიბებოდა ქ.თბილისში მერიის შენობის წინ, სადაც მოგვიანებით განმცხადებელიც მივიდა. მოსახლეობას თავშესაფრად გამოეყო სასაზღვრო პოლიციის შენობა, სადაც განმცხადებელი იმყოფებოდა 2008 წლის 10 აგვისტოდან 5 იანვრამდე.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მისი ერედვიდან წამოსვლამდე, გარდაცვლილმა, დაბნეულობის და დაბომბვის ფონზე, შემთხვევით დაკარგა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, რის გამოც განმცხადებელი მას ვერ უკავშირდებოდა და არ იცოდა თუ რა ბედი ეწია მეუღლეს.

თავშესაფარში მისვლიდან, 3-4 დღის შემდეგ, განმცხადებელთან ჩავიდა მამა, რომელმაც აცნობა, რომ მისი მეუღლე ცოცხალი დატოვა ბოლოს, თუმცა გარდაცვლილი კვლავ არ უკავშირდებოდა მეუღლეს, რის გამოც განმცხადებელი უკიდურეს სტრესულ მგომარეობაში იმყოფებოდა.

მეუღლის მდგომარეობით შეწუხებულმა განმცხადებელმა, მობილურ ტელეფონში მოძებნა გარდაცვლილის ოსი ეროვნების ბიძის ტელეფონის ნომერი და დაუკავშირდა მას. სთხოვა მისულიყო სოფელ ერედვში და გაეგო გარდაცვლილის მდგომარეობა.

გარდაცვლილის ბიძა თვითონ დაუკავშირდა რამდენიმე დღეში განმცხადებელს და აცნობა, რომ განმცხადებლის სახლში მისვლისას, მან ვერ ნახა გარდაცვლილი, ხოლო სახლი დანგრეული დახვდა.

განმცხადებლის თქმით, 2008 წლის 2 სექტემბრამდე იგი იმყოფებოდა სრულიად გაუგებარ და სტრესულ მდგომარეობაში. უძილობა და უმადობა მკვეთრად აისახა მის ნერვულ სისტემაზე და დასჭირდა ნევროპათოლოგის დახმარება. 2008 წლის 2 სექტემბერს, განმცხადებელი იმყოფებოდა ქ. თბილისის 26-ე პოლიკლინიკაში და ელოდებოდა ნევროპათოლოგთან ვიზიტს, როცა მობილურით დაუკავშირდა მეუღლის ბიძის, შვილი. მან აცნობა, რომ განმცხადებლის სახლის ეზოში, ხეივნის ძირში ნაპოვნი იყო გვამი, საჭირო იყო მისი ამოცნობა და განმცხადებელს სთხოვა აღეწერა ის ტანისამოსი, რაც გარდაცვლილს მეუღლესთან დამშვიდობების დროს ეცვა. განმცხადებელმა აუხსნა გარდაცვილილის ბიძაშვილს, რომ ტანსაცმლის აღწერა შედეგს ვერ გამოიღებდა, რადგან მას შემდეგ გასული იყო 20 დღე და იგივე ტანისამოსში გარდაცვლილი ლოგიკურად აღარ იქნებოდა. განმცხადებელმა სთხოვა მეუღლის ბიძაშვილს, დაეთვალიერებინა გვამის მკლავები, რადგან მეუღლეს მკლავზე ამოტვიფრული ჰქონდა ე.წ. ტატუ.

გარდაცვლილის ბიძაშვილმა აცნობა განმცხადებელს, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან გვამს ორივე ზედა კიდური მოკვეთილი ჰქონდა. განმცხადებლის თქმით, იგი იყო უაღრესად განერვიულებული და დაბნეული და იმ მომენტში ძნელად ფიქრობდა სხვა მახასიათებელი ნიშნების გახსენებას, თუმცა გაახსენდა, რომ გარდაცვლილს ჩამოტეხილი ჰქონდა წინა კბილი და სთხოვა მეუღლის ბიძაშვილს შეემოწმებინა ეს დეტალი.

როგორც განმცხადებელი მოგვითხრობს, ფაქტი, რომელიც მან ამის შემდგომ შეიტყო იყო სრულიად შემზარავი და ჰქონდა იმის განცდა, რომ გონებას დაკარგავდა. გარდაცვლილის ბიძაშვილმა აცნობა განმცხადებელს, რომ გვამს არც თავი ჰქონდა და შესაბამისად დაკარგული კბილით გარდაცვლილს ვერ ამოიცნობდა.

გამოსავალი იყო მხოლოდ ერთი, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა გვამის ამოცნობა. განმცხადებელმა სთხოვა ფატიმა კოტაევას, დაეთვალიერებინა გვამის გულ-მკერდის არე, რადგან გარდაცვლილს, გულზე ამოტვიფრული ჰქონდა მისი მეუღლის, განმცხადებლის სახელი. გვამის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილი იყო განმცხადებლის მეუღლე.

განმცხადებლის თხოვნით, გარდაცვლილის ბიძაშვილმა ცხედარი დამარხა იმავე ადგილზე, სადაც ნაპოვნი იყო იგი და გარდაცვლილის ცხედარი დღემდე იქ მარხია.

2008 წლის 8 სექტემბერს სოფელ ერედვის გამგეობამ გასცა გარდაცვალების მოწმობა, რომელიც დათარიღებულია 2008 წლის 18 აგვისტოთი. (იხ.დანართი №1)

2008 წლის 15 სექტემბერს გარდაცვლილის მეუღლე დაზარალებულად იქნა ცნობილი და დაიკითხა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში (იხ. დანართი №2).

2009 წლის 5 მარტს, არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი"-დან ("შემდგომში "ორგანიზაცია") საქართველოს მთავარ პროკურატურას გაეგზავნა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თხოვნით. ამავე წერილით ორგანიზაციამ ითხოვა, იმ შემთხვევაში თუკი მოწმეები დაკითხული იყვნენ, მიეწოდებინათ დაკითხვის ოქმები და გაეცნოთ სისხლის სამართლის სხვა დოკუმენტაცია. სამწუხაროდ, ამ წერილზე პასუხი არ მიგვიღია (იხ. დანართი №3).

2009 წლის 22 ივნისს ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს თხოვნით, ეცნობებინათ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, ასევე მინსკის კონვენციის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციიდან გამოეთხოვათ შესაბამისი ინფორმაცია (იხ. დანართი №4).

2009 წლის 22 ივნისის წერილის პასუხად, ორგანიზაციამ მიიღო საქართველოს მთავარი პროკურატურის პასუხი, რომ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით გათვალისწინებული თანამშრომლობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის გართულებულია (იხ. დანართი №5).

2009 წლის 7 ივლისს, კოლეგა ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" წერილობით მიიღო ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის პროკურატურიდან. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მხოლოდ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს, ამ შემთხვევაში პროკურატურას აქვს უფლება მიმართოს რუსეთის პროკურატურას სამართლებრივი დახმარების მოთხოვნით. (იხ. დანართი №6).

2009 წლის 6 ნოემბერს ორგანიზაციამ საერთო წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა ახსნა-განმარტება, თუ რა სირთულეებს წააწყდა საქართველოს მთავარი პროკურატურა მინსკის კონვენციის ფარგლებში რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის კუთხით. პასუხი ამ წერილზე არ მიგვიღია (იხ. დანართი №7).

2009 წლის 30 დეკემბერს, ორგანიზაციამ ანალოგიური წერილი გაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს, რაზედაც პასუხი კვლავ არ მიგვიღია (იხ.დანართი №8).

2010 წლის 29 აპრილს ორგანიზაციამ წერილობით მიმართა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს და ასევე გენერალურ პროკურატურასთან არსებულ საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარეს და მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ეტაპზეა გამოძიება მიხეილ თაბოშვილის გარდაცვალების ფაქტზე, სამწუხაროდ პასუხი არ მიგვიღია (იხ. დანართი №9).

2010 წლის 11 მაისს ორგანიზაციამ ანალოგიური შინაარსის წერილი კვლავ გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს, გამოძიების მიმდინარეობის საკითხთან დაკავშირებით (იხ. დანართი №10). პასუხი არ მიგვიღია.

2010 წლის 9 ივნისს განმცხადებელმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მეუღლის გარდაცვალების საქმეზე, გამოძიების მიმდინარეობის და მინსკის კონვენციიდან გამომდინარე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებათა შედეგების შესახებ (იხ. დანართი №11). პასუხი არ მიგვიღია.

2010 წლის 9 ივნისს ორგანიზაციამ მიმართა მთავარ პროკურორს გარდაცვლილის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის, მინსკის კონვენციით გათვალისწინებული

სამართლებრივი დახმარების და სამომავლო გეგმის შესახებ. (იხ. დანართი №12). პასუხი კვლავ არ მიგვიღია.

## საქართველოს მთავრობის მიერ ევროკონვენციისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

### I. გარდაცვლილის და განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარდაცვლილის და განმცხადებლის მიმართ საქართველოს მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი მუხლი, ვინაიდან არ მომხდარა მისი იურისდიქციის ტერიტორიაზე, ევროკონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იურისდიქციის საკითხი და ის, თუ ვინ ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს გორის რ-ნის სოფელ ერედვში დღემდე უცნობია და სადავოა, რადგან არც საქართველოს და არც რუსეთის ფედერაციამ არ განახორციელა მათზე ევროკონვენციის პირველი მუხლით დაკისრებული ვალდებულებანი.

### II. გარდაცვლილის მიმართ ევროკონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარდაცვლილის მიმართ მოპასუხე საქართველოს მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი ნეგატიური თვალსაზრისით. ასევე მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გამოძიების ვალდებულება. კერძოდ, მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო გარდაცვლილის მკვლელობის ფაქტის გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გავიდა ორი წელი, გამოძიებას არაფერი გაუკეთებია.

საქართველო, ისევე როგორც რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს მინსკის[34], კონვენციის მხარეს, რის საფუძველზეც ორივე ქვეყნის მთავრობა ვალდებულია განახორციელოს ურთიერთთანამშრომლობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველო როგორც მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყანა, ვალდებული იყო ეთანამშრომლა რუსეთის ფედერაციასთან გამოძიების კუთხით, რათა შესრულებულიყო გარდაცვლილის საქმის ქმედითი გამოძიების ვალდებულება. აღნიშნული კი წარმოადგენს ევროკონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

განმცხადებელს დღემდე არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ საერთოდ ჩატარდა თუ არა რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება მისი მეუღლის სიკვდილის მიზეზების გამოსაძიებლად და თუ ჩატარდა რა სახის საგამოძიებო მოქმედებებია ეს. იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდა გარდაცვალების ფაქტის ქმედითი გამოძიება ოჯახის წევრთა მონაწილეობით და ოჯახის წევრებს დღემდე გააჩნიათ მხოლოდ ნათესავის მიერ მონათხრობი ვერსია და არა სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული გარდაცვალების სარწმუნო ახსნა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დარღვეულია ევროკონვენციის მე-2 მუხლი.

### III. განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

[34] მინსკის კონვენცია, მიღებულია 1993 წლის 4 მარტს. available online at: http://www.justice.gov.ge/files/Documents/saertashoriso_sajaro/bavshta_uflebebi/04Minski_1993.pdf

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ ირღვევა ევროკონვენციის მე-3 მუხლი. ის წარმოადგენენ მოპასუხე მთავრობის მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლს. განმცხადებელი განიცდის სულიერ ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია მეუღლის გარდაცვალებითა და ამ ტრაგედიის გამოუძიებლობით. განმცხადებელს გაუჩნდა იმედგაცრუებისა და დაუცველობის განცდა, ვინაიდან მისი არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხე მთავრობამ არაფერი იღონა, რათა გამოძიებულიყო გარდაცვლილის მკვლელობის მიზეზი, განმცხადებელს მიეღო სიკვდილის სარწმუნო ახსნა და დამნაშავე პირები დასჯილიყვნენ.

განმცხადებლის სულიერ ტანჯვას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ სრულიად უდანაშაულო მეუღლე მოუკლეს. უფრო მეტიც, მეუღლის სიკვდილი არ ჰგავს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვალებას. გარდაცვლილის მიმართ ჩადენილია უპატივცემულობა და უღირსი საქციელი, გამოხატული გვამის დანაწევრებით.

განმცხადებლის სულიერ ტანჯვას კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ მას ერთხელაც არ მიეცა საშუალება ენახა გარდაცვლილის ნეშტი. არ მიეცა საშუალება შეესრულებინა და დაეცვა ყველა ის წესი და რიტუალი, რომელიც როგორც მართლმადიდებელი რელიგიის მიმდევრისთვის ძალიან მნიშვნელოვან და აუცილებელ პროცედურას წარმოადგენს. განმცხადებელი განსაკუთრებით განიცდის, რომ გარდაცვლილს ნაჩქარევად გათხრილ ორმოში აქვს მიწა მიყრილი და არ აქვს შესაძლებლობა მოინახულოს მეუღლის საფლავი.

მიუხედავად მძიმე სულიერი მდგომარეობისა, განმცხადებელმა მაინც გამოიჩინა ძალისხმევა და არაერთხელ მიმართა მოპასუხე მთავრობას გამოძიების თხოვნით. მოპასუხე მთავრობა კი შემოიფარგლა განმცხადებლისთვის მხოლოდ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებით და მისი დაკითხვით. სახელმწიფოს მხრიდან გამოძიების ვალდებულების და განმცხადებლის მდგომარეობის სრული უგულვებელყოფა, ლახავს პიროვნების ღირსებას და არის უაღრესად დამამცირებელი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებელი არის დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი საქართველოს მთავრობის მხრიდან. ამგვარი მოპყრობა წარმოადგენს ევრკონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, რის გამოც, ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ ირღვევა ევროკონვენციის მე-3 მუხლი.

## IV. განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვინაიდან მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქმედითი გამოძიება, დაირღვა ევროკონვენციის მე-13 მუხლი. ქმედითი გამოძიების ვალდებულების დარღვევა განპირობებულია შიდა მექანიზმის არარსებობით, რომელიც უზრუნველყოფდა გამოძიებას, ასევე გარდაცვლილის ოჯახის წევრების გამოძიების პროცესში ჩართვას და მათ ინფორმირებას. ჩვენ ასევე ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობის მხრიდან, მთელი ამ დროის განმავლობაში განმცხადებლისთვის მხოლოდ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და მისი დაკითხვა ვერ ჩაითვლება ქმედით გამოძიებად, უფრო მეტიც, ადგილი აქვს გამოძიების არარსებობას.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვინაიდან მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა და არ დაიცვა ქმედითი გამოძიებისთვის საჭირო წესი და პირობები, რითაც დაარღვია ევროკონვენციის მე-13 მუხლი. მოპასუხე მთავრობას რომც განეხორციელებინა გამოძიება, იგი მაინც ვერ ჩაითვლებოდა ქმედითად, ვინაიდან დაზარალებული არ

იყო ჩართული გამოძიების ეტაპზე, რაც, ქმედითი გამოძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ჩვენს მიერ მრავალგზის მიმართვის მიუხედავად პასუხი ვერც ერთხელ ვერ მივიღეთ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ 2008 წლის 17 აგვისტოდან დღემდე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სრული იგნორირება, გამოძიების არარსებობა გვარწმუნებს სამომავლო ქმედითი გამოძიების პერსპექტივის არარსებობაში, რაც ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-13 მუხლს.

## V. გარდაცვლილისა და განმცხადებლის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 აგვისტოს გაკეთებული განცხადება საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ არა თუ შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის გაფრთხილებად, არამედ იგი არ შეიცავდა სიმართლეს და მოსახლეობისთვის იყო სრულიად დამაბნეველი. ამ განცხადებას იმავე საღამოს, საქართველოს საარტილერიო ქვედანაყოფის მხრიდან მოჰყვა ცეცხლი, რაც გადაიზარდა მასობრივ საბრძოლო მოქმედებებში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შეტყობინებისა და ევაკუაციის ვალდებულებათა შეუსრულებლობა არსებითად არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს.

საომარი მოქმედებების დროს, ხელისუფლების მხრიდან ყველა ზომა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და დაცული იქნას ადამიანის სიცოცხლე.[35] ამის საპირისპიროდ, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 ნოემბრის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხეს თუ რატომ არ მოხერხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციაა აღნიშნული ტერიტორიიდან. მან უპასუხა: „ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ესკალაციამ მიიღო ქრონიკული ხასიათი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ევაკუაციის განხორციელების ზუსტი დროის განსაზღვრა სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა. იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად გმირი ხალხია და ალბათ სხვა ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ის ხალხი უძლებდა წლების განმავლობაში და მე არც ომის პერიოდში მეპარებოდა ეჭვი მათ გამძლეობაში.”[36] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადგილი ჰქონდა გარდაცვლილისა და განმცხადებლის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული და ჩვეულებითი სამართლის ნორმათა უხეშ დარღვევას.

# რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკონვენციისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ

## VI. გარდაცვლილის და განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარდაცვლილის და განმცხადებლის მიმართ რუსეთის მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი მუხლი, ვინაიდან არ მომხდარა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იურისდიქციის საკითხი და ის, თუ ვინ ახორციელებდა

---

[35] Human Rights Watch report January 2009. page N30.
available at http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf last visited 29 January 2010.
[36] 28.11.2010 პრეზიდენტის სტენოგრამა. 37 Available at:
ttp://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1322&info_id=21595

ეფექტურ კონტროლს გორის რ-ნის სოფელ ერედვში დღემდე უცნობია და სადავო იმის გამო, რომ არც რუსეთის ფედერაციამ და არც საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა მათზე ევროკონვენციის პირველი მუხლით დაკისრებული ვალდებულებანი.

## VII. გარდაცვლილის მიმართ ევროკონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გარდაცვლილის მიმართ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია იყო არაკონტროლირებადი, ვინაიდან არანაირი უსაფრთხოების ზომები არ იქნა მიღებული რუსეთის ფედერაციის მხრიდან. მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, მოპასუხე მთავრობა ვალდებული იყო განეხორციელებინა კონტროლი მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. რუსეთმა, როგორც ოკუპანტმა ძალამ არ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით დაკისრებული ვალდებულება – შესაძლებლობისამებრ უზრუნველეყო საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, და ამის ნაცვლად საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს და ოს მოხალისეებს, გაუმართლებელი და ფართომასშტაბიანი მაროდიორობა ეწარმოებინათ, გადაეწვათ ქართველთა საცხოვრებელი სახლები, მოეკლათ, ეცემათ, გაეუპატიურებინათ და დაეშინებინათ ადამიანები.[37] რუსეთი, როგორც ქმედითი კონტროლის განმახორციელებელი მხარე, ვალდებული იყო, უზრუნველყო თითოეული იქ მცხოვრები ადამიანის უსაფრთხოება, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოფელ ერედვში არ არსებობდა იმ მომენტისთვის ლეგიტიმური სამხედრო სამიზნე შეტევის განხორციელების არეალში, რაც დადასტურებულია Human Rights Watch-ის მიერ.38 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვამტკიცებთ, რომ მეორე მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი იმით, რომ არ უზრუნველყო უსაფრთხოების ზომები მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია განმცხადებლის მეუღლის გარდაცვალება.

## VIII. განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია განმცხადებლის ევროკონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება იმით, რომ არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება. რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული მინსკის კონვენციის ფარგლებში თანამშრომლობით სრულიად შესაძლებელი იყო გარდაცვლილის მკვლელობის ფაქტის სრულყოფილი გამოძიება. ასეთი გამოძიების არარსებობის პირობებში კი ადგილი აქვს ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას პოზიტიური ვალდებულების ჭრილში.

მიუხედავად მძიმე სულიერი მდგომარეობისა, განმცხადებელმა მაინც გამოიჩინა ძალისხმევა და არაერთხელ მიმართა რუსეთის ფედერაციას გამოეძიების თხოვნით, თუმცა მისთვის ცნობილი იყო, რომ მინსკის კონვენციის თანახმად არც ის და არც მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები ორგანიზაციის სახით არ იყვნენ მინსკის კონვენციის სუბიექტები. მაგრამ, გამოძიების ჩატარების სურვილი და დამნაშავეთა გამოვლენის სურვილი განმცხადებლისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან ყველა სამართლებრივი საშუალება გამოიყენა ამისათვის, თუმცა, უშედეგოდ. რუსეთის

[37] Human Rights Watch report January 2009. page N15.
available at http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf
[38] Human Rights Watch report January 2009. page N30. http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf

ფედერაციის მხრიდან გამოძიების ვალდებულების და განმცხადებლის მდგომარეობის სრული უგულებელყოფა, ლახავს პიროვნების ღირსებას და არის უაღრესად დამამცირებელი, რაც, ჩვენი მტკიცებით, შეესაბამება ევრკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

### IX. განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევების შესახებ.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო, უზრუნველეყო ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემა, ვინც ჩაიდინა დანაშაული გარდაცვლილის წინააღმდეგ, გამოეძია და პასუხისგებაში მიეცა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, ვინც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის პირობებში მოხდა დანაშაული, მიგვაჩნია, რომ გარდაცვლილის მკვლელობის ფაქტის გამოძიების ვალდებულება უპირატესად მას აკისრია, რისი განუხორციელებლობაც ევროკონვენციის მე-13 მუხლის დარღვევის პირობაა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ არ ითანამშრომლა საქართველოსთან მინსკის კონვენციის შესაბამისად, რასაც შედეგად მკვლელობის ფაქტის გამოუძიებლობა მოჰყვა, ანუ რუსეთის ფედერაციას არ აღმოაჩნდა ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი ომის დანაშაულის გამოძიებისათვის, რაც შეესაბამება ევროკონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

### X. გარდაცვლილისა და განმცხადებლის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საომარი მოქმედებების დროს, ხელისუფლების მხრიდან ყველა ზომა უნდა იქნეს გამოყენებული, ჟენევის კონვენციების თანახმად, რათა თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და დაცული იქნას ადამიანის სიცოცხლე.[39] განმცხადებლის თქმით, მის მეუღლეს არ ჰქონდა არანაირი სახის ცეცხლსასროლი იარაღი სახლში და აქედან გამომდინარე, გარდაცვლილი არ წარმოადგენს კომბატანტს, ხოლო თვითონ განმცხადებელი საერთოდ არ იმყოფებოდა გარდაცვლილის მკვლელობის მომენტში სოფელ ერედვში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ხვდებოდნენ ჟენევის კონვენციების დაცვის ქვეშ და მათ წინააღმდეგ ჩადენილი ომის დანაშაული წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ჩვეულებითი ნორმების უხეშ დარღვევას.

## განაცხადის დასაშვებობის თაობაზე

მიგვაჩნია, რომ განმცხადებელი თავისუფალია მტკიცების ტვირთისგან, რადგან საქმე ეხება სიცოცხლის უფლების ხელყოფას და ამ ფაქტის გამოძიების არარსებობას. მოპასუხე მთავრობა ვალდებულია გამოძიების მიმდინარეობის პროცეში მოახდინოს დაზარალებულის ინფორმირება და გადასცეს სარწმუნო ახსნა იმისა, თუ რა ეტაპზეა გამოძიება და რა კეთდება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განმცხადებელი არ არის ვალდებული ეძიოს სხვადასხვაგვარი გზა, რომ როგორმე მოიპოვოს სარწმუნო ახსნა რა სტადიაზეა გამოძიების მსვლელობა. თუმცა განმცხადებელმა არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოს აღნიშნულის გამო, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღია, რაც საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გამოძიების შიდა მექანიზმი არ არსებობს, დარღვეულია და კვლავაც ირღვევა ევროკონვენციის მე-13 მუხლი. ამრიგად, გამოძიების დაწყებიდან 2 წლის გასვლის

---

[39] Human Rights Watch report January 2009. page N30. available at http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf last visited 29 January 2010.

შემდეგ განმცხადებელი უფლებამოსილია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ვინაიდან უდავოა, რომ შიდა სამართლებრივი მექანიზმები არ არის ქმედითი და მათი ამოწურვა აზრს არის მოკლებული.

## 2008 წ. აგვისტოს ომში დაჭრილ მშვიდობიან მოქალაქეთა საქმეები

### 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს დაზარალებული (დაჭრილი) საქართველოს მოქალაქის

### საჩივარი
### საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

### ფაქტობრივი გარემოებები

შეიარაღებული კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით. საჰაერო და სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა 5 დღის განმავლობაში.

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ განახორციელა ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია აღნიშნული ტერიტორიიდან, რასაც ადასტურებს IIFFMCG-ის ანგარიში.[40] მოსახლეობის ევაკუაციის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმა, რაც 2008 წლის 7 აგვისტოს განხორციელდა და საქართველოს სამხედრო ძალები და საბრძოლო ტექნიკა შევიდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.[41]

IIFFMCG-ის 2008 წლის 2 დეკემბრის დასკვნის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარისგან გამუდმებული პროვოკაციების შემდეგ, 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს ქართული მძიმე საარტილერიო ტექნიკა თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის რეგიონის ქალაქ ცხინვალს, რასაც თან მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საჰაერო და მძიმე ტექნიკის შემოსვლა საქართველოს საჰაერო და სახმელეთო სივრცეში, ჯერ ქალაქ ცხინვალში, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ტერიტორიებზე. ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავის დაღწევა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ჯავშანტექნიკამ და საჰაერო საბრძოლო ხომალდებმა ჩაკეტეს საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის მთავარი სამოძრაო გზები. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ხუთი დღის განმავლობაში, რამაც გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ქონებრივი ზიანი.[42]

2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს, ღამის საათებში, საქართველოს საარტილერიო ქვედანაყოფის მიერ გაიხსნა ცეცხლი, რასაც თან მოჰყვა მასობრივი საბრძოლო მოქმედებები.[43] ხუთდღიან საბრძოლო მოქმედებებს კი შედეგად მოჰყვა სამხრეთ ოსეთის

[40] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, გვ.208, იხ. ელ.ვერსია: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.
[41] Ibid, გვ.208.
[42]Human Rights Watch ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს,. გვ 3-5. იხ. ელ.ვერსია http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.
[43] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, გვ. 209. იხ. ელ.ვერსია: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.

სამხედრო ძალების მიერ ფართომასშტაბიანი მაროდიორობის დაწყება, ასევე ეთნიკურად ქართველთა საცხოვრებელი სახლების გადაწვა, მკვლელობა, ცემა, გაუპატიურება და სხვა მძიმე დანაშაულები.[44]

2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

Human Rights Watch-ის დასკვნაზე დაყრდნობით, 2008 წლის 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ქ. გორისა და მისი მიმდებარე სოფლების ოკუპაცია, რასაც შედეგად მოჰყვა როგორც საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის განადგურება, ასევე დიდი ოდენობის მსხვერპლი ადგილობრივ მოსახლეობაში.[45]

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერ გამოყენებული იქნა 85 ტიპის ორმაგი დანიშნულების, პირობითად გაუმჯობესებული ასაფეთქებელი საშუალება, რომელიც განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობისთვის მისი დანიშნულებიდან გამომდინარე კერძოდ, ახასიათებს ფართო გაფანტვითი ხასიათი და ანადგურებს არა მხოლოდ სამიზნე წერტილს, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიას განუსაზღვრელი მაშტაბით.[46]

Human Rights Watch-ის დასკვნაში ასახულია კონკრეტულად სოფელი ვარიანის დაბომბვის ფაქტი, რასაც ემსხვერპლა 3 მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე და მძიმედ დაიჭრა დაახლოებით 16 მოქალაქე. სოფელი ვარიანი ორჯერ დაიბომბა კასეტური ბომბებით: 8 და 12 აგვისტოს. 8 აგვისტოს დაიჭრა 13 ადამიანი, დანარჩენი დაიჭრა 12 აგვისტოს დაბომბვის დროს.[47]

დაზარალებული (შემდგომში "დაზარალებული") დაიბადა 1995 წლის 11 სექტემბერს, ქ. გორში. დაზარალებული სოფელ ვარიანში ცხოვრობდა და ცხოვრობს მშობლებთან და დებთან ერთად.

პირველი განმცხადებელი ეწევა სამეურნეო საქმიანობას და სოფლის პროდუქტს ყიდის ქ. თბილისში, მეორე განმცხადებელი დიასახლისია. დაზარალებულის უფროსი და გათხოვდა 2009 წელს და ოჯახთან ერთად არ ცხოვრობს. უმცროსი კი ქ. თბილისში კოლეჯში სწავლობს.

განმცხადებლების თქმით, ომის დაწყებამდე არ ყოფილა სოფელში რაიმე გაფრთხილება ომის დაწყების შესახებ, იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის არავის უთქვამს, რომ სოფელი დაეტოვებინათ საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ მომხდარა მათი ევაკუაცია, შესაბამისად პირველი განმცხადებელი ბავშვებთან ერთად სოფელ ვარიანში იმყოფებოდნენ ომის დროს.

14.12. განმცხადებლების თქმით, სოფელში სროლების ხმა ხშირად ისმოდა, რაც ჩვეული მოვლენა იყო ამ რეგიონისთვის და არავის უკვირდა, თუმცა სროლები განსაკუთრებით გახშირდა 7 აგვისტოს საღამოდან.

---

[44] Human Rights Watch ,ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ: 66-69. იხ. ელ.ვერსია http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.

[45] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.4, იხ. ელ.ვერსია: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames , ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს

[46] Ibid გვ.66.

[47] Ibid გვ.105-107.

14.13. 2008 წლის 8 აგვისტოს მეორე განმცხადებელი იმყოფებოდა სოფელ ვარიანში შვილთან ერთად. პირველი განმცხადებელი (დაზარალებულის მამა) ქ. თბილისში იყო წასული პროდუქტის გასაყიდლად. დაზარალებულის დები სოფელში იყვნენ დედასთან და ძმასთან ერთად. დილით დაახლოებით 9-ის ნახევრისთვის დაზარალებული გადასული იყო მეზობელთან. მეორე განმცხადებელი (დაზარალებულის დედა) საკუთარ სახლში იმყოფებოდა, იგი ძალიან შეშინებული იყო წინა ღამის სროლების გამო და ამიტომ წავიდა შვილის მოსაძებნად, რომ სახლში მოეყვანა. მეორე განმცხადებელმა გზად მეზობელს შეუარა, რომ პირველი განმცხადებლისთვის დაერეკა და ეკითხა, როგორ იმგზავრა. მეზობელთან ყოფნის დროს მეორე განმცხადებელმა აფეთქების ხმა გაიგო და მაშინვე დაზარალებულის მოსაძებნად წავიდა.

მეორე განმცხადებელმა ნახა, რომ სოფლის თავშეყრის ადგილას მისი თანასოფლელები, დაახლოებით 14 ადამიანი მიწაზე იწვა, ზოგი მათგანი გარდაცვლილი იყო, ზოგი კი დაჭრილი და შველას ითხოვდა. მეორე განმცხადებელი პანიკამ შეიპყრო, რადგან საკუთარი შვილი ვერსად ნახა. შემდეგ მეზობლებმა დაამშვიდეს და უთხრეს, რომ მისი შვილი უკვე სასწრაფომ წაიყვანა და მას მხოლოდ მცირედი დაზიანებები ჰქონდა მიღებული.

სოფლის დაბომბვიდან დაახლოებით ნახევარ საათში მეორე განმცხადებელს დაურეკეს გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან და აცნობეს, რომ მის შვილს ოპერაციას უკეთებდნენ. დაზარალებული კომატოზურ მდგომარეობაში იყო და სუნთქვის უკმარისობა აღენიშნებოდა. გორის ჰოსპიტალში მას რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა. იმავე საღამოს დაზარალებული გადაიყვანეს ქ. თბილისში, იაშვილის სახელობის საავადმყოფოში (იხ. დანართი №1). განმცხადებლები ძალიან ნერვიულობდნენ თავის შვილებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სოფელ ვარიანში იყვნენ. 9 აგვისტოს პირველი განმცხადებლის ბიძაშვილი წავიდა სოფელში და თბილისში წამოიყვანა დაზარალებულის დები.

დაზარალებული იაშვილის სახელობის საავადმყოფოში სასწრაფოს მანქანით წაიყვანეს, მეორე განმცხადებელიც მას გაჰყვა. დაზარალებული ხელოვნურ სუნთქვაზე იყო გადაყვანილი. დაზარალებული საოპერაციოში ყავდათ შეყვანილი როდესაც პირველი განმცხადებელი მივიდა შვილის სანახავად. იაშვილის სახელობის საავადმყოფოში დაზარალებული თითქმის ერთი თვის გნამავლობაში მკურნალობდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, სექტებმრის დასაწყისში ოჯახი სოფელში დაბრუნდა.

პირველი განმცხადებელი საკუთარ სახლ-კარზეც ნერვიულობდა და სანამ მისი ოჯახი ქ. თბილისში იყო, ის სოფელ ვარიანში წავიდა, რომ ენახა რა მდგომარეობაში იყო მისი კარ-მიდამო. სოფელში პირველი განმცხადებელი მეგობართან ერთად წავიდა აგვისტოს ბოლოს. გორამდე ისინი ტრანსპორტს გაყვნენ, გორიდან კი ფეხით ცდილობდნენ სოფელში შეპარვას. ვარიანის შესასვლელთან ისინი რუსმა გუშაგებმა მაინც გააჩერეს და პირადობები მოსთხოვეს. პირველმა განმცხადებელმა აჩვენა პირადობა და გაატარეს, მის მეგობარს კი არ აღმოაჩნდა, რის გამოც მას გატარებაზე უარი უთხრეს, დააკავეს და ცხინვალში წაყვანას უპირებდნენ. პირველმა განმცხადებელმა მეგობარი არ მიატოვა განსაცდელში, რამაც რუსები მეტად გააოცა და პეტრეც შეუშვეს სოფელში.

პირველმა განმცხადებელმა ნახა, რომ მის სახლში ყველაფერი დამტვრეული იყო, ეზოში კი ჯარისკაცების საჭმლის ქილები იყო მიყრილ-მოყრილი და იქ საშინელი სიბინძურე სუფევდა. პირველი განმცხადებლის ავტომობილის ფანჯრის მინები ჩამტვრეული იყო. პირველი განმცხადებელი აღნიშნული ავტომანქანით წავიდა თბილისში მეგობართან ერთად და სექტემბრის დასაწყისშიც საკუთარი მანქანით დაბრუნდა სოფელში.

განმცხადებლების განმარტებით, სოფელში მათ ჯარისკაცები არ უნახავთ. მეორე განმცხადებლის განმარტებით სოფლის თავშეყრის ადგილას მან მხოლოდ მშვიდობიანი თანასოფლელები ნახა დაზარალებული, იქ სამხედრო პირი არ ყოფილა. მისი თანასოფლელები კი არ ატარებდნენ იარაღს და არ იღებდნენ საომარ მოქმედებებში მონაწილეობას.

განმცხადებლები საკუთარ შვილებთან ერთად (გარდა დაზარალებულებისა) სოფელში დაბრუნებამდე პირველი განმცხადებლის ბიძასთან ცხოვრობდნენ 10 დღე, შემდეგ მეორე ბიძასთან ცხოვრობდნენ ერთი კვირის განმავლობაში. დროებითი თავშესაფარი სახელმწიფომ მათ არ გამოუყო.

მეორე განმცხადებლისთვის 8 აგვისტო ძალიან საშინელი იყო სულიერი თუ ფიზიკური თვალსაზრისით. ბავშვის დაჭრის შედეგად მიიღო საშინელი სტრესი და შიში, იგი დაითრგუნა და აღმოჩნდა დაუცველ და უიმედო მდგომარეობაში, სასოწარკვეთლების განცდა ჰქონდა დაუფლებული განსაკუთრებით მანამ, სანამ მისი შვილის ადგილსამყოფელს გაიგებდა. ასეთი მდგომარეობა მას არც მაშინ შეუმსუბუქდა, როცა საკუთარი შვილი უგონო მდგომარეობაში ნახა მეტად მძიმე მდგომარეობაში. ერთის მხრივ, ის თავის მომაკვდავ შვილზე ნერვიულობდა, მეორეს მხრივ კი სოფელში დარჩენილი შვილების ბედი აწუხებდა.

არანაკლები სტრესი მიიღო პირველმა განმცხადებელმაც, რომელიც თბილისიდან ვერაფრით ეხმარებოდა ცოლ-შვილს, არ იცოდა მათი მდგომარეობა. თბილისში ჩამოსული მისი შვილი კი მძიმე მდგომარეობაში ნახა. განმცხადებლებმა დამატებითი სტრესი მიიღეს, როცა მათი სახლი გაძარცვული ნახეს, ხოლო რაც წაღებული არ დახვდათ, ყველაფერი დამტვრეული იყო.

განმცხადებლებმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს, მათ ცხოვრება თავიდან დაიწყეს, მკურნალობენ დაზარალებულს და იმედი აქვთ, რომ მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. დაზარალებულს თანდაყოლილი ტრამვა აქვს, რის გამო უჭირს მეტყველება და სმენა აქვს დაქვეითებული, ომის შემდეგ კი მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

მეორე განმცხადებელმა 2010 წლის 4 ივნისს გააგზავნა განცხადება თბილისის პროკურატურაში თავის შვილის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით. იგი ითხოვდა ინფორმაციას, თუ რა ღონისძიებები გატარდა მისი შვილის დაჭრის ფაქტის გამოძიების თვალსაზრისით, თანამშრომლობდა თუ არა საქართველოს პროკურატურა მინსკის კონვენციის შესაბამისად რუსეთის პროკურატურასთან დანაშაულის გამოძიების მიზნით. პროკურატურისგან განმცხადებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ითხოვდა წერილობითი პასუხის გაცემას (იხ. დანართი №2). სამწუხაროდ, ამ წერილზე განმცხადებელს პასუხი არ მიუღია, რის გამოც მეორე განმცხადებელმა კიდევ რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას (იხ. დანართი №3, დანართი №4), თუმცა პასუხი სამწუხაროდ ვერცერთხელ მიიღო.

რამდენადაც საქართველოს პროკურატურის მხრიდან არ იყო რაიმე რეაგირება, ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა" (შემდგომში "ორგანიზაცია") განცხადება გააგზავნა რუსეთის პროკურატურაში და მთავარ საგამოძიებო კომიტეტში 2010 წლის 8 ივნისს დაზარალებულის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით (იხ. დანართი №5, დანართი №6) და მოითხოვდა ინფორმაციას მისი დაჭრის ფაქტის გამოძიების შესახებ.

რუსეთის გენერალური პროკურატურიდან 2010 წლის 29 ივლისს მოვიდა პასუხი, რომ ორგანიზაციის წერილი გადაიგზავნა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებულ მთავარ საგამოძიებო კომიტეტში, რამდენადაც აღნიშნული საკითხის განხილვა შედის მის კომპეტენციაში (იხ. დანართი №7). საგამოძიებო კომიტეტიდან კი 4 აგვისტოს და 14 სექტემბერს მოვიდა იდენტური წერილები, რომელთა თანახმად აღნიშნული კომიტეტი იძიებს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსი მოქალაქეების და მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ჩადენილ გენოციდის საქმეს, დაზარალებულის დაჭრის დამადასტურებელი მტკიცებულებები მათ არ მოეპოვებათ. ამავე წერილით კომიტეტის უფროსმა გამომძიებელმა აცნობა ორგანიზაციას, რომ დაზარალებულის დაჭრის ფაქტზე გამოძიება დაიწყება, თუმცა სრულფასოვანი გამოძიება ვერ მოხერხდება, თუკი საქართველოს კომპეტენტური ორგანოები სათანადო წესის დაცვით არ მიაწვდიან საჭირო დოკუმენტებს; და რომ ამ თხოვნით საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართვა უკვე გაეგზავნა (იხ. დანართი №8).

ორგანიზაციამ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოშიც გააგზავნა განცხადება კითხვით, არის თუ არა მინსკის კონვენცია სავალდებულო საქართველოსთვის და მოქმედებს თუ არა იგი, რაზეც პარლამენტისგან მოვიდა პასუხი, რომ კონვენცია სავალდებულო ძალის მქონეა საქართველოსთვის (იხ. დანართი №9).

2010 წლის 8 ოქტომბერს ორგანიზაციამ საქართველოს პროკურატურაში წერილი გააგზავნა დაზარალებულის სახელით და მოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, სიმართლეს შეესაბამება თუ არა რუსეთის ფედერაციის პროკურატურის პასუხი, რომ მათ მიმართეს საქართველოს პროკურატურას თანამშრომლობის თხოვნით, დადებითი პასუხის შემთხვევაში, ითანამშრომლა თუ არა საქართველოს პროკურატურამ მათთან. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი ორგანიზაცია საქართველოს პროკურატურისგან მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციის შესაბამის ორგანოებთან მინსკის კონვენციის შესაბამისად. ორგანიზაცია ითხოვდა წერილობით პასუხს საქართველოს პროკურატურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან და განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებით (იხ. დანართი №10). პასუხი წერილზე არ მოსულა.

**საქართველოს მთავრობის მიერ ევროკონვენციისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევის შესახებ**

**I. განმცხადებლების და დაზარალებულის მიმართ ევროკონვენციის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ**

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის 1-ლი მუხლი. ევროკონვენციის 1-ლი მუხლის არსიდან გამომდინარეობს, რომ მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ყველა ადამიანისათვის კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები. აქედან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის, რომელიც მათ იურისდიქციაში მყოფ პირებთან მიმართებაშია ჩადენილი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არ არის დადგენილი, რომელი სახელმწიფო ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს სოფელ ვარიანზე მისი დაბომბვის დროს. აღნიშნული ტერიტორია იმყოფებოდა საქართველოს იურისდიქციაში და არ არის დამტკიცებული, რომ მასზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა სხვა სახელმწიფო. შესაბამისად, საქართველოს ევალებოდა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვა მათი გაფრთხილების/ევაკუაციის ან სხვა საშუალებით. აღნიშნული ვალდებულების განუხორციელებლობით საქართველოს სახელმწიფომ დაარღვია ევროკონვენციის პირველი მუხლი.

**II. დაზარალებულის მიმართ ევროკონვენციის მეორე მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ**

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დაზარალებულის მიმართ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური თვალსაზრისით. დარღვევა გამოწვეულია მოპასუხე მთავრობის მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით, ყოველგვარი წინდახედულობის და უსაფრთხოების ზომის გამოუყენებლობით, პოზიტიური ვალდებულების შესრულების შემთხვევაში (გაფრთხილება, ევაკუაცია) თავიდან იქნებოდა აცილებული მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

საქართველოს მთავრობამ არ დაიცვა საკუთარი მოქალაქეები მისი იურისდიქციის ფარგლებში. სოფელ ვარიანზე ომის დაწყებისას (7,8 აგვისტო) ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია, რის გამოც საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იყო დაეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა. მოსახლეობის დაცვა საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო მათი გაფრთხილებისა და/ან

ევაკუაციის მეშვეობით. საქართველოს მთავრობის მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია ევროკონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაზარალებულის მიმართ, რადგან მშვიდობიანი სოფლის დაბომბვით რეალური საფრთხე შეექმნათ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ის შემთხვევის წყალობით გადარჩა სიკვდილს, მითუმეტეს მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება ნეგატიური თვალსაზრისით. კერძოდ, მთავრობამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაჭრის ფაქტის გამოძიება მიუხედავად იმისა, რომ უკვე გავიდა ორ წელიწადზე მეტი.

საქართველო, ისევე როგორც რუსეთის ფედერაცია, წარმოადგენს მინსკის კონვენციის[48], მხარეს, რის საფუძველზეც ორივე ქვეყნის მთავრობა ვალდებულია განახორციელოს ურთიერთთანამშრომლობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველო როგორც მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყანა, ვალდებული იყო ეთანამშრომლა რუსეთის ფედერაციასთან გამოძიების კუთხით, რათა შესრულებულიყო დაზარალებულის საქმის ქმედითი გამოძიების ვალდებულება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია ევროკონვენციის მეორე მუხლის დარღვევა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მეორე მუხლი, რადგან მან საერთოდ არ მიაწოდა რაიმე ინფორმაცია განმცხადებლებს და მათ ისიც კი არ იციან, დაწყებული არის თუ არა გამოძიება მათი შვილის დაჭრის ფაქტზე.

## III. განმცხადებლების და დაზარალებულის მიმართ ევროკონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლების და დაზარალებულის მიმართ ირღვევა ევროკონვენციის მე-3 მუხლი, რადგან ისინი წარმოადგენენ მოპასუხე მთავრობის მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლს. მეორე განმცხადებელი იყო სასოწარკვეთილი და დაუცველი ომის პერიოდში, როდესაც მან ვერ მოახერხა, დაეცვა თავისი შვილები და აერიდებინა მათთვის ომით გამოწვეული სტრესი და ფიზიკური ზიანი. იგივე მდგომარეობაში იყო პირველი განმცხადებელი, რომელიც შორს იყო შვილებისგან და ვერ ახერხებდა მათ დაცვას და ნუგეშს, ისიც კი არ იცოდა, რა მდგომარეობაში იყო მისი ოჯახი.

განმცხადებლები განიცდიან სულიერ ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია მათი შვილის დაჭრის ფაქტის გამოუძიებლობით. განმცხადებლებს გაუჩნდათ იმედგაცრუებისა და დაუცველობის განცდა, ვინაიდან მათი არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხე მთავრობამ არაფერი იღონა, რათა გამოძიებულიყო ბავშვის დაჭრის ფაქტი.

განმცხადებლების სულიერ ტანჯვას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფიზიკური ტკივილი, რომელიც განიცადა დაზარალებულმა მიყენებული ჭრილობების გამო. დაზარალებულს ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული, რის გამოც გონზე თითქმის ერთი თვე ვერ მოვიდა. გარდა ამისა, მას დაუმძიმდა თანდაყოლილი დეფექტი, უფრო მეტად დააკლდა სმენა და დაკარგა მეტყველების უნარი, რასაც თანდათან იღდგენს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლები და დაზარალებული არიან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი საქართველოს

---

[48] სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენცია, მიღებულია 1993 წლის 4 მარტს. იხ. ელ.ვერსია: http://www.justice.gov.ge/files/Documents/saertashoriso_sajaro/bavshta_uflebebi/04Minski_1993.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 29 ივნისს.

მთავრობის მხრიდან. ამგვარი მოპყრობა წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას, რის გამოც მათ მიმართ ირღვევა ევროკონვენციის მე-3 მუხლი.

## IV. ევროკონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვინაიდან მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქმედითი გამოძიება, დაირღვა ევროკონვენციის მე-13 მუხლი. ქმედითი გამოძიების ვალდებულების დარღვევა განპირობებულია შიდა მექანიზმის არარსებობით, რომელიც უზრუნველყოფდა გამოძიებას, ასევე განმცხადებლების გამოძიების პროცესში ჩართვას და მის ინფორმირებას. ჩვენ ასევე ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობის მხრიდან, მთელი ამ დროის განმავლობაში განმცხადებლების იგნორირება ვენიშნავს იმას, რომ გამოძიება საერთოდ არ მიმდინარეობს, განმცხადებლები არავის დაუკითხავს და არც დაზარალებულის სტატუსი მიუნიჭებიათ მათთვის.

სტამბულის ოქმით, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს გარკვეული უფლებები გამოძიების პროცესში უშუალო ჩართულობისა და მონაწილეობის თვალსაზრისით. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია ითანამშრომლოს დაზარალებულთან გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ იცნობდეს საქმის მასალებს და შესაბამისად გამოძიებას წარუდგინოს ის დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტები, რასაც საქმის შემდგომი მსვლელობისთვის არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს. დაზარალებული არ შეიძლება შეიზღუდოს საგამოძიებო მოქმედებებში დასწრებით და მის ვერსიათა გამჟღავნებით. დაზარალებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დადებითი ზემოქმედება მოახდინოს გამოძიების მსვლელობაზე.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვინაიდან მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა და არ დაიცვა ქმედითი გამოძიებისთვის საჭირო წესი და პირობები, დაარღვია ევროკონვენციის მე-13 მუხლი. მოპასუხე მთავრობას რომც განეხორციელებინა გამოძიება, იგი მაინც ვერ ჩაითვლებოდა ქმედითად, ვინაიდან განმცხადებლები არ იყვნენ ჩართული გამოძიების ეტაპზე, რაც, ქმედითი გამოძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. მოპასუხე მთავრობის მიერ, განმცხადებლების სრული იგნორირება, მათი შვილის დაჭრის და სახლის გაძარცვის გამოძიებასთან დაკავშირებით, გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ არ არსებობს ქმედითი გამოძიების შიდა მექანიზმი.

ჩვენ და მეორე განმცხადებელმა არაერთხელ გავაგზავნეთ შუამდგომლობა მთავარი პროკურორის სახელზე, სადაც ვითხოვდით ინფორმაციას ხორციელდებოდა თუ არა რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედებანი და რა სტადიაზე იყო გამოძიება. თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ 2008 წლის აგვისტოდან დღემდე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სრული იგნორირება, გამოძიების არარსებობა გვარწმუნებს სამომავლო ქმედითი გამოძიების პერსპექტივის არარსებობაში, რაც ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-13 მუხლს.

## V განმცხადებლების მიმართ ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლების მიმართ დაირღვა ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი. კერძოდ, განმცხადებლებს გაუძარცვეს სახლი და გაიტანეს საოჯახო ტექნიკა, ნივთები, ძვირფასეულობა, ტანსაცმელი. დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ შეასრულა მასზე ევროკონვენციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, რომ დაეცვა საკუთარი მოქალაქეები და მათი ქონება. მთავრობას შეეძლო განმცხადებლების დაცვა მათი გაფრთხილების და ევაკუაციის საშუალებით. ამ შემთხვევაში განმცხადებლები შეძლებდნენ სრულად თუ არა, მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც გადაერჩინათ. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი განმცხადებლებთან მიმართებაში.

## VI. საქართველოს მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობისთვის ევროკონვენციის მიერ დაკისრებული ვალდებულების, საკუთარი მოქალაქეების დაცვის განუხორციელებლობის უშუალო მსხვერპლი არიან განმცხადებლები. აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა არსებითად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. საომარი მოქმედებების დროს, ხელისუფლების მხრიდან ყველა ზომა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და დაცული იქნას ადამიანის სიცოცხლე.[49] ამის საპირისპიროდ, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 ნოემბრის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხეს თუ რატომ არ მოხერხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციაა აღნიშნული ტერიტორიიდან. მან უპასუხა: *„ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ესკალაციამ მიიღო ქრონიკული ხასიათი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ევაკუაციის განხორციელების ზუსტი დროის განსაზღვრა სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა. იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად გმირი ხალხია და ალბათ სხვა ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ის ხალხი უძლებდა წლების განმავლობაში და მე არც ომის პერიოდში მეპარებოდა ეჭვი მათ გამძლეობაში".*[50] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლების მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული და ჩვეულებითი სამართლის ნორმათა უხეშ დარღვევას.

## რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკონვენციისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ

## VII. განმცხადებლების მიმართ ევროკონვენციის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ევროკონვენციის 1-ლი მუხლის არსიდან გამომდინარე, ვარიანის დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებს რუსეთის ფედერაციაც. არ არის დადგენილი, რომელი სახელმწიფო ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს სოფელ ვარიანზე მისი დაბომბვის დროს, არც ისაა დანამდვილებით ცნობილი, ვინ განახორციელა დაბომბვა. საერთაშორისო ანგარიშების თანახმად, რუსეთის ფედერაციის მფლობელობაში არსებული კასეტური იარაღით დაიბომბა სოფელი ვარიანის მშვიდობიანი მოსახლეობის თავშეყრის ადგილები.[51]

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის ქვეშ და მოქმედებდნენ საკუთარი ქვეყნის სახელით, რის გამოც ფედერაციამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი მუხლი. დარღვევა განხორციელდა იმ კუთხით, რომ იგი შეიჭრა სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში, სადაც მასობრივად დაარღვია ადამიანის უფლებები.

## VIII. დაზარალებულის მიმართ ევროკონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

---

[49] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.30, იხ. ელ.ვერსია: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames , ბოლოს ნანახია 2010 წლის 29 ივნისს.

[50] 28.11.2010 პრეზიდენტის სტენოგრამა. გვ.37 იხ. ელ.ვერსია: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1322&info_id=21595. ბოლოს ნანახია 2010 წლის 28 ივნისს.

[51] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.104-106, იხ. ელ.ვერსია: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames , ბოლოს ნანახია 2010 წლის 29 ივნისს.

მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში დაჭრილთა და დაღუპულთა არსებობის ან სამოქალაქო ობიექტების განადგურების ფაქტი არ მიუთითებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაზე. მნიშვნელოვანია დადგინდეს, არსებობდა თუ არა იმ მომენტისთვის ლეგიტიმური სამხედრო სამიზნე შეტევის განხორციელების არეალში და როგორ განხორციელდა მასზე თავდასხმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის ლეგიტიმური სამიზნე, რაც დადასტურებულია Human Rights Watch-ის მიერ.[52] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვამტკიცებთ, რომ მეორე მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი იმით, რომ არ უზრუნველყო უსაფრთხოების ზომები, რამაც საფრთხე შუქმნა განმცხადებლის სიცოცხლეს.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოფელ ვარიანში სამხედრო ობიექტების არსებობის შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია იერიშის მიტანის დროს ვალდებული იყო, განერჩია ერთმანეთისგან სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები.[53] რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ გამოყენებული იქნა კასეტური იარაღი, რომლითაც ვერ ხერხდება სამოქალაქო და სამხედრო პირებისა და ობიექტების გარჩევა და წერტილოვანი დარტყმების განხორციელება. აღნიშნული იარაღის გამოყენება უხეშად არღვევს ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო ნორმებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მეორე მოპასუხე მთავრობის მიერ დარღვეულია ევროკონვენციის მე-2 მუხლი დაზარალებულის მიმართ.

## IX. დაზარალებულის და განმცხადებლების მიმართ ევროკონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ევროკონვენციის მე-3 მუხლით დაცული განმცხადებლების და დაზარალებულის უფლება იმით, რომ ომის დროს მათ მიიღეს ძლიერი ფსიქიკური სტრესი, რაც გამოწვეული იყო ბავშვის დაჭრით, მით მიერ მიღებული ფიზიკური დაზიანებებით. რუსეთის მთავრობამ არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება. რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული მინსკის კონვენციის ფარგლებში თანამშრომლობით სრულიად შესაძლებელი იყო დაზარალებულის დაჭრის და სახლის გაძარცვის ფაქტის სრულყოფილი გამოძიება. გამოძიების არარსებობის პირობებში კი ადგილი აქვს ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას პოზიტიური ვალდებულების ჭრილში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ევროკონვენციის მესამე მუხლი განმცხადებლებთანდა დაზარალებულთან მიმართებაში.

## X. რუსეთის მიერ ევროკონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ევროკონვენციის მე-13 მუხლი დაზარალებულის დაჭრის ფაქტის და სახლის გაძარცვის გამოუძიებლობით. რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო უზრუნველეყო ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემა, ვინც ჩაიდინა დანაშაული განმცხადებლების და დაზარალებულის წინააღმდეგ, გამოეძია და პასუხისგებაში მიეცა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, ვინც დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართალი ომის დროს. შესაბამისად, დაირღვა და კვლავაც ირღვევა ევროკონვენციის მე-13 მუხლი.

## XI. განმცხადებლების მიმართ ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

---

[52] Human Rights Watch, ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ.30, იხ. ელ.ვერსია: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames , ბოლოს ნანახია 2010 წლის 29 ივნისს

[53] Ibid. გვ: 29-31.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი განმცხადებლების მიმართ, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური თვალსაზრისით.

ჩვენი მტკიცებით, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ მშვიდობიანი სოფლის უკანონო დაბომბვის შედეგად განმცხადებლებმა მიიღეს ქონებრივი ზიანი. კერძოდ, გაძარცვეს მათი სახლი. რუსეთის ფედერაციამ არ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნება სოფელში მას შემდეგ, რაც მან დაამყარა კონტროლი აღნიშნულ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლების მიმართ დარღვეულია ევროკონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი.

**განაცხადის დასაშვებობის თაობაზე**

მიგვაჩნია, რომ განმცხადებლები თავისუფლები არიან მტკიცების ტვირთისგან, კერძოდ, საქმე ეხება სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას და ამ ფაქტის გამოძიებას. მოპასუხე მთავრობა ვალდებულია გამოძიების მიმდინარეობის პროცესში მოახდინოს დაზარალებულის ინფორმირება და გადასცეს სარწმუნო ახსნა იმისა, თუ რა ეტაპზეა გამოძიება და რა კეთდება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განმცხადებლები არ არის ვალდებული ეძიოს სხვადასხვაგვარი გზა, რომ როგორმე მოიპოვოს სარწმუნო ახსნა რა სტადიაზეა გამოძიების მსვლელობა და რა შედეგები აქვს მას. თუმცა განმცხადებლებმა არაერთხელ მიმართეს როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული მიზეზის გამო, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღიათ, რაც საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ შიდა მექანიზმი არ არსებობს, რის გამოც დარღვეულია და კვლავაც ირღვევა ევროკონვენციის მე-13 მუხლი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გამოძიების დაწყებიდან 2 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ განმცხადებლები თავისუფალი არიან მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, ვინაიდან უდავოა, რომ შიდა სამართლებრივი მექანიზმები არის არაეფექტური და მათი ამოწურვა ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

# თავი V

# ადმინისტრაციული სამართალწარმოება ომით დაზარალებულთათვის

## 2008 წ. აგვისტოს ომით მიყენებული მატერიალური ზარალის საქმეები[54]

**საქართველოს მთავრობას**

[54] არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის” მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში წარმოებულ ტიპიურ საქმეთა მასალები (2008-2010 წწ.) – 2008 წ. ომით დაზარალებულთა წარმომადგენლობა.

2008 წლის ომით დაზარალებულის წარმომადგენლის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე დაზარალებულს ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეითში საკუთრებაში ჰქონდა მიწის ნაკვეთი და ერთსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა, რომელიც განადგურდა საომარი მოქმედებების შედეგად, რაც უდავოდ დასტურდება 2010 წლის 14 აპრილის ქემერტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ზ. კასრაძის მიერ (იხ. დანართი №1).

დაზარალებულის ზემოაღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულება, 2008 წლის მდგომარეობით, შეადგენდა 20 000 ლარს, რაც ასევე უდავოდ დასტურდება მისი მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით (იხ. დანართი №2 და №3 შესაბამისად).

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია და განმტკიცებულია ომით დაზარალებულის უფლება აუნაზღაურდეს ომით მიყენებული მატერიალური ზარალი. ეს საკანონმდებლო აქტებია:

- **"ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონი;**

- **"საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი და**

- **„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონი.**

1. "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის, თანახმადაც "კონფლიქტი არის 1989-1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან/და საქართველოს სხვა რეგიონში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება" ე. ი. ამ კანონის მიზნებისათვის კონფლიქტი არის 1989-1992 წლებში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი, ან 1989-1992 წლის კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან საქართველოს სხვა რეგიონში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება. მოცემული სამართლებრივი ნორმა ცალსახად განსაზღვრავს სამ დამოუკიდებელ პირობას, რომლის დროსაც წარმოიქმნება ქონების რესტიტუციის უფლება. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი პირობის არსებობა საკმარისია იმისათვის, რომ გაჩნდეს ქონების რესტიტუციის უფლება, რასაც უდავოდ ჰქონდა ადგილი დაზარალებულის შემთხვევაში.

"ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „ეს კანონი ადგენს კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ქონების, საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, **მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.**"

2. “საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის შესაბამისად: “საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, **უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს**, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.”

საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით განსაზრვრულია ორი პირობა, რომლის დროსაც სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ომით მიყენებული ზარალი. პირველი პირობაა საომარი მდგომარეობის არსებობა, რაც მოსარჩელის შემთხვევაში დადგა და რაც საყოველთაოდ ცნობილია და მტკიცებას არ საჭიროებს. მეორე პირობაა საომარი მდგომარეობის თავიდან აცილებისათვის ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოება.

საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 1 მუხლით: ,,საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.” ამავე კანონის მე-2 მუხლით: ,,საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.”

სწორედ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ №402 ბრძანებულება. ამრიგად, უდავოა, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში იყო საომარი მდგომარეობა და რომ სწორედ ამ მოვლენების შედეგად მიადგა დაზარალებულს ზარალი.

ტერმინი ,,საომარი მდგომარეობა” საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 1 მუხლით განმარტებულია ერთმნიშვნელოვნად და გულისხმობს საქართველოზე თავდასხმის შემთხვევას. ამავე კანონის მე-13 მუხლით კი: “საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს (ე. ი. საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში) ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ (არ არის მითითებული ვის მიერ დაზარალებულ) მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.”

3. ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად თუ იძულებით გადაადგილებული პირი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს:

“აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს რათა დევნილის მუდმივი საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისთვის არსებული სახით; **მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსახღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით**, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.”

ამ ნორმის შინაარსიდან ნათლად ჩანს თუ რა მოცულობით და რა წესით უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ პირისათვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი. ზემოხსენებული ნორმის მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნებთან და მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე აუნაზღაუროს მოსახლეობას ომით მიყენებული მატერიალური ზარალი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი ზარალი მიყენებულია გარეშე აგრესორის მიერ.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია სახელმწიფოს ვალდებულებაზე აუნაზღაუროს ომით მიყენებული მატერიალური ზარალი დაზარალებულს, რადგანაც:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე'' ქვეპუნქტი, რომლის თანახმად მთავრობა ამტკიცებს სოციალურ-ეკონომიკურ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. **ამავე მუხლის „კ'' ქვეპუნქტი**, რომლის მიხედვით მთავრობა ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებას, შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა არის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ბიუჯეტის და შესაბამისად მისი ხარჯვითი ნაწილის შედგენა და შემდგომ მისი შესრულების უზრუნველყოფა. შესაბამისად საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად განახორციელოს სახელმწიფოზე კანონით დაკისრებული, ომის შედეგად დაზარალებული საქართველოს მოქალაქეებისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მთავრობა ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ:

**გასცეთ დაზარალებულზე 20 000 ლარის ოდენობის ფულადი თანხა.**

თანდართული საბუთების სია:

1. 2010 წლის 14 აპრილის ქემერტის ტერიტორიული ორგანოს ცნობა.
2. 2010 წლის 23 სექტემბრის დაზარალებულის მეზობლის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება.
3. 2010 წლის 23 სექტემბრის დაზარალებულის მეზობლის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება.
4. რწმუნებულების ასლი.
5. დაზარალებულის პირადობის მოწმობის ასლი.

*******

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება**

№251 2010 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი

**დაზარალებულის წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ**

1. ცნობად იქნეს მიღებული დაზარალებულის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 64-ე მხლის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაცია (თან ერთვის) და ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი.
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად უარი ეთქვას დაზარალებულის წარმომადგენელს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ხელმოწერილია ნიკა გილაურის მიერ

***

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2010 წლის 22 ივლისის
№251 ბრძანების დანართი

**საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაცია**

**დაზარალებულის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების თაობაზე**

საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა დაზარალებულის წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი დაზარალებულისათვის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასებისა და ანაზღაურების თაობაზე.
ადმინისტრაციული საჩივრის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულს მიადგა მატერიალური ზარალი, დაემსხვრა სახლის ფანჯრების მინები, დაზიანდა სახურავი და კედლები. გორის მუნიციპალიტეტმა დაზარალებულს გადასცა მინები, მაგრამ სხვა დაზიანებები არ აღმოუფხვრია. მან არაერთხელ მიმართა გორის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით, მაგრამ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2009 წლის 23 მარტის №ლ-180, 2009 წლის 18 ნოემბრის №ლ-190 და 2009 წლის 7 მაისის №ლ-107 წერილებით უპასუხა, რომ მისი სახლი დაზიანებული იყო არა საომარი მოქმედებებით, არამედ სიძველით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. სახლი, მართალია, არ არის ახალი, მაგრამ კედლები და სახურავი დაზიანებულია 2008 წლის ომის შედეგად.
საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელიამონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, რომცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

სწორედ ასეთ, კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება, აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანი.

საჩივრის ავტორს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად, ასევე მითითებული აქვს „საომარი მდგომარეობის შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 მარტის №206 განკარგულება „საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ."

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასებას და ანაზღაურებას.

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას საჩივარში დასმული საკითხის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორის მოთხოვნა, საქართველოს მთავრობის მიერ შეფასებულ იქნეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი, მიგვაჩნია უსაფუძვლოდ, ვნაიდან დადგენილია, რომ "რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულების შესაბამისად უნდა მომხდარიყო მთლიანად სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის დაანგარიშება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნას ზარალის ანაზღაურების ნაწილში, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე და 209-ე მუხლები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხოციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანხმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს." ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელსაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით აყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ, უნდა არსებობდეს ქმედებასა (უმოქმედობას) და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

მოხელის ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში

გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებული, მიზანმიმართული უმოქმედობით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს სხვა პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავრაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლედ ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.
საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაზარალებულ მოსახლეობას ზიანი მიადგა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად. ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული საჩივარში მოხმობილი არგუმენტაცია, ვინაიდან ზიანის მიმყენებელ ორგანოს არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობა.
რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ სამართლებრივ არგუმენტად მითითებულ “საომარი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კაონის მე-13 მუხლსა და აღნიშნული მუხლის საფუძველზე ზარალის ანაზღაურებას, როგორც სახელმწიფოს ვალდებულებას, მიგვაჩნია დაუსაბუთებლად, ვინაიდან “საომარი მდგოამრეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.”
საგულისხმოა, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად ქვეყანაში საომარი მოქმედებების გამოცხადებისთანავე სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 ოქტომბრის 665 განკარგულებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოეყო თანხა საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისათვისა და დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციისათვის. ასევე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმსიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე.
თავად ადმინისტრაციული საჩივრის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად მიყენებული ზარალის გამო, საქართველოს მთვარობის 2008 წლის 10 ოქტომბრის №665 განკარგულების შესაბამისად დაზარალებულმა მიიღო საცხოვრებელი სახლის მინები. შესაბამისად, თუ მხარეს მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან, მაშინ დაზარალებულს უფლება აქვს აღნიშნულზე მიმართოს სასამართლოს.
ამასთან ადმინისტრაციული საჩივარი არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან საქმეში მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც საჩივარში მოყვანილ ფაქტებს დაასაბუთებდა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.
ხელმოწერილია საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის - იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ზაზა ნანობაშვილის მიერ.

# თავი VI

# I ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის

## არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" მიერ საქართველოს სასამართლოებში წარდგენილი სარჩელები

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს მატერიალურად დაზარალებული საქართველოს მოქალაქის სარჩელი (საქართველოს მთავრობასა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიმართ)

### ფაქტობრივი გარემოებები

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაზიანდა გორის რაიონის სოფელ ტყვიავში მდებარე, მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა გორის რაიონის გამგეობას და მოითხოვა მისთვის ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მაგრამ გამგეობამ პასუხი არ გასცა მის განცხადებას. 2010 წლის 9 ივნისს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს გორის მუნციპალიტეტის საკრებულოს №119 ადმინისტრაციული საჩივრით, რომლითაც მოითხოვა მისთვის ომით მიყენებული ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად. 2010 წლის 28 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო №55 განკარგულება, რომლითაც არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

2010 წლის 23 ივნისს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს მთავრობას განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად. 2010 წლის 22 ივლისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა მიიღო №251 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მიგვაჩნია, რომ მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულებაა და სასამართლომ უნდა დაავალოს საქართველოს მთავრობას და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზემოაღნიშნული მატერიალური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად.

### I სასარჩელო მოთხოვნა - სასამართლომ მიიღოს სარჩელი წარმოებაში

საქართველოს ადმინისტრაცილი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამრთლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით და სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ

ზღუდავს მის უფლებას. ამასთან, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში. 23-ე მუხლით კი სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

მოსარჩელე ითხოვს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №251 ბრძანებისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივლისის №55 განკარგულების ბათილად ცნობას, რადგანაც ამ ადმინისტრაციული აქტებით მას ეთქვა უარი 2008 წლის ომით მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღარებაზე და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რომლის საფუძველზეც მას აუნაზღაურდება ზემოხსენებული ზარალი.
მიგვაჩნია, რომ სარჩელი დასაშვებია საქართველოს ადმინისტრციული კოდექსის 2.1, 5.1, 22-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

## II სასარჩელო მოთხოვნა - სასამართლომ ბათილად სცნოს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის ბრძანება №251

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები." საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №251 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მისთვის 2008 წლის საომარი მდგომარეობის დროს მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღუარებაზე არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს."

ზემოხსენებული ბრძანების სარეზოლიციო ნაწილს წინ არ უძღვის დასაბუთება, დასაბუთების ნაცვლად ბრძანებას ერთვის საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი ე.წ. ინფორმაცია, როგორც მას მისივე ავტორი უწოდებს და რომელსაც საქართველოს პრემიერ მინისტრი თავად ხელს არ აწერს. ეს არ არის დოკუმენტი, ის არ შეიძლება გამხდარიყო ან გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთების მსგავსი რამ, რადგან აქტი თავის თავში უნდა მოიცავდეს დასაბუთებას და ის დამატებითი ინფორმაციის სახით არ შეიძლება არსებობდეს. ამასთან, ინფორმაცია, როგორც მას ავტორი უწოდებს, ვერაფრით იქნება დასაბუთება ან დასაბუთებული დოკუმენტი. შესაბამისად, დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი ფორმა და მისი შინაარსი.

საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-13 თავი განსაზღვრავს მოქალაქეთა მომართვების განხილვის წესს. რეგლამენტის 64-ე მუხლის მესამე ნაწილით: „საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ მინისტრის და საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიკუთვნებულ საკითხებზე შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მისაღები გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული აქტის) პროექტს საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი." აქედან გამომდინარე საქართველოს კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი კი არ ახორციელებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, არამედ ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს პრემიერ მინისტრს ადმინისტრაციული აქტის პროექტი, როდესაც პრემიერ მინისტრის სახელზე შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით უკვე ჩატარდება ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილით კი: „თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო.” ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილით: „კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული სხდომის თავმჯდომარე. ხოლო 105- ე მუხლის თანახმად: 1. კოლეგიური ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი. 2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. 3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.”

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობაში მოსარჩელის საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 104-ე, 105-ე და 53-ე მუხლების დარღვევით.

გარდა ამისა, ინფორმაციად წოდებულ და საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი მსჯელობა სრულიად უკანონოა. ზაზა ნანობაშვილმა მოსარჩელის მოთხოვნაზე უარი დაასაბუთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, რომლის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმრთ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი." მან ასევე გამოიყენა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით: „პირი, რომელმაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი." ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მუხლების გამოყენება არასწორია, რადგანაც მოსარჩელე არ ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, არამედ ითხოვდა ადმინისტრაციულ ორგანოზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.
მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეყენებინა „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლი და “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლი. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საომარი მდგომარეობის დროს პირისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ქმედების გამო მიადგა მას ეს ზარალი. კანონით დადგენილი ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში ან შესრულების მოთხოვნას, ან ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადმინისტრაციულმა ორგანომ „საომარი მდგომარეობის შესახებ" და “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონების მოთხოვნების სრული იგნორირება მოახდინა. ამის შედეგად მიღებულია უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

## III სასარჩელო მოთხოვნა - სასამართლომ ბათილად სცნოს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივლისის №55 განკარგულება.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივლისის №55 განკარგულებით მოსარჩელეს უარი ეთქვა 2008 წლის ომით მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მისი სახლი დაზიანებულია სიძველით და არა საომარი მოქმედებებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მიღებულია

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის გარეშე, რადგანაც მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის დაზიანებები არ შეფასებულა გორიც მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ მოსარჩელის სახლი დაზიანებული არ არის საომარი მოქმედებების დროს.
გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადასცა მოსარჩელეს საომარი მოქმედებების დროს სოფელში ჩამოვარდნილი ჭურვების შედეგად ჩამსხვრეული ფანჯრების მინები. ეს ფაქტი თავისთავად ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელის სახლის მინები დააზიანა ჭურვის ჩამოვარდნამ. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ჩაუტარებია არანაირი ექსპერტიზა, რომლის საფუძველზეც მას მიეცემოდა შესაძლებლობა განესაზღვრა თუ რით არის გამოწვეული მოსარჩელის სახლის დაზიანებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე", რის გამოც მოსარჩელეს უკანონოდ ეთქვა უარი მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენასა და ანაზღაურებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $60^1$-ე მუხლის თანახმად კი თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არღვევს კანონს ის შეიძლება ბათილად გამოცხადდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 ივლისის №55 განკარგულება სასამართლომ უნდა ცნოს ბათილად.

## IV სასარჩელო მოთხოვნა - საქართველოს მთავრობამ და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი დაადგინოს და აანაზღაუროს სრულად.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 8 სექტემბერს მიიღო რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილ კომისიას დაევალა საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესწავლისა და დადგენის უზრუნველყოფა. კომისია შედგებოდა 16 წევრისაგან და ცხრამეტი თვე იმუშავა. განკარგულების მიხედვით კომისია ვალდებული იყო უზრუნველეყო სამთავრობო უწყებებში შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა, ასევე შეეჯერებინა სხვადასხვა თემატური კომისიისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა. ყოველივე ამის შედეგად დადგინდა 2008 წლის ომით საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. 2010 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის №468 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ დაასრულა საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლა და დადგენა. მოსარჩელისათვის ომით მიყენებული ზარალი დარჩა დაუდგენელი.

მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყებეული მატერიალური ზარალის დადგენასა და ანაზღაურებას საქართველოს მთავრობასა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ავალდებულებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი. ზემოაღნიშნული კანონის პირველი მუხლით მოცემულია დევნილის ცნება: "იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების

მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.''

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და მტკიცებას არ საჭიროებს, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს გორის რაიონის სოფელი ტყვიავი ოკუპირებული იყო რუსეთის ჯარის მიერ. მოსარჩელე 2008 წლის ომის დროს იძულებული იყო გადაადგილებულიყო ქვეყნის ტერიტორიაზე იმის გამო რომ უცხო ქვეყნის აგრესიის შედეგად მას და მის ოჯახის წევრების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მოსარჩელე 2008 წლის ომის დროს გარკვეული პერიოდი იყო იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი. ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და მტკიცებას არ საჭიროებს, რომ მოსარჩელე დაბრუნდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, რადგანაც დღეის მდგომარეობით გორის რაიონის სოფელი ტყვიავი აღარ არის ოკუპირებული.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა'' ქვეპუნქტის მიხედვით „თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ დაბრუნდება სახცოვრებელ ადგილას (როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით; **მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით**, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.'' აქედან გამომდინარე ცხადია, რომ „მიყენებული ზარალის კომპენსირება'' უნდა მომხდარიყო „მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ'' ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

აქედან გამომდინარე საქართველოს მთავრობა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებული იყო ჯერ დაედგინა მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა, ხოლო შემდგომ აენაზღაურებინა ზარალი. „საომარი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონი აკისრებს სახელმწიფოს ასეთ ვალდებულებას, კერძოდ:

„1. საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას''

2008 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს მთავობის №665 განკარგულებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაცია და დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოეყო 9 181 000 (სამი მილიონ ექვსას ოცდაცამეტი ათას ხუთასი) ლარი.

ზემოხსენებული განკარგულების საფუძველზე მოსარჩელისათვის ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოხდა ნაწილობრივ. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის №665 განკარგულების მიღება და მოსარჩელისათვის მინების გადაცემა ნიშნავს საქართველოს მთავრობისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან მოსარჩელის

მიმართ „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულების აღიარებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს „საოამი მდგოამრეობის შესახებ" საქართველოს კაონის მე-13 მუხლის საფუძველზე და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

***

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს მატერიალურად დაზარალებული საქართველოს მოქალაქის სარჩელი (საქართველოს მთავრობის მიმართ)

**ფაქტობრივი გარემოებები**

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაიწვა ქარელის რაიონის სოფელ ცერონისში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, ავეჯი, ყველა სახის საოჯახო ნივთი, რაც უდავოდ დასტურდება 2010 წლის 7 აპრილს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობით (იხ. დანართი №1). 2008 წლის 5 ნოემბერს ქარელის მუნიციპალიტეტმა ზემოხსენებული ზარალის საკომპენსაციოდ გადასცა მოსარჩელეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (იხ. დანართი №2). მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი გაცილებით მეტია, ვიდრე ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის საკომპენსაციოდ გადაცემული თანხა, რაც უდავოდ დასტურდება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2010 წლის 18 იანვარს, 2010 წლის 14 აპრილს და 2010 წლის 14 ივლისს გაცემული პასუხებით (იხ. დანართი №3, №4, №5), კერძოდ მითითებულია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნია თანხები მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით რეალურად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მოსარჩელისათვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი მეტია, ვიდრე მისთვის ზარალის საკომპენსაციოდ გადაცემული თანხა.

2010 წლის 25 ივნისს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს მთავრობას განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად (იხ. დანართი №6).

2010 წლის 2 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა 2010 წლის 22 ივლისის №249 პრემიერ მინისტრის ბრძანება, რომლითაც მას უარი ეთქვა ზემოხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (იხ. დანართი №7).
მიგვაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა კანონიერია და სასამართლომ უნდა დაავალოს საქართველოს მთავრობას მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად.

### I სასარჩელო მოთხოვნა - სასამართლომ მიიღოს სარჩელი წარმოებაში

საქართველოს ადმინისტრაცილი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამრთლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით და სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელეს კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. 23-ე მუხლით კი სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

მოსარჩელე ითხოვს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №249 ბრძანების ბათილად ცნობას, რადგანაც ამ ბრძანებით მას ეთქვა უარი 2008 წლის ომით მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღარებაზე და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რომლის საფუძველზეც მას აუნაზღაურდება ზემოხსენებული ზარალი. მიგვაჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო განცხადება დასაშვებია საქართველოს ადმინისტრციული კოდექსის 2.1, 5.1, 22-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

## II სასარჩელო მოთხოვნა - სასამართლომ ბათილად სცნოს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის ბრძანება №249

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $60^1$-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები." საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №249 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მისთვის 2008 წლის საომარი მდგომარეობის დროს მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღუარებაზე არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს."

ზემოხსენებული ბრძანების სარეზოლიციო ნაწილს წინ არ უძღვის დასაბუთება, დასაბუთების ნაცვლად ბრძანებას ერთვის საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი ე.წ. ინფორმაცია, როგორც მას მისივე ავტორი უწოდებს და რომელსაც საქართველოს პრემიერ მინისტრი თავად ხელს არ აწერს. ეს არ არის დოკუმენტი, ის არ შეიძლება გამხდარიყო ან გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთების მსგავსი რამ, რადგან აქტი თავის თავში უნდა მოიცავდეს დასაბუთებას და ის დამატებითი ინფორმაციის სახით არ შეიძლება არსებობდეს. ამასთან, ინფორმაცია, როგორც მას ავტორი უწოდებს, ვერაფრით იქნება დასაბუთება ან დასაბუთებული დოკუმენტი. შესაბამისად, დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი ფორმა და მისი შინაარსი.

საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-13 თავი განსაზღვრავს მოქალაქეთა მომართვების განხილვის წესს. რეგლამენტის 64-ე მუხლის მესამე ნაწილით: „საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ მინისტრის და საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიკუთვნებულ საკითხებზე შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მისაღები გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული აქტის) პროექტის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი."

აქედან გამომდინარე საქართველოს კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი კი არ ახორციელებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას,

არამედ ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს პრემიერ მინისტრს ადმინისტრაციული აქტის პროექტი, როდესაც პრემიერ მინისტრის სახელზე შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით უკვე ჩატარრბულია ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილით კი: „თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო." ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილით: „კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული სხდომის თავჯდომარე. ხოლო 105- ე მუხლის თანახმად: 1. კოლეგიური ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი. 2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. 3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა." საქართველოს მთავრობაში მოსარჩელის საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 104-ე, 105-ე და 53-ე მუხლების დარღვევით.

გარდა ამისა, ინფორმაციად წოდებულ და საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი მსჯელობა სრულიად უკანონოა. ზაზა ნანობაშვილმა მოსარჩელის მოთხოვნაზე უარი დაასაბუთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, რომლის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი." მან ასევე გამოიყენა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით: „პირი, რომელმაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი." ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მუხლების გამოყენება არასწორია, რადგანაც მოსარჩელე არ ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, არამედ ითხოვდა ადმინისტრაციულ ორგანოზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.
მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეყენებინა „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლი და "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საომარი მდგომარეობის დროს პირისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ქმედების გამო მიადგა მას ეს ზარალი. კანონით დადგენილი ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში ან შესრულების მოთხოვნას, ან ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ადმინისტრაციულმა ორგანომ „საომარი მდგომარეობის შესახებ" და "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნების სრული იგნორირება მოახდინა. ამის შედეგად მიღებულია უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

**III სასარჩელო მოთხოვნა - საქართველოს მთავრობამ მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი დაადგინოს და აანაზღაუროს სრულად.**

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 8 სექტემბერს მიიღო რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილ კომისიას დაევალა საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესწავლისა და დადგენის უზრუნველყოფა. კომისია შედგებოდა 16 წევრისაგან და ცხრამეტი თვე იმუშავა. განკარგულების მიხედვით კომისია ვალდებული იყო უზრუნველეყო სამთავრობო უწყებებში შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა, ასევე შეეჯერებინა სხვადასხვა თემატური კომისიისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა. ყოველივე ამის შედეგად დადგინდა 2008 წლის ომით საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. 2010 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის №468 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ დაასრულა საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლა და დადგენა. მოსარჩელისათვის ომით მიყენებული ზარალი დარჩა დაუდგენელი.

მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყებეული მატერიალური ზარალის დადგენას საქართველოს მთავრობას ავალდებულებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნები. ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით „თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ დაბრუნდება საცხოვრებელ ადგილას (როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია." აქედან გამომდინარე ცხადია, რომ „მიყენებული ზარალის კომპენსირება" უნდა მომხდარიყო „მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ." აქედან გამომდინარე საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო ჯერ დაედგინა მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა, ხოლო შემდგომ აენაზღაურებინა ზარალი.

მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა უარი თქვა კიდევ ერთ უკანონო არგუმენტზე დაყრდნობით: რომ მოსარჩელის მიმართ განხორციელდა საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაცია, რაც საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას არ ნიშნავს და არ არის სახელმწიფოსათვის და კერძოდ საქართველოს მთავრობისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედება.

ამავე ტიპის დავაზე, 2008 წლის 17 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის უმოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ № ბს-1116-1067 კ-07 მიღებული განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავდა სტუქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. შესაბამისად უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ შედეგების ლიკვიდაცია და მიყენებული ზარალის ანაზღაურება ერთიდაიგივე მნიშვნელობის გამონათქვამებია.

„საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი აკისრებს სახელმწიფოს ასეთ ვალდებულებას. კერძოდ:

„1. საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას"

2008 წლის 8 სექტემბრის, საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ №563 განკარგულების საფუძველზე „საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზიანებული შენობების აღდგენისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყო 176 646 450 (ასსამოცდათექვსმეტი მილიონ ექვსასორმოცდაექვსი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი.

ზემოხსენებული განკარგულების საფუძველზე მოსარჩელისათვის ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოხდა ნაწილობრივ. მიგვაჩნია, რომ №563 განკარგულების მიღება და მოსარჩელისათვის ზემოაღნიშნული თანხის გადაცემა ნიშნავს საქართველოს მთავრობის მხრიდან მოსარჩელის მიმართ „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულების აღიარებას.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ" ქვეპუნქტის მიხედვით მთავრობა ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებას, შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. ამავე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად მთავრობა ამტკიცებს სოციალურ-ეკონომიკურ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.
ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსარჩელისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს „საოამი მდგოამრეობის შესახებ" საქართველოს კაონის მე-13 მუხლის საფუძველზე და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გათვალისწინებული წესის თანახმად.

*******

## I ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**

21 იანვარი 2010 წ. ქ. თბილისი

**შესავალი ნაწილი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

სასამართლოს დასახელება

მოსამართლე – ინგა კვაჭანტირაძე

სხდომის მდივანი _ ნინო ჯიქია

მოსარჩელე _ კობა (არ გამოცხადდა)
წარმომადგენელი – ორგანიზაცია (არ გამოცხადდა)
მოპასუხე _ საქართველოს მთავრობა
წარმომადგენელი _ თამაზ ბარაბაძე
მოპასუხე _ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
წარმომადგენელი _ ანა უბერი
მოპასუხე _ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
წარმომადგენელი _ ლევან ბარდაველიძე
მოპასუხე _ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
წარმომადგენელი _ მაია სურამელი

დავის საგანი _ ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი**

1. **სასარჩელო მოთხოვნა**

1.1. მოპასუხეებს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, 7000 აშშ. დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.
აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მოსარჩელის მიმართ ომის შედეგად მიყენებული ზიანის მიუხედავად, დღემდე არ მომხდარა მისთვის მიყენებული ზარალის ოდენობის შეფასება; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით, შეიქმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული ზარალი. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.
მას არც სახელმწიფო და არც მუნიციპალური ორგანოებიდან დახმარება არ მიუღია. არსებული და გაცემული შეღავათებით მას არ უსარგებლია მოპასუხეთა ბრალეულობის გამო.
ომის პერიოდში სახელმწიფო ვალდებული იყო, ეზრუნა თავის მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც საზღვრისპირა სოფლებში ცხოვრობდნენ და ფაქტიურად იმყოფებოდნენ ცხელ ზონაში. მოსახლეობისთვის დროული და სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, ვერ მოხდა მისი დროული ევაკუაცია.

2. **მოპასუხის პოზიცია**

2.1. მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით, სარჩელი არც ცნო.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 9-ე პუნქტში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე

მუხლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე და 1005-ე მუხლებში საუბარია ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გულისხმობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას ზიანის მიმყენებლისთვის. ზიანის მიყენება კი, როდესაც საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიყენებულ ზიანზე, ნიშნავს სუბიექტისთვის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად ზიანის მიყენებას. მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება იმისა, რომ ზარალი, რომელიც განიცადა, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად იყო გამოწვეული. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების კუთხით განვითარებულ მსჯელობას სამართლებრივი საფუძველი არა აქვს. ამასთან, განსახილველი პრობლემა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 ოქტომბრის №667, 2008 წლის 29 აგვისტოს №553, 2008 წლის 10 ოქტომბრის №665, 2008 წლის 8 სექტემბრის №563 და 2008 წლის 17 დეკემბრის №878 განკარგულებით, სრულყოფილადაა მოწესრიგებული.

2.2. მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობამ, ასევე, არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2.3. მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.
მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის მიმართ დამდგარი ზიანი არ იყო განპირობებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქმედებით, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს მისი პასუხისმგებლობა. ამასთან, მოსარჩელე ვერ უთითებს კონკრეტულ ნორმას, რომლის საფუძველზეც სამინისტრო ვალდებული იყო, განეხორციელებინა რაიმე ქმედება, რომლის განუხორციელებლობის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი. ასევე, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონზე, ვინაიდან ის არეგულირებს სახელმწიფოსა და იმ პირის სამართლებრივ ურთიერთობას, რომელმაც კანონით დადგენილი წესით მოიპოვა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი. ასეთი სტატუსის მინიჭების პრეროგატივა აქვს მხოლოდ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელსაც მოსარჩელის მიმართ ამგვარი პროცედურა არ განუხორციელებია. შესაბამისად, მოსარჩლე, რომელიც მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთის მანძილზე იყო იძულებული გარიდებოდა საომარი მოქმედების ზონას, არ არის იძულებით გადაადგილებულის სტატუსის მქონე პირი და მის მიერ ზემოთაღნიშნულ კანონზე მითითება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

2.4. მოპასუხე საქართველოს მთავრობამ სარჩელი არ ცნო, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.
საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელის მიერ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ნორმების შესაბამისად, ანაზღურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ სახეზე უნდა იყოს ქმედებასა და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. მოხელის ქმედება, რომელმაც პირისთვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს ბრალეული, გამოწვეული განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატება მოხელის მიზანმიმართულ ქმედებაში, ე.ი. იგი შეგნებულად უშვებს პირისთვის ზიანის მიმყენებელი გარემოებების დადგომას და არ ახორციელებს მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ამ გარემოებათა ასაცილებლად. ამასთან, სავალდებულოა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძვლად. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან ითხოვს იმ მოტივით, რომ მოსახლეობისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების გამო, ვერ მოახერხა ქონების გადარჩენა, რაც არ შეიძლება იქნეს გაზიარებული, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

## 3. ფაქტობრივი გარემოებები

## 3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მოსარჩელე ნამდვილად ცხოვრობს გორის რაიონის სოფელ მერეთში, 2008 წლის საომარი მოქმედების დროს მისმა ოჯახმა განიცადა მატერიალური ზარალი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლი და პურის საცხობი თონე. განადგურდა მიკროავტობუსი, საოჯახო ნივთები, მოსავლი, დაიწვა 0,30 ჰა ხეხილის ბაღი (იხ. ს.ფ. 36;75).

## 3.2 დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებით ბარათზე და დახმარების მიღების დამადასტურებელ სიებზე დაყრდნობით, სასამართლო უდავოდ მიიჩნევს გარემოებას, რომ მოსარჩელემ და მისმა ოჯახმა, მიიღო ყველა ის დახმარება, რაც გამოყოფილი იყო სოფელ მერეთისთვის. კერძოდ, სახელმწიფოსგან – ფქვილი, მინერალური სასუქი, შეშა. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან _ 420 აშშ. დოლარი, შეშა, მინერალური სასუქი, შხამ-ქიმიკატების ვაუჩერი. გარდა ამისა, ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარების სახით პროდუქტს (იხ. ს.ფ. 75-86).

## სამოტივაციო ნაწილი

## 4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა მიმართ სარჩელის საფუძვლიანობა: მის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მოპასუხეთა რომელი ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მიადგა ზიანი, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა (უმოქმედბობას) და დამდგარ ზიანს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია. შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## 5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე, 992-ე, 1005-ე მუხლები.

## 6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 9-ე პუნქტის საფუძველზე, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სხელმწიფო მოსამსხურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის გნხორცელებისას მიყენებული ზიანისთვის სახელმწფიოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგდი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის

სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითთებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

6.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწფიო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დმდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოთაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლო განმარტავს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ქმედებასა (უმოქმედობას) და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, მოხელის ქმედება, რომელმაც პირისთვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებული ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისთვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულბებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

6.3. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სახელმწიფოსაგან იმ მოტივით, რომ მოსახლეობისთვის დროული და სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, ვერ მოხდა მათი დროული ევაკუაცია. სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეგნებულდ ხდებობდა რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გრემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

6.4. მოსარჩელე მოპასუხეთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ანაზღაურების ერთ-ერთ არგუმენტად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით, შეიქმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად 2008 წის აგვისტოში საქართველოს სამოქალქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენელი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული ზარალი, ამასთან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მდგომარეობის გუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა არ ნიშნავს საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.
საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნვლყოფისთვის კი, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკისა დ სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების

სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, უსახლკაროდ დრჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საყოფაცხოვრებო ფართების მიღებაზე.

**7. საპროცესო ხარჯები**

მოსარჩელე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 2-ე, 12-ე, საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსის 8-ე, 47-ე, 243-ე, 244-ე, 247, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით.

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

2. მოსარჩელე გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემიდან 14 დღის განმავლობაში სააპელაციო წესით თბილისის სააპელციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილის, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12-ე კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე

***

## გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

საქმე № ---------------- 21 სექტემბერი, 2010 წელი

თბილისი

**შესავალი ნაწილი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე მერაბ ლომიძე**

**სხდომის მდივანი მარიამ ქიტოშვილი**

**მოსარჩელე** ----------
**წარმომადგენელი** **ორგანიზაცია**
**მოპასუხე** **საქართველოს მთავრობა**
**წარმომადგენელი** **ვალერიან ბუგიანიშვილი**

**დავის საგანი:** 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად მოსარჩელის დაკარგული საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების დაბრუნება, ან შესაბამისი ღირებულების გადაცემა ან დაკარგული ქონების ღირებულების ანაზღაურება.

**აღწერილობით ნაწილი**

**სასარჩელო მოთხოვნა**

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 20008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად მოსარჩელის დაკარგული საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების დაბრუნება, ან შესაბამისი ღირებულების ქონების გადაცემა ან დაკარგული ქონების ღირებულების ანაზღაურება.

სარჩელში მითითებულია, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომხდარი 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განადგურდა სოფელ კეხვში მდებარე მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და მთელი მისი ქონება. ამასთან, კონფლიქტის შედეგად დაზიანდა და განადგურდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე არსებული ნარგავების დიდი ნაწილი, 0,03 ჰა ხილის ბაღი, რომელიც მოსარჩელისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. სახელმწიფოსაგან მოსარჩელემ დროებით საცხოვრებელ სადგომად მიიღო მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მდებარე ოროთახიანი კოტეჯი, სადაც ოთხსულიან ოჯახთან ერთად ცხოვრობს. 2008 წლის აგვისტოს შემდგომ მოსარჩელეს მიღებული აქვს სახელმწიფოსაგან ერთჯერადი ფულადი დახმარება (200 ლარი სულზე). ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარებას პროდუქტით (სულზე - 9 კგ. ფქვილი, 150 გრ. მარილი, 600 გრ შაქარი, 1 ლიტრი ზეთი, 3 კგ ლობიო, 5 კგ მაკარონი). ოჯახს უფასოდ მიეწოდება ელექტროენერგია (თვეში 100 კვ.) და ოჯახზე 100 ლარის ღირებულების გაზი. ე. წ. კოტეჯი მოსარჩელეს საკუთრების უფლებით არ მიუღია, ანუ მოსარჩელე არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული როგორც ამ კოტეჯის მესაკუთრე. სარჩელში მითითებულია, რომ 2009 წლის 17 ივლისს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, სადაც მოითხოვა მისთვის ომით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს არ გააფრთხილეს მოსახლეობა მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის შესახებ, რითაც მას მიადგა მატერიალური ზარალი. სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რის გამოც მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი, რის გამოც მან 2010 წლის 3 ივნისს საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

2010 წლის 24 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომლითაც ითხოვდა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაზედაც 2010 წლის 11 მაისის პასუხით მიიღო უარი.

სარჩელში მითითებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. აქედან გამომდინარე, ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს კანონით გათვალისწინებული საფუძვლიდან გამომდინარე ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს

სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება. 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ." მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული კანონის მე-5 მუხლით იძულებით გადაადგილებული პირისათვის გარანტირებულია მისი ქონების რესტიტუციის უფლება, რაც იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გულისხმობს "დაზარალებულის უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან მისი საცხოვრებლის ან სხვა ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია." მოსარჩელის განმარტებით, მტკიცებას არ საჭიროებს, რომ მოსარჩელე არის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი, რომელმაც დაკარგა საცხოვრებელი სახლი და სხვა უძრავი ქონება, შესაბამისად, მასზე ვრცელდება "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტირაზე დაზარალებულთა ქონებრილი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად კი მას უნდა აუნაზღაურდეს კონფლიქტის შედეგად განადგურებული სახლის, სათავსოებისა და ასევე დაკარგული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულება სრულად ან მიეცეს ამ ქონების სანაცვლო, ადეკვატური ქონება.

სარჩელში ასევე, მითითებულია, რომ "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით, "საომარი მდგომარეობის დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას. მოსარჩელე სახელმწიფომ უზრუნველყო მხოლოდ დროებითი საცხოვრებლით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე13 მუხლის მოთხოვნებს.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ საქართველოს კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამგვარი კანონით გათვალისწინებული საფუძველია 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონი "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ." მითითებული კანონის პრეამბულით "საქართველოს სახელმწიფომ აღიარა პასუხისმგებლობა აღადგინოს და საერთაშორისო სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა." იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, "ეს კანონი ადგენს კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულთა უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია." მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, საყოველთაოდ ცნობილია და მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ მოსარჩელე არის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი. ასევე, მოსარჩელემ დაკარგა საცხოვრებელი სახლი და სხვა უძრავი ქონება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილებით დადგენილად არის მიჩნეული ზემოხსენებული გარემოებები). აქედან გამომდინარე მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მოსარჩელეზე უნდა გავრცელდეს კანონი "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონი და ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად მას უნდა აუნაზღაურდეს კონფლიქტის შედეგად განადგურებული სახლის, სათავსოების და ასევე დაკარგული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ღირებულება სრულად ან მიეცეს ამ ქონების სანაცვლო, ადეკვატური ქონება.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, 1997 წლის 31 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "საომარი მდგომარეობის შესახებ", რომლის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საომარი მდგომარეობის დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა

წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას. მოსარჩელეს სწორედ საომარი მდგომარეობის გამო მიადგა ზიანი და გახდა დაზარალებული მოქალაქე. კანონის ამ ნორმით, სახელმწიფო ვალდებულია მოსარჩელეს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზარალი.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურების და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი." კანონით პრეზიდენტისათვის დაკისრებული მოვალეობის - ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი განკარგულებები 2008 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებული საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერილური ზარალის ასანაზღაურებლად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის №665 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისა და საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოუყო 9 181 000 ლარი, საქართველოს მთავრობის №563 განკარგულების საფუძვლეზე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზიანებული შენობების აღდგენისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყო 176 646 450 ლარი. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაზიანებული სახლების საკომპენსაციოდ გამოეყო 376 000 ლარი. საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 8 სექტემბერს მიიღო რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილ კომისიას დაევალა საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესწავლისა და დადგენის უზრუნველყოფა. კომისია შედგებოდა 16 წევრისაგან და ცხრამეტი თვე იმუშავა. მუშაობის შედეგად დადგინდა 2008 წლის ომით საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენბული მატერიალური ზარალი. 2009 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ დაასრულა საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლა და დადგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელისა და სხვა დაზარალებულებისათვის მიყენებული ზარალი დადგენილია და უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება.

**2. მოპასუხის პოზიცია**

სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს მთავრობამ, რომლის შესაგებელში მითითებულია, რომ მოსარჩელე არასწორად განმარტავს და უთითებს "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონსა და "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლს. მოპასუხის განმარტებით, "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო აცნობიერებს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989-1992 წლების კონფლიქტის მძიმე შედეგებს, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა და საკუთარი საცხოვრებიდან იძულებით გადაადგილება გამოიწვია, და იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა. კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, კონფლიქტი არის 1989-1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონიმიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან/და საქართველოს სხვა რეგიონებში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება, აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს ქართველებსა და ოს მოსახლეობას შორის მომხდარი კონფიქტის შედეგად მიყენებული დაზარალებული მოსახლეობის ქონების რესტიტუციას. აქედან გამომდინარე მოპასუხე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული კანონი

ვრცელდება მხოლოდ ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მომხდარ კონფლიქტზე და არანაირად არ ვრცელდება რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქონების რესტიტუციაზე. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული კანონის მე-3 თავით ასევე დადგენილია რესტიტუციისა და კომპენსაციის საქმეების განხილვის წესი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს, რომ ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იძულებით გადაადგილებულ პირს ან/და სხვა პირს შეუძლია კომისიას მიმართოს მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებიდან 7 წლის განმავლობაში.

მოპასუხემ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მითითება "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლზე და ამ მუხლის საფუძველზე ზარალის ანაზღაურება, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება. მოპასუხის განმარტებით, "საომარი მსდომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, "საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას." აქედან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ კანონით უნაზღაურდებათ ზიანი ამ პირებს, რომლებმაც ზიანი განიცადეს სახელმწიფოს მხრიდან გამოწვეული საომარი მოქმედებებით ან საომარი მოქმედებების ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებისას. შესაბამისად, პირდაპირი და უშუალო ზიანი უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ მოქმედებაში. განსახილველ შემთხვევაში კი მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ოკუპაციის დროს დაზარალდა მოსარჩელე, რომელმაც შესაბამისი დახმარებები გადასცა სახელმწიფომ და ჩართულია დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამებში.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლელმა დამატებით განმარტა, რომ 2008 წლის 23 ოქტომბრის "ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ" საქართველოს კანონმა სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია აღნიშნული რეალობა, შესაბამისად, "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონი ეხება 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს და არ ვრცელდება რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსალეობისათვის ქონებრივი რესტიტუსიის გაწევაზე.

**3. ფაქტობრივი გარემოებები**

**უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

სარჩელში მითითებულია და მხარეებსაც სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომხდარი 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განადგურდა სოფელ კეხვში მდებარე მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და მისი ქონება. ამასთან, კონფლიქტის შედეგად დაზიანდა და განადგურდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე არსებული ნარგავების დიდი ნაწილი, 0,03 ჰქ ხილის ბაღი. სახელმწიფოსაგან მოსარჩელეს დროებით საცხოვრებელ სადგომად მიიღო მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მდებარე ოროთახიანი კოტეჯი. მოსარჩელის მითითებით, 2008 წლის აგვისტოს შემდგომ მოსარჩელეს მიღებული აქვს სახელმწიფოსაგან ერთჯერადი ფულადი დახმარება (200 ლარი სულზე). ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარებას პროდუქტით (სულზე - 9 კგ. ფქვილი, 150 გრ. მარილი, 600 გრ. შაქარი, 1 ლიტრი ზეთი, 3 კგ. ლობიო, 5 კგ. მაკარონი). ოჯახს უფასოდ მიეწოდება ელექტროენერგია (თვეში 100 კვ.) და ოჯახზე 100 ლარის ღირებულების გაზი. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საარსებო შემწეობის მიმღებ პირს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სასარჩელო განცხადება, მხარეთა ახსნა-განმარტებები, საქმის სხვა მასალები.

**სამოტივაციო ნაწილი**

**შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა**

სასარჩელო განცხადებისა და საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არსებობს საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის აგვისოტს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად მოსარჩელის დაკარგული საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

**კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა**

“ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ” საქართველოს კანონის პრეამბულა, მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საომარი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

**სამართლებრივი შეფასება**

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის მსჯელობას იმის შესახებ, რომ “ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს მოსარჩელისათვის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაკარგული საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების დაბრუნება, ან შესაბამისი ღირებულების ქონების გადაცემა ან დაკარგული ქონების ღირებულების ანაზღაურება. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარე არასწორად განმარტავს მითითებული კანონის ნორმებს. მითითებული კანონის პრეამბულით საქართველოს სახელმწიფომ ნამდვილად იკისრა პასუხისმგებლობა აღადგინოს და საერთაშორისო სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1922 წლებში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა. იმავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილიც მიუთითებს, რომ “ეს კანონი ადგენს კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარატიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულთა უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღურებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.” მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე არასწორად განმარტავს ამ კანონის მოქმედების ფარგლებს. სასამართლო იზიარებს მოპასუხის მსჯელობას და განმარტავს, რომ “ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ” საქართველოს კანონის პრეამბულის თანახმად, “საქართველოს სახელმწიფო აცნობიერებს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989-1992 წლების კონფლიქტის მძიმე შედეგებს, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა და საკუთარი საცხოვრელიდან იძულებით გადაადგილება გამოიწვია და იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა.” ამდენად, კანონი პირდაპირ აკეთებს მინიშნებას ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989-1992 წლებში წარმოშობილ კონფლიქტზე და ამ დროს ან ამ კონფლიქტის შედეგად შემდეგ დაზარალებულ მოსახლეობაზე. გარდა ამისა, მითითებული კანონის მე-2 მუხლის “ა” ქვეპუნქტში მითითებულია, რომ “კონფლიქტი არის 1989-1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან/და საქართველოს სხვა რეგიონებში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება.” აქედან გამომდინარე, მართებულია მოპასუხის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ ქართველებსა და ოს მოსახლეობას შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ქონების რესტიტუციის ვალდებულებას. შესაბამისად, მითითებული კანონი ვრცელდება მხოლოდ ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მომხდარ კონფლიქტზე და არანაირად არ ვრცელდება რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქონების რესტიტუციაზე.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ “ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტეროტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “ამ კანონით

განსაზღვრულ შემთხვევაში იძულებით გადაადგილებულ პირს ან/და სხვა პირს შეუძლია კომისიას მიმართოს მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელბის დაწყებიდან 7 წლის განმავლობაში.'' აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული კანონი კიდევაც რომ ვრცელდებოდეს მოსარცელეზე, მას მაინც გაშვებული აქვს მოთვხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ამ კანონის მიხედვით იძულებით გადაადგილებულ პირს ან/და სხვა პირს შეეძლო კომისიისათვის მიემართა მხოლოდ კომისიის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებიდან 7 წლის განმავლობაში, რაც უკვე გასულია.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მდჯელობას იმის შესახებ, თითქოს ''საომარი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლით სახელმწიფოს წარმოეშვა მოსარჩელის მიმართ ზარალის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. ამასთან დაკავშირებით სასამრთლო განმარტავს, რომ ''საომარი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ''საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.'' აქედან გამომდინარე, სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მითითებული კანონის მიხედვით ზიანი უნაზღაურდებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც ზიანი განიცადეს სახელმწიფოს მხრიდან გამოწვეული საომარი მოქმედებებით ან საომარი მოქმედებების ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებისას. შესაბამისად, ზიანი წარმოშობილ უნდა იყოს სახელმწიფოს ბრალებული ქმედებით, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელეს ზიანი მიადგა არა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ბრალეული ქმედებით, არამედ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ოკუპაციის დროს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ უკვე განახორციელა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, მოსარჩელის, შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. კერძოდ, საქართველოს მთავორბის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით შეიქმნა რუსეთის ფდერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული ზარალი. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გარკვეული ქმედებები განახორციელა დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა უზრუნველეყო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი, რის განსახორციელებლადაც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო გარკვეული თანხები.

მოსარჩელე თვითონვე მიუთითებს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი განკარგულებები. კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის №665 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათივს კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოუყო 9 181 000 ლარი, საქართველოს მთავრობის №563 განკარგულების საფუძველზე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა დაზარალებული შენობების აღდგენისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყო 176 646 450 ლარი. საქართველოს მთავრობის №206 განკარგულების საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაზიანებული სახლების საკომპენსაციოდ გამოეყო 376 000 ლარი. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფოსაგან მოსარჩელემ დროებით საცხოვრებელ სადგომად მიიღო მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მდებარე ოროთახიანი კოტეჯი. 2008 წლის აგვისტოს შემდგომ მოსარჩელეს მიღებული აქვს სახელმწიფოსაგან ერთჯერადი ფულადი დახმარება (200 ლარი სულზე) ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარებას პროდუქტით (სულზე - 9 კგ. ფქვილი, 150 გრ. მარილი, 600 გრ. შაქარი, 1

ლიტრი ზეთი, 3 კგ. ლობიო, 5 კგ. მაკარონი). ოჯახს უფასოდ მიეწოდება ელექტროენერგია (თვეში 100 კვ.) და ოჯახზე 100 ლარის ღირებულების გაზი. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე იღებს საარსებო შემწეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და შესაძლებლობის ფარგლებში მოსარჩელე უზრუნველყო აუცილებელი მინიმალური საცხოვრებელი პირობებით, რის გამოც მისი სასარჩელო განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**საპროცესო ხარჯები**

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან, ვინაიდან იგი წარმოადგენს საარსებო შემწეობის მიმღებს პირს.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა**

მოსარჩელის სასარჩელო განცხადება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაკარგული საცხოვრებლისა და სხვა უძრავი ქონების დაბრუნების, შესაბამის ღირებულების ქონების გადაცემის ან დაკარგული ქონების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო;

მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან;

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 5ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ. თბილისი, დ აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6) მეშვეობით.

ხელმოწერილია მერაბ ლომიძის მიერ.

***

# გადაწყვეტილება

## საქართველოს სახელით

საქმე № ---
22 ოქტომბერი, 2010წ. ქ.თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

სასამართლოს დასახელება

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე
სხდომის მდივანი ნინო ჯიქია

| | |
|---|---|
| მოსარჩელე | დიანა (არ გამოცხადდა) |
| წარმომადგენელი | ორგანიზაცია |
| მოპასუხე | საქართველოს მთავრობა |
| წარმომადგენელი | ვალერიან ბუგიანიშვილი |
| დავის საგანი | ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა |

**აღწერილობითი ნაწილი**

1. სასარჩელო მოთხოვნა
   1.1. საქართველოს პრემიერ-მინისტრიეს 2010 წლის 22 ივლისის 248-ე ბრძანების ბათილად ცნობა;
   1.2. საქართველოს მთავრობამ მოახდინოს მოსარჩელის 2008 წ. ომის შედეგად დაკარგული უძრავი ქონების რესტიტუცია.
2. მოპასუხის პოზიცია
   2.1. საქართველოს მთავრობამ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არც ნო.
3. ფაქტობრივი გარემოებები
   3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები
      3.1.1. მოსარჩელე და მისი ოჯახი – მამა, დედა, შვილები, აგვისტოს მოვლენებამდე ცხოვრობდნენ ერთად, ერთ სახლში, ახალგორის რ-ნის სოფელ წირქოში. ოჯახი დაკმაყოფილდა ერთი კოტეჯით (№...) წილკნის დევნილთა დასახლებაში (ს.ფ.14).
      3.1.2. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა 2008 წ. აგვისტოს რუსეთ საქართველოს ომის შედეგად მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობის დადგენა და ამ მატერიალური ზარალის სრულად ანაზღაურება (ს.ფ. 15-16)
      3.1.3. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №248-ე ბრძანებით მოსარჩელის წარმომადგენელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. (ს.ფ.17-26)
   3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები
      3.2.1. მხარეებს ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდიათ

**სამოტივაციო ნაწილი**

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიმართ სარჩელის საფუძვლიანობა, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაშიო არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 53-ე, მე-$60^{1}$ მუხლები, 'საომარი მოქმედებების შესახებ' საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, 'საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ' საქართველოს კანონი, 'იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ' საქართველოს კანონი, 'ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ' საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57-ე დადგენილებით დამტკიცებული 'საქართველოს მთავრობის რეგლამენტის' 64-ე მუხლი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის №248-ე ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს,ვინაიდან აკმაყოფილებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის 'დ' პუნქტით რეგლამენტირებულ სამართლებრივ კრიტერიუმებს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით უნდა იქნეს შემოწმებული, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

6.2. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს დარღვეულ იქნა მისი გამოცემისათვის კანონით დადგენილი ფორმა და შინაარსი, ვინაიდან 'საქართველოს მთავრობის სტუქტურის, უფლებამოსილებისა და სქმიანობის წესის შესახებ' საქართველოს კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, ანუ საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას იღებს როგორც კოლეგიური ორგანოს-მთავრობის ხელმძღვანელი, ხოლო საკითხთა ნაწილს იგი იხილავს და წყვეტს ერთპიროვნულად. კერძოდ, მითითებული კანონის მე-5 მუხლი იძლევა იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომლის გადაწყვეტაც მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას და, შესაბამისად, მათი განხილვა უნდა მოხდეს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის სქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მე-8 მუხლით განსაზღვრულ პრემიერ-მინისტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს პრემიერ-მინისტრი წყვეტს ერთპიროვნულად.

ამგვარ გამიჯვნას შეიცავს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57-ე დადგენილებით დამტკიცებული 'საქართველოს მთავრობის რეგლამენტის' 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის. იგი მიჯნავს საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, რომლებზეც პროექტის მომზადება ევალება საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიულ დეპარტამენტს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართევლოს მთავრობის კანცელარიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე შემოსულ ადმინსტრაციულ საჩივარზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მისაღები გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული აქტის) პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი მოემზადებინა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა საქართველოს პრემიერ-

მინისტრისათვის. ხოლო თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრს ამ პროექტის საფუძველზე ადმინისტტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოეცა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რადგან კონკრეტული საკითხი არ განეკუთვნებოდა საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა ჯგუფს და კანონი მოცემულ შემთხვევაში არ ითვალისწინებდა სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას. სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზეც, რომ სადავო აქტი არ შეიცავს დასაბუთებას, ვინაიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაცია, ანუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 22 ივლისის № 248-ე ბრძანების დანართი წარმადგენს მითითებული ბრძანებბის შემადგენელ ნაწილს, რომელშიც სრულყოფილადაა განმარტებული განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივები. უფრო მეტიც, თავად პრემიერ-მინისტრის სადავო ბრძანებაშიცაა მითითებული, რომ იგი ეფუძნება და სრულად იზიარებს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაციას.

6.3 სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის მოსარჩელის წარმომადგენლის მითითება 'ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ' საქართველოს კანონზე შემდეგ გარემოებათა გამო: 'ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ' საქართველოს კანონის პრეამბულის თანახმად სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად დამ ის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა, რაც ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად გამოიხატება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონების რესტიტუციაში, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფასა და ქონებრივი ზიანის კომპენსაციაში, ხოლო თუ რა იგულისხმება კონფლიქტში, განმარტებულია მეორე მუხლის 'ა' პუნქტში, კერძოდ კონფლიქტი არის 1989-1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან/და საქართველოს სხვა რეგიონებში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება. ამდენად, მითითებული კანონის მიზნებისთვის კონფლიქტის ცნებაში მოიაზრება დაპირისპირება მხოლოდ ოს და ქართველ ხალხს შორის.

შესაბამისად, ზემოთაღნიშნული კანონის საფუძველზე ქონებრივი რესტიტუცია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც დაზარალდნენ 1989-1992 წლებში. ასევე, მის შემდგომ პერიოდში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის კონფლიქტის შედეგად. განსახილველ შემთხვევაში კი, 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში მიმდინარე საომარი მოქმედებები გასცდა ოს და ქართველ ხალხს შორის კონფლიქტს, მიიღო რუსეთის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ხასიათი და პრაქტიკულად მოიცვა მთელი საქართველო. რაც აისახა კიდეც 'ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ' საქართველოს კანონში, რომლის მიზანიცაა განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივცი რეჟიმი. მითითებული კანონის მეორე მუხლის შესაბამისად, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) მიეკუთვნება რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიას.

ამასთან, სასამართლომ რომც გაიზიაროს მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება და მოსარჩელე მიაკუთვნოს მითითებული კანონით გათვალისწინებულ დაზარალებულთა კატეგორიას, მისი მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან 'ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ' საქართველოს კანონი განსაზღვრავს ქონებრივი რესტიტუციის ცნებასა და პროცედურას, რასაც მოსარჩელის შემთხვევაში ადგილი არა აქვს. კერძოდ, მითითებულ კანონში გამოყენებულ ტერმინს – ქონებრივ რესტიტუციას აქვს შემდეგი განმარტება –

კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის ნდაბრუნება.

ამდენად, სასამართლოს აზრით ქონებრივი რესტიტუცია გულისხმობს კონფლიქტის მოგვარების შემდეგ, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, დაზარალებულისთვის იმ უძრავი ქონების დაბრუნებას, რაც მან დაკარგა ამ კონფლიქტის შედეგჰად. მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა ის გარემოება, რომ ცხინვალის რეგიონი, მათ შორის კი დაბა ახალგორის სოფელი წირქოლი, სადაც მდებარეობდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას. შესაბამისად, სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მითითებულ ტერიტორიაზე კონფლიქტის შედეგად დაკარგული ქონების რესტიტუციაზე, ანუ მისი კანონიერი მფლობელისათვის, მოსარჩელისთვის დაბრუნების საკითხზე.

რაც შეეხება დაკარგული ქონების ადეკვატური ქონებით ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურებით კომპენსაციას, აღნიშნული დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება, რაც დადგენილია კიდეც მითითებული კანონის 29-ე მუხლში, რომლის მესამე პუნქტის თანახმად უძრავი ქონების განადგურებების, დანგრევის ან რეკონსტრუქციის შემთხვევაში თავდაპირველ მცხოვრებს უნფდა გადაეცეს შესაბამისი ღირებულების სხვა ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონება, მეექვსე პუნქტის თანახმად, კი ფულადი კომპენსაციის გადახდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია პირისთვის თავდაპირველი საცხოვრებლის და მასთან დაკავშირებული სხვა უძრავი ქონების დაბრუნება ან ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონების გადაცემა. ასეთივე რიგითობაა დადგენილი იმავე კანონის მეხუთე მუხლის მეორე პუნქტით.

ამასთან, დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების შეუძლებლობა გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ ქონების დაბრუნება შეუძლებელი იყოს ფაქტობრივი მდგომარეობის ანუ ქონების განადგურების, დანგრევის და არა მისი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობის გამო, რაც სახელმწიფოს არ აძლევს შესაძლებლობას, იმსჯელოს მისი კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების საკითხზე.

6.4 უსაფუძვლოა მოსარჩელის წარმომადგენლის მითითება 'იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ' საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევაზე, ვინაიდან მითითებული კანონი ვრცელდება და განსაზღვრავს იმ პირთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც აღნიშნული კანონის შესაბამისად ცნობილი არიან დევნილებად და მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი, რაც უნდა დასტურდებოდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო) მიერ იძულებით გადაადგილებულ პირზე გაცემული დოკუმენტით – დევნილის მოწმობით. მოცემულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ მოსარჩჩელე არ წარმოადგენს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დევნილად ცნობილ პირს, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება მითითებული კანონის სუბიექტად და, შესაბამისად ვერ ისარგებლებს ამ კანონით დადგენილი სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარანტიებით.

6.5. მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების სახელმწიფოსათვის დაკისრების საფუძვლად ზაომარი მოქმედების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მითითებას სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნული მუხლი ვერ ჩაითვლება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრევბის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად, რამეთუ იგი წარმოადგენს ზოგად ნორმას და ზოგადად ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საომარი მოქმედების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ, რაც გამოიხატება მათ საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფაში, მატერიალური ზარალის ანაზღაურებასა და სხვაგვარ დახმარებაში, ხოლო თუ რა წესით უნდა მოხდეს ბინის მიცემა, ზარალის ანაზღაურება და სხვა საჭირო დახმარების გაცემა, დამატებით განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. განსახილველ შემთხვევაში 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და სამოქალაქო

სექტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს მიერ არ ყოფილა უგულებელყოფილი, რაც დასტურდება მოსარჩელის, როგორც 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირისათვის სახელმწიფოს მიერ წილკნის დევნილთა დასახლებაში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფით.

ამასთან, მოსარჩელის მიერ გარდა 'ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ' საქართველოს კანონისა ვერ იქნა მითითებული სხვა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა, საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დარღვეულ იქნა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დადგენისა და ანაზღაურების საკითხთან მიმართებაში.

6.6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

ადმინისტაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $60^1$ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ზემოთაღნიშნული ნორმების, დებულებებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის 'ვ' ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპრიცესო კოდექსის 1, 2, 5, 12, 22, 23, 32, 33 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 8, 46, 243, 244, 247, 249, 257, 364, 369 მუხლებით,

გადაწყვიტა

1. მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს
2. მოსარჩელე გათავისუფლებულ იქნას სახლემწიფო ბაჟის გადასახადისაგან
3. გადაწუვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ, №6) სააპელაციო საჩივრის შემოტანის გზით.

ხელმოწერილია მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის მიერ.

# თავი VII

# II ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს მატერიალურად დაზარალებული საქართველოს მოქალაქის სააპელაციო საჩივარი (საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ)

**ფაქტობრივი გარემოებები**

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად განადგურდა აპელანტის, სოფელ ვანათში მდებარე, საცხოვრებელი სახლი და მთელი მისი ქონება: საქონლის სადგომი, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის სადგომი, ყველა სახის ავეჯი და საოჯახო ნივთი, საკალმახე ტბორები, გარაჟი, ორი ტრაქტორი და მიკროავტობუსი. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიზე დარჩა მისი კუთვნილი 1.25 ჰა მიწის ნაკვეთი. ყოველივე ზემოაღნიშნული უდავოდ დასტურდება 2009 წლის 1 სექტემბრის ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვანათის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გ. მახნიაშვილის ცნობით (იხ. საქმეში დანართი №1) და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლით. (იხ. საქმეში დანართი №2)

2008 წლის 3 ნოემბერს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აპელანტს დროებითი საცხოვრებლის საკომპენსაციოდ გადასცა 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, მაგრამ საომარი მდგომარების დროს მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი არ აანაზღაურა. 2010 წლის 26 აპრილს აპელანტმა მიმართა საქართველოს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით (იხ. საქმეში დანართი №3) და მოითხოვა მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასება და ანაზღაურება სრულად. განმცხადებელმა მიუთითა სახელმწიფოს კანონისმიერ ვალდებულებაზე აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. 2010 წლის 28 აპრილის პასუხით საქართველოს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გვაცნობა, რომ აპელანტისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება აღემატება ერედვის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს (იხ. საქმეში დანართი №4). გამგეობის უარი ჩვენ 2010 წლის 28 მაისის ადმინისტრაციული საჩივრით გავასაჩივრეთ საქართველოს ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (იხ. საქმეში დანართი №5). საკრებულოდან პასუხი არ მიგვიღია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი თქვა ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2010 წლის 3 მაისს აპელანტმა მიმართა საქართველოს მთავრობას განცხადებით (იხ. საქმეში დანართი №7). განმცხადებელმა მიუთითა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის, "რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" №591 განკარგულებაზე, რომლის საფუძველზეც სამოქალაქო სექტორისათვის ომით მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის შეიქმნა სამთავრობო კომისია და ასევე „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარლებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ." საქართველოს კანონის მოთხოვნებზე. დაზარალებულმა

საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვა მისთვის 2008 წლის ომის შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასება და ანაზღაურება სრულად.

2010 წლის 3 ივნისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა გასცა №149 ბრძანება, რომლითაც არ დააკმაყოფილა აპელანტის ზემოხსენებული მოთხოვნები (იხ. საქმეში დანართი №7). მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობისა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის უარი არის უკანონო. საქართველოს მთავრობა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა სოლიდარულად ვალდებულნი არიან დაადგინონ მურმან ხადურისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა და აანაზღაურონ მატერიალური ზარალი სრულად.

2010 წლის 5 ივლისს აპელანტმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამრთლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით, რომლითაც მოითხოვა 2010 წლის 3 ივნისის საქართველოს პრემიერ მინისტრის №149 ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საქართველოს მთავრობასა და ერედბვის მუნიციპალიტეტის გამგეობას სოლიდარულად დაკისრებოდა მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად.

2010 წლის 13 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ილონა თოდუამ (შემდგომში სასამართლო) მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აპელანტის სარჩელი. ზემოაღნიშნული გადაწყვეეტილება მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა 2010 წლის 21 ივლისს.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები**

2010 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განმარტა, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავს საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამით სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ არის ვალდებული აანაზღაუროს მოქალაქისათვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი და მხოლოდ კეთილი ნებით შეიძლება გაუწიოს მას დახმარება. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ უკანონო მოსაზრებას, მითუმეტეს, რომ ამავე ტიპის დავაზე, 2008 წლის 17 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის უმოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ № ბს-1116-1067 კ-07 მიღებული განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავდა სტუქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. შესაბამისად უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ შედეგების ლიკვიდაცია და მიყენებული ზარალის ანაზღაურება ერთიდაიგივე შინაარსის გამონათქვამებია.

სასამართლომ ასევე გაიზიარა საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი ინფორმაციად წოდებული დოკუმენტის შინაარს, რომელსაც საქართველოს პრემიერ მონისტრი თავად ხელს არ აწერს და განმარტა, რომ მატერიალური ზარალის ანაზღაურება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზარალს მოქალაქეს. სასამრათლომ სრული იგნორირება მოახდინა იმ ფაქტისა, რომ 1997 წლის 31 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი. ამ კანონის მიხედვით საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას. 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ №402 ბრძანებულება.

საქართველოს „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13ე მუხლის თანახმად: 1. საომარი მდგომარეობის დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.
2. ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა დ სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი პირობებისა და წესის თანახმად საქართველოს მთავრობამ მიიღო რიგი განკარგულებები 2008 წლის 9 აგვისტოს გამოცხადებული საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. მაგალითად საქართველოს მთავრობის №665 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოუყო 9 181 000 (ცხრა მილიონ ასოთხმოცდაერთი ათასი) ლარი; №563 განკარგულების საფუძველზე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზარალებული შენობების აღდგენისატვის სქართველოს რეგიონში განსახორციელებელ პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოეყო 176 646 450 (ასსამოცდათექვსმეტი მილიონ ექვსასორმოცდაექვსი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი.

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, შესაბამისად საქართველოს მთავრობა რომ არ ყოფილიყო უფლებამოსილი ვერ გამოსცემდა ზემოაღნიშნულ განკარგულებებს. 2009 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო №206 განკარგულება, რომლის საფუძველზეც მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ 15 ოჯახს კომპენსაციის გასაცემად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გორის მუნიციპალიტეტს გამოუყო 376 000 (სამას სამოცდათექვსმეტი) ლარი. შეუძლებელია, რომ საქართველოს მთავრობას წინასწარ არ შეეფასებინა ამ 15 ოჯახისათვის საომარი მოქმედებებით მიყენებული მატერიალური ზარალი და თვითნებურად, გაეცათ 376 000 (სამას სამოცდათექვსმეტი) ლარი სახელმწიფო სახსრებიდან. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის კომპეტენციაშია დაადგინოს მოსახლეობისათვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი და ასევე აანაზღაუროს მატერიალური ზარალი სახელმწიფო სახსრებიდან.

გარდა ამისა სასამართლომ არ იმსჯელა 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარლებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციიც შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესახებ. ამ კანონით საქართველოს სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა აღადგინოს და საერთაშორისო სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შემდეგ და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა. ამ კანონის მე-5 მუხლით „ეს კანონი ადგენს კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ქონების, საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღირებულების ადკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია." ვინაიდან აპელანტისათვის სახელმწიფოსაგან მისი საცხოვრებლის და უძრავი ქონების ღირებულების ადეკვატური საცხოვრებელი არ მიუღია საქართველოს მთავრობა ვალდებულია აანაზღაუროს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით მთავრობა ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებას, შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. ამავე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად მთავრობა ამტკიცებს სოციალურ-ეკონომიკურ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია განსაზღვროს აპელანტისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების წესი, ანუ მიიღოს შესაბამისი განკარგულება, რომელიც განხორციელდება საქართველოს ერედვის ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აპელანტისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს „საოამი მდგოამრეობის შესახებ" საქართველოს კაონის მე-13 მუხლის საფუძველზე და „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარლებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციიც შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისის დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ემუხლის მეორე ნაწილის და 394-ე მუხლის ე1 ქვეპუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის შედეგად მიღებულია იმდენად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი." სასამართლომ ასევე გამოიყენა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით: „პირი, რომელმაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი." სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედებების უშუალო შედეგს." ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ეს მუხლები არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც მოსარჩელე არ ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.
მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლი და „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5-ე მუხლი. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საომარი მდგომარეობის დროს პირისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ქმედების გამო მიადგა მას ეს ზარალი. კანონით დადგენილი ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში ან შესრულების მოთხოვნას, ან ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ „საომარი მდგომარეობის შესახებ" და „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნების სრული იგნორირება მოახდინა. საქმის ასეთ განხილვას არაფერი აქვს საერთო ობიექტურ, მიუკერძოებელ და სამართლიან

მართლმსაჯულებასთან, რაც საქართველოს მოქალაქეთათვის გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

***

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს მატერიალურად დაზარალებული საქართველოს მოქალაქის

## სააპელაციო საჩივარი
## (საქართველოს მთავრობის მიმართ)

**ფაქტობრივი გარემოებები:**

2008 წლის ომის შედეგად დაზარალდა გორის რაიონის, სოფელი კარალეთის მკვიდრი აპელანტი. მისი საცხოვრებელი სახლი სეპარატისტებმა დაწვეს 2008 წლის 11 აგვისტოს, რაც უდავოდ დასტურდება გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის კარალეთის თემში ზ. ბერიანიძის მიერ 2010 წლის 5 მაისს გაცემული ცნობით (საქმეში იხ. დანართი №2). 2008 წლის 3 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ხმიადაშვილმა აპელანტს განადგურებული სახლის საკომპენსაციოდ გადასცა 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. (საქმეში იხ. დანართი №3)

2010 წლის 22 აპრილს აპელანტმა მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა მისთვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასება და ანაზღაურება სრულად. განმცხადებელმა მიუთითა სახელმწიფოს კანონისმიერ ვალდებულებაზე აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, რომელიც დადგენილია საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლით, ასევე საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის, "რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" №591 განკარგულებაზე, რომლის საფუძველზეც სამოქალაქო სექტორისათვის ომით მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის შეიქმნა სამთავრობო კომისია. დაზარალებულმა მოითხოვა ამ კომისიის მიერ მისთვის ომით მიყენებული ზარალის შეფასება.

2010 წლის 13 მაისის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №135 ბრძანებით აპელანტს უარი ეთქვა ზემოხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. უარი საქართველოს მთავრობამ დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლს. საქართველოს მთავრობამ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ დაადსტურა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მას მიადგა ზიანი. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე მიიჩნია, რომ აპელანტისთვის ომის შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება არ შედის, "რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" №591 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამთავრობო კომისიის მოვალეობაში.

2010 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა აპელანტმა, მოპასუხის - საქართველოს მთავრობის მიმართ, 2008 წლის აგვისტოს ომით მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის დადგენისა და ანაზღაურების მოთხოვნით. 2010 წლის 1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ილონა

თოდუამ (შემდგომში სასამართლო) მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი. ზემოაღნიშნული გადაწყვეეტილება აპელანტის წარმომადგენელს ჩაბარდა 2010 წლის 8 ივლისს.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები**

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისის დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ემუხლის მეორე ნაწილის და 394-ე მუხლის ე1 ქვეპუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის შედეგად მიღებულია იმდენად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს სრულიად მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აპელანტისათვის ომის შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება არ შედის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის მოვალეობაში.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 8 სექტემბერს მიიღო რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისთვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილ კომისიას დაევალა საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესწავლისა და დადგენის უზრუნველყოფა. კომისია შედგებოდა 16 წევრისაგან და ცხრამეტი თვე იმუშავა. განკარგულების მიხედვით კომისია ვალდებული იყო უზრუნველეყო სამთავრობო უწყებებში შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა, ასევე შეეჯერებინა სხვადასხვა თემატური კომისიისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობა. ყოველივე ამის შედეგად დადგინდა 2008 წლის ომით საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. 2010 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის №468 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის №591 განკარგულება. ამ განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ დაასრულა საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლა და დადგენა. მოსარჩელისათვის ომით მიყენებული ზარალი დარჩა დაუდგენელი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სამთავრობო კომისიამ დაადგინა საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მთლიანი ზარალი. აქედან გაომდინარე, საქართველოს მთავრობას მთლიანი ზარალის ოდენობიდან უნდა დაედგინა აპელანტისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. ამ ქმედების განხორციელების ვალდებულებას საქართველოს მთავრობას აკისრებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნები. ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით „თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ დაბრუნდება სახცოვრებელ ადგილას (როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით,

აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.” აქედან გამომდინარე ცხადია, რომ „მიყენებული ზარალის კომპენსირება” უნდა მომხდარიყო „მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ”, აქედან გამომდინარე საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო დაედგინა აპელანტისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა.

სასამართლომ ასევე გაიზიარა აპელანტისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საქართველოს მთავრობის აბსოლუტურად უკანონო არგუმენტი: რომ აპელანტის მიმართ განხორციელდა საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაცია, რაც საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას არ ნიშნავს და არ არის სახელმწიფოსათვის და კერძოდ საქართველოს მთავრობისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედება.

ამავე ტიპის დავაზე, 2008 წლის 17 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის უმოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ № ბს-1116-1067 კ-07 მიღებული განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია არ ნიშნავდა სტუქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. შესაბამისად უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ შედეგების ლიკვიდაცია და მიყენებული ზარალის ანაზღაურება ერთიდაიგივე მნიშვნელობის მატარებელი გამონათქვამებია. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის შედეგად მიყენებული ზარალი მითუმეტეს, რომ „საომარი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონი პირდაპირ აწესებას სახელმწიფოს ასეთ ვალდებულებას. კერძოდ: „1. საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.”

სასამართლომ ზემოაღნიშნული კანონის ნაცვლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის თანახმად: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმრთ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი." სასამართლომ ასევე გამოიყენა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით: „პირი, რომელმაც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი." სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედებების უშუალო შედეგს." ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ეს მუხლები არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც მოსარჩელე არ ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

მოსარჩელე ითხოვდა მისთვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას საომარიმდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძვლით. ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებულ მოსახლეობას მატერიალურ ზარალს უნაზღაურებს სახელმწიფო. სწორედ ამ ნორმას შეესაბამება საქართველოს მთავრობის ყველა განკარგულება, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

სასამართლომ დავის გადაწყვეტის მარტივი გზა აირჩია - გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-1005-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა. „საომარი მდგომარეობის შესახებ" და „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონების

მოთხოვნების კი სრული იგნორირება მოახდინა, რის გამოც საქმეზე გამოტანილია უკანონო და დაუსაბუთ ბელი გადაწყვეტილება.

2008 წლის 8 სექტემბრის, საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ №563 განკარგულების საფუძველზე ,,საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზიანებული შენობების აღდგენისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყო 176 646 450 (ასსამოცდათექვსმეტი მილიონ ექვსასორმოცდაექვსი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი. აპელანტისათვის ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოხდა ნაწილობრივ, მას საქართველოს მთავრობის №563 განკარგულების საფუძველზე საქრთველოს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადასცა 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული განკარგულების მიღება და აპელანტისათვის ზემოაღნიშნული თანხის გადაცემა ნიშნავს საქართველოს მთავრობის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ,,საომარო მდგომარეობის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულების აღიარებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გაომდინარე საქართველოს მთავრობა ვალდებულია აუნაზღაუროს აპელანტისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერალური ზარალი სრულად.

ამასთან, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 13 მაისის №135 ბრძანება რომლითაც აპელანს უარი ეთქვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე თავისი ფორმით არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. კეძოდ: საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 13 მაისის $№135 ბრძანება, არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად: ,,1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.’’ ზემოხსენებული ბრძანების სარეზოლიციო ნაწილს წინ არ უძღვის დასაბუთება, დასაბუთების ნაცვლად ბრძანებას ერთვის საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერილი ე.წ. ინფორმაცია, როგორც მას მისივე ავტორი უწოდებს და რომელსაც საქართველოს პრემიერ მინისტრი თავად ხელს არ აწერს. ეს არ არის დოკუმენტი, ის არ შეიძლება გამხდარიყო ან გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთების მსგავსი რამ, რადგან აქტი თავის თავში უნდა მოიცავდეს დასაბუთებას და ის დამატებითი ინფორმაციის სახით არ შეიძლება არსებობდეს. ამასთან, ინფორმაცია, როგორც მას ავტორი უწოდებს, ვერაფრით იქნება დასაბუთება ან დასაბუთებული დოკუმენტი. შესაბამისად, დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი ფორმა და მისი შინაარსი.

საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-13 თავი განსაზღვრავს მოქალაქეთა მომართვების განხილვის წესს. რეგლამენტის 64-ე მუხლის მესამე ნაწილით: ,,საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ მინისტრის და საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიკუთვნებულ საკითხებზე შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მისაღები გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული აქტის) პროექტის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი.’’ აქედან გამომდინარე საქართველოს კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი კი არ ახორციელებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, არამედ ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს პრემიერ მინისტრს ადმინისტრაციული აქტის პროექტი, როდესაც პრემიერ მინისტრის სახელზე შემოსულ ადმინისტრაციულ

საჩივართან დაკავშირებით უკვე ჩატარებულია ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილით კი: „თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო." ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილით: „კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული სხდომის თავჯდომარე. ხოლო 105- ე მუხლის თანახმად: 1. კოლეგიური ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი. 2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. 3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა." ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობაში აპელანტის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 104-ე, 105-ე და 53-ე მუხლების დარღვევით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $60^1$ მუხლის პირველი ნაწილით: „ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები." ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 13 მაისის $№135 ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად დარღვეულია ადმინისტრაციული აქტისათვის მომზადებისა და გამოცემის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტიოლება, რომლითაც კანონიერ ძალაში დარჩა საქართველოს პრემიერ მინისტრის 2010 წლის 13 მაისის №135 ბრძანება და აპელანტს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არის სრულიად უკანონო და დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალება აპელანტისათივს 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენებული მატერილაური ზარალის დადგენა და ანაზღაურება სრულად.

# II ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

## სასამართლოს გადაწყვეტილებები

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

19 მაისი 2010 წ. ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით

მოსამართლეები: ქეთევან დუგლაძე
ნანა ჭიჭილეიშვილი
ლეილა მამულაშვილი

სხდომის მდივანი: მიხეილ კირვალიძე

აპელანტი _ კობა
წარმომადგენელი – ორგანიზაცია
მოწინააღმდეგე მხარეები –
1. საქართველოს მთავრობა
წარმომადგენელი _ თამაზ ბარაბაძე
2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
წარმომადგენელი – კახაბერ პეტრიაშვილი
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
წარმომადგენელი – ნათია მიქელაძე
4. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
წარმომადგენელი _ მაია სურამელი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.

**აპელანტის მოთხოვნა:** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

## საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე კ.-ს სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ომის შედეგად მიყენებული ზიანის – 7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

## სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, აპელანტი ცხოვრობს გორის რაიონის სოფელ მერეთში; 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს მისმა ოჯახმა განიცადა მატერიალური ზარალი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლი და პურის საცხობი თონე. განადგურდა მიკროავტობუსი, საოჯახო ნივთები, მოსავალი, დაიწვა 0,30 ჰა ხეხილის ბაღი (ს.ფ. 36;75)
_ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტოიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებითი ბარათზე და დახმარების მიღების დამადასტურებელ სიებზე დაყრდნობით, კობა ქებაძემ და მისმა ოჯახმა მიიღო ყველა ის დახმარება, რაც გამოყოფილი იყო, სოფელი მერეთისთვის. კერძოდ, სახელმწიფოსგან _ ფქვილი, მინერალური სასუქი, შეშა, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან – 420 აშშ. ოლარი, შეშა, მინერალური სასუქები,

შხამ-ქიმიკატების ვაუჩერი. გარდა ამისა, ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარების სახით პროდუქტს (ს.ფ. 75-86).

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე და აღნიშნა, რომ ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მომსახურების მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოთაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ქმედებასა (უმოქმედობას) და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, მოხელის ქმედება, რომელმაც პირისთვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებული ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის;

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, მასზედ, რომ მოსახლეობისთვის დროული და სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, ვერ მოხდა მათი დროული ევაკუაცია, ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეგნებულად ხდებოდა რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე, მოპასუხეთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ანაზღაურების ერთ-ერთ არგუმენტად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით შეიქმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული ზარალი, ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საქართველოს მთავრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მდგომარეობს გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა არ ნიშნავს საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფისთვის კი, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე სხელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება. მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევლა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

## აპელანტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლო გადაწყვეტილება საკმარისად არ არის დასაბუთებული, ვინაიდან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ არ დაადგინა გადაწყვეტილების მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, არ უზრუნველყო ამ გარემოებების დასადატურებლად მტკიცებულებათა გამოვლენა და სასამართლოში წარდგენა.

აპელანტი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა პროცესისთვის, რადგან ადმინისტრაციული პროცესის მიზანი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვის პარალელურად, უპირატესად საჯარო ინტერესების დაცვაა. ინკვიზიციურობის პრინციპის შინაარსი სასამართლოს აკისრებს წამყვან როლს ადმინისტრაციული საქმის განხილვისას და საქმის გარემოებათა გამოკვლევის პროცედურის სწორად წარმართვის ვალდებულებასაც. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, კი თუ ადმინისტრაციული პროცესის მიმდინარეობისას სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია საქმის გარემოებათა ობიექტური მოკვლევისთვის, მას უფლება აქვს თავისი ინიციატივით დაიწყოს მტკიცებულებათა მოძიება და მოკვლევა, რაც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია, რის გამოც საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია. აღნინიშნული კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 222-ე, 223-ე მუხლის მეორე ნაწილის, 224-ე,249-ე მუხლის 4-ე ნაწილისა და სსკ-ს 494-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს და გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

აპელანტი აღნიშნავს, რომ საქართველოში საომარი მდგომარეობის პერიოდში იმყოფებოდა გორის რაიონის სოფელ მერეთში. იგი იძულებული გახდა თანასოფლელებთან ერთად,

საკუთარი სამარშუტო მიკროავტობუსით დაეტოვებინა საომარი მოქმედებების ზონა. იგი სოფელ ტყვიავთან ოსი სეპარატისტების მიერ აყვანილი იქნა მძევლად, თუმცა არმისული ცხინვალამდე მათ მოუხდათ ავარია, რის შედეგადაც მიკროავტობუსი დაიმტვრა და მისი აღდგენა შეუძლებელია.

აპელანტი მიიჩნევს, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან მეხუთე დღეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებლი მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუციის პროცესი, მაშინ როდესაც „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 4-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეეძლოთ დროებით გადაეყვანათ მოქალაქეები საშიში ზონიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის №402-ე ბრძანებულებაში აღწერილი მოვლენების გათვალისწინებით, შეუძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელ პირებს არ სცოდნოდათ, რომ კონფლიქტურ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეების დატოვება სახიფათო იყო მათი სიცოცხლისთვის.

აპელანტი აღნიშნავს, რომ „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 4-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობის განთავსება.

აპელანტი აპელირებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულია ადამიანის უფლებათა სრულად, ობიექტურად და დროულად ინფორმაციის მიღება მისი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად კი, დაუშვებელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი საფრთხის შესახებ მონაცემების გასაიდუმლოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის გამოუქვეყნებლობა ბრალეული ქმედებაა და არა აქვს მნიშვნელობა ეს ქმედება განზრახვით თუ უხეში გუფრთხილებლობით იყო გამოწვეული.

აპელანტი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში საუბარია ბრალის ორ ფორმაზე; იგი გულისხმობს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით გამოწვეულ ზიანსაც.

აპელანტი მიუთითებს სამოქალაქო თავდაცვის 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის პირველ მუხლზე და აღნიშნავს, რომ კონვენციის მონაწილეები შეთანხმდნენ მასზედ, რომ შეასრულონ კონვენციით დაწესებული მოთხოვნები. მითითებული კონვენციის ხელმოწერით სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გამოიმუშაონ ომის პირობებში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მექანიზმები. საქართველო არის ზემოთხსენებული კონვენციის და ასევე ამ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მონაწილე და შესაბამისად, ვალდებულიც მისი მუხლებით დაწესებული მოთხოვნების შესრულების. ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 61-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო თავდაცვის პირველი და მეორე ამოცანაა - შეტყობინება და ევაკუაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ომის პირობებში მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება და ევაკუაცია სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის, მისი წინაპირობების ქრონოლოგიის, სამართლებრივი შეფასებისა და საქართველოს ხელისუფლების მოქმედების დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დასკვნაში აღნიშნულია, რომ საომარი მდგომარეობის პირობებში მნიშვნელოვანი ხარვეზებით შესრულდა სამოქალაქო თავდაცვის ჟენევის კონვენციის დამატებით პირველ ოქმში მითითებული სამოქალაქო თავდაცვის პირველი და მეორ ამოცანა-შეტყობინება და ევაკუაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ

სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ზემოთაღნიშნული კონვენციის ხელმოწერით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
აპელანტი ასევე უთითებს დასახელებულ დასკვნაზე და აღნიშნავს, რომ 2008 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა №69-ე დადგენილება, საგანგებო მდგომარეობის დროს სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნათან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავს საომარ და საგანგებო სიტუაციებში მთავრობის წევრთა ფუნქციონირებასა და მოქმედებას. ასეთი ტიპის კომისია აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით არ შექმნილა, აღნიშნულმა გარემოებამ კი გამოიწვია მთავრობის წევრთა შორის კოორდინირებული მოქმედების ხელშეშლა. რაც შეეხება სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს, ისინი ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობდა ან ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

აპელანტის მითითებით, საპარლამენტო კომისიის დასკვნით დგინდება, რომ სახელმწიფოს მიერ არ იქნა შესრულებული ჟენევის კონვენციის მთავარი მოთხოვნა, შემუშავებული თავდაცვის მექნიზმები. იმ შემთხვევაში კი, თუ სახელმწიფო შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, ის იძულებული არ იქნებოდა ემოძრავა საკუთარი მიკროავტობუსით.

აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმპცია, რომლის მიხედვითაც, ზიანის მიმყენებელი ბრალეულად მიიჩნევა მანამ, სანამ იგი არ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას.

აპელანტი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მთავრობა უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, ხოლო ამავე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, იღებს აუცილებელ ზომებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

აპელანტი განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობამ ჟენევის კონვენციის 1949 წლის 12 აგვისტოს პირველი დამატებითი ოქმის 61-ე მუხლის შეუსრულებლობით უგულებელყო ზემოთხსენებული კანონის 5-ე მუხლის „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

აპელანტი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 9-ე პუნქტზე და განმარტავს, რომ ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურისგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, კი თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

აპელანტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეკისროთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შემდეგ გარემოებათა გამო; 2008 წლის 8 სექტემბერს მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის №591-ე განკარგულებით, შეიქმნა სამთავრობო კომისია. საქართველოს ფინანსთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებს კი ევალებოდათ აპელანტისთვის საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის შესწავლა და დადგენა. მოპასუხეებმა აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულეს.

აპელანტი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უნაზღაურებს მატერიალურ ზარალს საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს, ხოლო თუ ზარალი მითითებული კომისიის მიერ არ იქნებოდა

შესწავლილი და დადგენილი, ვერც მისი ანაზღაურება მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

აპელანტი სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 365-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით დაკისრებული ვალდებულება.

აპელანტის განმარტებით, სახელმწიფოსაგან ფქვილის, მინერალური სასუქის, შეშის მიღების – ფაქტის დადასტურებით, სახელმწიფომ აღიარა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგან ამავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.

აპელანტი სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით განმარტავს, რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემობა.

## გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა თვლის, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

**სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს და დასკვნა-შეფასებებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესახებ და შესაბამისად, სსსკ-ის 390-ე მუხლზე დაყრდნობით გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას იფარგლება მათზე მითითებით; ამასთან, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის საფუძვლებთან დაკავშირებით, დამატებით მიუთითებს შემდეგს:**

_ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დადგენილია და არ არის სადავო, რომ აპელანტი ცხოვრობს გორის რაიონის სოფელ მერეთში და, რომ მისმა ოჯახმა 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს განიცადა მატერიალური ზარალი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლი და პურის საცხობი თონე. განადგურდა მიკროავტობუსი, საოჯახო ნივთები, მოსავალი, დაიწვა 0,30 ჰა ხეხილის ბაღი (ს.ფ 36;75); სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიან საკმარის სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ აპელანტს ზიანი აუნაზღაურდეს საქართველოს მთავრობის მიერ, იმდენად, რამდენადაც დასაბუთებული არ არის ზიანის ანაზღაურების იმ ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრების არსებობა, რომლებიც

საქართველოს მთავრობისათვის ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს შექმნიდნენ;

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, რომელშიც დეკლარირებულია ყველასთვის გარანტირებული სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან; ამასთან, სახელმწიფოსთვის ამგვარი ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული პასუხიმგებლობის დაკისრების წინამძღვრები მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209 მუხლებში; კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწფიო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მსამსხურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხიმგებელია სახელმწიფო.
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისთვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 14-ე თავის დებულებებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის მიმყენებლის ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, სზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პაუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითებით, იმ გამონაკლისების გარდა, რაც თავად ამ კოდექით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე გაზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანზღაუროს დამდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. **დასახელებული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ამასთანავე, მოხელის ქმედება უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან; პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად.**

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ს 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ იქნა დადასტურებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი წინამძღვრების არსებობა საქართველოს მთავრობის მხრიდან; კერძოდ, სარჩელი ეფუძნება იმ გარემოებაზე მითითებას, რომ საქართველოს მთავრობამ არ მოახდინა მოსახლეობის დროული და სწორი ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ასევე არ მოახდინა მათი დროული ევაკუაცია, ხოლო მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ იქნა მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება; აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელციო სასამართლოში აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 ნოემბრის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, ვერ ადატურებს საქართველოს მთავრობის მხრიდან შეგნებულად თავის არიდებას მოსახლეობის ინფომირებასა და დროულ ევაკუაციაზე და მიაჩნია, რომ აპელანტის დასკვნა პარლამენტის 2008 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ სადავო გარემოების აღიარების შესახებ ეფუძნება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებების აპელანტის მხრიდან ცალმხრივ და მთლიანი კონტექსტიდან ამოგლეჯილ განმარტებებს;
აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაცილო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტმა ვერ დადასტურა მოწინააღმდეგე მხარეთა მიმართ სარჩელის საფუძვლიანობა; მის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მოპასუხეთა რომელი ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მიადგა ზიანი,

ასევე მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა თუ უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებას მასზედ, რომ სახელმწიფოს მხრიდან დარღვეულია სამოქალაქო თავდაცვის 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; აღნიშნულის პასუხად, ადმინისტრაციული პალატა განმარტავს, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფისათვის ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა _ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა _ 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე. აღნიშნული გარემოებები, სააპელაციო პალატის მოსაზრებით ადასტურებენ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარების ფაქტს და გამორიცხავენ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; ამასთან, დადგენილია, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოხსენებით ბარათზე და დახმარების მიღების დამადასტურებელ სიებზე დაყრდნობით, აპელანტმა და მისმა ოჯახმა მიიღო ყველა ის დახმარება, რაც გამოყოფილი იყო სოფელ მერეთისთვის, კერძოდ, სახელმწიფოსგან – ფქვილი, მინერალური სასუქები, შეშა. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან _ 420 აშშ. დოლარი, შეშა, მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატების ვაუჩერი. გარდა ამისა, ოჯახი ყოველთვიურად იღებს დახმარების სახით პროდუქტს (ს.ფ. 75-86).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

### სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

მოსამართლეები: ქეთევან დუგლაძე

ნანა ჭიჭილეიშვილი
ლეილა მამულაშვილი

***

**განჩინება**
საქართველოს სახელით

საქმე № ------- 05 მარტი, 2010 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები - ქეთევან დუგლაძე, ლეილა მამულაშვილი
სოფო ძაძუას მდივნობით
აპელანტი შერმადინი
წარმომადგენელი - ორგანიზაცია
მოწინააღმდეგე მხარეები 1. საქართველოს მთავრობა, წარმომადგენელი - ვალერიან ბუგიანიშვილი; 2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წარმომადგენელი - ანა უბერი; 3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, წარმომადგენელი - თამარ ცხადაძე; 4. ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება;
**დავის საგანი** - ზიანის ანაზღაურება
სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდეს სარჩელი.

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:
2009 წლის 17 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა ლ. ქოროღლიშვილმა, მოპასუხეების - საქართველოს მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, მოპასუხეთათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 252 605 ლარის დაკისრების თაობაზე.
მოსარჩელემ განმარტა, რომ მუდმივად ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ კეხვში. მისი ოჯახი შედგებოდა ოთხი წევრისაგან: თავად მოსარჩელე, მისი მეუღლე და ორი შვილი. ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან მიღებული პროდუქტის რეალიზაციის თანხები. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს გორის რაიონის სოფელ კეხვში მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, იბომბებოდა სახლები და სხვა უძრავი ქონება, სოფელში დარჩენა სახიფათო იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტობრივ გარემოებას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, მტკიცებას არ საჭიროებს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 29 ოქტომბრის №24/1 წერილით დგინდება, რომ სოფელ კეხვში მცხოვრები მოსარჩელე 2008 წლის 12 აგვისტოდან 27 აგვისტომდე იმყოფებოდა ქ. ცხინვალში რუსი ოკუპანტების ტყვეობაში.
მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელე წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს, რომელმაც 2009 წლის 16 მაისს რეგისტრაცია გაიარა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და მიენიჭა სარეგისტრაციო №025-40782. მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მატერიალური ზარალი,

რაც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად განიცადა, კერძოდ, ვეღარ სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებით, განადგურებულია მოსავალი. ზარალის დაწვრილებითი ჩამონათვალი მოცამულია სარჩელზე თანდართული ქონებრივი ზიანის ცხრილში, კერძოდ სახლი, ხეხილის ბაღი, მიუღებული მოსავალი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. ომის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა სულ შეადგენს 252 605 ლარს.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 2009 წლის 27 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობით.
2009 წლის 17 ნოემბერს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით, ‘‘საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებათა და წესის შესახებ’’ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნა რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მოსარჩელისათვის ომის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობის შეფასება არ მომხდარა დადგენილი წესით. მოპასუხეთა მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობს იქიდანაც, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.
საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილმდებარეობისა. შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს სახელმწიფო ვალდებული იყო ეზრუნა თავის მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი მათზე ვინც საზღვრისპირა სოფლებში ცხოვრობდნენ და ფაქტიურად იმყოფებოდნენ ცხელ ზონაში. სახელმწიფოს აღნისნული ვალდებულება არ შეუსრულებია, პირიქით, მოსახლეობა ომყოფებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში, კერძოდ, ტელევიზიით საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას თითქოს საფრთხე არ არსებობდა მაშინ, როცა გორის რაიონის სოფელ კეხვი ფაქტიურად იმყოფებოდა მტრის ალყაში. სწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მოსახლეობა, მათ შორის მოსარჩელე, შეძლებდა მოძრავი ნივთების მატერიალური ღირებულების გადარჩენას.
მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ჰაიდი ტალიავინის დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების პერიოდში საქართველოში არსებული სიტუაცია, დაფიქსირებულია ტერიტორიის დანაღმვის შემთხვევები. კერძოდ, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ზონაში დაძაბულობა დაიწყო ჯერ კიდევ 2008 წლის ივნისის შუა რიცხვებში, როდესაც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ კეხვთან დაიწყო აფეთქებები და დაფიქსირდა ტერიტორიის დანაღმვის შემთხვევები. უმან ღიგჰტს ჭატცჰ-ის მიერ შეგროვილი ჩვენებების მიხედვით, 7-9 აგვისტოს დაიწყო სოფელ კეხვის მასიური დაბომბვა და დანაღმვა, 8 აგვისტოსა და მომდევნო დღეებში რუსეთის მხარის მიერ, მთელი რიგი სოფლების და, მათ შორის, კეხვის დასახლებულ ტერიტორიაზე ჩამოგდებული იყო კასეტური ბომბები. ცეცხლის შეწყვეტის შედეგადაც სიტუაცია არ გაუმჯობესებულა, პირიქით დამძიმდა. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. სწორედ მითითებული მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს ჰქონდა სრული უფლება მიეღო სწორი ინფორმაცია რეალური საფრთხის, რეალური მდგომარეობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ასევე, გამომდინარეობს ევროკონვენციის მე2 და მე-8 მუხლებიდან. სწორი ინფორმაციის დროული მიწოდება მოსარჩელეს საშუალებას მისცემდა გადაერჩინა ქონება. მართალია, მოსარჩელის შემთხვევაში სიცოცხლის გადარჩენა მოხდა, მაგრამ მან დაკარგა სიცოცხლისა და ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო კომპონენტი, სახლი, საყოფაცხოვრებო ნივთები, საქონელი და შემოსავლის წყარო.
მოსარჩელის მიერ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, 24-ე მუხლის პირველი პუნქტი, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის

პირველი ნაწილი, 24-ე მუხლი, 33[1] მუხლი, "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208 მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე მუხლები, 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი.
მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა არ სცნეს სარჩელი.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი საფუძვლებით:
საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209 მუხლები, კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღრულ იქნა სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.
ზემოაღნიშნული ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ქმედებასა (უმოქმედობას) და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, მოხელის ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.
სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მოსახლეობისათვის დროული და სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, ვერ მოხერხდა მათი დროული ევაკუაცია, ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეგნებულად ხდებოდა რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება.
მოსარჩელე მოპასუხეთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ერთ-ერთ არგუმენტად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით შეიქმნა რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული

ზარალი, ამასთან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.
აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა არ ნიშნავს საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფისათვის კი, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №735 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.
ამასთან, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 დეკემბრის №262 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში და დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით გავრცელდეს იმ ოჯახებზე, რომლების არ იღებენ საარსებო შემწეობას, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, დადგენილი წესით აღრიცხულნი არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებულნი არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელი (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და ამავდროულად ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.
სასამრთლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, როგორც 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა პირმა, სახელმწიფოსაგან მიიღო საცხოვრებელი ფართი მდებარე სოფელ წეროვანში. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების მიერ 01.10.2009 წლის $10.10-20520 ცნობით დგინდება, რომ საქართველოს მთვრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, იღებს საარსებო შემწეობას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში, ხოლო რაც შეეხება საომარი მოქმედებების შეეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მოპასუხეთა რომელი ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მიადგა ზიანი, ასევე მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ აქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა აპელანტის მიერ.
აპელანტი ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა, იმ მოტივით, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და უკანონო, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არ უმსჯელია მოპასუხეთა კანონით დაკისრებულ მოვალეობებზე.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:**

სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, მოისმინა აპელანტის ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივად და სამართლებრივი თვალსზრისით; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-394-მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" პუნქტის თანახმად, "თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლო შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით."

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სახელმწიფო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელის განსაკუტრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იამ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო მიუთითითებს, რომ მოხელის ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხელებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მუმყენებელი გარენოების დადგენას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სახელმწიფოსაგან ამ მოტივით, რომ მოსახლეობისათვის დროული და სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, ვერ მოხდა მათი დროული ევაკუაცია. სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეგნებულად ხდებოდა რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს

გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მოსარჩელე მოპასუხეთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ერთ ერთ არგუმენტად უთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულებით შეიქმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ომის შედეგად მიყენებული ზარალი, ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მთვრობას გამოეყო თანხები ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს, რომ საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფისათვის ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაცის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართობის მიღებაზე.

დადგენილია, რომ აპელანტმა, როგორც 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა პირმა, სახელმწიფოსაგან მიიღო საცხოვრებელი ფართი მდებარე სოფელ წეროვანში. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების მიერ 01.10.2009წ №10/10-20529 ცნობით დგინდება, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე იღებს საარსებო შემწეობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით მიადგა საომარი მოქმედებების შედეგად ზიანი, ასევე, მიზეზეობრივი კავშირი ამ ქმდებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტორებრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილბის გაუქმების პროცესუალური სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2-ლი, მე-9, მე-12, საქარტველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

3. აპელანტი გთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინსიტრაციულ და სხვა საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ᵃ) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია: ნანა ჭიჭილეიშვილის, ქეთევან დუგლაძისა და ლეილა მამულაშვილის მიერ.

# თავი VIII

# III ინსტანციის სასამართლო ომით დაზარალებულთათვის

### 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის დროს მატერიალურად დაზარალებული საქართველოს მოქალაქის

### საკასაციო საჩივარი
### (საქართველოს მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ)

**ფაქტობრივი გარემოებები:**

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, საომარი მოქმედებების შედეგად კასატორს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. სახელმწიფომ ეს ზარალი კასატორს არ აუნაზღაურა, რის გამოც მან 2009 წლის 17 დეკემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მოპასუხეების - საქართველოს მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, მოპასუხეთათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 7000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრების მოთხოვნით. 2010 წლის 16 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა კასატორის სარჩელი. 2010 წლის 2 მარტს კასატორმა სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. 2010 წლის 19 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება, რომლითაც არ დააკმაყოფილა კასატორის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორის წარმომადგენელს ჩაბარდა 2010 წლის 2 აგვისტოს.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები:**

კასატორი არის ომით დაზარალებული პირი, რომლის საკუთრების უფლება დაირღვა საომარი მოქმედებების გამო. დღეს საქართველოში ათასობით ასეთი ადამიანია. არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ზუსტად ითვალისწინებს ამ კატეგორიის დაზარალებულთათვის საკუთრების უფლების აღდგენის ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან. პრაქტიკაში ეს კანონი არ გამოყენებულა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საერთოდ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ომით დაზარალებულ პირს სახელმწიფოსაგან ომით მიყენებული მატერიალური ზარალის კომპენსაცია მოეთხოვა და მიეღო. აქედან გამომდინარე, მოცემული საქმის განხილვა დაეხმარება სასამარლოს ამ კატეგორიის საქმეებზე ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად საკასაციო საჩივარი ქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. მიგვაჩნია, რომ მოცამული საქმე უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ასევე სამართლისა და სამოსამართლო სამართლის განვითარებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ თუ ამ კატეგორიის საქმეებზე არ შემუშავდება ერთიანი სასამართლო პრაქტიკა ათასობით ადამიანის საკუთრების ფუნდამენტური უფლება დარჩება აღუდგენელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილოს კასატორის საკასაციო საჩივარი და ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია ომით დაზარალებულთათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის და 394-ე მუხლის ე1 ქვეპუნქტის მოთხოვნები:

სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი.

არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 და მე-4 მუხლები, 2008 წლის 10 ოქტომბრის "საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის №665 განკარგულება, "2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შემსწავლელი და დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №591 განკარგულება, 1949 წლის 12 აგვისტოს სამოქალაქო თავდაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 61-ე მუხლი, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ს" და "ტ" ქვეპუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მიღებულია იმდენად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

**დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

განსახილველი საქმე განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, ამიტომაც სასამართლო იყო ვალდებული საქმე ყოველმხრივ გამოეკვლია, რადგანაც ადმინისტრაციული პროცესის მიზანი სწორედ კერძო, სუბიექტური ინტერესების პარალელურად, უპირატესად, საჯარო ინტერესების დაცვაა. ინკვიზიციურობის პრინციპის შინაარსი საქმის გარემოებათა გამოკვლევის პროცედურის სწორად წარმართვის ვალდებულებას ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს აკისრებს. თუ ადმინისტრაციული პროცესის მიმდინარეობისას სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია საქმის გარემოებათა ობიექტური გამოკვლევისათვის, მას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და 19.1 მუხლის მიხედვით უფლება აქვს თავისი ინიციატივით დაიწყოს მტკიცებულებათა მოძიება და გამოკვლევა, რაც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიყენა ზემოაღნიშნული ნორმებით მინიჭებული უფლებამოსილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მულზე დაყრდნობით დავის გადაწყვეტის მარტივი გზა აირჩია, რის გამოც საქმეზე გამოტანილია უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების კანონის დარღვევით გამოტანილად მიჩნევისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე1 ქვეპუნქტით განსაზღვრული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.
მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლი:

„1. საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.
2. ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურების და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი."

ჩვენი სამართლებრივი დასაბუთება ეყრდნობოდა ზემოაღნიშნულ ნორმას, რადგანაც ის პირდაპირ არეგულირებს ომით დაზარალებულ მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას. ამ ნორმის მიხედვით სახელმწიფოს ეკისრება სხვადასხვა ვალდებულებები, მათ შორის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საომარი მდგომარეობის დროს პირისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ქმედების გამო მიადგა მას ეს ზარალი. კანონით დადგენილი ვალდებულება თავის თავში მოიცავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში ან შესრულების მოთხოვნას, ან ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის სრული იგნორირება მოახდინა. საქმის ასეთ განხილვა არღვევს ობიქტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებას, რაც საქართველოს მოქალაქეთათვის გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

სასამართლომ არა მხოლოდ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არამედ არც კი იმსჯელა ზემოაღნიშნული კანონის მე-13 მუხლის შესახებ. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, სასამართლოს რომ ემსჯელა ჩვენი სამართლებრივი დასაბუთების ამ ნაწილზე აუცილებლად მივიდოდა დასკვნამდე, რომ კასატორის მოთხოვნა კანონიერია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ მიგვითითა, რომ "სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ იქნა დადასტურებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი წანამძღვრების არსებობა საქართველოს მთავრობის მხრიდან; კერძოდ, სარჩელო ეფუძნება იმ გარემოებაზე მითითებას, რომ საქართველოს მთავრობამ არ მოახდინა მოსახლეობისათვის დროული და სწორი ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ასევე არ მოახდინა მათი დროული ევაკუაცია". საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად თვითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, რადგანაც კასატორი თავის მოთხოვნას გარემოებებზე კი არ ამყარებდა, არამედ გარემოებების უარყოფაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით კი არ არის გათვალისწინებული გარემოებების არ არსებობის დამტკიცების ვალდებულება. თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო მოხდა თუ არა საშიშ რეგიონში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის გაფრთხილება და ევაკუაცია მას უნდა დაევალებინა მოპასუხეებისათვის ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ არასწორედ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საქპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, რის შედეგადაც მიღებულია უკანონო გადაწყვეტილება.

ჩვენი სამართლებრივი დასაბუთება ეყრდნობოდა ასევე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული პირობებისა და წესის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ განკარგულებებს, რომელთა საფუძველზეც 2008 წლის საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს უნაზღაურდებათ საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი. ასე მაგალითად სასამართლომ არ იმსჯელა ქვემოთ მოყვანილ არც ერთ განკარგულებაზე:

"2008 წლის 10 ოქტომბრის, საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" №665 განკარგულების თაობაზე, რომლის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობის სარეზერო ფონდიდან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოუყო 9 181 000 (ცხრა მილიონ ასოთხმოცდაერთი ათასი) ლარი.

"2009 წლის 19 მარტის, საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა ოჯახებისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით გორის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" №206 განკარგულებაზე, რომლის საფუძველზე გაიცა კომპენსაცია საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული 15 ოჯახისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარებოდა აღდგენას.

"2008 წლის 8 სექტემბრის, საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ" №563 განკარგულებაზე, რომლის საფუძველზე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისა და დაზიანებული შენობების აღდგენისათვის საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყო 176 646 450 (ასსამოცდათექვსმეტი მილიონ ექვსასორმოცდაექვსი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი.

სასამართლომ განმარტა, რომ "საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფომ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2008

წლის 12 ნოემბრის №753 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ინვენტარისა და სხვა საჭირო პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, ტრანსპორტირება და მონტაჟი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახალაშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე." სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით: "აღნიშნული გარემოებები გამორიცხავენ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლით საჩივრის დაკმაყოფლების შესაძლებლობას." სასამართლომ არ განმარტა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ომით დაზარალებულებზე საყოფაცხოვრებო ინვენტარისა და ტექნიკის, ასევე დროებითი საცხოვრებლის სანაცვლოდ კომპესაციების გაცემა რატომ იყო კასატორისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით: "ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება". საქართველოს მთავრობის განკარგულება იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზეა ვიდრე საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონი. მთავრობის განკარგულება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონს და არა პირიქით. საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით კი საომარი მდგომარეობის დროს დაზარალებულ მოსახლეობას მატერიალურ ზარალს უნაზღაურებს სახელმწიფო. სწორედ ამ ნორმას შეესაბამება საქართველოს მთავრობის ყველა განკარგულება, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

სასამართლომ არასწორად გამოიყენა და იმავდროულად არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის განკარგულებები, რის გამოც საქმეზე გამოტანილია უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლის აღსასრულებლად საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო განესაზღვრა და დაედგინა მონაცემები ომის დროს მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობის შესახებ. სწორედ ამ ვალდებულების შესრულების მიზნით 2008 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო №591 განკარგულება, რომლის საფუძველზე შეიქმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი კომისია. კომისიამ შეისწავლა და დაადგინა მოსახლეობისათვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა და დაასრულა თავისი საქმიანობა 2010 წლის 24 აპრილს. კასატორმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2010 წლის 2 მარტს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ზემოხსენებული კომისია ჯერ კიდევ ასრულებდა თავის მოვალეობებს. თუ რა დაადგინა ზემოხსენებულმა კომისიამ კასატორის მიმართ ჩვენთვის უცნობია. ჩვენი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" 2008 წლის ომით დაზარალებულ მოსახლეობას უწევს სამართლებრივ დახმარებს. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ 2010 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობას მოვთხოვეთ საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ თუ რა დაადგინა სამთავრობო კომისიამ 2008 წლის ომით მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობას ზემოაღნიშნული ინფორმაცია დღემდე არ მოუწოდებია ჩვენთვის. სასამართლომ 2008 წლის 8 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №591 განკარგულების სრული იგნორირება მოახდინა.

სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა კასატორის ზემოაღნიშნულ არგუმენტზე. ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში ასევე დაუსაბუთებელი და უკანონოა.

სასამართლომ განმარტა, რომ: "მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტია." სასამართლომ არ გამოიყენა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით: "ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან". სწორედ ასეთ, კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი. ხოლო თუ სახელმწიფო არ ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, მასვე შეიძლება მოეთხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რის გამოც საქმეზე მიღებულია უკანონო გადაწყვეტილება.

სასამართლომ არ გამოიყენა, თუმცა, ჩვენ ვუთითებდით და ჩვენს სამართლებრივ მოთხოვნას ვაყრდნობდით 1949 წლის 12 აგვისტოს სამოქალაქო თავდაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 61-ე მუხლს.

1949 წლის 12 აგვისტოს სამოქალაქო თავდაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით კონვენციის მონაწილენი შეთანხმდნენ მასზედ, რომ შეასრულებენ კონვენციით დაწესებულ მოთხოვნებს. მითითებული კონვენციის ხელისმოწერით სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გამოიმუშავონ, ომის პირობებში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მექანიზმები. საქართველო არის ზემოხსენებული კონვენციის და ასევე ამ კოვენციის პირველი დამატებითი ოქმის მონაწილე და შესაბამისად ვალდებულიც შეასრულოს მისი მუხლებით დაწესებული მოთხოვნები. ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 61-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო თავდაცვის პირველი და მეორე ამოცანაა - შეტყობინება და ევაკუაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ომის პირობებში სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

1. შეასრულოს კონვენციით დაწესებული მოთხოვნები.
2. შეიმუშავოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმა.
3. საომარი მდგომარეობის დროს განახორციელოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმა, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსახლეობისათვის საფრთხის შესახებ შეტყობინებას, შემდეგ კი მოსახლეობის ევაკუაციას.

სასამართლომ არ იმსჯელა ჟენევის კონვენციით დადგენილ მოთხოვნებზე. არ გამოიკვლია, იყო თუ არა ეს მოთხოვნები შესრულებული გორის რაიონის სოფელ მერეთის მოსახლეობის მიმართ მოპასუხეების მიერ. სასამართლოს ეს გარემოება რომ გამოეკვლია მივიდოდა დასკვნამდე, რომ სოფელ მერეთიდან კასატორის ევაკუაცია არ მომხდარა და რომ მისთვის მიყენებული ზარალიც ამ უმოქმედობითაა გამოწვეული, რითაც მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება ყოვლად დაუსაბუთებელი და უკანონოა, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს და უზენაესმა სასამართლომ უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება კასატორისათვის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

## III ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

15 სექტემბერი, 2010 წელი
ქ. თბილისი

**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ**
**შემდეგი შემადგენლობით:**

ნინო ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მოსამართლეები: ნუგზარ სხირტლაძე, ლევან მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა შერმადინის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტი განჩინებაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2009 წლის 17 ივლისს კასატორის წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს მთავრობის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე, სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეებს მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრებოდათ ზიანის – 252 605 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ოქტომბრის საოქმო განჩინებით, არასათანადო მოპასუხე – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შეიცვალა სათანადო მოპასუხით _ ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კასატორის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კასატორმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით, მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით, აპელანტის სააპელაციო სჩივარი არ დაკმაყოფილდა.; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კასატორმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 3-ე ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კასატორის საკასაციო საჩივარი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებას, კასატორის საჩივარს, შეამოწმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოცემულ საქმესთან მიმართებაში და მიაჩნია, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 3-ე ნაწილის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის და სააპელაციო სასამართლოში საქმე განხილულია საპროცესო დარღვევების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით, საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელოსა და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისთვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს კასატორის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 3-ე ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც მის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განსახილველად დაშვებაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის 2-ე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორს უარი ეთქვას საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: ნ. ქადაგიძე

მოსამართლეები: ნ. სხირტლაძე
ლ. მურუსიძე

# თავი IX

# სასამართლოს ხელმისაწვდომობა ომით დაზარალებულთათვის

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

4 ოქტომბერი, 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოსარჩელე მალხაზის წარმომადგენლის სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2010 წლის 2 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა მალხაზის წარმომადგენელმა, მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლოს 2010 წლის 6 აგვისტოს განჩინებით, სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი, რომლის შევსებისთვის მოსარჩელეს განესაზღვრა 10 (ათი) დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ამავე განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ.

2010 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს და კვლავ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამასთან, არ დაეთანხმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს მოტივაციას და განმარტა, რომ არც „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ადგენს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების პირობად მოპასუხის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობას.

გარდა ამისა, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, დანაშაულის ფაქტს ადასტურებს გორის რაიონული პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც მოსარჩელე ცნობილია დაზარალებულად, ვინაიდან საქართველოში განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს, მას გორის რაიონის სოფელ კარალეთში სამმა შეიარაღებულმა პირმა გასტაცა კუთვნილი მიკროავტობუსი.
სასამართლოს 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით, არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია, რის გამოც, მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა კიდევ 5 (ხუთი) დღით.

2010 წლის 22 სექტემბერს, მოსარჩელის წარმომადგენელმა, ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა სასამართლოს და 2010 წლის 10 სექტემბრის ხარვეზის შევსების

შესახებ განცხადებაში მითითებული არგუმენტებისა და სამართლებრივი ნორმების ანალოგიური არგუმენტებისა და სამართლებრივი ნორმების მითითებით, მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება და სარჩელის წარმოებაში მიღება.

სასამართლომ განიხილა სარჩელი და თანდართული მასალები, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს უარი უნდა ეთქვას სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის შეუამდგომლობას „სახელმწფიო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 5-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწფიო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან სასამართლო ხარჯებისგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მოსარჩელეს აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით სახელმწფიო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებაზე უარი ეთქვა, როგორც ხარვეზის დადგენის შესახებ, ისე ხარვეზზე ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებებით. ასევე, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება გორის რაიონული პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძრის ფაქტზე, ვინაიდან მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე არ ადასტურებს დანაშაულის არსებობას.

ამდენად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ არ იქნა შევსებული სარჩელზე დადგენილი ხარვეზი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 2-ე, 12-ე, 13-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექის 185-ე, 186-ე, 187-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. უარი ეთქვას მოსარჩელის წარმომადგენელს სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღებაზე, თანახმად სსკ-ს 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტისა და დაუბრუნდეს იგი მოსარჩელეს თანდართულ საბუთებთან ერთად.

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ – თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდ. ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა), განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდ. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12-ე კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე

***

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას**

2008 წლის ომით დაზარალებულის წარმომადგენლის

## კ ე რ ძ ო   ს ა ჩ ი ვ ა რ ი

2010 წლის 2 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა მოსარჩელემ სარჩელით, რომლითაც მოითხოვა მისთვის 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

2010 წლის 6 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც დაადგინა ხარვეზი ზემოაღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით. განჩინების თანახმად: "სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც მოპასუხე აღიარებულია დამნაშავედ."

ზემოაღნიშნულ განჩინებასთან დაკავშირებით 2010 წლის 10 აგვისტოს წარვადგინეთ შუამდგომლობა, რომლითაც სასამართლოსაგან ვითხოვდით მიეღო საქმე წარმოებაში, რადგან სასამართლოს განჩინებაში მოყვანილი სამართლებრივი მსჯელობა არ წარმოადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგანაც:

1. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით: საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან: თ) მოსარჩელე - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;"

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება." სწორედ მარლსაწინააღმდეგო და კანონსაწინააღმდეგო ქმედების, ე. ი. დანაშაულის შედეგად მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზარალი. გორის რაიონული პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის №074088079 საქმე. აღნიშნულ საქმეზე 2008 წლის 1 სექტემბერს დაზარალებულად იქნა ცნობილი და დაიკითხა გორის რაიონის სოფელ კარალეთში მცხოვრები მოსარჩელე, რომელსაც 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოში განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს, გორის რაიონის სოფელ კარალეთში, სამმა ცეცხლსასროლიანი იარაღით შეიარაღებულმა პიროვნებამ გასტაცა კუთვნილი „ფორდ ტრანზიტის" მარკის მიკროავტობუსი.

2.1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და გამოძიება სწორედ ადასტურებს, დანაშაულის ფაქტს. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტში კი საუბარია დანაშაულით მიყენებულ მატერიალურ ზარალზე, რასაც უდავოდ ჰქონდა ადგილი. ამასთან, ზემოაღნიშნული მუხლით არ არის მითითებული რაიმე დამატებითი პირობა, კერძოდ ის რომ დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც მოპასუხე აღიარებულია დამნაშავედ. კანონის მუხლის ამგვარი "ინტერპრეტაცია", არის მოსამართლის მიერ სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ გაკეთებეული განმარტება, რაც ეწინააღმდეგება თავად კანონის ნორმის სიტყვა-სიტყვით განმარტებას, ასევე ეწინააღმდეგება სამართლიანი სამართლო უფლების არსს და კანონმდებლის ნებას.

3. ზემოთქმულის კიდევ ერთი დამადასტურებელი გარემოებაა ის, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" საქართველოს კანონი. ამ კანონის 1 მუხლით: „ამ კანონის მიზანია ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად

საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური (სანაცვლო) აძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.“ ე. ი. ამ კანონით განსაზღვრულია ომით დაზარალებულთათვის ქონებრივი ზარალის ანაზღაურების წესი და პირობები. ამასთან დაკავშირებით, ამავე კანონით განსაზღვრულია შესაბამისი კომისიის შექმნა, რომელიც განიხილავს დაზარალებულთა განცხადებებს და რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3.1. აღნიშნული კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა სხვადასხვა ცვლილება. მაგალითად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის გადაწყვეტილება.

3.2. ცვლილება შევიდა ასევე “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „უზენაესი სასამართლოს პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მისი განსჯადობისათვის მიკუთვნებულ სხვა საკითხებს, გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ასევე განიხილავს საჩივარს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.“

3.3. ასეთი ტიპის გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეხება მატერიალური ზარალის ანაზღაურებას და შესაბამისად, ჩვენი მოსარჩელის მსგავს ქონებრივ დავას. ქონებრივ დავაზე საკასაციო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს. ომით დაზარალებული, რომელსაც ისედაც მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ცხადია ვერ შეძლებს ზემოაღნიშნული ბაჟის გადახდას. ამიტომ 2006 წლის 25 ივლისს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონში შევიდა შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმადაც: საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე.

4. ამასთან, „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით არ არის განსაზღვრული სასამართლოს მიერ აღნიშნული პირობა, კერძოდ ის, რომ დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც მოპასუხე აღიარებულია დამნაშავედ.“

5. გარდა ამისა, 2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის დროს მოსარჩელეს ოსმა სეპარატისტებმა წაართვეს მიკროავტობუსი, რომლითაც იგი ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას - მგზავრების გადაყვანას. ეს საქმიანობა კი წარმოადგენდა მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყაროს. დღეს მოსარჩელე არის უმუშევარი, მისი სამეწარმეო საქმიანობა შეჩერებული და ამის გამო მას არ აქვს არანაირი შესაძლებლობა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.“

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს სარჩელის თავდაპირველად მიღებისთანავე უნდა გაეთავისუფლებინა მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე „სახელმწიფო ბაჟის" შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე. ჩვენ განმეორებით 2010 წლის 22 სექტემბერს, დამატებით წარმოვადგინეთ დეტალური სამართლებრივი დასაბუთება, რათა მოსარჩელე გათავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და მისი სარჩელი მიღებულიყო წარმოებაში ხარვეზის დადგენის გარეშე და ამგვარად აღდგენილიყო მისი დარღვეული ფუნდამენტური საკუთრების და ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მიუხედავად ამისა სასამართლომ არ გაიზიარა ჩვენი შუამდგომლობა და 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით უარი თქვა სარჩელის მიღებაზე. მიგვაჩნია, რომ განჩინება არის უკანონო და აქედან გამომდინარე გთხოვთ:

1. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გაათავისუფლოთ მოსარჩელე კერძო საჩივრის განხილვასთან დაწესებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და მიიღოთ საჩივარი წარმოებაში
2. გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება და დაუბრუნოთ საქმე პირველ ინსტანციას სარჩელის განხილვის მიზნით.

# თავი X

# სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ომით დაზარალებულთათვის

**სასამართლოს გადაწყვეტილება**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

24 ივნისი, 2009 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო ონიანი
სხდომის მდივანი ნინო შჩერბაკოვა

მოსარჩელე – ბეგლარი
წარმომადგენელი – ორგანიზაცია

მოპასუხე _ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
წარმომადგენელი _ ასმათ ხარატიშვილი, ლევან ბარდაველიძე

დავის საგანი – ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მოპასუხე მხარისათვის იურიდიული მომსახურეობის ხარჯების გადახდის დაკისრება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება – მოსარჩელის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ასევე, მოპასუხე მხარისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ მოსარჩელისათვის გასაწევი იურიდიული მომსახურეობის ხარჯების დაკისრება.

სასარჩელო განცხადების თანახმად, მოსარჩელე 2008 წლის აგვისტოს საყოველთაოდ ცნობილი რუსეთ-საქართველოს ომის დროს, იძულებული გახდა ოჯახთან ერთად დაეტოვებინა მისი საცხოვრებელი სახლი სოფელ საცხენეთში და გადაადგილებულიყო ქ. თბილისში. 2008 წლის 5-6 აგვისტოს სოფელში დაიძაბა მდგომარეობა, რის გამოც იგი მეუღლესთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა სოფელი და წამოვიდა საკუთარი სახლიდან.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი შედგება ექვსი წევრისაგან: მეუღლე, შვილი, რძალი და ორი შვილიშვილი; მისმა შვილმა, ცოლ-შვილთან ერთად, მცირეწლოვანი ბავშვების უსაფრთხოებისთვის უფრო ადრე დატოვა სოფელი საცხენეთი;

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რეგისტრაცია გაიარა სამოქალაქო რეესტრში, სადაც მის ოჯახს მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი №თ5899884976.

2008 წლის 25 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მოითხოვა დევნილად ცნობა და დევნილის სტატუსის მინიჭება, რაზედაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ რეაგირება არ მოახდინა კანონის მოთხოვნათა დაცვით ერთ თვიან ვადაში და არანაირი გადაწყვეტილება დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის შესახებ არ მიუღია.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, 2009 წლის 24 თებერვალს კვლავ მიმართა სამინისტროს განცხადებით, რითაც ითხოვდა ეცნობებინათ მისთვის დაიწყო, თუ არა მისი განცხადების განხილვა – ადმინისტრაციული წარმოება, ასევე მიეწოდებინათ მისი 2008 წლის 25 დეკემბრის განცხადებაზე პასუხი, რაზეც მან ისევ ვერ მიიღო პასუხი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს დაევალოს მოპასუხე საქართველოს ლტოლვლთა და განსახლების სამინისტოს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დევნილად ცნობის თაობაზე და მიენიჭოს დევნილის სტატუსი, ასევე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯების გადახდა შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესაბამისად.

სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელს მხარი დაუჭირა და მოითხოვა დაევალოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინსტროს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის დევნილად ცნობისა დ დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯების გადახდა შესულებული სამუშაოს ანგარიის შესაბამისად.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა დ განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები სარჩელს მხარს არ უჭერენ და განმარტავენ, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო: „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2-ე მუხლის პირველი

პუნქტის თანახმად: „პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს“ იმავე მუხლის 5-ე პუნქტის თანახმად: სამინისტრო პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე“.

იმავე მუხლის 7-ე პუნქტის თანახმად: დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ანალოგიური ერთთვიანი ვადაა დადგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად: „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩითვლება ადმინისტრაციული სამათლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი საჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით“.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2-ე მუხლის 12-ე პუნქტის თანახმად: „სამინისტროს უარი პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად ცნობისა და დევნილი სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, სასარჩელო განცხადებით და მასზე თანდართული მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელის განცხადება სამინისტროში რეგისტრირებულია 2008 წლის 25 დეკემბერს, ზემოთ მითითებული ნორმების თანხმად მის საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა გამოსულიყო არაუგვიანეს იმავე წლის 25 იანვრისა. ის გარემოება, რომ 25 იანვრის მდგომარეობით მხარისათვის ცნობილი იყო სამინისტროს მიერ მიერ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა, რაც უდავოდ დასტურდება სასარჩელო განცხადებით და მასზე თანდართული მასალებით.

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით და იმავე მუხლის 3-ე ნაწილის თანახმად, სასამართლოს უნდა წარედგინოს სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან 1 თვის ვადაში. ზემოთაღნიშნული ნორმების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსარჩელეს სარჩელი უნდა წარედგინა არა უგვიანეს 2009 წლის 25 თებერვლისა.

წარმომადგენელს მიაჩნია, რომ გარემოების ურთიერთშეჯერების შედეგად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ დარღვეულია სარჩელის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, ამასთან, სამართლებრივად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიაჩნია მოთხოვნა – დევნილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ და განმარტავს, რომ იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის სტატუსის მინიჭების პრეროგატივა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკუთვნის. შესაბამისად, განმარტავს, რომ ეს მათი დისკრეციული უფლებამოსილებაა და ამიტომ მოთხოვნა არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 25 დეკემბრის №30701 განცხადებით დგინდება, რომ მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ბ-ნ კობა სუბელიანს და განუმარტა, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოვლენების შედეგად იძულებული გახდა ოჯახთან ერთად დაეტოვებინა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გაქცევით ეშველა თავისთვის. მას იძულებით მოუხდა გადაადგილება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, კერძოდ, თბილისში, რათა მას და მის ოჯახს თავი დაეღწიათ საფრთხისთვის, რაც რუსეთის აგრესიის შედეგად შეექმნათ და მათი იქ დარჩენა აშკარა საფრთხეს უქმნიდა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აღნიშნული განცხადებით ითხოვდა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად, დევნილად ცნობას და დევნილის სტატუსის მინიჭებას (ს.ფ.7).

საქმეში წარმოდგენილი მოსარჩელის 2009 წლის 24 თებერვლის №7965 განცხადებით, ირკვევა, რომ მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტს და განმარტა, რომ 2008 წლის 25 დეკემბერს მან მიმართა განცხადებით (რეგ.№30701), რითაც ითხოვდა დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას, მაგრამ სამინისტროდან არანაირი წერილობითი პასუხი არ მიუღია. ზემოთაღნიშნულისა და ზაკ-ის 37-ე და 10-ე მუხლების შესაბამისად, იგი ითხოვდა ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიეღო წერილობითი პასუხი: დაიწყო თუ არა 2008 წლის 25 დეკემბრის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოება, დადებით შემთხვევაში გადაეცათ მისთვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ მათი გადაწყვეტილება და როგორც დაინტერესებული მხარე ითხოვდა უზრუნველყოფას მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმობაში. ასევე მიეწოდებინათ მისთვის ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტები, სხვა მასალების ასლები და 2008 წლის 25 დეკემბრის განცხადებაზე მიეწოდებინათ წერილობითი გადაწყვეტილება (ს.ფ.8).

საქმეში წარმოდგენილი ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვანათის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის 2008 წლის 12 დეკემბრის №219 ცნობით დგინდება, რომ 1950 წელს დაბადებულ მოსარჩელეს გორის რაიონის სოფელ საცხენეთში ჰქონდა საცხოვრებელი ფართი (ს.ფ.28)..

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის №06-06/639 წერილით არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" პროექტის კოორდინატორს ქალბატონ ნინო ციხისთავს მისი 2008 წლის 24 ნოემბრის №4/7/32 წერილის პასუხად ეცნობა, რომ რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ პირთათვის დევნილის სტატუსის მინიჭების პროცესი დაიწყება მარტის თვეში (ს.ფ.29).

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 11 მარტის №8/1556 წერილით არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" 2009 წლის 24 თებერვლის №4/7/199 წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ - 3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფელ საცხენეთი მდებარეობს მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ბანათიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 2 კილომეტრში ამჟამად ეს ტერიტორია კონტროლდება ცხინვალის სეპარატისტული მთავრობისა და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ, შესაბამისად სოფელ საცხენეთში მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირის დაბრუნება ამ დროისათვის ვერ ხერხდება.

**სამოტივაციო ნაწილი**

საქმის მასალების გაცნობის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის საკითხს აწესრიგებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი, ხოლო მისი დასაბუთებულობის დადგენის საფუძველია ამავე კოდექსის 33-ე მუხლი, რომლის თანახმად სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით არის დასაბუთებული თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უარის კანონიერებისა თუ უკანონობის დადგენისას უნდა შემოწმდეს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური უფლებამოსილება;

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, არამედ აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემაზე უარი ან მისი გამოცემის ვადის დარღვევა არის უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქვს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება ან ინტერესი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობის დადგენის შემთხვევაში ფაქტობრივად დადგენილია მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფის ფაქტი, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულების, ასევე მოსარჩელის სუბიექტური უფლების წარმოშობის საფუძველი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ აქტის გამოცემაზე უარის ან უმოქმედობის სუბიექტი იყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. ის ემსახურება პირველ რიგში, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გაიზიაროს თუ რა მიზნის მისაღწევად აქვს მას მინიჭებული ეს უფლებამოსილება და რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოახდინოს შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. შეუძლებელია ცალკე აღებული რომელიმე საჯარო ან კერძო ინტერესისათვს უპირატესობის მინიჭება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ურთიერთშეჯერება. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს საჯარო ინტერესებისათვის მიყენებულ სიკეთეს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეულმა და ამდმინისტრაციუ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერ უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა ანუ მიზნის მიღწევის საშუალება მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მის ხელთ არსებული რამდენიმე საშუალებიდან იყენებს იმას, რომელიც ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებებისათვის.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც ახორციელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას.

მოსარჩელის განცხადება მოპასუხე მხარის მიერ დატოვებული იქნა რეაგირების გარეშე, მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ევალებოდა "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილტა შესახებ" საქართველოს კანონის 2.9 მუხლისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის №124 ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად ემსჯელ ათ მოსარჩელის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის

მინიჭების თაობაზე, რითაც დარღვეულ იქნა "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილტა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. ერთი თვის ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელის დევნილად ცნობისა და მისთვის სტატუსის მინიჭების ან უარის თქმის სესახებ, რაც მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს აყენებს პირდაპირ და უსუალო ზიანს - მოსარჩელეს არ აქვს ამავე კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლებები - დევნილის უფლებები და იგი შესაბამისად ვერ იღებს ყოველთვიურ შემწეობას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით დაინტერესებული მხარის განცხადებაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აქტის გამოცემის ფაქტიური და სამართლებრივი წინაპირობების შემოწმება. სწორედ შემოწმების შედეგებს ეყრდნობა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე. მთელ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბოლომდე არ არის შესწავლილი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ანუ საკითხი არ არის იმ დონემდე შესწავლილი, რომ შესაძლებელი იყოს მასზე გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პრეროგატივას. სასამართლო ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაადგენს ასმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობასა და მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფას ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოსადმი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

სასამართლოს ასევე არ შეუძლია თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამარტლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა დაევალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხე მხარისათვის იურიდიული მომსახურეობის ხარჯების გადახდის დაკისრების თაობაზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და მის დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. სასამარტლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს სწორედ მოსარცელის მოთხოვნა - ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები.

ასევე ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

სასამართლო ეთანხმება და იზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას, რომ არც სარჩელით და არც მასზე თანდართული მტკიცებულებებით არ დგინდება გაწეული ხარჯების ოდენობა და არც ის გარემოება, რომ ასეთი ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული. ხოლო სარჩელზე დართული ხელშეკრულების 3.2 მუხლის თანახმად ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს

სამომავლოდ. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება მხარეს დაეკისროს იმ ხარჯების გაწევა რომელიც მეორე მხარეს არ გაუწევია.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1, მე-12, მე-10, 23-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 250-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით.

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ
2. მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.
3. უარი ეთქვას მოსარჩელეს მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის იურიდიული მომსახურეობის ხარჯების გადახდის დაკისრებაზე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისში, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან 14 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ხელმოწერილია ნინო ონიანის მიერ.

***ვინაიდან ზემოთ მოტანილი გადაწყვეტილება არ აღსრულდა, ორგანიზაცია იძულებული გახდა, საკითხი გაესაჩივრებინა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში – სტრასბურგში.***

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქის საჩივარი (საქართველოს წინააღმდეგ)

**ფაქტობრივი გარემოებები**

2008 წლის 7 აგვისტოს ღამით საქართველოში, სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. საჰაერო და სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები ხორციელდებოდა 5 დღის განმავლობაში. კონფლიქტი, რომელიც დაიწყო ქართულ არმიასა და სეპარატისტულ ფორმირებებს შორის, მალევე გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ომში.

IIFFMCG-ის 2008 წლის 2 დეკემბრის დასკვნის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარისგან გამუდმებული პროვოკაციების შემდეგ, 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს ქართული მძიმე საარტილერიო ტექნიკა თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის რეგიონის ქალაქ ცხინვალს, რასაც თან მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საჰაერო და მძიმე ტექნიკის შემოსვლა საქართველოს საჰაერო და სახმელეთო სივრცეში, ჯერ ქალაქ ცხინვალში, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ტერიტორიებზე. ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავის დაღწევა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ჯავშანტექნიკამ და საჰაერო საბრძოლო ხომალდებმა ჩაკეტეს საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის მთავარი სამოძრაო გზები. საომარი

მოქმედებები მიმდინარეობდა ხუთი დღის განმავლობაში, რამაც გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ქონებრივი ზიანი.[55]

2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. იმავე დღეს, ღამის საათებში, საქართველოს საარტილერიო ქვედანაყოფის მიერ გაიხსნა ცეცხლი, რასაც თან მოჰყვა მასობრივი საბრძოლო მოქმედებები.[56] ხუთდღიან საბრძოლო მოქმედებებს კი შედეგად მოჰყვა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ ფართომასშტაბიანი მაროდიორობის დაწყება, ასევე ქართველთა საცხოვრებელი სახლების გადაწვა, მკვლელობა, ცემა, გაუპატიურება და სხვა მძიმე დანაშაულები ჩადენილი ეთნიკურ ქართველთა წინააღმდეგ.[57]

2008 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

Human Rights Watch-ის დასკვნაზე დაყრდნობით, 2008 წლის 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ქ. გორისა და მისი მიმდებარე სოფლების ოკუპაცია, რასაც შედეგად მოჰყვა როგორც საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის განადგურება, ასევე დიდი ოდენობის მსხვერპლი ადგილობრივ მოსახლეობაში.[58]

საქართველოს მოქალაქე, განმცხადებელი (შემდგომში "განმცხადებელი") დაიბადა 1950 წლის 12 ივნისს ქალაქ ცხინვალში. განმცხადებელი 2008 წლის აგვისტომდე ცხოვრობდა გორის რაიონ სოფელ საცხენეთში მეუღლესთან, რძალთან და ორ შვილიშვილთან ერთად. სოფელ საცხენეთში განმცხადებელი ფლობდა ორსართულიან სახლს, მიწის ნაკვეთს და ყველა სახის საოჯახო ქონებას (იხ. დანართი №1).

2008 წლის რუსეთ – საქართველოს ომის დროს 5-6 აგვისტოს, სოფელ საცხენეთში ძალიან დაიძაბა მდგომარეობა, ისმოდა ინტენსიური სროლების ხმა და განმცხადებელი იძულებული გახდა, რომ მეუღლესთან და სხვა თანასოფლელებთან ერთად დაეტოვებინა სოფელი საცხენეთი. განმცხადებლის შვილმა და რძალმა მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად უფრო ადრე დატოვეს სოფელი უსაფრთხოების მიზნით. ისინი გადავიდნენ თბილისში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სოფელი საცხენეთი წარმოადგენს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას. შესაბამისად, განმცხადებელი და მისი ოჯახი ვერ ახერხებენ საცხოვრებელ სახლში დაბრუნებას, რის გამოც ისინი წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს. ამასთანავე, Human Rights Watch –ის დასკვნის მიხედვით სოფელ საცხენეთში თითქმის ყველა სახლი დამწვარია.[59]

ქ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ განმცხადებელმა გაიარა რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრში, რომელმაც მის ოჯახს მიანიჭა კოდი №თ5–899884976. განმცხადებლის ოჯახი დროებით საცხოვრებლად გადაანაწილეს ქ. თბილისში №161 საჯარო სკოლის შენობაში, ხოლო სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გადავიდნენ ც. დადიანის №305ა-ში, შვილის და მეუღლის ბინაში საცხოვრებლად. მცირე ზომის ბინაში (იხ. დანართი №2) განმცხადებლის შვილი და მისი მეუღლე მშობლებთან ერთად ცხოვრობენ.

---

[55] Human Rights Watch ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს,. გვ 3-5. იხ. ელ.ვერსია http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.

[56] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, report, volume II, September 2009, გვ. 209. იხ. ელ.ვერსია: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_II.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.

[57] Human Rights Watch ,ანგარიში – ცეცხლის ალში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს, გვ: 66-69. იხ. ელ.ვერსია http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს.

[58] Ibid, გვ.4, იხ. ელ.ვერსია: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames, ბოლოს ნანახია 2010 წლის 25 ივნისს

[59] Ibid, გვ. 140.

საქართველოს კანონის[60] შესაბამისად დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო. ამავე კანონის[61] თანახმად მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების შემთხვევაში "დევნილის" სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონი[62] განმარტავს, რომ დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი. განმცხადებელს საცხოვრებლად არჩეული ჰქონდა სოფელ საცხენეთში არსებული მისი სახლი.

განმცხადებელმა არაერთხელ მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების თხოვნით, თუმცა, მისი მცდელობები მთავრდებოდა უშედეგოდ.

სამინისტროს უმოქმედობის გამო განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც 2009 წლის 24 ივნისს დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და დაავალა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა განმცხადებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ (იხ. დანართი №3). მხარეებს სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს. სამოტივაციო ნაწილში სასამართლო აღნიშნავს: *"სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების [...] პრეროგატივას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით"*, რადგან სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული *"მიეკუთვნება სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას."* მეორე მხრივ, კი სარეზოლუციო ნაწილის მეორე პარაგრაფით პირდაპირ ავალებს სამინისტროს აქტის გამოცემას: *"მოპასუხე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის დევნილად ცნობისა და დევნილს სტატუსის მინიჭების თაობაზე."*

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და არ მიანიჭა დევნილის სტატუსი განმცხადებელს, რის გამოც განმცხადებელმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა, რომ მას მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განუსაზღვრა სამინისტროს სამი თვის ვადა გადაწყვეტილების აღსრულებისთვის (იხ. დანართი №4), თუმცა გადაწყვეტილება მაინც არ აღსრულდა. ბიუროს მიერ განსაზღვრული ვადა კი ამოიწურა 2010 წლის მარტში.

განმცხადებელმა 2010 წლის 18 მაისს თბილისის მთავარ პროკურატურაშიც შეიტანა საჩივარი და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის დაწყება სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობისთვის. პროკურატურამ კი იმის ნაცვლად, რომ დაეწყო გამოძიება აღნიშნულ საქმეზე და დაზარალებულის სტატუსი მიენიჭებინა განცხადებლისთვის, მისი საჩივარი გადაამისამართა აღსრულების ეროვნულ ბიუროში (იხ. დანართი №5), რომელმაც თავის დროზე ვერ უზრუნველყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

---

[60] საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ, მიღებულია 1996 წლის 28 ივნისს.

[61] საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ. მუხლი მე-2 (9), ცვლილება შესულია კანონში 2005 წლის 6 აპრილს.

[62] იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი პრიმა მუხლის "ე" პუნქტი, 1996 წლის 28 ივნისი, ცვლილება შესულია 2005 წლის 04.06.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე ნორმას, რომელიც დაზარალებულს საშუალებას მისცემდა, გავლენა მოეხდინა გამოძიების დაწყებაზე, მართალია კოდექსი[63] ითვალისწინებს პროკურატურის ვალდებულებას, რომ დაიწყოს გამოძიება, მაგრამ არ არის გათვალისწინებული რაიმე მექანიზმი ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კვლავ მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილით და განმეორებით მოსთხოვა, რომ აღასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (იხ. დანართი №6).

აღსრულების ეროვნულ ბიუროს კანონის შესაბამისად[64] აღსრულებას შეუძლია დაუქვემდებაროს კერძო საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა არ გააჩნია ქმედითი ბერკეტი, რითაც იგი რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებათა აღსრულებას, რომლებშიც საუბარია არა თანხის გადახდაზე, არამედ მაგალითად დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საბოლოოდ 2010 წლის 8 ივნისს აცნობა განმცხადებელს პასუხი განმცხადებლის მიერ 2008 წლის 25 დეკემბერს გაგზავნილ წერილზე, სადაც იგი ითხოვდა დევნილის სტატუსის მინიჭებას. ამ წერილით განმცხადებელს უარი ეთქვა დევნილის სტატუსის მინიჭებაზე (იხ: დანართი №7). აღნიშნულ პასუხს რაიმე სამართლებრივი ძალა არ აქვს, რადგან იგი ვადის აშკარა დარღვევით არის გაცემული. გარდა ამისა, სამინისტროს ზემოაღნიშნული წერილი სასამართლოს გადაწყტილების სრულ იგნორირებას ახდენს, თითქოს სასამართლო პროცესი არც კი გამართულა მოცემულ საქმეზე.

დევნილის სტატუსის არ-ქონის გამო განმცხადებელი ვერ სარგებლობს იმ უფლებებით, რომელიც განკუთვნილია დევნილისთვის, ვერ იღებს დევნილისთვის განკუთვნილ დახმარებას, მას არ გადასცეს დროებითი საცხოვრებელი – კოტეჯი ან მისი სანაცვლო თანხა 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მთავრობის განკარგულების შესაბამისად (იხ. დანართი №8).

განმცხადებლისთვის დევნილის სტატუსის არ-მინიჭება არ არის მხოლოდ ერთი იძულებით გადაადგილებული პირის პრობლემა საქართველოში. მის მდგომარეობაში მრავალი ადამიანია, რომლებსაც არ მიუღიათ დევნილის სტატუსი მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეალურად არიან იძულებით გადაადგილებული პირები.

განმცხადებლის წარმომადგენელმა 2010 წლის 25 ივნისს კვლავ მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების თხოვნით (იხ. დანართი №9), თუმცა ამ წერილზე პასუხი არ მოსულა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6, მე-8, მე-13 მუხლები და პირველი ოქმის პირველი მუხლი.

**I. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ**

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ მოპყრობას მოპასუხე მთავრობის მხრიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი არის იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც იძულებული გახდა შეიარაღებული კონფლიქტის გამო დაეტოვებინა მშობლიური სოფელი და იმის გამო, რომ დღეს აღნიშნული ტერიტორია ოკუპირებულია, იგი ვერ ახერხებს საკუთარ სახლში დაბრუნებას.

ხელისუფლება ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს განმცხადებლის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ, რომ ნაწილობრივ მაინც შეუმსუბუქოს ის ტრამვა, რომელიც გადაიტანეს ომისა და საცხოვრებლის დაკარგვის გამო. გასათვალისწინებელია, რომ

[63] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.
[64] საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოების შესახებ, მუხლი მე-2 (ა); 03/10/2009 მდგომარეობით.

სოფელში მცხოვრები ადამიანები და პირადად განმცხადებელი განსაკუთრებით მიჯაჭვულია თავის კარ-მიდამოს, მიწას და მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია დევნილობაში ყოფნა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ არ იზრუნა განმცხადებელზე, არ მიანიჭა მას დევნილის სტატუსი და არ გაუწია დევნილისთვის განკუთვნილი დახმარება, რითაც კიდევ უფრო დაამძიმა განმცხადებლის ისედაც მძიმე მდგომარეობა და გააორმაგა მისი სულიერი ტანჯვა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ორი წელი გავიდა და ამ ორი წლის განმავლობაში განმცხადებელი იძულებულია იბრძოლოს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მის წინაშე შეასრულოს კანონით ნაკისრი ელემენტარული ვალდებულება, როგორიცაა დევნილის სტატუსის მინიჭება და შესაბამისი დახმარების გაწევა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხელისუფლების უმოქმედობამ და სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობამ განმცხადებელში გამოიწვია დაუცველობის განცდა და სასოწარკვეთილება. საცხოვრებლის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს დაემატა შეგრძნება, რომ ის ამ ქვეყანაში მხოლოდ ზედმეტი ტვირთია და რომ ხელისუფლებას მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები არ აინტერესებს და არ ზრუნავს მათზე.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ მოპასუხე მთავრობამ კანონით ნაკისრი და სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

## II. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი წარმოადგენს ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცული უფლების განუყოფელ ნაწილს.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა მოიგო სასამართლო პროცესი, მან მაინც ვერ მიაღწია დარღვეული უფლების აღდგენას, რადგან არ ხდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, რაც არის ევროკონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევა.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება ქვეყანაში ევალება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, თუმცა ქვეყანაში არ არსებობს ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც ეხება მაგალითად დევნილის სტატუსის მინიჭებას.

აღსრულების ეროვნული ბიურო არის არა სასამართლო ხელისუფლების, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. აღსრულების ეროვნული ბიურო რეგისტრირებულია როგორც იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.[65] ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არის სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილი, შესაბამისად აღსრულების ეროვნული ბიურო უნდა იყოს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილი და არა აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მოპასუხე მთავრობამ განმცხადებლის მიმართ დაარღვია ევროკონვენციის მე-6 მუხლი.

## III. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

[65] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება, მუხლი მე-10. იხ. ელ.ვერსია: http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=11.

განმცხადებლის მიმართ დაღვეულია ევროკონვენციის მე-8 მუხლი, რაც გამოიხატა განმცხადებლის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში უხეში ჩარევით. მოპასუხე მთავრობამ არ მიანიჭა განმცხადებელს დევნილის სტატუსი, რამაც განმცხადებლის ოჯახი ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში. განმცხადებელი იძულებულია იაროს სასამართლო პროცესებზე, იდავოს დარღვეული უფლების აღდგენისთვის. დევნილის სტატუსის არ-ქონის გამო განმცხადებელს არ აძლევენ დროებით თავშესაფარს, რის გამოც მას არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი სადგომი და იმყოფება მეუღლის და შვილის მცირე ზომის ბინაში, რომელშიც ცხოვრობს 7 ადამიანი. ცალსახაა, რომ ასეთ მდგომარეობაში ოჯახური გარემოს შექმნა შეუძლებელია. ასე გრძელდება უკვე 2 წელია და განმცხადებლის ოჯახი ვერ სარგებლობს მისთვის ევროკონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის მერვე მუხლი ნეგატიური კუთხით, რაც გამოიხატა განმცხადებლის ოჯახურ ცხოვრებაში უხეში ჩარევით.

მოპასუხე მთავრობამ არ დაიცვა განმცხადებლის ოჯახი მოსალოდნელი საფრთხისგან, ნება მისცა ოკუპანტ ძალას, რომ შეჭრილიყო სოფელ საცხენეთში და მოეხდინა მისი ოკუპაცია, რის გამოც განმცხადებლის ოჯახი უძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი და გადმოსულიყო ქ. თბილისში გაცილებით ცუდ პირობებში საცხოვრებლად. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლება ნეგატიური კუთხითაც დაარღვია.

### IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს მთავრობამ განმცხადებლის მიმართ დაარღვია და კვლავაც არღვევს ევროკონვენციის მე-13 მუხლს იმდენად, რამდენადაც არ არსებობს ქვეყანაში სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას მას შემდეგაც კი, როცა მოსარჩელე საქმეს სასამართლოში მოიგებს.

განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-13 მუხლი დაირღვა იმ კუთხით, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აწესრიგებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ქმედითი მექანიზმების გათვალისწინება კანონმდებლობაში, გამოძიების დაწყების ვალდებულება. სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს[66], თუმცა დანაშაულის გამოძიების დაწყებისთვის რაიმე ქმედითი ბერკეტი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი, ჩვენი მტკიცებით, არღვევს განმცხადებლის მიმართ ევროკონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიანი დაკმაყოფილების უფლებას.

### IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი. კერძოდ, განმცხადებელი ვერ იღებს დროებით თავშესაფარს ან მის სანაცვლო კომპენსაციას.

იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში განმცხადებელმა ვერ მიიღო დევნილის სტატუსი, იგი შესაბამისად ვერ იღებდა დევნილისთვის განკუთვნილ ფულად დახმარებასაც.

საქართველოს ხელისუფლებამ არ აუნაზღაურა განმცხადებელს ის ქონებრივი ზარალი, რომელიც მას მიადგა ომის დროს. განმცხადებელმა დაკარგა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მიწის ნაკვეთი და ყველა სახის საოჯახო ქონება რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად.

[66] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 381, პირველი პუნქტი; მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის[67] თანახმად ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, რომ აენაზღაურებინა განმცხადებლისთვის ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი სრული ოდენობით. საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაებრუნებინა განმცხადებლისთვის ქონება, რომელიც მან დაკარგა - თუ ეს შეუძლებელი იყო, უნდა გადაეცა მისთვის ადეკვატური (სანაცვლო) ქონება და თუ ესეც ვერ ხერხდებოდა, უნდა დაეკმაყოფილებინა განმცხადებელი დაკარგული ქონების სანაცვლო ფულადი კომპენსაციით.

განმცხადებელს ადგილობრივი სასამართლოსთვის არ მიუმართავს ქონებრივი ზარალის ანაზღაურების თხოვნით, რადგან ჩვენი მტკიცებით, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას განმცხადებელი ისე ვერ მოითხოვდა თუ მას არ მიანიჭებდნენ დევნილის სტატუსს. სტატუსის მინიჭება იქნებოდა იმის დასტური, რომ განმცხადებელმა ნამდვილად დაკარგა ქონება და გახდა იძულებული, რომ დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებელი უნდა გათავისუფლდეს ქონებრივი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შიდა ინსტანციების ამოწურვის ვალდებულებისგან, რადგან გარდა იმისა, რომ სტატუსის გარეშე ის ზარალის ანაზღაურებას ვერ მოითხოვდა, განმცხადებელი სამართალწარმოებას ვერ დაიწყებდა სასამართლოში იმის გამო, რომ ქონებრივი დავის შემთხვევაში მას მოუწევდა ბაჟის გადახდა[68], რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მინიმუმ 100 ლარს წარმოადგენს და ინსტანციების მიხედვით კიდევ უფრო იზრდება. განმცხადებელს კი, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირს, რომელმაც დაკარგა მთელი ქონება, არ ჰქონდა საშუალება, რომ ბაჟი გადაეხადა და დაეწყო სასამართლო წარმოება. გარდა ამისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სასამართლო წარმოებას არც ექნებოდა აზრი შიდა დონეზე, რადგან არ არსებობს პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელის სასარგებლოდ.

შესაბამისად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოპასუხე მთავრობამ განმცხადებლის მიმართ დაარღვია ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

## განაცხადის დასაშვებობის შესახებ

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6, მე-8, მე-13 მუხლები და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი. იმდენად, რამდენადაც სამინისტრო არ აღასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას, განმცხადებელი უსასრულოდ ვერ დაელოდება მის აღსრულებას. მნიშვნელოვანია, რომ საქმე ეხება დევნილის სტატუსის მინიჭებას, რაც უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, შესაბამისად რადგანაც სამინისტრომ არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი წლის განმავლობაში, ეს ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელს აღარ აქვს ლოდინის ვალდებულება და ის უფლებამოსილია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ჩვენი მტკიცებით, განმცხადებელს აქვს აშკარა საფუძველი მიიჩნიოს, რომ ხელისუფლება არ აპირებს აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ წელზე მეტია გასული. ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სამინისტროსთვის განსაზღვრული აღსრულების ვადა გავიდა 2010 წლის 24 აპრილს.

[67] საქართველოს კანონი "საომარი მდგომარეობის შესახებ", მუხლი მე-13, 1997წ. 31 ოქტომბერი; ასევე: საქართველოს კანონი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ, 1,4,5 მუხლები, 2006 წ. 29 დეკემბერი.

[68] საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38, "ა" პუნქტი. მიღებულია 1997 წლის ნოემბერში.

სამინისტროს წერილი, რომელიც მიიღო განმცხადებელმა, როგორც პასუხი მისი 2008 წლის განცხადებაზე კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამინისტრო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულ იგნორირებას ახდენს და არ აპირებს აღასრულოს იგი.

# თავი XI

# დანართები

საქართველოს კანონი
საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1
საქართველოს მთავრობა (შემდგომში – მთავრობა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

მუხლი 2 *(5.07.2008 N 94)*
მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები).

მუხლი 3
1. მთავრობის უფლებამოსილებანი აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით.
2. მთავრობა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამთავრობო პროგრამით, რომელსაც ნდობას უცხადებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 4
1. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.
2. დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა.

თავი II მთავრობის კომპეტენცია

მუხლი 5
მთავრობა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში:
ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას, გარდა საქართველოს პროკურატურისა; *(10.10.2008 N 345)*
ბ) ამტკიცებს სამინისტროების აპარატებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებებს;

გ) უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტებისა; *(10.10.2008 N 345)*
დ) ამტკიცებს ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიის დებულებას;
ე) სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;
ვ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას და შეიმუშავებს სამთავრობო პროგრამას;
ზ) საქართველოს კონსტიტუციის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების შესაბამისად მონაწილეობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში;
თ) უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთიანობას, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;
ი) ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვას;
კ) ახორციელებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებას, შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
ლ) უზრუნველყოფს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის მართვას;
მ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას;
ნ) შეიმუშავებს უმუშევრობის შემცირებისა და ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;
ო) უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო საემიგრაციო და საიმიგრაციო პოლიტიკის გატარებას;
პ) უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას;
ჟ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას;
რ) ორგანიზებას უწევს ბუნებრივი რესურსების დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას;
ს) საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებას;
ტ) იღებს აუცილებელ ზომებს ქვეყნის თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; *(24.12.2004 N 806)*
უ) უზრუნველყოფს საქართველოს სამხედრო ძალების ფინანსური საშუალებებით, საბრძოლო ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას;
ფ) იღებს ზომებს კანონიერების უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, უზრუნველყოფს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას;
ქ) უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;
ღ) უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;
ყ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 6

1. მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს.
2. მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.
3. მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით.
4. მთავრობის სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

## თავი III მთავრობის ურთიერთობა საქართველოს პრეზიდენტთან

### მუხლი 7

1. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
2. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე შეუძლია დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე.
3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს მთავრობის სხდომა და უხელმძღვანელოს მას. ამ შემთხვევაში მთავრობის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.
4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცემული აქტებისა. *(10.10.2008 N 345)*
5. საქართველოს პრეზიდენტი:
ა) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მინისტრების დანიშვნაზე;
ბ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი; *(10.10.2008 N 345)*
გ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრის გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;
დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახმელეთო ჯარების სარდალს; *(27.04.2010 N 3021).*
დ[1]) საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავარ პროკურორს; *(10.10.2008 N 345)*
ე) ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურას და საჯარისო წესდებებს, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო ძალების აღმშენებლობის კონცეფციის პროექტებს;
ვ) ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების აღმშენებლობის, გამოყენებისა და მობილიზაციის გეგმებს, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმებს;

ზ) ამტკიცებს ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო-ოპერატიულ და საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს.

6. საქართველოს კონსტიტუციის $51^1$ მუხლის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე.

## თავი IV მთავრობის ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის ორგანიზება

### მუხლი 8

1. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. პრემიერ-მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს მთავრობას, საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მის საქმიანობას;

ბ) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მთავრობის წევრების საქმიანობას;

გ) პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე;

დ) საქართველოს პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ე) იწვევს და ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს;

ვ) კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობას; *(10.10.2008 N 345)*

ზ) საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში;

ი) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს;

კ) წარმოადგენს მთავრობას სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს მთავრობის კანცელარიის მოხელეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე;

მ) საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობებს;

ნ) ასრულებს ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### მუხლი 9

1. პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) გარდაცვალებისას;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

დ) მთავრობის გადაყენებისას;

ე) საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და

დადგენილი წესით;
ვ) მთავრობის წევრის საქმიანობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისას;
ზ) პირადი განცხადების საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პრემიერ-მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვა საფუძველზე შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრების უფლებამოსილებათა შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით 2 კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

მუხლი 10 *(5.07.2008 N 94)*
1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.
2. პირველი ვიცე-პრემიერი ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას მისი არყოფნისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე მის ცალკეულ დავალებებს.
3. ვიცე-პრემიერი (ვიცე-პრემიერები) აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დადგენილ სახელმწიფო მმართველობის განსაზღვრულ სფეროში.
4. ვიცე-პრემიერების რაოდენობას საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.
5. პირველ ვიცე-პრემიერსა და ვიცე-პრემიერს (ვიცე-პრემიერებს) მოვალეობები ეკისრებათ პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, რომლის შესახებაც მთავრობის წევრებს ეცნობებათ მისი გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში. ამავე ბრძანებით განისაზღვრება პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის (ვიცე-პრემიერების) ფუნქციები.

მუხლი 11
1. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები).
2. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღების, აგრეთვე ამ თანამდებობის გაუქმების თაობაზე პრემიერ-მინისტრის (პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის) წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. სახელმწიფო მინისტრს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.
4. სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
5. სახელმწიფო მინისტრი:
ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას;
ბ) ახორციელებს მინისტრისათვის ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებას;
გ) ასრულებს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ცალკეულ დავალებებს;
დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.
6. სახელმწიფო მინისტრის საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.
7. სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს განსაზღვრავს მთავრობა.
8. სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხორციელდება ამ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 12
1. მთავრობის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც.
2. მთავრობის სხდომას იწვევს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
2[1]. მთავრობის სხდომაზე მთავრობის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებული საკითხი განსახილველად გამოაქვს შესაბამის მინისტრს, სამინისტროს მმართველობის სფეროდან გამომდინარე. *(3.11.2009 N 1904)*
3. მთავრობის სხდომას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
4. მთავრობის სხდომაში პრემიერ-მინისტრი და მინისტრები მონაწილეობენ პირადად. თუ მთავრობის სხდომაზე მინისტრის დასწრება შეუძლებელია, იგი ამის შესახებ წინასწარ ატყობინებს პრემიერ-მინისტრს. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.
5. მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ.
6. მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვისა და სხდომაზე საკითხის განხილვის წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.
7. მთავრობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
8. მთავრობის გადაწყვეტილება ფორმდება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. *(26.06.2009 N 1345)*

## თავი V მთავრობის კანცელარია

მუხლი 13
1. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება მთავრობის კანცელარია.
2. მთავრობის კანცელარიას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.
3. მთავრობის კანცელარიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ორგანიზება განისაზღვრება მთავრობის კანცელარიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მთავრობა.

## თავი VI სამინისტრო

მუხლი 14
1. სამინისტრო იქმნება კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.
2. საქართველოს სამინისტროებია: *(24.12.2004 N 806)*
ა) განათლებისა და მეცნიერების;
ბ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; *(29.06.2010 N 3153)*
დ) ენერგეტიკის;

ე) თავდაცვის;
ვ) იუსტიციის;
ზ) კულტურისა და ძეგლთა დაცვის; *(29.06.2010 N 3153)*
თ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; *(29.06.2010 N 3153)*
ი) საგარეო საქმეთა;
კ) შინაგან საქმეთა;
ლ) სოფლის მეურნეობის;
მ) ფინანსთა;
ნ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის.
ო) სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა *(10.10.2008 N 345)*
პ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის. *(23.12.2008 N 848)*
ჟ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა. *(29.06.2010 N 3153)*

მუხლი 15
1. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.
2. სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.
3. სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.
4. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
5. სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და მთავრობის დადგენილებით. სამინისტროს უფლება არა აქვს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს გადასცეს უფლება-მოვალეობები, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
6. სამინისტრო ასრულებს მოქმედებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

მუხლი 16
1. სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.
2. თუ საკითხი, რომელიც კანონით გადაცემულია აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობაში, არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, მასზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა. მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს ასევე გადაწყვეტილება შესაბამისი სამინისტროს მმართველობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხზე, თუ შესაბამისი სამინისტრო არ იღებს გადაწყვეტილებას ან აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას აღნიშნულ საკითხზე, გარდა ქვეყნის უშიშროების, თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა. *(3.11.2009 N 1904)*
3. თუ საკითხი მიეკუთვნება რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს და განსაზღვრული არ არის მასზე გადაწყვეტილების მიმღები სამინისტრო, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

მუხლი 17
1. სამინისტროს დებულებას, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების დებულებებისა, მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა. *(10.10.2008 N 345)*
2. საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების დებულებებს მთავრობის წარდგინებით, ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. *(10.10.2008 N 345)*
3. სამინისტროს დებულება უნდა შეიცავდეს:
ა) სამინისტროს სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს;
ბ) სამინისტროს საქმიანობის სფეროს და ამოცანებს;
გ) სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზებას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს;
დ) სამინისტროს სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას;
ე) სხვა არსებით საკითხებს სამინისტროს საქმიანობის ორგანიზების შესახებ.

მუხლი 18
1. სამინისტროს დებულების შესაბამისად სამინისტრო იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად.
2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.
3. სამინისტროს სისტემაში არსებული იმ დეპარტამენტის, ინსპექციის, მთავარი სამმართველოს, სამმართველოს, სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია, რომელიც ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს, სახელმწიფო ზედამხედველობას და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში – სახელმწიფოებრივ იძულებას, განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებისა, აგრეთვე ისეთი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, რომლებსაც კანონის შესაბამისად არ გააჩნიათ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირებისა) სახელმწიფო კონტროლი შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სამინისტრომ ან საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულმა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებამ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. *(2.03.2007 N4409)*

მუხლი 19
1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანო იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს მთავრობის დადგენილებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამინისტროს.
3. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
4. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 20
1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე.
2. მინისტრი:
ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს

გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;
ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;
გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, ტერიტორიულ ორგანოთა მოხელეებს, მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
დ$^{1}$) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანხმობას აძლევს თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე; *(26.06.2009 N 1349)*
ე) პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე, იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;
ვ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვას, ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;
ზ) ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტებით;
თ) პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრები ანგარიშს აბარებენ აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტს; *(10.10.2008 N 345)*|
ი) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;
კ) ასრულებს მისთვის კანონებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.
3. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე.
4. მინისტრი პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით და განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

მუხლი 21

1. საქართველოს კონსტიტუციის 81$^{2}$ მუხლის შესაბამისად, მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.
2. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებას, პასუხისმგებელია მისი კანონიერებისა და

მიზანშეწონილობისათვის.

მუხლი 22
1. მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) გადადგომისას;
ბ) გარდაცვალებისას;
გ) თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრის აქტის საფუძველზე გათავისუფლებისას;
დ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
ე) მთავრობის შემადგენლობის მიერ უფლებამოსილების მოხსნისას;
ვ) საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
2. მინისტრი გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს. მინისტრს შეუძლია გადადგეს, თუ არსებობს პრეზიდენტის ან საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებისადმი პრინციპული უთანხმოება, საჯარო სამსახურში ყოფნის მიზანშეუწონლობა მრწამსის გამო, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შესრულების იძულება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი მატერიალური თუ მორალური ზიანი გამოიწვიოს, აგრეთვე ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობისას, რომელიც ხელს უშლის სამსახურებრივი უფლებამოსილების აღსრულებას.
3. მინისტრის გადადგომის ან გადადგომაზე მოტივირებული უარის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება გადადგომაზე თანხმობის ან უარის შესახებ მიიღება ერთი თვის ვადაში. გადადგომაზე მოტივირებული უარის შემთხვევაში მინისტრი ვალდებულია გააგრძელოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ის ამავე დროს ინარჩუნებს უფლებას, გათავისუფლდეს თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. მინისტრის გადადგომა იწვევს ამ კანონითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შედეგებს.

მუხლი 23
1. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, ხოლო უფლებამოსილებანი – მინისტრის ბრძანებით, თუ კანონითა და მთავრობის აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. მთავრობის შემადგენლობის მიერ უფლებამოსილების მოხსნისას ან სხვა საფუძველზე მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდებათ მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მინისტრის დანიშვნისთანავე. *(21.03.2008 N 5983)*
3. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლება არა აქვთ შედიოდნენ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოებში, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას.
4. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას, რომლებიც მინისტრის ბრძანებით მის დაქვემდებარებაშია გადაცემული.
5. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

მუხლი 24
1. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.
2. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო

მდივნის ფუნქციას.

## თავი VII სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

მუხლი 25

1. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას.
2. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით.
3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად.
4. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
5. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებას ამტკიცებს მინისტრი. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებაზე ვრცელდება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.
6. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან პრემიერ-მინისტრი მინისტრის წარდგინებით. *(24.12.2004 N 806)*

$7^1$. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელს – მთავარ პროკურორს საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. *(10.10.2008 N 345)*

$7^2$. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. (3.11.2009. N1931 ამოქმედდეს 2009 წლის 1 დეკემბრიდან.)

8. ამოღებულია *(3.11.2009 N 1904)*

მუხლი 26

1. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს ამ დაწესებულებას შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.
3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს და მის მოადგილეს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
4. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

## თავი VIII სახელმწიფოს წარმომადგენლობა

მუხლი 27
1. სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას.
2. თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, აღმასრულებელი ხელისუფლების რომელი დაწესებულება ჩაითვლება სახელმწიფოს წარმომადგენლად ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, სახელმწიფოს წარმომადგენელს ნიშნავს მთავრობა.
3. სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი ამ დაწესებულების დებულების შესაბამისად არის დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## თავი VIII[1] (8.06.2007 N4916) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

მუხლი 27[1]
1. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი:
ა) კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების აღსრულებას;
ბ) მთავრობის დავალებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალურ პროგრამებს;
გ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე;
დ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის თაობაზე, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;
ე) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;
ვ) მთავრობის დავალების შემთხვევაში კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;
ზ) უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში;
თ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 27[2]
1. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის საშტატო განრიგს და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობებზე ნიშნავს და

თანამდებობებიდან ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.
2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის და მისი ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
3. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიული საზღვრები, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 27[3]
1. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამართლებრივი აქტია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის განკარგულება.
2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამართლებრივ აქტს აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა.
3. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამართლებრივი აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## თავი IX აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები

მუხლი 28
1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, საქართველოს სამართლებრივი აქტების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, საქართველოს სამართლებრივი აქტებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

## თავი X სათათბირო ორგანოები

მუხლი 29
1. პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, მთავრობის წევრს ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შეუძლია შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები და საბჭოები.
2. სათათბირო ორგანო იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხების მოსამზადებლად. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს შესაბამისად პრემიერ-მინისტრი, მთავრობა, მთავრობის წევრი.
3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.
4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს შესაბამისად პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, მთავრობის წევრს.
5. სახელმწიფო მოხელე ან პირი, რომელიც სახელმწიფო მოხელე არ არის, სათათბირო

ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

## თავი XI სამსახურებრივი ზედამხედველობა

### მუხლი 30

1. სამსახურებრივი ზედამხედველობის მიზანია სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა.
2. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:
ა) გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ;
ბ) შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება;
გ) ცნოს აქტი ძალადაკარგულად.
3. სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.
4. სამსახურებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ქვემდებარეობის წესით.
5. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია სამინისტროსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისაგან მოითხოვოს სამართლებრივი აქტები და სხვა დოკუმენტები, თანამდებობის პირებისაგან მიიღოს განმარტებები და დასკვნები. სამინისტრო ვალდებულია დოკუმენტები, განმარტებები და დასკვნები წარმოადგინოს არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, თუ სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

### მუხლი 31

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.
2. მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრის სამართლებრივი აქტი მისი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები არ ვრცელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცემულ სამართლებრივ აქტებზე. *(10.10.2008 N 345)*

### მუხლი 32

1. მინისტრი ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას.
2. მინისტრი ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირთა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელთა აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, მინისტრის ბრძანებებს.
3. მინისტრი უფლებამოსილია ძალადაკარგულად ცნოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ თანამდებობის პირთა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის მოტივით.
4. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირების მოქმედებაზე

სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს.
5. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები აქტის შეცვლის ან მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის ანდა ახალი მოქმედების შესრულების შესახებ.

მუხლი 33
1. თანამდებობის პირის აქტი ან მოქმედება შეიძლება ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად მიზანშეუწონლობის მოტივით, თუ აქტი ან მოქმედება აშკარად არ შეესაბამება სამთავრობო პროგრამას ან/და იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან და ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის ან მინისტრის მიერ, ან/და იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას, ან სხვა ხერხებით ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს. *(10.10.2008 N 345)*
2. მიზანშეუწონლობის მოტივით არ შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ან მოქმედება, რომელიც გამოცემულია ან შესრულებულია საჯარო სამსახურის ორგანიზებისას, აგრეთვე სხვა აქტი ან მოქმედება, რომლის გამოცემის ან შესრულების პირობები გამომდინარეობს კანონიდან ან სხვა სამართლებრივი აქტებიდან.
3. მიზანშეუწონლობის მოტივით აქტის ან მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 34
1. სამართლებრივი დავა სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს შორის წყდება ქვემდებარეობის წესით, თუ კანონით დადგენილი არ არის დავის გადაწყვეტის სხვა წესი.
2. სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის წყვეტს მინისტრი.
3. სამართლებრივ დავას იმ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, რომლებიც მმართველობის სხვადასხვა სფეროში შედის, წყვეტენ დაინტერესებული მინისტრები. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

## თავი XII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 35
1. საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ:
ა) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ლიკვიდაცია და სახელმწიფო დეპარტამენტების რეორგანიზაცია ამ მუხლითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.
2. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით 2 კვირის ვადაში შეიქმნას სამსახურის სალიკვიდაციო კომისია. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი სახელმწიფო ქონების განაწილება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.
3. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად რეორგანიზებულ იქნეს სახელმწიფო დეპარტამენტები სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად და განხორციელდეს მათი შესაბამისი სამინისტროებისათვის გადაცემა:
ა) ამოღებულია *(24.06.2004 N 195)*
ბ) შეიქმნას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მმართველობის

სფეროში გადაეცეს სატყეო მეურნეობის, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის, გეოლოგიის, ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტები; *(17.02.2006 N 2656)*
გ) ამოღებულია *(24.12.2004 N 806)*
დ) შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცეს მატერიალური რეზერვებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტები;
ე) შეიქმნას ეკონომიკის სამინისტრო და მმართველობის სფეროში გადაეცეს სტატისტიკის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტები;
ვ) იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცეს მიწის (გარდა სარეკრეაციო ტერიტორიების, ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწებისა) მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიების შეცვლის ფუნქცია, ასევე საარქივო და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტები. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული ის ფუნქციები და უფლებამოსილებანი, რომლებიც უკავშირდება მიწის კონსოლიდაციისა და ნიადაგის ხარისხობრივ შეფასებას (ნიადაგის ატლასები) და მათი მდგომარეობის თაობაზე ერთიანი ბანკის შექმნას, მიწის რაციონალურად გამოყენებას, ნაყოფიერების აღდგენასა და შენარჩუნებას, ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას, გადაეცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ის ფუნქციები და უფლებამოსილებანი, რომლებიც უკავშირდება მიწის მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვისა და გამოყენების წესების შემუშავებას, დაბინძურებული და დეგრადირებული მიწის კონსერვაციის ღონისძიებების მომზადებას და მათ შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს, ასევე ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლს, სარეკრეაციო ტერიტორიების, ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწების ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში გადაყვანას, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწის ნაკვეთების გამოყოფაში, საზღვრების დადგენასა და გამიჯვნაში მონაწილეობის მიღებას, გადაეცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს; *(7.12.2007 N5567)*
ზ) შეიქმნას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და მმართველობის სფეროში გადაეცეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტები;
თ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცეს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი;
ი) შეიქმნას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მმართველობის სფეროში გადაეცეს ენის სახელმწიფო პალატა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი.
4. ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირები. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრისა და შემდგომი დაქვემდებარების შესახებ. ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
5. ლიკვიდირებულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია და მისი ფუნქციები გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. *(23.12.2004 N777)*
6. მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრისა და შემდგომი დაქვემდებარების შესახებ.
7. მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში პარლამენტში წარმოადგინოს ამ

კანონით განსაზღვრული, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისა და ფუნქციათა გადანაწილების განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო აქტების პროექტები. საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე აღნიშნული დაწესებულებები განაგრძობენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას.
8. ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალოს ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.
9. ამ მუხლით გათვალისწინებული, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე მათი გაუქმების უფლება ენიჭება მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს.

მუხლი 36
ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 9 მაისი, 1997, გვ. 32). აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები და მათი ხელმძღვანელები ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად მთავრობის შემადგენლობის უფლებამოსილების დაწყებამდე.

მუხლი 37
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*
თბილისი, 2004 წლის 11 თებერვალი. N3277-IIს

## საქართველოს კანონი
## ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ განმტკიცებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს,

კერძოდ, თითოეული ადამიანის უფლებას საკუთრებასა და ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებზე, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა, რელიგიისა, მრწამსისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა,

აცნობიერებს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989–1992 წლების კონფლიქტის მძიმე შედეგებს, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა და საკუთარი საცხოვრებლიდან იძულებით გადაადგილება გამოიწვია,

და იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989–1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა.

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კონფლიქტი – 1989–1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტი ან/და საქართველოს სხვა რეგიონებში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირება;

ბ) ბინადრობის უფლება – თავდაპირველი საცხოვრებლით სარგებლობის ან მასზე საკუთრების უფლება;

გ) თავდაპირველი საცხოვრებელი – იძულებით გადაადგილებული პირის საცხოვრებელი, სადაც მას ჰქონდა ბინადრობის უფლება დატოვების მომენტში;

დ) თავდაპირველი მცხოვრები – პირი, რომელსაც ჰქონდა ბინადრობის უფლება თავდაპირველ საცხოვრებელში;

ე) იძულებით გადაადგილებული პირი – კონფლიქტის შედეგად საქართველოს ფარგლებს გარეთ ან საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირი;

ვ) კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელები – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე და 164-ე მუხლებით განსაზღვრული პირები;

ზ) ნათესავი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი;

თ) ოჯახის წევრი – მეუღლე, შვილი, მშობელი, მშვილებელი, ნაშვილები, პაპა-ბებია, შვილიშვილი, და-ძმა;

ი) რეკონსტრუქცია – უძრავი ქონების სახეცვლილება, რომლის შედეგადაც არსებითად შეიცვალა ქონების ფართობი და საბაზრო ღირებულება;

კ) საცხოვრებელი – საცხოვრებლად განკუთვნილი უძრავი ქონება;

ლ) სხვა უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი და არასაცხოვრებელი უძრავი ქონება, რომელიც მყარად დგას მიწაზე;

მ) ქონებრივი რესტიტუცია – კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება;

ნ) შემდგომი მცხოვრები – პირი, რომელიც ამჟამად კეთილსინდისიერად ან არაკეთილსინდისიერად ფლობს იძულებით გადაადგილებული პირის თავდაპირველ საცხოვრებელს.

მუხლი 3. კანონის პრინციპები

ეს კანონი ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) სამართლიანობასა და თანასწორობას;

ბ) კანონიერებას;

გ) ადამიანის ღირსებისა და საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პატივისცემასა და უზრუნველყოფას;

დ) ადამიანის უფლებას, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებში მასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) ადამიანის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებებით;

ვ) სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას მოქალაქეებისა და თავის ტერიტორიაზე მყოფ პირთა წინაშე;

ზ) იძულებით გადაადგილებული პირების თავისუფლად და ნებაყოფლობით დაბრუნების უფლების გარანტირებას.

მუხლი 4. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი გამოიყენება:

ა) იმ თავდაპირველი მცხოვრების მიმართ, რომელსაც კონფლიქტის შედეგად არ შეეძლო ან არ შეუძლია თავის თავდაპირველ საცხოვრებელში დაბრუნება უსაფრთხოების ან ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის არარსებობის გამო;

ბ) იმ შემდგომი მცხოვრების მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად ან არაკეთილსინდისიერად ფლობს თავდაპირველი მცხოვრების კუთვნილ საცხოვრებელს ან სხვა უძრავ ქონებას;

გ) იმ თავდაპირველი მცხოვრების მიმართ, რომელმაც სახელმწიფო ორგანოების ანდა საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით მიიღო სანაცვლო საცხოვრებელი ან/და ფულადი კომპენსაცია, თუ თავდაპირველი საცხოვრებლის ღირებულება აღემატება მიღებულ სანაცვლო საცხოვრებელს ან/და ფულად კომპენსაციას.

2. ამ კანონით აღიარებულია იძულებით გადაადგილებული პირის უფლება, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიაში განსახილველად წარადგინოს 1983 წლის საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომელმაც გამოიწვია ამ პირის ბინადრობის უფლების დაკარგვა საცხოვრებელზე, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში.

მუხლი 5. ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის უფლება

1. ამ კანონით აღიარებულია ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და სხვა პირის უფლება, დაბრუნდეს თავის თავდაპირველ საცხოვრებელში.

2. ეს კანონი ადგენს კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტიებს, რაც გულისხმობს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს უძრავი ქონება, ან თუ მისი საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მიიღოს იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებელი, ხოლო თუ იმავე ღირებულების ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლის გადაცემა შეუძლებელია, მიიღოს ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.

3. ამ კანონით აღიარებულია შემდგომი კეთილსინდისიერი მცხოვრების უფლება, ფლობდეს ადეკვატურ (სანაცვლო), უსაფრთხო და ხელმისაწვდომ საცხოვრებელსა და სხვა უძრავ ქონებას.

თავი II რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია

მუხლი 6. რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის სტატუსი

1. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად იქმნება რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია (შემდგომში – კომისია) 3 წლის ვადით. კომისიის მიზნების ვადამდე მიღწევის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომისია უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ვერ შეძლებს არსებული დავების სრულად

გადაწყვეტას, იღებს გადაწყვეტილებას კომისიის უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით გაგრძელების შესახებ.

2. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო.

მუხლი 7. კომისიის საქმიანობის მიზნები

კომისიის საქმიანობის მიზანია, კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ პირთათვის მოახდინოს:

ა) ქონების დაბრუნება;

ბ) ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

გ) ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის საჯაროობა

1. კომისიისა და მისი კომიტეტის სხდომები საჯაროა. კომისიის (კომიტეტის) სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამას მოითხოვს ერთ-ერთი მხარე მაინც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომისიისა და მისი კომიტეტის მუშაობის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გასაიდუმლოებას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

3. კომისიის წევრი ან კომისიის ბიუროს თანამშრომელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თანამდებობიდან გამომდინარე ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ხელი შეუწყოს ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

4. პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის, კომისიის ან კომისიის კომიტეტის სხდომაზე დასწრების შემდეგ ან სხვაგვარად. კომისიის წარმომადგენელი ვალდებულია პირი გააფრთხილოს ამის შესახებ.

5. კომისიის ან კომისიის კომიტეტის მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში შესაბამისად კომისია ან კომისიის კომიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს მისგან გამოწვეული მორალური ან/და მატერიალური ზიანი.

მუხლი 9. კომისიის შექმნის წესი და შემადგენლობა

1. კომისია შედგება 9 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავენ ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. კომისია შედგება კონფლიქტის ქართული და ოსური მხარეებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან პარიტეტის პრინციპით დანიშნული წევრებისაგან.

3. საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ნიშნავს კომისიის 3 წევრს, რომლებიც შემდეგ აკომპლექტებენ კომისიას კონფლიქტის ქართული და ოსური მხარეების მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ღია კონკურსის წესით.

4. კომისია უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციები იმ შემთხვევაშიც, თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) მიერ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 2 კანდიდატი, რომელთაც დანიშნავს საქართველოს ხელისუფლება. ასეთი გარემოების არსებობისას კონფლიქტის ქართული და ოსური

მხარეების მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან კომისიის დაკომპლექტება მოხდება შესაბამისად ორ-ორი წევრით.

5. კონფლიქტის ქართული და ოსური მხარეებიდან კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვთ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს (სუბიექტებს), პოლიტიკურ პარტიას (პარტიებს), კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, მიუხედავად მათი რეგისტრაციის ადგილისა, ან არანაკლებ 50-კაციანი ჯგუფისა.

6. კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. იგი უნდა იყოს საზოგადოებისაგან აღიარებული და მისი ნდობის მქონე პირი. კომისიის წევრთა ერთ მესამედს მაინც უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით კომისიის წევრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 45 დღე.

8. თუ ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში ერთ ვაკანსიაზე არ წარადგენენ არანაკლებ 2 კანდიდატისა, კონკურსი გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ვაკანსიაზე არ წარადგენენ არანაკლებ 2 კანდიდატისა. კანდიდატთა სია გამოქვეყნდება კანდიდატთა წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 2 დღეში.

9. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 30 დღისა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დანიშნული წევრები ნიშნავენ კონფლიქტის ქართული და ოსური მხარეების კვოტით დასანიშნ კომისიის წევრებს.

10. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დასანიშნ წევრთა დანიშვნისა და მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი, ასევე კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კომისიის შექმნის პროცესში მონაწილე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთან (სუბიექტებთან) დადებული მემორანდუმის შესაბამისად.

მუხლი 10. კომისიის სტრუქტურა

1. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის ორი მოადგილე, რომლებსაც კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით. კომისიის თავმჯდომარედ უნდა აირჩეს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან დანიშნული კომისიის ერთ-ერთი წევრი.

2. კომისიის თავმჯდომარე და მოადგილეები უნდა წარმოადგენდნენ სხვადასხვა მხარის მიერ დასახელებულ კანდიდატებს.

3. კომისიის თავმჯდომარისა და მოადგილეების როტაცია ხდება 3 წელიწადში ერთხელ. ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი პირი არ შეიძლება თავმჯდომარედ დაინიშნოს 2 ვადით.

4. კომისიის შემადგენლობაში იქმნება 3 კომიტეტი, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში იქმნება 2 კომიტეტი.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, თუ იგი იმავდროულად:

ა) ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა;

ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი;

გ) უშუალოდ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში ან აშკარად მოუწოდებდა ძალადობისაკენ და ეთნიკური დისკრიმინაციისა და შუღლისაკენ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება კომისიის ბიუროს თანამშრომლებზე, გარდა ტექნიკური და დამხმარე მოსამსახურეებისა.

3. თუ კომისიის წევრს ან კომისიის ბიუროს თანამშრომელს, გარდა ტექნიკური და დამხმარე მოსამსახურეებისა, აღმოაჩნდა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმესაც განიხილავს კომისია, იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით განაცხადოს ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

4. თუ კომისიის წევრი ან კომისიის ბიუროს თანაშრომელი, გარდა ტექნიკური და დამხმარე მოსამსახურეებისა, არის საქმის განხილვაში მონაწილე მხარის ან ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის ნათესავი, ან თუ ის კონფლიქტის მიმდინარეობისას მონაწილეობდა ამ საქმის სასამართლო განხილვაში ან მუშაობდა სახელმწიფო ორგანოში ან იყო სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა სადავო ქონებასთან, იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით განაცხადოს ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

5. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დანიშნულ კომისიის წევრზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი, თუ იგი კომისიაში საქმიანობისათვის ანაზღაურებას იღებს მისი წარმდგენი საერთაშორისო სამართლის სუბიექტიდან (სუბიექტებიდან).

6. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დანიშნულ კომისიის წევრზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 12. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. კომისიის წევრს ვადამდე უფლებამოსილება შეუწყდება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

ა) პირადი განცხადება;

ბ) 3 თვეზე მეტი ვადით ან არასაპატიო მიზეზით 20 სამუშაო დღის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა;

გ) სამსახურებრივი ვალდებულებების უხეში დარღვევა;

დ) კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობა;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) გარდაცვალება.

2. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ–დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისია წყვეტს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით, ხოლო სხვა შემთხვევებში ცნობად იღებს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არსებობას. ამ დროს წყდება კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა.

3. კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის შევსება ხდება ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი წესით, მხარეებს შორის პარიტეტის პრინციპის დაცვით, ვაკანსიის წარმოშობიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

მუხლი 13. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის სხდომას;

ბ) ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებას;

გ) პასუხისმგებელია კომისიის ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვისათვის;

დ) კონკურსის საფუძველზე ნიშნავს კომისიის მდივანსა და სხვა თანამშრომლებს, გარდა ტექნიკური და დამხმარე მოსამსახურეებისა;

ე) ახორციელებს კომისიის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობებს მისივე დავალებით ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 14. კომისიის ბიურო. კომისიის მდივანი

კომისიის ბიუროს უფლება-მოვალეობებია:

ა) კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) დაინტერესებული პირებისათვის დახმარების გაწევა საჩივრების სათანადოდ მომზადებაში;

გ) კომისიის ან/და კომისიის კომიტეტის დავალებით სხვა მოვალეობების შესრულება.

2. კომისიის ბიუროს სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის წესდებით.

3. კომისიის მდივანი:

ა) ადგენს კომისიის სხდომების ოქმებსა და სხვა საბუთებს;

ბ) ზედამხედველობს კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულებას; გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში აღუსრულებლობის შემთხვევაში აცნობებს კომისიას;

გ) არის კომისიის ბიუროს ხელმძღვანელი და პასუხისმგებელია კომისიის ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებისათვის;

დ) ნიშნავს და ათავისუფლებს კომისიის ტექნიკურ და დამხმარე მოსამსახურეებს;

ე) ასრულებს კომისიის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4. კომისიის მდივანს უნდა ჰქონდეს იურიდიული განათლება და მართვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

5. კომისიის მდივანს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 15. კომისიის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები

1. კომისია, მისი წევრი და თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები არიან ნებისმიერი პოლიტიკური ან ფინანსური ინტერესებისაგან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. მათ საქმიანობაზე ზემოქმედება ან ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

2. კომისიის წევრები მოქმედებენ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ამ კანონის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად და შინაგანი რწმენით.

3. კომისიის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

მუხლი 16. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის არანაკლებ 6 წევრისა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების თაობაზე – თუ მას ესწრება არანაკლებ 5 წევრისა.

2. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის არანაკლებ 2 წევრისა.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 17. კომისიისა და მისი კომიტეტის სამართლებრივი აქტები

1. კომისია და მისი კომიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ შემდეგ სამართლებრივ აქტებს: კომისიის გადაწყვეტილებას, მისი კომიტეტის გადაწყვეტილებასა და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებას.

2. კომისიის გადაწყვეტილება, მისი კომიტეტის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. კომისიისა და მისი კომიტეტის სამართლებრივი აქტები მიიღება მათ სხდომებზე.

4. კომისია იღებს კომისიის წესდებას.

5. კომისიის თავმჯდომარე ბრძანებებს გამოსცემს ამ კანონითა და კომისიის წესდებით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში.

მუხლი 18. კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილებანი

1. კომისიის უფლებამოსილებანი, საქმიანობის წესი და სტრუქტურა განისაზღვრება ამ კანონითა და კომისიის წესდებით.

2. კომისია უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან ან სახელმწიფო ორგანოსაგან კომისიის მიერ განსახილველად მიღებულ განცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩააბას მესამე პირი. ამ გადაწყვეტილებას იგი იღებს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით;

გ) ყოველ ექვს თვეში ერთხელ მოამზადოს ანგარიში საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად;

დ) განიხილოს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირების მიერ კომისიის გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრები;

ე) განიხილოს არსებითად განსახილველი, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან და ამ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირების მიერ კომიტეტის გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრები.

3. საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების მიზნით კომისია უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს ადმინისტრაციული უფლებამოსილებები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში იშუამავლოს მოდავე მხარეებთან დავის გადაწყვეტისას და ხელი შეუწყოს მორიგებას.

4. ნებისმიერი ორგანო, თანამდებობის პირი ან/და კერძო პირი ვალდებულია კომისიას მოთხოვნისამებრ მიაწოდოს თავის ხელთ არსებული საჭირო ინფორმაცია ან საბუთი, დაეხმაროს მას თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე გარკვეული ქმედებების

განხორციელებაში. შესაბამისი ორგანოები და პირები ვალდებული არიან მოთხოვნილი ინფორმაცია გასცენ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა.

5. კომისია ვალდებულია განსახილველ საქმესთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში საქმე დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს შესაბამის ორგანოებს.

6. კომისიისა და მისი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

7. ამ კანონით განსაზღვრული მიზნებისა და საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის კომისიის წევრი კომისიის ან კომისიის კომიტეტის თავმჯდომარის დავალებით უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს მტკიცებულებები, ადგილზე დაათვალიეროს და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და კერძო პირებისაგან გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი, ჩანაწერი, ასევე დაავალოს მათ ინფორმაციის მოძიება ან დამუშავება, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ გაეცნოს ან გამოითხოვოს როგორც დასრულებული, ისე გამოძიების პროცესში მყოფი სისხლის სამართლის საქმის მასალები.

ბ) მოსამართლის ბრძანებით წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდეს, დაათვალიეროს და შეისწავლოს ნებისმიერი ტერიტორია;

გ) ნებისმიერ პირს ჩამოართვას ახსნა-განმარტება, მოიწვიოს იგი კომისიის ან კომისიის კომიტეტის სხდომაზე და მოსთხოვოს ახსნა-განმარტების მიცემა;

დ) მოითხოვოს გარკვეული ინფორმაცია საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსაგან, აგრეთვე ჩამოართვას ახსნა-განმარტება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ პირს ამ სახელმწიფოსთან წინასწარი შეთანხმებით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

8. კომისიის წევრი ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ახორციელებს მოსამართლის ბრძანების გარეშე.

9. კომისიისა და მისი კომიტეტის მიერ საქმის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 19. კომისიის კომიტეტები

1. კომისიის საქმიანობის ეფექტიანობისათვის, შემოსული განცხადებების დროულად განხილვისა და გადაწყვეტის, კონფლიქტის შედეგად უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების, ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ქონებრივი ზიანის კომპენსაციის მიზნით იქმნება კომიტეტები.

2. კომიტეტებს ხელმძღვანელობენ კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებსაც ირჩევს კომისია.

3. კომისიის კომიტეტებს ქმნის კომისია თავისი შემადგენლობიდან მხარეებს შორის პარიტეტის პრინციპის დაცვით, სამ-სამი წევრის შემადგენლობით.

მუხლი 20. კომისიის კომიტეტის უფლებამოსილებანი

კომისიის კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს და განიხილოს უფლებამოსილი პირის განცხადება ქონებრივი რესტიტუციის თაობაზე;

ბ) საქმის სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლისათვის მოიძიოს საქმესთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია;

გ) განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით მოიძიოს განმცხადებლისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

დ) საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან ან სახელმწიფო ორგანოსაგან კომისიის კომიტეტის მიერ განსახილველად მიღებულ განცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ე) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩააბას მესამე პირი. ამ გადაწყვეტილებას იგი იღებს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით;

ვ) მიიღოს და დაამუშაოს მოქალაქეთა განცხადებები;

ზ) განაზოგადოს და გაანალიზოს შეგროვებული ინფორმაცია და მასალები;

თ) მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით;

ი) განახორციელოს ამ კანონითა და კომისიის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა კომისიის ან/და კომისიის კომიტეტის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნისათვის

1. კომისია ან/და კომისიის კომიტეტი უფლებამოსილია დააჯარიმოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც:

ა) დაარღვევს ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) არ შეასრულებს კომისიის ან/და კომისიის კომიტეტის გადაწყვეტილებას, ან/და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებას;

გ) დადგენილ ვადებში არ წარადგენს კანონიერი გზით მოთხოვნილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას;

დ) წინასწარ გაახმაურებს გამოძიების სავარაუდო შედეგს ან ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ან შეაფერხებს საქმის ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლას;

ე) ამ კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაში ხელს შეუშლის ამ კანონით გათვალისწინებულ ორგანოს ან მის თანამდებობის პირს;

ვ) არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება კომისიის ან კომისიის კომიტეტის სხდომაზე, განზრახ შეცდომაში შეიყვანს ან მცდარ ინფორმაციას მიაწოდებს კომისიას ან კომისიის კომიტეტს, ან არ წარმოადგენს თავის ხელთ არსებულ, საქმის განხილვისთვის საჭირო დოკუმენტაციას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

3. გადაწყვეტილება პირის დაჯარიმების შესახებ მიიღება კომისიის ან/და კომისიის კომიტეტის ღია სხდომაზე. პირს, რომლის საკითხსაც განიხილავენ, უნდა მიეცეს გონივრული ვადა საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის.

4. ჯარიმის სავარაუდო დაკისრებისას პირს უნდა ეცნობოს ჯარიმის დაკისრების საფუძველი. კომისია ან/და კომისიის კომიტეტი ვალდებულია განუმარტოს პირს, თუ რაში ედება მას ბრალი.

მუხლი 22. კომისიის ანგარიში და რეკომენდაციები

1. კომისია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას წარუდგენს ანგარიშს ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

2. კომისიის ანგარიში უნდა მოიცავდეს კომისიის მიერ მოპოვებული მასალების აღწერას, ასევე გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს და კომისიისათვის დასახული მიზნების მისაღწევად რეკომენდაციებს საჭირო პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ.

3. კომისია ვალდებულია საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია სპეციალურ ან ზოგად საკითხებზე, თუ:

ა) საკითხი შეიცავს საზოგადოებრივ ინტერესს;

ბ) საკითხი მოითხოვს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის სასწრაფო რეაგირებას ან მათ ჩარევას;

გ) არსებობს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნა.

4. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობისათვის ანგარიშის ჩაბარების შემდეგ კომისიამ ეს ანგარიში უნდა გამოაქვეყნოს არსებულ ელექტრონულ ან/და ბეჭდვით მედიაში, ასევე უზრუნველყოს მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

5. ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ კომისია მონიტორინგს უწევს და ხელს უწყობს თავის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას.

მუხლი 23. კომისიის ადგილსამყოფელი

1. კომისიის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

2. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს ასევე სხვა ადგილას.

თავი III რესტიტუციისა და კომპენსაციის საქმის განხილვა

მუხლი 24. კომისიისათვის მიმართვის უფლება

1. იძულებით გადაადგილებულ პირებსა ან/და სხვა პირებს, რომლებსაც კონფლიქტის შედეგად მიადგათ ქონებრივი ზიანი, უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ კომისიას, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა და ადგილსამყოფელისა.

2. ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იძულებით გადაადგილებულ პირს ან/და სხვა პირს შეუძლია კომისიას მიმართოს მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებიდან 7 წლის განმავლობაში.

მუხლი 25. განცხადება

1. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სახელსა და გვარს;

ბ) ინფორმაციას, რომლის შედეგადაც პირს მიადგა ქონებრივი ზიანი;

გ) მოთხოვნას თავდაპირველი საცხოვრებლის ან სხვა კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნების ან სანაცვლო კომპენსაციის მიღების შესახებ.

2. განცხადებას შესაძლოა ერთოდეს განმცხადებლის ხელთ არსებული მტკიცებულებები.

მუხლი 26. საქმის წარმოების დაწყება

1. კომისია იწყებს საქმის წარმოებას, თუ არსებობს დაზარალებულის, მისი მემკვიდრის ან წარმომადგენლის განცხადება. განცხადება შეიძლება წარადგინონ ნებისმიერ ენაზე.

2. განცხადება დაუყოვნებლივ გადაეცემა კომისიის ერთ-ერთ კომიტეტს. კომიტეტს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს 3 თვის განმავლობაში.

3. კომიტეტი უფლებამოსილია უარი თქვას განცხადების წარმოებაში მიღებაზე, თუ:

ა) განცხადება აშკარად უსაფუძვლოა;

ბ) მისი განხილვა არ განეკუთვნება კომისიის უფლებამოსილებას;

გ) გასულია განცხადებით მიმართვისათვის ამ კანონით დადგენილი ვადა;

დ) სადავო ქონებასთან დაკავშირებით უკვე არსებობს კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

4. კომისია უფლებამოსილია უარი თქვას გასაჩივრებული განცხადების წარმოებაში მიღებაზე, თუ:

ა) განცხადება აშკარად უსაფუძვლოა;

ბ) კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში არ არსებობს ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებები;

გ) კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში არ არსებობს ამ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის ფაქტი;

დ) გასულია გასაჩივრებისათვის ამ კანონით დადგენილი ვადა;

ე) სადავო ქონებასთან დაკავშირებით უკვე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.

მუხლი 27. საქმის განხილვა

1. კომისია და მისი კომიტეტი განცხადებებს განიხილავენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, ამ კანონის ნორმების გათვალისწინებით.

2. კომისიასა და მის კომიტეტში საქმის წარმოება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. კომისიასა და მის კომიტეტში, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, სამუშაო ენებად ქართულთან ერთად ოსურის და ერთ-ერთი საერთაშორისო ენის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას კომისიის წესდებით დადგენილი წესის თანახმად იღებს კომისია. საქმის განხილვაში თარჯიმნის მონაწილეობა უზრუნველყოფილია.

3. კომისია და მისი კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებენ და აქვეყნებენ განცხადების წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

4. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, თუ განცხადებაში მითითებული ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს რთულ ადმინისტრაციულ პროცედურებთან, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

5. კომისიასა და მის კომიტეტს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვთ შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) განცხადების სრულად დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

გ) განცხადებაზე უარის თქმის შესახებ.

6. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

7. გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ უნდა განსაზღვრავდეს თავდაპირველი საცხოვრებლის დაბრუნების, ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ქონებრივი ზიანის კომპენსაციის საფუძვლებს, პირობებსა და წესს.

8. კომისიისა და მისი კომიტეტის გადაწყვეტილებები ძალაში შედის სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.

9. კომისია და მისი კომიტეტი გასცემენ სააღსრულებო ფურცელს მათ მიერ მიღებულ, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე.

10. გარემოებების გათვალისწინებით, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არაკეთილსინდისიერი მფლობელის გამოსახლების გადავადების შესახებ.

მუხლი 28. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის გადაწყვეტილებები ამ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ხოლო ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით – კომისიაში. კომისიის კომიტეტის გადაწყვეტილებები არსებითად განსახილველად, ამ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში ან ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში.

2. კომისიის კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვე. ამ ვადაში გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება.

3. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით განცხადება გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს გარემოებების შეტყობიდან 90 დღის განმავლობაში.

4. ამ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ვადაა გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვე.

5. გასაჩივრების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც წესი, არ შეჩერდება, თუმცა კომისიას უფლება აქვს ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება.

6. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომისია გადაწყვეტილებას იღებს საქმის განხილვისათვის დადგენილი წესით. ამ დროს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს კომისიის იმ კომიტეტის წევრს, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თავი IV ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის გადახდის წესი

მუხლი 29. ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის ზოგადი ნორმები

1. თავდაპირველი საცხოვრებელი და მასთან დაკავშირებული სხვა უძრავი ქონება დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, თუ ქონება:

ა) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია;

ბ) არაკეთილსინდისიერი მფლობელის ხელშია.

2. თუ თავდაპირველ საცხოვრებელს ან სხვა უძრავ ქონებას ფლობს კეთილსინდისიერი მფლობელი, ეს ქონება შეიძლება დაუბრუნდეს თავდაპირველ მცხოვრებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კეთილსინდისიერ მფლობელს გადაეცემა ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონება ან, მისი სურვილის შემთხვევაში, ფულადი კომპენსაცია.

3. უძრავი ქონების განადგურების, დანგრევის ან რეკონსტრუქციის შემთხვევაში თავდაპირველ მცხოვრებს უნდა გადაეცეს შესაბამისი ღირებულების სხვა ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონება.

4. თავდაპირველ მცხოვრებს ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონების სახით უნდა გადაეცეს ქონების გადაცემის მომენტისათვის იმავე საბაზრო ღირებულების მქონე უძრავი ქონება იმ ადგილას, სადაც განთავსებული იყო ჩამორთმეული ან მიტაცებული უძრავი ქონება. თავდაპირველი მცხოვრების თანხმობით შესაძლებელია სხვა ტიპის უძრავი ქონების გადაცემა.

5. თუ უძრავი ქონება საჭიროებს სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, უნდა ანაზღაურდეს ასეთი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება.

6. კომისიის გადაწყვეტილებით ფულადი კომპენსაციის გადახდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია პირისათვის თავდაპირველი საცხოვრებლისა

და მასთან დაკავშირებული სხვა უძრავი ქონების დაბრუნება ან ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონების გადაცემა.

მუხლი 30. ქონება, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება

1. ქონება დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ ქონების დაბრუნების მოთხოვნის დროისათვის იგი განთავსებულია იმ ტერიტორიაზე, სადაც კანონით აკრძალულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ქონების გადაცემა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონიერ მფლობელს უნდა გადაეცეს ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უნდა მიეცეს მატერიალური კომპენსაცია.

მუხლი 31. ქონების ღირებულების გაანგარიშება

1. რესტიტუციას დაქვემდებარებული უძრავი ქონება და ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონება უნდა შეფასდეს ქონების გადაცემის მომენტისათვის მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით. იმავე კრიტერიუმებით ფასდება აღნიშნული ქონება ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას.

2. თუ თავდაპირველ საცხოვრებელსა და სხვა უძრავ ქონებასა და კომისიის გადაწყვეტილებით რესტიტუციას დაქვემდებარებულ ან ადეკვატურ (სანაცვლო) უძრავ ქონებას შორის არსებობს განსხვავება ღირებულებაში, იგი დაიფარება კომისიის ფონდიდან, გარდა ქონების ბუნებრივი ცვეთით გამოწვეული ღირებულებისა.

მუხლი 32. ფულადი კომპენსაციის გადახდა

1. ფულადი კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ერთიანად ან ეტაპობრივად, მაგრამ არა უგვიანეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის შესაბამისად ქონების მიმღები მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩევს საქართველოს, მას მიეცემა ერთჯერადი და ყოველთვიური დახმარებები.

3. ერთჯერადი დახმარების ოდენობა შეადგენს ქონების მიმღებისა და მისი ოჯახის წევრთათვის ერთ სულ მოსახლეზე 1 500 ლარს.

4. ყოველთვიური დახმარება გაიცემა 6 თვის განმავლობაში და მის ოდენობას განსაზღვრავს კომისია მინიმალური სამომხმარებლო კალათის მიხედვით.

თავი V კომისიის დაფინანსება. კომისიის წევრთა სოციალური დაცვა

მუხლი 33. კომისიის დაფინანსება

1. კომისიისა და მისი კომიტეტის საქმიანობისა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე აღსასრულებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება კომისიის ფონდის საშუალებით.

2. კომისიის ფონდის შექმნის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და კომისიის წესდებით.

3. კომისიის ფონდის შევსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები, სხვა სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ან/და კერძო პირების საქველმოქმედო შემოწირულობები, ასევე სახელმწიფოსა და არაკეთილსინდისიერი მფლობელების მიერ გადაცემული სადავო ქონება.

4. კომისიას აქვს ანგარიში ბანკში, რომელზედაც აღირიცხება კომისიის ფონდის სახსრები.

5. კომისია თავისი ბიუჯეტის პროექტს საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 34. კომისიის წევრთა ხელფასი და სოციალური დაცვა

1. კომისიის წევრის ხელფასი და მატერიალური შეღავათები არ შეიძლება იყოს საქართველოს სააპელაციო სასამართლოს წევრის ხელფასსა და მატერიალურ შეღავათებზე ნაკლები. დაუშვებელია კომისიის წევრის ხელფასის შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

2. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით დანიშნული წევრების მიმართ შეიძლება გამოიყოს სხვა დამატებითი ანაზღაურება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება კომისიის წესდებით.

მუხლი 35. კომისიის ფინანსების კონტროლი

1. კომისია ვალდებულია:

ა) შეინახოს საბუღალტრო აღრიცხვის წიგნები და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები;

ბ) მოამზადოს ყოველკვარტალური ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს ყოველთვიურად გაწეული ხარჯების შესახებ;

გ) უზრუნველყოს სრულყოფილი ინფორმაცია კომისიის მართვის ინფორმაციულ სისტემაზე დაფუძნებული საბიუჯეტო კონტროლის თაობაზე;

დ) უზრუნველყოს კომისიის მიერ თანხების მართლზომიერი განკარგვა.

2. კომისიის მიერ საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე ყოველწლიურ აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა, ხოლო კომისიის სხვა სახსრების განკარგვაზე – კომისიის მიერ დანიშნული, დადებითი რეპუტაციის მქონე, დამოუკიდებელი აუდიტორი. კომისიის ხარჯთაღრიცხვა და აუდიტორული დასკვნები წარედგინება საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და კომისიის ფონდის სხვა სპონსორებს.

თავი VI  გარდამავალი დებულებანი

მუხლი 36.	კომისიის მიერ გასატარებელი ღონისძიებები

1. კომისია იქმნება ამ კანონის ამოქმედებიდან 5 თვის ვადაში.

2. კომისიის პირველ სხდომას, თავმჯდომარის არჩევამდე, უძღვება კომისიის უხუცესი წევრი. ამავე სხდომაზე აირჩევა კომისიის თავმჯდომარე და მდივანი კანონით დადგენილი წესით.

3. კომისიის კომიტეტების პირველი თავმჯდომარეები უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) კვოტით არჩეული პირები.

4. კომისია თავის წესდებას იღებს შექმნიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

5. კომისია განცხადებების მიღებას იწყებს ამ კანონის ამოქმედებიდან 9 თვის შემდეგ.

თავი VII დასკვნითი დებულება

მუხლი 37. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი, 2006 წლის 29 დეკემბერი. N 4284 – რს

საქართველოს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ

მუხლი 1

საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის მიხედვით და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.

მუხლი 2

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს პრეზიდენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აფრთხილებს მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ხოლო გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ამ მომენტიდან საომარი მდგომარეობა გაუქმებულად ითვლება.

3. საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც 48 საათის განმავლობაში წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

4. საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტები, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა. დეკრეტის ტექსტი გადაიცემა საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში, ყოველ ორ საათში ერთხელ მაინც.

მუხლი 3

1. საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში უნდა აღინიშნოს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივი და მოქმედების ვადა.

2. საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტის თანხმობით შეუძლია გაახანგრძლივოს გამოცხადებული საომარი მდგომარეობის მოქმედების ვადა ან ვადამდე გააუქმოს იგი.

3. საომარი მდგომარეობის გამოცხადების, მოქმედების ვადის გახანგრძლივების ან გაუქმების გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების მომენტიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, და დაუყოვნებლივ ქვეყნდება.

4. საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე ძალას კარგავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდში გამოცემული ყველა დეკრეტი.

მუხლი 4

1. საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები სახელმწიფოს თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა პრეზიდენტს_საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.

2. საომარი მდგომარეობის მოქმედებისას, კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობას და მეურნეობის ფუნქციონირებას;

ბ) დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან; ამასთან აუცილებლად მისცენ მუდმივი ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომები;

გ) საომარი მდგომარეობის მოქმედების ადგილებში შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში შეუზღუდონ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს თავისუფალი გადაადგილების უფლება, აუკრძალონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფლის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე;

ე) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს კუთვნილი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს _ აგრეთვე სასწავლო-სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

ვ) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

ზ) შეიტანონ ცვლილებანი სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

თ) საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული საჭიროებიდან გამომდინარე, დროებით, საომარი მდგომარეობის მოქმედების განმავლობაში, გადააყენონ თანამდებობიდან სტრატეგიული და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და დანიშნონ მათი შემცვლელი პირები; დროებით აკრძალონ ასეთ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან საკუთარი სურვილით განთავისუფლება, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა. დროებით გადაყენებული პირები საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე უნდა აღადგინონ თავიანთ

თანამდებობებზე, თუ არ არსებობს თანამდებობებიდან მათი განთავისუფლების კანონიერი საფუძველი;

ი) კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენონ სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საომარი მოქმედებების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის. იმავე მიზნით ისარგებლონ სხვა იურიდიული, აგრეთვე ფიზიკური პირების კუთვნილი ქონებითა და მატერიალური საშუალებებით, მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით, რომელიც გაიცემა საომარი მდგომარეობის დამთავრების შემდეგ;

კ) აკრძალონ გაფიცვები;

ლ) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულ-ებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, შრომის საშუალო ანაზღაურებით, აგრეთვე საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ მათი შრომის უსაფრთხოება;

მ) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტის შემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

ნ) შემოიღონ კარანტინი და განახორციელონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

ო) კანონმდებლობის შესაბამისად კონტროლი დაუწესონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

პ) შემოიღონ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

ჟ) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და გასინჯონ ისინი;

რ) შემოიღონ კომენდანტის საათი;

ს) არ დაუშვან საქართველოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა;

ტ) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობისას _ მოაწყონ მოქალაქეთა პირადი გასინჯვა, მათი ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

**მუხლი 5**

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდში უფლება აქვთ გააუქმონ ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება.

2. საომარი მდგომარეობის შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაცია ევალება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.

**მუხლი 6**

საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდისათვის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, მუშა-მოსამსახურენი მათ დაუკითხავად, დროებით გადაიყვანონ ისეთ სამუშაოზე, რომელიც არ არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული.

**მუხლი 7**

1. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ ოფიციალურად გაცემული საშვების, მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლებს გარეთ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს აკავებს პოლიცია ან პატრული კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო ვისაც თან დოკუმენტები არა აქვს, მათი პიროვნების დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს 72 საათისა. დაკავებულნი შეიძლება პირადად გაისინჯონ, აგრეთვე _ გაუსინჯონ ნივთები.

**მუხლი 8**

მე-4 მუხლის "გ", "დ", "ვ", "კ" და "მ"-"ჟ" ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 9**

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და საქართველოს პარლამენტის თანხმობით, საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 10

1. საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების მოქმედების კოორდინაციის, ხელმძღვანელობისა და თანამოქმედების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, ადგილებზე შეიძლება შეიქმნას დროებითი ორგანოები და/ან საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით დაინიშნოს პრეზიდენტის წარმომადგენელი და/ან კომენდანტი.

2. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ან კომენდანტი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესასრულებლად, გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ კანონის ფარგლებში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ხელშეწყობის საკითხებს.

**მუხლი 11**

საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საომარი მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები.

**მუხლი 12**

1. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს საომარი მდგომარეობის პერიოდში საერთო სასამართლოების სისტემაში შემოიღოს სამხედრო სასამართლოები.

2. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს საომარი მდგომარეობის პერიოდში ცალკეულ ადგილებში შეცვალოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობა.

**მუხლი 13 პრეზიდენტი**

*1. საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას.*

*2. ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.*

მუხლი 14

1. თუ საომარი მდგომარეობის მოქმედების ადგილებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე, საქართველოს პრეზიდენტს დეკრეტით შეუძლია შემოიღოს დროებითი მმართველობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება დროებით შეჩერდება, ხოლო მათი ფუქციების განხორციელება ეკისრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს, რომელსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

ბ) დროებით შეასრულოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციები;

გ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალური მშენებლობის საკითხებზე;

დ) კანონმდებლობის თანახმად დაიქვემდებაროს შესაბამის ადგილას განლაგებული სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 15**

საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და გაუქმების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

**მუხლი 16**

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს "სამხედრო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., ¹ 2, მუხ. 103).

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 31 ოქტომბერი. 1032–Iს

## კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, წინამდებარე კონვენციის მონაწილენი, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი, გამომდინარე მისწრაფებიდან უზრუნველყონ ხელშემკვრელ მხარეთა მოქალაქეებისათვის და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის ყველა ხელშემკვრელ მხარეში პირად და ქონებრივ უფლებებთან მიმართებით ისეთივე სამართლებრივი დაცვის მინიჭება, როგორიც ენიჭება საკუთარ მოქალაქეებს, ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობის განვითარებას იუსტიციის დაწესებულებათა მიერ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის დარგში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I. ზოგადი დებულებები

ნაწილი I. სამართლებრივი დაცვა

მუხლი 1

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა
1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები (შემდგომში – იუსტიციის დაწესებულებები), შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.

3. წინამდებარე კონვენციის დებულებები გამოიყენება ასევე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც შეიქმნა ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2

გათავისუფლება საბაჟო გადასახადებისა და ხარჯების ანაზღაურებისგან

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები და მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები თავისუფლდებიან სასამართლო და ნოტარიალური ბაჟისა და ხარჯების გადახდისა და ანაზღაურებისგან, ასევე სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით იმავე პირობებით, როგორც საკუთარი მოქალაქეები.

2. შეღავათები, გათვალისწინებულნი წინამდებარე მუხლის 1 პუნქტით, ვრცელდება ყველა პროცესუალურ ქმედებაზე, რომელიც ხორციელდება მოცემულ საქმეზე, გადაწყვეტილების აღსრულების ჩათვლით.

მუხლი 3

დოკუმენტის წარდგენა საოჯახო და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ

1. შეღავათები, გათვალისწინებულნი 2 მუხლით, მიენიჭება იმ პირის საოჯახო და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც აღძრავს შუამდგომლობას. ამ დოკუმენტს გასცემს ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც განმცხადებელს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

2. თუ განმცხადებელს ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, საკმარისია დოკუმენტის წარდგენა, რომელიც გასცა იმ ხელშემკვრელი მხარის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ან საკონსულო დაწესებულებამ, რომის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს.

3. დაწესებულებას, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე შეღავათების მინიჭების შესახებ, შეუძლია მოსთხოვოს დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას დამატებითი მონაცემები ან საჭირო განმარტებები.

ნაწილი II. სამართლებრივი დახმარება

მუხლი 4

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა

1. ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დაწესებულებები აღმოუჩენენ სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

2. იუსტიციის დაწესებულებები სამართლებრივ დახმარებას აღმოუჩენენ ასევე სხვა დაწესებულებებსაც წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ საქმეებზე.

მუხლი 5
ურთიერთობის წესი

წინამდებარე კონვენციის აღსრულებისას ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთს უკავშირდებიან თავიანთი ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, თუკი წინამდებარე კონვენცია ურთიერთობის სხვაგვარ წესს არ ადგენს.

მუხლი 6
სამართლებრივი დახმარების ოდენობა

ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს აღმოუჩენენ სამართლებრივ დახმარებას პროცესუალური და სხვა ქმედებების შესრულების გზით, რომელთაც ითვალისწინებს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, კერძოდ: დოკუმენტების შედგენა და გადაგზავნა, ჩხრეკის ჩატარება, ამოღებები, ნივთმტკიცებების გადაგზავნა

და გაცემა, ექსპერტიზის, მხარეთა, მოწმეების, ბრალდებულთა, ექსპერტების დაკითხვა, სისხლის-სამართლებრივი დევნის აღძვრა, დანაშაულის ჩამდენი პირების ძებნა და გადაცემა, სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება სამოქალაქო საქმეებზე, განაჩენებისა სამოქალაქო-სასარჩელო, სააღსრულებო წარწერების ნაწილით, ასევე დოკუმენტების გადაცემის გზით.

მუხლი 7

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ დავალების შინაარსი და ფორმა

1. დავალებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ მითითებული უნდა იყოს:

ა. თხოვნის მიმღები დაწესებულების დასახელება;
ბ. თხოვნის გამგზავნი დაწესებულების დასახელება;
ც. საქმის დასახელება, რომლის მიხედვითაც გამოითხოვება სამართლებრივი დახმარება;
დ. მხარეების, მოწმეთა ეჭვმიტანილების, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა ან დაზარალებულების სახელები და გვარები, მათი საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი, მოქალაქეობა, საქმიანობა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე ასევე დაბადების ადგილი და თარიღი და, შეძლებისდაგვარად, მშობელთა სახელები და გვარები; იურიდიულ პირთათვის – მათი დასახელება და ადგილსამყოფელი;
ე. პუნქტ «г»-ში ხსენებულ პირთა წარმომადგენლების არსებობისას მათი სახელები, გვარები და მისამართები;
ფ. დავალების შინაარსი, ასევე სხვა ცნობები, აუცილებელი მის შესასრულებლად;
გ. სისხლის სამართლის საქმეებზე ასევე ჩადენილი ქმედების აღწერა და კვალიფიკაცია და მონაცემები ზარალის ოდენობის შესახებ, თუ იგი ქმედების შედეგად იქნა მიყენებული.

2. დავალებაში დოკუმენტის გადაცემის შესახებ ასევე მითითებული უნდა იყოს მიმღების ზუსტი მისამართი და გადასაცემი დოკუმენტის დასახელება.

3. დავალება ხელმოწერილ უნდა იქნას დამოწმდეს თხოვნის გამგზავნი დაწესებულების გერბიანი ბეჭდით.

მუხლი 8
შესრულების წესი

1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ დავალების შესრულებისას თხოვნის მიმღები დაწესებულება სარგებლობს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით. თხოვნის გამგზავნი დაწესებულების თხოვნით მან შეიძლება გამოიყენოს ასევე თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობას.

2. თუ თხოვნის მიმღები დაწესებულება არ არის კომპეტენტური შეასრულოს დავალება, იგი გადაუგზავნის მას კომპეტენტურ დაწესებულებას და ატყობინებს ამის შესახებ თხოვნის გამგზავნ დაწესებულებას.

3. თხოვნის გამგზავნი დაწესებულების თხოვნით თხოვნის მიმღები დაწესებულება დროულად აცნობებს მას და დაინტერესებულ მხარეებს დავალების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ, რათა ისინი დაესწრონ დავალების შესრულებას თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში თუ დავალებაში მითითებული პირის ზუსტი მისამართი უცნობია, თხოვნის მიმღები დაწესებულება, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის

შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება, მიიღებს საჭირო ზომებს მისამართის დასადგენად.

5. დავალების შესრულების შემდგომ თხოვნის მიმღები დაწესებულება დაუბრუნებს დოკუმენტებს თხოვნის გამგზავნ მხარეს; იმ შემთხვევაში თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო, იგი იმავდროულად ატყობინებს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან დავალების შესრულებას, და უბრუნებს დოკუმენტებს თხოვნის გამგზავნ დაწესებულებას.

მუხლი 9
მოწმეების, დაზარალებულთა, სამოქალაქო მოსარჩელეთა, სამოქალაქო მოპასუხეების, მათი წარმომადგენლებისა და ექსპერტების გამოძახება

1. მოწმე, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები, ასევე ექსპერტი, რომლებიც თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის გამოძახებით გამოცხადდება თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებაში, არ შეიძლება, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, მიცემულ იქნას მის ტერიტორიაზე სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნას და დაექვემდებაროს სასჯელს საზღვრის გადაკვეთამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. ასეთი პირები არ შეიძლება მიეცენ პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნას და დაექვემდებაროს სასჯელს მათ ჩვენებებთან ან საექსპერტო დასკვნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ გარჩევის საგანი.

2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში ხსენებული პირები კარგავენ ამ პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიას, თუ ისინი არ დატოვებენ თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას, თუმცა მათ გააჩნიათ საამისო შესაძლებლობა 15 დღე-ღამის ამოწურვამდე დღიდან, როდესაც მათი დამკითხავი იუსტიციის დაწესებულება მათ აცნობებს, რომ შემდგომში მათი ყოფნა საჭირო აღარაა. ამ ვადაში არ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ამ პირებს მისი მიზეზით არ შეეძლოთ დაეტოვებინათ თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია.

3. მოწმეს, ექსპერტს, ასევე დაზარალებულსა და მის კანონიერ წარმომადგენელს თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარე აუნაზღაურებს ხარჯებს, დაკავშირებულს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ყოფნასთან, ისევე როგორც მიუღებელ ხელფასს სამუშაოდან მოწყვეტის დღეებში; ექსპერტს უფლება აქვს ასევე მიიღოს ანაზღაურება ექსპერტიზის ჩატარებისათვის. გამოძახებაში მითითებული უნდა იყოს როგორი ანაზღაურება შეიძლება მიიღონ გამოძახებულმა პირებმა; მათი შუამდგომლობით თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულება გადაიხდის ავანსს შესაბამისი ხარჯების დასაფარავად.

4. მოწმის ან ექსპერტის გამოძახება, რომელიც ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მეორე მხარის იუსტიციის დაწესებულებაში არ უნდა შეიცავდეს იძულების საშუალებათა გამოყენების მუქარას გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

მუხლი 10
დავალება დოკუმენტების გადაცემის შესახებ

1. თხოვნის მიმღები იუსტიციის დაწესებულება ახორციელებს დოკუმენტების გადაცემას მის სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად, თუ გადასაცემი დოკუმენტები დაწერილია მის ენაზე ან რუსულ ენაზე ანდა აღჭურვილია დამოწმებული თარგმანით ამ ენებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადასცემს დოკუმენტებს მიმღებს, თუ იგი თანახმაა მათ ნებაყოფლობით მიღებაზე.

2. თუ დოკუმენტების გადაცემა შეუძლებელია დავალებაში მითითებულ მისამართზე, თხოვნის მიმღები იუსტიციის დაწესებულება საკუთარი ინიციატივით მიიღებს ზომებს, აუცილებელს მისამართის დასადგენად. თუ მისამართის დადგენა თხოვნის მიმღები

იუსტიციის დაწესებულების მხრიდან შეუძლებელია აღმოჩნდა, იგი შეატყობინებს ამის შესახებ თხოვნის გამგზავნ დაწესებულებას და დაუბრუნებს მას გადასაცემ დოკუმენტებს.

მუხლი 11
დოკუმენტების გადაცემის დადასტურება

დოკუმენტების გადაცემა მოწმდება იმ პირის მიერ ხელმოწერილი დადასტურებით, რომელსაც გადაეცემა დოკუმენტი, და თხოვნის მიმღები დაწესებულების ოფიციალური ბეჭდით დამოწმებული, და გადაცემის თარიღის და დოკუმენტის გადამცემი დაწესებულების მუშაკის ხელმოწერის შემცველი დოკუმენტით ან ამ დაწესებულების მიერ გაცემული სხვა დოკუმენტით, სადაც მითითებული უნდა იყოს გადაცემის ხერხი, ადგილი და დრო.

მუხლი 12
დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებების უფლებამოსილებანი

1. ხელშემკვრელი მხარეებს უფლება აქვთ დოკუმენტები გადასცენ საკუთარ მოქალაქეებს თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობების ან საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.

2. ხელშემკვრელი მხარეებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენტური ორგანოების დავალებით დაკითხონ თავიანთი მოქალაქეები საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით.

3. წინამდებარე მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იძულების საშუალებები ან მათი მუქარა.

მუხლი 13
დოკუმენტების ნამდვილობა

1. დოკუმენტები, რომლებიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დამზადებულია ან დამოწმებული სპეციალურად მასზე უფლებამოსილი პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი ფორმით და განმტკიცებულია გერბიანი ბეჭდით, სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე მიიღება რაიმე სპეციალური მოწმობის გარეშე.

2. დოკუმენტები, რომლებიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განიხილება როგორც ოფიციალური დოკუმენტები, სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე სარგებლობენ ოფიციალური დოკუმენტების მტკიცებულებითი ძალით.

მუხლი 14
სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტების გადაგზავნა

ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას გადაუგზავნონ ერთმანეთს, თხოვნისამებრ თარგმანის გარეშე და უფასოდ, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწმობები, დოკუმენტები განათლების, შრომითი სტაჟის შესახებ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეთა პირად ან ქონებრივ უფლებებს ანდა სხვა პირებისას, რომლებიც ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე.

მუხლი 15
ინფორმაცია სამართლებრივ საკითხებზე

ხელშემკვრელ მხარეთა ცენტრალური იუსტიციის დაწესებულებები თხოვნისამებრ მიაწვდიან ერთმანეთს ცნობებს მათ ტერიტორიაზე ახლა ან ადრე მოქმედ საშინაო კანონმდებლობაზე და იუსტიციის დაწესებულებათა მიერ მისი გამოყენების პრაქტიკაზე.

მუხლი 16
მისამართებისა და სხვა მონაცემთა დადგენა

1. ხელშემკვრელი მხარეები თხოვნისამებრ აღმოუჩენენ ერთმანეთს თავიანთი კანონმდებლობის შესაბამის დახმარებას მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მისამართების დადგენაში, თუ ეს საჭიროა მათი მოქალაქეების უფლებათა განსახორციელებლად. ამასთან თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარე აცნობებს მის ხელთ არსებულ მონაცემებს თხოვნაში მითითებული პირის მისამართის დასადგენად.

2. ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დაწესებულებები აღმოუჩენენ ერთმანეთს დახმარებას ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა სამუშაო ადგილისა და შემოსავლების დადგენაში, რომელთა მიმართაც თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებაში წარდგენილია ქონებრივი მოთხოვნები სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

მუხლი 17
ენა

ერთმანეთთან ურთიერთობაში წინამდებარე კონვენციის აღსრულებისას ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დაწესებულებები სარგებლობენ ხელშემკვრელი მხარეების სახელმწიფო ენებით ან რუსული ენით.

მუხლი 18
სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ხარჯები

თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე არ მოითხოვს ხარჯების ანაზღაურებას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის. ხელშემკვრელი მხარეები თავად დაფარავენ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას მათ ტერიტორიაზე.

მუხლი 19

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმა

თხოვნა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შეიძლება უარყოფილ იქნას თუ ასეთი დახმარების აღმოჩენას შეუძლია ზიანი მიაყენოს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის უშიშროებას ან სუვერენიტეტს, ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას.

თავი II. სამართლებრივი ურთიერთობები სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე

ნაწილი I. კომპეტენცია

მუხლი 20

ზოგადი დებულებები

1. თუ წინამდებარე თავის II – V ნაწილებით სხვა რამ არაა დადგენილი, სარჩელები პირებისადმი, რომელთაც გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთი ხელშემკვრელი

მხარის ტერიტორიაზე, წარედგინება, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ამ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, ხოლო სარჩელები იურიდიული პირებისადმი წარედგინება იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება იურიდიული პირის მართვის ორგანოები, მისი წარმომადგენლობები ან ფილიალი. თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთაც გააჩნიათ ადგილსამყოფელი (საცხოვრებელი ადგილი) სხვადასხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით მოსარჩელის ნებისამებრ.

2. ხელშემკვრელი მხარის სასამართლოები კომპეტენტურნი არიან იმ შემთხვევებშიც, როდესაც მის ტერიტორიაზე:

ა) ხორციელდება ვაჭრობა, მოპასუხის საწარმოს (ფილიალის) სამრეწველო ან სხვაგვარი სამეურნეო საქმიანობა;

ბ) შესრულებულია ან სრულად ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს ვალდებულება, გამომდინარე ხელშეკრულებიდან, რომელიც წარმოადგენს დავის საგანს;

გ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი გააჩნია მოსარჩელეს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეზე.

3. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე საკუთრების უფლებისა და სხვა ნივთიერ უფლებათა შესახებ კომპეტენტურნი არიან მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. სარჩელები გადამზიდავებისადმი, გამომდინარე ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებებიდან, წარედგინება სატრანსპორტო ორგანიზაციის მართვის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელსაც დადგენილი წესით წარედგინა პრეტენზია.

მუხლი 21
სახელშეკრულებო განსჯადობა

1. ხელშემკვრელ მხარეთა სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუ არის მხარეთა წერილობითი შეთანხმება დავის გადაცემის შესახებ ამ სასამართლოებში. ამასთან განსაკუთრებული კომპეტენცია, გამომდინარე 20 მუხლის 3 პუნქტიდან და სხვა ნორმებიდან, რომლებიც დადგენილია წინამდებარე თავის II – V ნაწილებით, ასევე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის საშინაო კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხართა შეთანხმებით.

მუხლი 22
სასამართლო პროცესების ნაცვალგება

1. საქმის აღძვრის შემთხვევაში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ორი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, რომლებიც კომპეტენტურნი არიან წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, საქმის უფრო მოგვიანებით აღმძვრელი სასამართლო წყვეტს წარმოებას.

2. შეგებებული სარჩელი და მოთხოვნა ჩათვლის შესახებ, გამომდინარე იმავე სამართალურთიერთობიდან საიდანაც სარჩელი, ექვემდებარებიან სასამართლოში განხილვას, რომელიც განიხილავს ძირითად სარჩელს.

ნაწილი II. პირადი სტატუსი

მუხლი 23
უფლებაუნარიანობა და ქმედითუნარიანობა

1. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი.
2. მოქალაქეობის არმქონე პირის ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის კანონებითაც იგი დაფუძნდა.

მუხლი 24
შეზღუდულად ქმედუნარიანად და არაქმედუნარიანად ცნობა. ქმედუნარიანობის აღდგენა

1. პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ საქმეებზე, გარდა წინამდებარე მუხლის 2 და 3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი.

2. იმ შემთხვევაში თუ ერთი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოსათვის ცნობილი გახდება მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის საფუძვლები, რომელიც წარმოადგენს სხვა ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეს, იგი შეატყობინებს ამის შესახებ იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი.

3. თუ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომელსაც შეატყობინეს შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის საფუძვლების შესახებ, სამი თვის განმავლობაში არ აღძრავს საქმეს ან არ აცნობებს საკუთარ მოსაზრებას, საქმეს შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ განიხილავს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ამ მოქალაქეს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. გადაწყვეტილება პირის შეზღუდულად ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ გადაეგზავნება იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი.
4. წინამდებარე მუხლის 1-3 დებულებები შესაბამისად გამოიყენება ქმედუნარიანობის აღდგენის მიმართაც.

მუხლი 25
უკვალოდ გამქრალად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება. გარდაცვალების ფაქტის დადგენა

1. საქმეებზე პირის უკვალოდ გამქრალად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და გარდაცვალების ფაქტის დადგენის საქმეებზე კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებები, რომლის მოქალაქეც იყო პირი იმ დროს, როდესაც უკანასკნელი მონაცემებით იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო სხვა პირების მიმართ – იუსტიციის დაწესებულებები პირის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებებს შეუძლიათ აღიარონ სხვა ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე ან მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა პირი უკვალოდ გამქრალად ან გარდაცვლილად, ასევე დაადგინოს მისი გარდაცვალების ფაქტი მის ტერიტორიაზე მცხოვრებ დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობით, რომელთა უფლებები და ინტერესებიც ეფუძნება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობას.

3. პირის უკვალოდ გამქრალად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და გარდაცვალების ფაქტის დადგენის საქმეთა განხილვისას ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დაწესებულებები სარგებლობენ თავიანთი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

ნაწილი III. საოჯახო საქმეები

მუხლი 26
ქორწინება

ქორწინების პირობები თითოეული მომავალი მეუღლისათვის განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირათვის – ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომელიც წარმოადგენს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. გარდა ამისა ქორწინებისათვის დაბრკოლებათა მიმართ დაცულ უნდა იქნას იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება.

მუხლი 27
მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა

1. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობები განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.
2. თუ ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და ამასთან ორივე მეუღლეს ერთი და იგივე მოქალაქეობა გააჩნია, მათი პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობები განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.
3. თუ ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და ერთი მათგანი ერთი მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო მეორე – მეორისაზე, მათი პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობები განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.
4. თუ წინამდებარე მუხლის 3 პუნქტში მითითებულ პირებს არ გააჩნდათ ერთობლივი საცხოვრისი ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიებზე, გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის უწყებაც განიხილავს საქმეს.
5. მეუღლეთა სამართალურთიერთობები, რომლებიც ეხება მათ უძრავ ქონებას, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.
6. მეუღლეთა პირადი და სამართლებრივი ურთიერთობის საქმეებზე კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის 1-3,5 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 28
ქორწინების შეწყვეტა

1. საქმეებზე ქორწინების შეწყვეტის შესახებ გამოიყენება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტისათვის.

2. თუ ერთ-ერთი მეუღლე ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარისა, გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს საქმეს ქორწინების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 29
ხელშემკვრელ მხარეთა დაწესებულებების კომპეტენტურობა

1. ქორწინების შეწყვეტის შესახებ საქმეებში, 28 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტისათვის. თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის ორივე მეუღლე ცხოვრობს სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, კომპეტენტურია ასევე ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებაც.

2. საქმეებზე ქორწინების შეწყვეტის შესახებ, 28 მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას, კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს ორივე მეუღლე. თუ ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ქორწინების შეწყვეტის შესახებ საქმეებზე კომპეტენტურია ორივე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომელთა ტერიტორიებზეც ცხოვრობენ მეუღლეები.

მუხლი 30

ქორწინების ბათილად ცნობა

1. ქორწინების ბათილად ცნობის საქმეებზე გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომელიც 26 მუხლის შესაბამისად გამოიყენებოდა ქორწინების გაფორმებისას.
2. დაწესებულებათა კომპეტენტურობა ქორწინების ბათილად ცნობის საქმეებზე განისაზღვრება 27 მუხლის თანახმად.

მუხლი 31
მამობისა და დედობის დადგენა და მოპოვება

მამობისა და დედობის დადგენა და მოპოვება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეცაა ბავშვი დაბადებით.

მუხლი 32
მშობლებისა და შვილების სამართალურთიერთობა

1. მშობლებისა და შვილების სამართალურთიერთობა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ ბავშვები.

2. სრულწლოვანი შვილებისგან ალიმენტების ამოღების საქმეებზე გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც გააჩნია საცხოვრებელი ადგილი პირს, რომელიც პრეტენზიას გამოთქვამს ალიმენტების მიღებაზე.

3. მშობლებისა და შვილების სამართალურთიერთობის საქმეებზე კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის კანონმდებლობაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის 1 და 2 პუნქტების მიხედვით.

მუხლი 33
მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება ან გაუქმება წარმოებს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის მოქალაქეცაა პირი, რომლის მიმართაც წესდება ან უქმდება მეორვეობა თუ მზრუნველობა.

2. სამართალურთიერთობა მეურვესა ან მზრუნველს და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს შორის რეგულირდება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის დაწესებულებამაც დანიშნა მეურვე ან მზრუნველი.

3. მეურვეობის ან მზრუნველობის მიღების ვალდებულებას აწესებს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეცაა მეურვედ ან მზრუნველად დანიშნული პირი.

4. პირის მეურვედ ან მზრუნველად, რომელიც არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, შეიძლება დაინიშნოს მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, თუ იგი ცხოვრობს იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდება მეურვეობა ან მზრუნველობა.

მუხლი 34
ხელშემკვრელ მხარეთა დაწესებულებების კომპეტენტურობა მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებზე

საქმეებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების ან გაუქმების შესახებ კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის მოქალაქეცაა პირი, რომლის მიმართაც წესდება ან უქმდება მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ წინამდებარე კონვენციით სხვა რამ არაა დადგენილი.

მუხლი 35
ზომების მიღების წესი მეურვეობისა და მზრუნველობის თაობაზე

1. მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ ზომების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქის ინტერესებში, რომლის მუდმივი საცხოვრისი, ადგილსამყოფელი ან ქონებაც იმყოფება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება დაუყოვნებლივ შეატყობინებს დაწესებულებას, კომპეტენტურს 34 მუხლის მიხედვით.

2. იმ შემთხვევებში, სადაც დაყოვნება დაუშვებელია, მეორე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებას შეუძლია თავადვე მიიღოს საჭირო დროებითი ზომები საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ დაწესებულებას, რომელიც კომპეტენტურია 34 მუხლის თანახმად. ეს ზომები ძალაშია 34 მუხლში ხსენებული დაწესებულების მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 36
მეორვეობისა და მზრუნველობის გადაცემის წესი

1. დაწესებულებას, რომელიც კომპეტენტურია 34 მუხლის შესაბამისად, შეუძლია გადასცეს მეურვეობა ან მზრუნველობა მეორე ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებას, იმ შემთხვევაში თუ მეორვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს გააჩნია ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე საცხოვრისი, ადგილსამყოფელი ანდა ქონება. მეურვეობისა და მზრუნველობის გადაცემა ალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც თხოვნის მიმღები დაწესებულება თავის თავზე აიღებს მეორვეობას ან მზრუნველობას და შეატყობინებს ამის შესახებ თხოვნის გამგზავნ დაწესებულებას.

2. დაწესებულება, რომელიც წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის თანახმად მიიღებს მეურვეობას ან მზრუნველობას, ახორციელებს მათ თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 37
შვილად აყვანა

1. შვილად აყვანა ან მისი გაუქმება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეცაა შვილად ამყვანი შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანის ან მისი გაუქმების მომენტისათვის/

2. თუ ბავშვი სხვა ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, მისი შვილად აყვანისას ან ასეთის გაუქმებისას აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს, ასევე ბავშვის თანხმობა, თუ ამას მოითხოვს იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეცაა იგი.

3. თუ ბავშვიო შვილად აჰყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთ-ერთი ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარისა, შვილად აყვანა ან მისი გაუქმება უნდა მოხდეს ორივე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4. საქმეებზე შვილად აყვანის ან მისი გაუქმების შესახებ კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქეცაა შვილად ამყვანი შვილად აყვანის შესახებ განცხადების შეტანის ან მისი გაუქმების მომენტისათვის, ხოლო წინამდებარე მუხლის 3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულება, რომლის ტერიტორიაზეც მეუღლეებს გააჩნიათ ან გააჩნდათ უკანასკნელი საერთო საცხოვრისი ან ადგილსამყოფელი.

ნაწილი IV. ქონებრივი სამართალურთიერთობები

მუხლი 38
საკუთრების უფლება

1. საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ქონება. საკითხი იმის შესახებ თუ რომელი ქონება ითვლება უძრავად, გადაწყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.

2. საკუთრების უფლება სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ექვემდებარება შეტანას სახელმწიფო რეესტრებში, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო.

3. ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა ნივთიერი უფლების აღმოცენება და შეწყვეტა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებოდა ქონება იმ მომენტში, როცა ადგილი ჰქონდა ქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც გახდა ასეთი უფლების აღმოცენების ან შეწყვეტის საფუძველი.

4. ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა ნივთიერი უფლების აღმოცენება და შეწყვეტა, რაც წარმოადგენს გარიგების საგანს, განისაზღვრება გარიგების მოხდენის ადგილის კანონმდებლობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

მუხლი 39
გარიგების ფორმა

1. გარიგების ფორმა განისაზღვრება მისი მოხდენის ადგილის კანონმდებლობით.

2. გარიგების ფორმა უძრავ ქონებასა და მასზე უფლებების თაობაზე განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.

მუხლი 40
მინდობილობა

მინდობილობის ფორმა და მოქმედების ვადა განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც გაიცემა მინდობილობა.

მუხლი 41
გარიგების მხარეთა უფლება-მოვალეობები

გარიგების მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მისი დადების ადგილის კანონმდებლობით, თუ მხარეთა შეთანხმება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 42
ზარალის ანაზღაურება

1. ვალდებულებები ზარალის ანაზღაურების შესახებ, გარდა მათი, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი ქმედებებიდან, განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, ვის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც გახდა ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველი.

2. თუ ზარალის მიმყენებელი და დაზარალებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები არიან, გამოიყენება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა.

3. წინამდებარე მუხლის 1 და 2 პუნქტებში ხსენებულ საქმეებზე კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, ვის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც გახდა ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველი. დაზარალებულის შეუძლია წარადგინოს სარჩელი ასევე იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოშიც, სადაც საცხოვრებელი ადგილი გააჩნია მოპასუხეს.

მუხლი 43
სასარჩელო ხანდაზმულობა

სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხები წყდება კანონმდებლობით, რომელიც გამოიყენება შესაბამისი სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად.

ნაწილი V. მემკვიდრეობა

მუხლი 44
თანასწორობის პრინციპი

თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს შეუძლიათ სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიებზე კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობით მიიღონ ქონება ან უფლებები თანაბარი პირობებითა და იმავე მოცულობით, როგორითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს.

მუხლი 45
მემკვიდრეობის უფლება

1. ქონების მემკვიდრეობის უფლება, გარდა წინამდებარე მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს გააჩნდა უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.
2. უძრავი ქონების მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.

მუხლი 46
მემკვიდრეობის სახელმწიფოსათვის გადაცემა

თუკი იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომელიც გამოიყენება მემკვიდრეობისას, მემკვიდრეს წარმოადგენს სახელმწიფო, მოძრავი სამკვიდრო ქონება გადადის იმ ხელშემკვრელი მხარის ხელში, რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი გარდაცვალების მომენტში, ხოლო უძრავი სამკვიდრო ქონება გადადის იმ ხელშემკვრელი მხარის ხელში, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება.

მუხლი 47
ანდერძი

პირის უნარი შეადგინოს ან გააუქმოს ანდერძი, ასევე ანდერძისა და მისი გაუქმების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც მოანდერძეს გააჩ და საცხოვრებელი ადგილი აქტის შედგენის მომენტისთვის. უმცა ანდერძი ან მისი გაუქმება არ შეიძლება აღიარებულ იქნან ნამდვილად ფორმის დაუცველობის გამო, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს მისი შედგენის ადგილის სამართლის მოთხოვნებს.

მუხლი 48
კომპეტენტურობა მემკვიდრეობის შესახებ საქმეებზე

1. სამართალწარმოება საქმეებზე უძრავი ქონების მემკვიდრეობის შესახებ კომპეტენტურია ჩაატაროს იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებამ, რომლის ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს გააჩნდა საცხოვრებელი ადგილი მისი გარდაცვალების მომენტისათვის.

2. სამართალწარმოება საქმეებზე მოძრავი ქონების მემკვიდრეობის შესახებ კომპეტენტურია ჩაატაროს იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებამ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ქონება.

3. წინამდებარე მუხლის 1 და 2 პუნქტების დებულებები გამოიყენება ასევე დავების განხილვისას, რომლებიც წარმოიშობა მემკვიდრეობის საქმეებზე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

მუხლი 49
დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების კომპეტენტურობა მემკვიდრეობის შესახებ საქმეებზე

საქმეებზე მემკვიდრეობის შესახებ, მათ შორის სამემკვიდრეო დავების შესახებაც, თითოეული ხელშემკვრელი მხარის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება კომპეტენტურია წარმოადგენდეს (მემკვიდრეობაზე უარის თქმის უფლების გამოკლებით) სპეციალური მინდობილობის გარეშე სხვა ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებებში საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეებს, თუ ისინი ადგილზე არ იმყოფებიან ან არ დაუნიშნავთ წარმომადგენელი.

მუხლი 50
მემკვიდრეობის დაცვის ზომები

1. ხელშემკვრელ მხარეთა დაწესებულებები ღებულობენ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყონ მემკვიდრეობის დაცვა, რომელიც მათ ტერიტორიაზე დატოვეს სხვა ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებმა, ანდა მართონ იგი.

2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის თანახმად მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ იმ ხელშემკვრელი მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომლის მოქალაქეც არის მამკვიდრებელი. ხსენებულ წარმომადგენლობას ან დაწესებულებას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ ზომების განხორციელებაში.

3. იუსტიციის დაწესებულების შუამდგომლობით, რომელიც კომპეტენტურია აწარმოოს საქმე მემკვიდრეობის შესახებ, ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების შუამდგომლობით, ზომები, მიღებული წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან გადაიდოს.

თავი III. გადაწყვეტილებათა აღიარება და აღსრულება

მუხლი 51
გადაწყვეტილებათა აღიარება და აღსრულება

თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობებით აღიარებს და აღასრულებს შემდგომ გადაწყვეტილებებს, გამოტანილთ სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე:

ა) სამოქალაქო და საოჯახო საქმეთა იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს, მათ შორის სასამართლოს მიერ ასეთ საქმეებზე დამტკიცებულ შეთანხმებებს მორიგების შესახებ და ნოტარიალურ აქტებს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით (შემდგომ - გადაწყვეტილებებს);
ბ) სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზარალის ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 52
გადაწყვეტილებათა აღიარება, რომლებიც აღსრულებას არ მოითხოვენ

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით არ მოითხოვენ აღსრულებას, აღიარებულია სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიებზე სპეციალური წარმოების გარეშე, იმ პირობით თუკი:

**ა)** თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებებს ამ საქმეზე ადრე არ გამოუტანიათ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები;

**ბ)** საქმე წინამდებარე კონვენციის თანახმად, ხოლო მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში – იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება აღიარებულ უნდა იქნას, არ განეკუთვნება ამ ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის დებულებები ეხება მეურვეობისა და ზრუნველობის შესახებ გადაწყვეტილებებსაც, ასევე გადაწყვეტილებებს ქორწინების შეწყვეტის თაობაზე, გამოტანილთ დაწესებულებების მიერ, რომლებიც კომპეტენტურნი არიან იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, ვის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება.

მუხლი 53
შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე

1. შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

2. შუამდგომლობას თან ერთვის:

**ა)** გადაწყვეტილება ან მისი დამოწმებული ასლი, ასევე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას ან იმის შესახებ, რომ იგი ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ ეს არ გამომდინარეობს თავად გადაწყვეტილებიდან;
**ბ)** დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, და რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, სათანადო წესრიგში იმყოფებოდა და დროულად იქნა გამოძახებული

ასამართლოში, ხოლო მისი პროცესუალური არაქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარმოდგენილი;

გ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებას მისი გადაგზავნის მომენტისთვის;

დ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის საქმეებზე.

3. შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე და მისი თანდართული დოკუმენტები აღიჭურვება დამოწმებული თარგმანით თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ენაზე ანდა რუსულ ენაზე.

მუხლი 54
გადაწყვეტილებათა აღიარებისა და იძულებითი აღსრულების წესი

1. შუამდგომლობებს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, გათვალისწინებულთ 51 მუხლში, განიხილავენ იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოები, რომელთა ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

2. სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლო გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

3. იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

მუხლი 55
უარი გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე

52 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღიარებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუკი:

ა) ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი არ შესულა კანონიერ ძალაში ან არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ბ) მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება;

გ) საქმეზე იმავე მხარეებს, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც აღიარებულ და აღსრულებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება, ადრე უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილება, ანდა თუ ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებამ ადრე აღძრა წარმოება ამ საქმეზე;

დ) წინამდებარე კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობისა, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნას, საქმე ეხება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას;

ე) არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ;

ფ) ამოიწურა იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, გათვალისწინებული იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის სასამართლოც ასრულებს დავალებებს.

თავი IV. სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

ნაწილი I. გადაცემა

მუხლი 56
გადაცემის მოვალეობა

1. ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოთხოვნისამებრ გადასცენ ერთმანეთს მათ ტერიტორიაზე მყოფი პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან განაჩენის სისრულეში მოსაყვანად.

2. გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად წარმოებს ისეთი ქმედებებისათვის, რომლებიც თხოვნის გამგზავნი და თხოვნის მიმღები მხარეების კანონმდებლობით დასჯადია და რომელთა ჩადენისათვისაც გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით არანაკლებ ერთი წლისა ან უფრო მძიმე სასჯელი.

3. გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად წარმოებს ისეთი ქმედებებისათვის, რომლებიც თხოვნის გამგზავნი და თხოვნის მიმღები მხარეების კანონმდებლობით დასჯადია და რომელთა ჩადენისათვისაც პირს, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ექვსი თვისა ან უფრო მძიმე სასჯელი.

მუხლი 57
გადაცემაზე უარის თქმა

1. გადაცემა არ წარმოებს, თუ:

ა) პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ, არის თხოვნის მიმღები მხარის მოქალაქე;
ბ) მოთხოვნის მიღების მომენტისათვის სისხლის სამართლის დევნის განხორციელება თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის მიხედვით შეუძლებელია ან განაჩენი არ შეიძლება გამოტანილ იქნას ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო ანდა სხვა რაიმე კანონიერ საფუძველზე;
გ) იმ პირისადმი, ვის გადაცემასაც მოითხოვენ, თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმავე დანაშაულზე გამოტანილ იქნა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება საქმის შეწყვეტის თაობაზე;
დ) დანაშაული თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის კანონმდებლობის შესაბამისად იდევნება კერძო ბრალდების წესით (დაზარალებულის განცხადებით).

2. გადაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვენ გადაცემას, ჩადენილ იქნა თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 58
გადაცემის მოთხოვნა

1. გადაცემის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:
ა) თხოვნის მიმღები დაწესებულების სახელწოდებას;
ბ) ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას და თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის კანონის ტექსტს, რომლის საფუძველზეც ეს ქმედება დანაშაულებრივად ითვლება;
გ) გადასაცემი პირის სახელს, გვარს, მამის სახელს, მის მოქალაქეობას, საცხოვრებელ ადგილს ან ადგილსამყოფელს, შეძლებისდაგვარად გარეგნობის აღწერას და სხვა ცნობებს მისი პიროვნების შესახებ;

დ) ზარალის ოდენობის მითითებას, რომელიც მიყენებულ იქნა დანაშაულით

2. სისხლის სამართლის დევნის განხორციელებისათვის პირის გადაცემის მოთხოვნას თან უნდა ახლდეს დაპატიმრების შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი.

3. გადაცემის მოთხოვნას განაჩენის სისრულეში მოსაყვანად თან უნდა ახლდეს განაჩენის დამოწმებული ასლი ნიშნულით მისი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ და სისხლის სამართლის კანონის იმ დებულების ტექსტი, რომლის საფუძველზეც არის გასამართლებული პირი. თუ მსჯავრდებულმა უკვე მოიხადა სასჯელის ნაწილი, გადაეცემა ასევე ამის შესახებ მონაცემებიც. გადაცემის მოთხოვნა და მისი თანდართული დოკუმენტები დგება 17 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 59
დამატებითი ცნობები

1. თუ გადაცემის მოთხოვნა არ შეიცავს ყველა აუცილებელ მონაცემს, მაშინ თხოვნის გამგზავნ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ცნობები, რისთვისაც იგი ადგენს ერთ თვემდე ვადას. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ერთი თვით თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის შუამდგომლობით.

2. თუ თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარე დადგენილ ვადაში არ წარადგენს დამატებით ცნობებს, თხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა გაათავისუფლოს დაპატიმრებული პირი.

მუხლი 60
დაპატიმრება გადასაცემად

მოთხოვნის მიღებისთანავე თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს იმპ ირის დასაპატიმრებლად, რომლის გადმოცემასაც მოითხოვენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემა შეუძლებელია.

მუხლი 61
დაპატიმრება ან დაკავება გადაცემის მოთხოვნის მიღებამდე

1. პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ, შუამდგომლობისამებრ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას გადაცემის მოთხოვნის მიღებამდეც. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს მითითებას პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილებაზე ანდა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და მინიშნებას მასზე, რომ გადაცემის მოთხოვნა დამატებით წარედგინება. შუამდგომლობა დაპატიმრების შესახებ გადაცემის მოთხოვნის მიღებამდე შეიძლება გადაიცეს ფოსტით, ტელეგრაფით, ტელექსით ან ტელეფაქსით.

2. პირი შეიძლება დაკავებულ იქნას წინამდებარე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობის გარეშეც, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მან ჩაიდინა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დანაშაული, რომელიც იწვევს გადაცემას.

3. გადაცემამდე დაპატიმრების ან დაკავების შესახებ აუცილებელია დაუყოვნებლივ ეცნობოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 62
დაკავებული ან დაპატიმრებული პირის გათავისუფლება

1. 61 მუხლის 1 პუნქტის თანახმად დაპატიმრებული პირი უნდა გათავისუფლდეს, თუკი მოთხოვნა მისი გადაცემის შესახებ არ შემოვა დაპატიმრებიდან ერთი თვის განმავლობაში.

2. 61 მუხლის 2 პუნქტის თანახმად დაპატიმრებული პირი უნდა გათავისუფლდეს, თუკი მოთხოვნა მისი გადაცემის შესახებ არ შემოვა კანონმდებლობით დაკავებისათვის გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

მუხლი 63
გადაცემის გადავადება

თუ გადასაცემი პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან გასამართლებულია სხვა დანაშაულისთვის თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მისი გადაცემა შეიძლება გადავადდეს სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტამდე, განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ან სასჯელისგან გათავისუფლებამდე.

მუხლი 64
გადაცემა დროებით

1. თუ 63 მუხლით გათვალისწინებულ გადაცემის გადავადებას შეუძლია გამოიწვიოს სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა ანდა ზარალი მიაყენოს დანაშაულის გამოძიებას, პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ შუამდგომლობით, შეიძლება გადაეცეს დროებით.

2. დროებით გადაცემული პირი უნდა დაბრუნდეს ქმედების ჩატარების შემდგომ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლისთვისაც იგი გადაეცა, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვისა პირის გადაცემის დღიდან. დასაბუთებულ შემთხვევებში ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

მუხლი 65
გადაცემის მოთხოვნის კოლიზია

თუ გადაცემის მოთხოვნა შემოვა რამდენიმე სახელმწიფოსგან, თხოვნის მომღები ხელშემკვრელი მხარე თავად წყვეტს, რომელი მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს.

მუხლი 66
გადაცემული პირის სისხლის-სამართლებრივი დევნის ფარგლები

1. თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის თანხმობის გარეშე გადაცემული პირი არ შეიძლება მიეცეს სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში ან დაისაჯოს მის გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რომლის გამოც იგი არ გადაუციათ.

2. თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის თანხმობის გარეშე გადაცემული პირი არ შეიძლება გადაეცეს მესამე სახელმწიფოს.

3. თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის თანხმობა აუცილებელი არაა, თუკი გადაცემული პირი სისხლის სამართლის წარმოების დასრულებიდან ერთი თვის შემდგომ, ხოლო გასამართლების შემთხვევაში – სასჯელის მოხდიდან ან მისგან გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ არ დატოვებს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას ანდა თუ იგი ნებაყოფლობით დაბრუნდება იქ. ამ ვადაში არ ჩაითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც გადაცემულ პირს არ შეეძლო დაეტოვებინა თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია არა საკუთარი მიზეზით.

მუხლი 67
გადაცემული პირის ჩაბარება

თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე ატყობინებს თხოვნის გამგზავნ ხელშემკვრელ მხარეს გადაცემის ადგილსა და დროს. თუ თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარე არ მიიღებს გადასაცემ პირს ჩაბარების დადგენილი თარიღიდან 15 დღის განმავლობაში, ეს პირი პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 68
განმეორებითი გადაცემა

თუ გადაცემული პირი შეეცდება თავი აარიდოს სისხლის სამართლის დევნას ან სასჯელის მოხდას და დაბრუნდება თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ახალი მოთხოვნისამებრ იგი უნდა გადაეცეს 58 და 59 მუხლებში ხსენებული მასალების წარდგენის გარეშე.

მუხლი 69
შეტყობინება სისხლის სამართლის წარმოების შედეგების შესახებ ხელშემკვრელი მხარეები აცნობებენ ერთმანეთს სისხლის სამართლის წარმოების შედეგთა შესახებ მათთვის გადაცემული პირის წინააღმდეგ. თხოვნისამებრ გადაიგზავნება საბოლოო გადაწყვეტილების ასლიც.

მუხლი 70
გადაყვანა ტრანზიტით ხარჯები

1. ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის შუამდგომლობით ნებას რთავს საკუთარ ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაიყვანონ მეორე ხელშემკვრელი მხარისათვის მესამე სახელმწიფოს მიერ გადაცემული პირები.

2. შუამდგომლობა ასეთ გადაყვანაზე ნებართვის შესახებ განიხილება იმავე წესით, როგორც გადაცემის მოთხოვნა.
3. თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე სატრანზიტო გადაყვანის ნებართვას იძლევა ისეთი ხერხით, რომელსაც იგი ყველაზე მიზანშეწონილად თვლის.

მუხლი 71
გადაცემასთან და ტრანზიტით გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები

გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზეც ისინი წარმოიშვა, ხოლო ხარჯებს, დაკავშირებულს ტრანზიტით გადაყვანასთან, გაიღებს ხელშემკვრელი მხარე, რომელმაც მიმართა შუამდგომლობით ასეთი გადაყვანის შესახებ.

ნაწილი II. სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელება

მუხლი 72
სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების მოვალეობა

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე მოვალეა მეორე ხელშემკვრელი მხარის დავალებით განახორციელოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი მოქალაქეების სისხლის-სამართლებრივი დევნა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან იმაში, რომ მათ თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ჩაიდინეს დანაშაული.

2. თუ დანაშაული, რომლის გამოც აღძრულია საქმე, იწვევს იმ პირთა სამოქალაქო-სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლებმაც განიცადეს ზარალი დანაშაულისგან, ეს მოთხოვნები ზარალის ანაზღაურების შესახებ მათი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში განიხილება მოცემულ საქმეში.

მუხლი 73

დავალება სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ

1. დავალება სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ უნდა შეიცავდეს:
- ა) თხოვნის გამგზავნი დაწესებულების სახელწოდებას;
- ბ) ქმედების აღწერას, რომლის გამოც გადაიგზავნა დავალება დევნის განხორციელების შესახებ;
- ც) ქმედების ჩადენის დროისა და ადგილის რაც შეიძლება ზუსტ მითითებას;
- დ) თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის კანონის ტექსტს, რომლის საფუძველზეც ქმედება დანაშაულებრივადაა აღიარებული, ასევე სხვა
- ე) საკანონმდებლო ნორმების ტექსტს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ საქმის წარმოებისათვის;
- ფ) ეჭვმიტანილი პირის სახელსა და გვარს, მის მოქალაქეობას, ასევე სხვა ცნობებს მისი პიროვნების შესახებ;
- გ) დაზარალებულთა განცხადებებს სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც აღიძრა დაზარალებულის განცხადებით, და განცხადებებს ზარალის ანაზღაურების შესახებ;
- ჰ) დანაშაულით მიყენებული ზარალის ოდენობის მითითებას. დავალებას თან ერთვის თხოვნის გამგზავნი მხარის განკარგულებაში
- ი) არსებული სისხლის-სამართლებრივი დევნის მასალები, ასევე მტკიცებულებები.

2. თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გადაგზავნისას გამოძიებას ამ საქმეზე აგრძელებს თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე საკუთარი კანონმდებლობის თანახმად. საქმეში არსებული თითოეული დოკუმენტი უნდა დამოწმდეს თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური იუსტიციის დაწესებულების გერბიანი ბეჭდით.

3. დავალება და მისადმი თანდართული დოკუმენტები დგება 18 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

4. თუ ბრალდებული დევნის განხორციელების შესახებ დავაების გადაგზავნის მომენტისთვის იმყოფება პატიმრობაში თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, იგი გადაჰყავთ თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 74
შეტყობინება სისხლის-სამართლებრივი დევნის შედეგთა შესახებ

თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია შეატყობინოს თხოვნის გამგზავნ ხელშემკვრელ მხარეს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის თხოვნით გადაიგზავნება საბოლოო გადაწყვეტილების ასლი.

მუხლი 75
გადაწყვეტილების მიღების შედეგები

თუ ხელშემკვრელ მხარეს 72 მუხლის შესაბამისად გადაეგზავნა დავალება სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ განაჩენის ძალაში შესვლის ან თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის დაწესებულების მიერ სხვაგვარი საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას თხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებათა მიერ, ხოლო მათ მიერ აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

მუხლი 76
პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები

თითოეული ხელშემკვრელი მხარე დანაშაულთა გამოძიებისას და სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოებში განხილვისას ითვალისწინებს ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან

დამამძიმებელ გარემოებებს, მიუხედავად იმისა თუ რომელი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე წარმოიშვა ისინი.

მუხლი 77
ორი ან რამდენიმე ხელშემკვრელი მხარის სასამართლოთა განსჯადი საქმეების განხილვა

პირის ან პირთა ჯგუფის ბრალდებისას რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რომელთა შესახებ საქმეებიც განსჯადია ორი ან მეტი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, მათ განხილვაზე კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც დასრულდა წინასწარი გამოძიება. ამ შემთხვევაში საქმე განიხილება ამ ხელშემკვრელი მხარის სამართალწარმოების წესების მიხედვით.

ნაწილი III. სპეციალური დებულებები სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ

მუხლი 78
საგნის გადაცემა

1. 1. ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას თხოვნისამებრ ერთმანეთს გადასცენ:

ა) საგნები, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩადენისას, რომელიც იწვევს პირის გადაცემას წინამდებარე კონვენციის თანახმად, მათ შორის დანაშაულის იარაღი; საგნები, რომლებიც შეძენილ იქნა დანაშაულის შედეგად ან ჯილდოს სახით მისი ჩადენისათვის, ანდა საგნები, რომლებიც დამნაშავემ მიიღო ასეთნაირად შეძენილი საგნების მაგიერ;
ბ) საგნები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულებითი მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმეში; საგნები გადაეცემა იმ შემთხვევაშიც, თუკი დამნაშავის გადაცემა შეუძლებელია მისი სიკვდილის, გაქცევის ან სხვა გარემოებათა გამო.

2. თუ თხოვნის მიმღებ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საგნები ესაჭიროება როგორც მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეში, მათი გადაცემა შეიძლება გადაიდოს საქმის წარმოების დასრულებამდე.

3. მესამე პირთა უფლება გადაცემულ საგნებზე ძალაში რჩება. საქმის წარმოების დასრულების შემდგომ ეს საგნები უსასყიდლოდ უნდა დაუბრუნდეს მათ გადმომცემ ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 79
შეტყობინება გამამტყუნებელი განაჩენების შესახებ და ცნობები ნასამართლობის თაობაზე

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე ყოველწლიურად შეატყობინებს სხვა ხელშემკვრელ მხარეებს ცნობებს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელ განაჩენთა შესახებ, რომლებიც გამოიტანეს მისმა სასამართლოებმა შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეების მიმართ, იმავდროულად გადააგზავნიან რა გასამართლებულთა არსებულ თითის ანაბეჭდებს.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უფასოდ, მათი თხოვნით მიაწვდის სხვა ხელშემკვრელ მხარეებს ცნობებს იმ პირთა ნასამართლობის შესახებ, რომლებიც ადრე გაასამართლეს მისმა სასამართლოებმა, თუ ეს პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეძლევიან თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 80
ურთიერთობის წესი გადაცემისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის საკითხებზე

ურთიერთობა გადაცემის, სისხლის-სამართლებრივი დევნის საკითხებზე, ასევე იმ დავალებათა საკითხებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლებებს და მოითხოვს პროკურორის სანქციებს, ხორციელდება ხელშემკვრელ მხარეთა გენერალური პროკურორების (პროკურორების) მიერ.

თავი V. დასკვნითი დებულებები
მუხლი 81

წინამდებარე კონვენციის გამოყენების საკითხები საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება წინამდებარე კონვენციის გამოყენებისას, წყვეტენ ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 82
კონვენციის მიმართება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან წინამდებარე კონვენცია არ ეხება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა დებულებებს, რომელთა მონაწილენიც არიან ხელშემკვრელი მხარეები.

მუხლი 83
ძალაში შესვლის წესი

1. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას მისი ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება რესპუბლიკა ბელარუსის მთავრობას, რომელიც ასრულებს წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარის ფუნქციას.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს დეპოზიტარისათვის მესამე სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარების დღიდან. სახელმწიფოსათვის, რომლის სარატიფიკაციო სიგელიც დეპოზიტარს შესანახად ჩაბარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, იგი ძალაში შევა ოცდამეათე დღეს მისი სარატიფიკაციო სიგელის დეპოზიტარისათვის ჩაბარების დღიდან.

მუხლი 84
კონვენციის მოქმედების ვადა

1. წინამდებარე კონვენცია მოქმედებს მისი ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდგომ კონვენცია ავტომატურად გრძელდება ყოველი ახალი ხუთწლიანი პერიოდით.

2. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გამოვიდეს წინამდებარე კონვენციიდან, გაუგზავნის რა დეპოზიტარს ამის შესახებ წერილობით შეტყობინებას მისი მიმდინარე მოქმედების ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვამდე 12 თვით ადრე.

მუხლი 85
მოქმედება დროში

წინამდებარე კონვენციის მოქმედება ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე აღმოცენებულ სამართალურთიერთობებზეც.

მუხლი 86
კონვენციასთან მიერთების წესი

წინამდებარე კონვენციას მისი ძალაში შესვლის შემდეგ ყველა ხელშემკვრელი მხარის თანხმობით შეიძლება შეუერთდეს სხვა სახელმწიფოებიც დეპოზიტარისათვის ასეთი შეერთების შესახებ დოკუმენტის გადაცემის გზით. შეერთება ძალაში შესულად

ჩაითვლება დეპოზიტარის მიერ შეერთებაზე უკანასკნელი თანხმობის მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 87
დეპოზიტარის მოვალეობები

დეპოზიტარი დაუყოვნებლივ აცნობებს წინამდებარე კონვენციის ხელმომწერ და მასთან მიერთებულ სახელმწიფოებს თითოეული სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარების თარიღის თაობაზე, კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ, ასევე მის მიერ სხვა შეტყობინებების მიღების შესახებ.

შესრულებულია ქალაქ მინსკში 1993 წლის 22 იანვარს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება რესპუბლიკა ბელარუსის მთავრობის არქივში, რომელიც დაუგზავნის წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს მის დამოწმებულ ასლს.

სომხეთის რესპუბლიკის სახელით ლ. ტერ-პეტროსიანი

რესპუბლიკა ბელარუსის სახელით ს. შუშკევიჩი

ყაზახეთის რესპუბლიკსი სახელით ნ. ნაზარბაევი

რუსეთის ფედერაციის სახელით ბ. ელცინი

ტაჯიკეთის რესპუბლიკის სახელით ე. რახმონოვი

თურქმენეთის სახელით ს. ნიაზოვი

ყირგიზეთის რესპუბიკის სახელით ა. აკაევი

რესპუბლიკა მოლდოვას სახელით მ. სნეგური

უზბეკეთის რესპუბლიკის სახელით ი. კარიმოვი

უკრაინის სახელით ლ. კრავჩუკი

## საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ

ეს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. *(06.04.2005 N 1235)*

მუხლი 1. დევნილის ცნება *(06.04.2005 N 1235)*

იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების

მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 1[1]. ტერმინთა განმარტება *(06.04.2005 N 1235)*

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; *(15.10.2010. N3714)*

ბ) ტერიტორიული ორგანო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ტერიტორიული ორგანო; *(15.10.2010. N3714)*

გ) დევნილის მოწმობა – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის დევნილად ცნობას და დევნილის სტატუსის მინიჭებას; *(15.10.2010. N3714)*

დ) დევნილის სტატუსის მაძიებელი – პირი, რომელმაც დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით განცხადებით მიმართა სამინისტროს და რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ის შეიძლება ამ კანონის პირველი მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს დევნილად;

ე) დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი – პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო;

ვ) დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) – დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული;

ზ) მიზნობრივი სოციალური დახმარება – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფულადი გასაცემელი, რომელიც გაიცემა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად; *(9.06.2006 N3289)*

თ) ერთჯერადი ფულადი შემწეობა – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მიეცემა უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილს მისი განცხადების საფუძველზე; *(9.06.2006 N3289)*

ი) დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი – დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებული დევნილები;

კ) დევნილთა რეგისტრაცია – სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციისა და ახალი მოწმობის გაცემის პროცედურა;

ლ) დევნილთა ანკეტირება – სამინისტროს მიერ დევნილის პერსონალური (საიდენტიფიკაციო) მონაცემების აღრიცხვის პროცედურა.

მუხლი 2. დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესი (

1. პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

2. ტერიტორიული ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაუგზავნოს სამინისტროს პირის განცხადება დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

3. თუ პირი ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, იგი უფლებამოსილია აღრიცხვაზე ასაყვანად მიმართოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

4. დევნილის სტატუსის მაძიებლად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს პირი, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ პირი შეიძლება ჩაითვალოს დევნილად ამ

კანონის პირველი მუხლის საფუძველზე.

5. სამინისტრო პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

6. დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრირებულ პირს ეძლევა დევნილის სტატუსის მაძიებლის ცნობა.

7. დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

8. პირს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებისთანავე ეძლევა დევნილის მოწმობა და მასზე ივსება ანკეტა. დევნილის მოწმობისა და ანკეტის ფორმას ადგენს სამინისტრო.

9. ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ.

10. დევნილის სტატუსის მაძიებლის ცნობა და დევნილის მოწმობა ძალაშია პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

11. დევნილს დაოჯახების შემთხვევაში უნარჩუნდება დევნილის სტატუსი. თუ ორივე ან ერთ-ერთი მშობელი არის დევნილი, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლების თანხმობის საფუძველზე.

12. სამინისტროს უარი პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების, დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 3. დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის უფლებები და მოვალეობები.

1. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

2. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

3. დევნილის სტატუსის მაძიებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და წესის საფუძველზე უფლებამოსილია: *(06.04.2005 N 1235)*

ა) იცხოვროს დროებით საცხოვრებელ ადგილზე;

ბ) ისარგებლოს უფასო კომუნალური მომსახურებით კომპაქტურად განსახლების ობიექტში;

გ) მიიღოს სხვა სახის დახმარება.

4. დევნილის სტატუსის მაძიებელი ვალდებულია: *(06.04.2005 N 1235)*

ა) სამინისტროს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს განცხადების განხილვისათვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია დადგენილი წესით;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნისთანავე გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

5. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

მუხლი 4. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

მუხლი 5. დევნილის უფლებები და მათი უზრუნველყოფა დროებით

1. დევნილი იღებს ყოველთვიურ შემწეობას. *(9.06.2006 N3289)*

$1^1$. დევნილს უფლება აქვს მიიღოს მიზნობრივი სოციალური დახმარება და სხვა შემწეობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. *(9.06.2006 N3289)*

2. დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც: *(15.10.2010. N3714)*

ა. ეხმარებიან დროებით დასაქმებაში, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

ბ) გასცემენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემწეობებსა და სხვა დახმარებებს კომპეტენციის ფარგლებში; *(9.06.2006 N3289)*

გ. უმწეო კატეგორიის დევნილის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის ხარჯებს დადგენილი წესით, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტარიფების ფარგლებში ანაზღაურებს სახელმწიფო;*(18.12.2001 #1199)*

დ. უზრუნველყოფენ დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე; და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უფასო სწავლებას სახელმწიფოს ხარჯზე;

ე. წყვეტენ დევნილის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს;

ვ. ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;

ზ. უზრუნველყოფენ დროებითი საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში;

თ. იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილებისათვის არსებული ნორმით დროებით სარგებლობაში გამოყოფილი სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები თავისუფლდება მიწის გადასახადისაგან;

ი. მონაწილეობენ რეგიონში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაღუპულთა სამარხებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ღონისძიებებში;

კ. ამ კანონის პირველ მუხლში მითითებული მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, ეხმარებიან დევნილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებაში.

ლ. უზრუნველყოფენ საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებლითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით; *(18.12.2001 #1199)*

მ. – დევნილის გარდაცვალებისას დაკრძალვის ხარჯებს დადგენილი წესით ანაზღაურებენ დევნილის დროებითი განსახლების ადგილის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. *(18.12.2001 #1199)*

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. *(06.04.2005 N 1235)*

4. საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: *(06.04.2005 N 1235)*

ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;

ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;

დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

5. ყოველთვიური შემწეობის შეწყვეტის საფუძვლებია: *(9.06.2006 N3289)*

ა) სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის განკუთვნილი მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება ნებაყოფლობით;

ბ) დევნილის სტატუსის შეწყვეტა;

გ) პირადი განცხადებით შემწეობის მიღებაზე უარის თქმა.

6. შემწეობის აღდგენა ხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, პირადი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. *(9.06.2006 N3289)*

7. სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში. *(06.04.2005 N 1235)*

მუხლი $5^{1}$. ყოველთვიური შემწეობის შეჩერების საფუძვლები *(9.06.2006 N3289)*

1. ყოველთვიური შემწეობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ორ თვეზე მეტი ვადით საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა;

ბ) დევნილის სტატუსის შეჩერება.

2. შემწეობის განახლება ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, პირადი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.“.

მუხლი $5^{2}$. დევნილის ვალდებულებები *(9.06.2006 N3289)*

დევნილი ვალდებულია:

ა) ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ;

ბ) გაიაროს რეგისტრაცია სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადაში;

გ) ორ თვეზე მეტი ვადით საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლის შემთხვევაში წინასწარ აცნობოს სამინისტროს ამის შესახებ;

დ) ათი დღის ვადაში აცნობოს სამინისტროს შრომითი დასაქმების შესახებ.

მუხლი 6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლები *(06.04.2005 N 1235)*

1. პირს დევნილის სტატუსი შეუჩერდება, თუ:

ა) ამ კანონის საფუძველზე სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში არ გაიარა რეგისტრაცია;

ბ) დასადგენია დევნილად ცნობისათვის წარდგენილი საბუთების სისწორე;

გ) დევნილად რეგისტრირებულია რამდენიმე რეგიონში.

2. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი. 3. პირს ც

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა დევნილის სტატუსი;

ბ) მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღმოიფხვრა ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზები და შესაბამის ტერიტორიაზე აღსდგა საქართველოს იურისდიქცია;

გ) მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

დ) გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად;

ე) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა.

4. პირს ჩამოერთმევა დევნილის სტატუსი, თუ მან სტატუსი მიიღო ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე ან ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხს წყვეტს სამინისტრო.

6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის ან აღდგენის თაობაზე დავას წყვეტს სასამართლო.

7. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ სასამართლომ გააუქმა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

მუხლი 7. დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე
რეაბილიტაციის სახელმწიფო გარანტიები

1. თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, დაბრუნდება საცხოვრებელ ადგილას:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისთვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია; *(15.10.2010. N3714)*

ბ) მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრისა და კომპენსაციის გაცემის წესს ადგენენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.*(18.12.2001 #1199)*

2. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

3. ამოღებულია *(06.04.2005 N 1235)*

.

მუხლი 8. დევნილთა დახმარების ორგანიზება *(9.06.2006 N 3289)*

დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად.

მუხლი 9. დევნილის უფლებების გარანტია

1. დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

2. თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ყველა დევნილს, თუ მისი შრომითი საქმიანობის შეწყვეტა დაკავშირებულია დევნილობასთან, დევნილობის პერიოდში უნარჩუნდება შრომის უწყვეტი სტაჟი, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი.*(18.12.2001 #1199)*

მუხლი 10. დევნილთათვის დახმარების
ფინანსური წყაროები

1. დევნილთათვის ამ კანონის შესაბამისად გასაწევი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.*(18.12.2001 #1199)*

2. დამატებითი დაფინანსების წყაროა საბიუჯეტო სარეზერვო ფონდები, ფიზიკური და იურიდიული პირების შეწირულობანი, უცხოეთის სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათთვის

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*
თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი. N 335 - IIს

# 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმი დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღების შესახებ (III ოქმი)

2005 წლის 8 დეკემბერი

პრეამბულა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები,

1) განამტკიცებენ რა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებისა (კერძოდ, ჟენევის პირველი კონვენციის 26-ე, 38-ე, 42-ე და 44-ე მუხლები), და სათანადო შემთხვევებში მათი 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმების (კერძოდ, I დამატებითი ოქმის 18-ე და 38-ე მუხლები და II დამატებითი ოქმის მე-12 მუხლი) დებულებებს განმასხვავებელ ემბლემათა გამოყენების შესახებ,

2) სურთ რა შეავსონ ზემოხსენებული დებულებები, რათა გააძლიერონ მათი დაცვითი ფუნქცია და უნივერსალური ხასიათი,

3) აღნიშნავენ რა, რომ წინამდებარე ოქმი არ აზიანებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების აღიარებულ უფლებას განაგრძონ იმ ემბლემათა გამოყენება, რომელთაც ისინი ჟენევის კონვენციებითა და სათანადო შემთხვევებში მათი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესაბამისობაში იყენებენ,

4) შეახსენებენ რა, რომ ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების დაცვის ქვეშ მყოფ პირთა და ობიექტთა პატივისცემის ვალდებულება საერთაშორისო სამართალში მათი დაცული სტატუსიდან გამომდინარეობს და არ არის დამოკიდებული განმასხვავებელი ემბლემების, სიმბოლოთა თუ ნიშანთა გამოყენებაზე,

5) ხაზს უსვამენ რა, რომ განმასხვავებელ ემბლემებს არ გააჩნიათ რაიმე რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, რეგიონული თუ პოლიტიკური მნიშვნელობა,

6) ხაზს უსვამენ რა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჟენევის კონვენციებითა და სათანადო შემთხვევებში, მათი დამატებითი ოქმებით აღიარებული განმასხვავებელი ემბლემების გამოყენებასთან დაკავშირებული ვალდებულებების სრულად შესრულების უზრუნველყოფა,

7) შეახსენებენ რა, რომ ჟენევის პირველი კონვენციის 44-ე მუხლში მოცემულია სხვაობა განმასხვავებელ ემბლემათა დაცვითი ფუნქციითა და მანიშნებელი ფუნქციით გამოყენებას შორის,

8) აგრეთვე შეახსენებენ რა, რომ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოქმედმა ეროვნულმა საზოგადოებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ემბლემები, რომლის გამოყენებას ისინი ასეთი საქმიანობის ფარგლებში აპირებენ, შეიძლება გამოყენებული იყოს საქმიანობის განხორციელების ქვეყანაში და ტრანზიტის ქვეყანასა თუ ქვეყნებში,

9) აცნობიერებენ რა იმ სირთულეებს, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო და ეროვნული საზოგადოება შეიძლება წააწყდეს მოქმედი განმასხვავებელი ემბლემების გამოყენებისას,

10) მიუთითებენ რა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციისა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის გადაწყვეტილებაზე შეინარჩუნონ მათი ამჟამინდელი დასახელებები და ემბლემები,

**შეთანხმდნენშემდეგზე:**

**მუხლი 1. წინამდებარეოქმის დებულებების შესრულება დამოქმედების სფერო**

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა შემთხვევაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე ოქმის დებულებების შესრულება.
2. წინამდებარე ოქმი განამტკიცებს და ავსებს 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციისა („ჟენევის კონვენციები'') და, სათანადო შემთხვევებში, მათი 1977 წლის 8 ივნისის ორი დამატებითი ოქმის („1977 წლის დამატებითი ოქმები'') დებულებებს განმასხვავებელ ემბლემათა, კერძოდ წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და წითელი ლომისა და მზის შესახებ, და ვრცელდება იმავე სიტუაციებზე, რომელიც ამ დებულებებშია მითითებული.

**მუხლი 2. განმასხვავებელი ემბლემები**

1. ჟენევის კონვენციების განმასხვავებელ ემბლემათა გარდა და იმავე მიზნებისათვის, წინამდებარე ოქმი ცნობს დამატებით განმასხვავებელ ემბლემას. განმასხვავებელი ემბლემები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.
2. მოცემული დამატებითი განმასხვავებელი ემბლემა, რომელიც თეთრ ფონზე გამოხატული წვეროზე მდგომი კვადრატის ფორმის წითელი ჩარჩოსგან შედგება, წინამდებარე ოქმის დანართში არსებულ ილუსტრაციას უნდა შეესაბამებოდეს. მოცემული განმასხვავებელი ემბლემა წინამდებარე ოქმში მოხსენებულია, როგორც „მესამე ოქმის ემბლემა."
3. მესამე ოქმის ემბლემის გამოყენებისა და პატივისცემის პირობები იდენტურია ჟენევის კონვენციებისა და სათანადო შემთხვევებში 1977
წლის დამატებითი ოქმების მიერ განმასხვავებელი ემბლემებისთვის დადგენილი პირობებისა.
4. მაღალი ხელშემკვრელი მხარეების შეიარაღებული ძალების სამედიცინო და რელიგიურ პერსონალს შეუძლია, მათი ტრადიციული ემბლემებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, დაცვის გაძლიერების მიზნით დროებით გამოიყენოს წინამდებარე მუხლის 1 პუნქტში მითითებული ნებისმიერი განმასხვავებელი ემბლემა.

**მუხლი 3. მესამეოქმის ემბლემის მანიშნებელი გამოყენება**
1. იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ საზოგადოებებს, რომლებიც გადაწყვეტენ მესამე ოქმის ემბლემის გამოყენებას, შეუძლიათ ემბლემის სათანადო ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში გამოსაყენებლად, მანიშნებელი მიზნებისათვის მასში ინკორპორირება გაუკეთონ:
ა) ჟენევის კონვენციების მიერ აღიარებულ განმასხვავებელ ემბლემას ან ამ ემბლემათა კომბინაციას; ან
ბ) სხვა ემბლემას, რომელსაც მაღალი ხელშემკვრელი მხარე ფაქტობრივად იყენებდა და რომლის შესახებაც სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს დეპოზიტარის საშუალებით წინამდებარე ოქმის მიღებამდე ეცნობათ.
ინკორპორაცია წინამდებარე ოქმის დანართში არსებულ ილუსტრაციას უნდა შეესაბამებოდეს.
2. ეროვნულ საზოგადოებას, რომელიც ზემოთ მოცემული 1 პუნქტის თანახმად მესამე ოქმის ემბლემაში სხვა ემბლემის ინკორპორირებას გადაწყვეტს, შეუძლია, ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, გამოიყენოს ამ ემბლემის აღნიშვნა და განათავსოს იგი საკუთარ ტერიტორიაზე.
3. ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას და საკუთარი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულ საზოგადოებებს შეუძლიათ წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლში მითითებული განმასხვავებელი ემბლემის დროებით გამოყენება.
4. წინამდებარე მუხლი არ ახდენს ზეგავლენას ჟენევის კონვენციებისა და წინამდებარე ოქმის მიერ აღიარებული განმასხვავებელი ემბლემის სამართლებრივ სტატუსზე, და აგრეთვე არც იმ ნებისმიერი ემბლემის სამართლებრივ სტატუსზე, რომელიც წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მანიშნებელი მიზნებისთვის არის ინკორპორირებული.

**მუხლი 4. წითელი ჯვრის საერთაშორისოკომიტეტი დაწითელი ჯვრისადაწითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისოფედერაცია**
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციას, აგრეთვე მათ სათანადოდ უფლებამოსილ პერსონალს, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას და საკუთარი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეუძლიათ წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლში მითითებული განმასხვავებელი ემბლემის გამოყენება.

**მუხლი 5. გაერთიანებული ერების ორგანიზაცი ეგიდით მოქმედი მისიები**
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილე სამედიცინო და რელიგიურ პერსონალს შეუძლია, მონაწილე სახელმწიფოებთან შეთანხმებით, გამოიყენოს 1 და მე-2 მუხლებში მოხსენებული ერთ-ერთი განმასხვავებელი ემბლემა.

**მუხლი 6. ბოროტად გამოყენების თავიდანაცილებადადასჯა**
1. ჟენევის კონვენციებისა და სათანადო შემთხვევებში 1977 წლის დამატებითი ოქმების დებულებები განმასხვავებელი ემბლემების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ თანაბრად ვრცელდება მესამე ოქმის ემბლემაზე. სახელდობრ, მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა ყოველთვის აიცილონ თავიდან და დასაჯონ 1 და მე-2 მუხლებში მოხსენებული განმასხვავებელი ემბლემებისა და მათი აღნიშვნების ბოროტად გამოყენება, მათ შორის ვერაგი და ემბლემათა იმიტაციის შემცველი ნიშნისა თუ აღნიშვნის გამოყენება.
2. ზემოთ მოცემული 1 პუნქტის მიუხედავად, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ ნება დართონ მესამე ოქმის ემბლემის ან მისი იმიტაციის შემცველი ნებისმიერი ნიშნის მანამდელ მომხმარებელს განაგრძონ ასეთი გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული კონფლიქტის დროს

ამდაგვარი სახით გამოყენება არ მიანიჭებდა ჟენევის კონვენციებისა და სათანადო შემთხვევებში 1977 წლის დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ დაცვას და, თუ ასეთი სახით გამოყენებაზე უფლება წინამდებარე ოქმის მიღებამდე იყო შეძენილი.

**მუხლი 7. გავრცელება**
მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან, მშვიდობისა თუ შეიარაღებული კონფლიქტების დროს რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე ოქმი მათ ქვეყნებში და, კერძოდ, ჩართონ ოქმის შესწავლა სამხედრო ინსტრუქტაჟის პროგრამებში და ხელი შეუწყონ სამოქალაქო მოსახლეობას მის შესწავლაში, რათა წინამდებარე დოკუმენტი შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო მოსახლეობისათვის გახდეს ცნობილი.

**მუხლი 8. ხელმოწერა**
წინამდებარე ოქმი ჟენევის კონვენციების მონაწილე მხარეთა მიერ ხელმოსაწერად ღიაა მისი მიღების დღიდან და დარჩება ღიად თორმეტი თვის განმავლობაში.

**მუხლი 9. რატიფიკაცია**
წინამდებარე ოქმის რატიფიცირება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსთან, ჟენევის კონვენციებისა და 1977 წლის დამატებითი ოქმების დეპოზიტართან.

**მუხლი 10. შეერთება**
წინამდებარე ოქმი შესაერთებლად ღიაა ჟენევის კონვენციების მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია. შეერთების აქტი დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან.

**მუხლი 11. ძალაში შესვლა**
1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა ორი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.
2. ჟენევის კონვენციების მონაწილე თითოეული მხარისათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს წინამდებარე ოქმის რატიფიცირებას ან შეერთებას, ის ძალაში შევა ამ მხარის მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

**მუხლი 12. სახელშეკრულებოურთიერთობები წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ**
1. თუ ჟენევის კონვენციების მონაწილე მხარეები აგრეთვე წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეს წარმოადგენენ, კონვენციები წინამდებარე ოქმის მიერ მათში შეტანილი დამატებების გათვალისწინებით გავრცელდება.
2. თუ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ არის წინამდებარე ოქმის მონაწილე, ოქმის მონაწილე მხარეებისთვის ერთმანეთს შორის ურთიერთობისას ოქმი სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამას გარდა, მონაწილე მხარეებისთვის ოქმი სავალდებულოა ოქმის არამონაწილე მხარეებთან ურთიერთობებშიც, თუ ეს უკანასკნელი აღიარებს და იყენებს ოქმის დებულებებს.

**მუხლი 13. შესწორებები**
1. ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წინამდებარე ოქმში შესწორებების შეტანის შეთავაზება. ნებისმიერი შეთავაზებული შესწორების ტექსტი გაეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარესთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციასთან კონსულტაციების შედეგად წყვეტს, მოიწვიოს თუ არა კონფერენცია შემოთავაზებული შესწორების განსახილველად.
2. დეპოზიტარი ამ კონფერენციაზე მოიწვევს ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, და ასევე ჟენევის კონვენციების მონაწილე მხარეებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმზე ხელმომწერნი.

**მუხლი 14. დენონსაცია**
1. იმ შემთხვევაში, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარე მოახდენს წინამდებარე ოქმის დენონსაციას, დენონსაცია ძალაში შევა მხოლოდ დენონსაციის შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, თუ ამ წლის ამოწურვამდე მხარე, რომელმაც დენონსაციის შესახებ განაცხადა, აღმოჩნდება შეიარაღებული კონფლიქტის ან ოკუპაციის სიტუაციაში, დენონსაცია ძალაში შევა შეიარაღებული კონფლიქტის ან ოკუპაციის დასრულების შემდეგ.

2. დენონსაციის შესახებ შეტყობინება წერილობითი ფორმით გაეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც ამ შეტყობინებას ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს დაუგზავნის.
3. დენონსაცია ძალაშია მხოლოდ იმ მხარისთვის, რომელმაც დენონსაციის შესახებ განაცხადა.
4. პირველი პუნქტის თანახმად გაკეთებული არცერთი დენონსაცია არ შეეხება შეიარაღებულ კონფლიქტთან ან ოკუპაციასთან დაკავშირებით წინამდებარე ოქმის შესაბამისად დენონსაციის განმცხადებელი მხარის მიერ უკვე აღებულ ვალდებულებებს, ასეთი დენონსაციის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ნებისმიერი ქმედების მიმართ.

**მუხლი 15. შეტყობინებები**
დეპოზიტარი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს და ჟენევის კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი წინამდებარე ოქმის ხელმომწერნი, ატყობინებს:
ა) მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად წინამდებარე ოქმზე გაკეთებული ხელმოწერების, დეპონირებული სარატიფიკაციო სიგელებისა და შეერთების აქტების შესახებ;
ბ) მე-11 მუხლის თანახმად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ, ძალაში შესვლიდან ათი დღის განმავლობაში;
გ) მე-13 მუხლის თანახმად მიღებული შეტყობინებების შესახებ;
დ) მე-14 მუხლის თანახმად განცხადებული დენონსაციების შესახებ.

**მუხლი 16. რეგისტრაცია**
1. ძალაში შესვლის შემდეგ, წინამდებარე ოქმი დეპოზიტარის მიერ იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციისა და გამოქვეყნებისთვის.
2. დეპოზიტარი აგრეთვე შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წინამდებარე ოქმთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ყველა რატიფიკაციის სიგელის, შეერთების აქტისა და დენონსაციის განცხადების შესახებ.

**მუხლი 17. ავთენტური ტექსტები**
წინამდებარე ოქმის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები არის თანაბრად ავთენტური, დეპონირებული უნდა იყოს დეპოზიტართან, რომელიც ჟენევის კონვენციების ყველა მონაწილე მხარეს ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს.


ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა : C o n t a c t I n f o r m a t i o n :

**ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა პ რ ი ო რ ი ტ ე ტ ი**

**H u m a n R i g h t s P r i o r i t y**

მისამართი: ლ. ასათიანის №10 — Address: 10 L.Asatiani Str.
თბილისი 0105, საქართველო — Tbilisi 0105, Georgia
ტელ.ფაქსი - (995 32) 988 695 - Tel.
ელ.ფოსტა - hrpgeorgia@gmail.com - email
www.hrp.ge